

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

26 ნოემბერი 2010 №24(128)

ქართველი და ზღვა
ვანო ჩხიკვაძის მცირე პროზა
ემზარ კვიციანიშვილის ლექსები
საუბარი ერიკ-ემანუელ შმიტთან
ზურაბ ხასაია შალვა ნუცუბიძეზე
ოქტაი ქაზუმოვის ბაქოური შთაბეჭდილებანი
დეა სოსელიას ფერთა ლირიზმი
ერთი ყველაზე მართალი წიგნი
ჩესტერტონის უფლის ჩაქუჩი
დარეჯან ჩხეიძის ნაამბობი
არა არს საიდუმლო...



შინაარსი

თეატრალური სიხალენი	2	იოსებ ქუმბურიძე „აშენებულია შინაგან მღელვარებაზე“ („ჰამლეტის“ დადგმა თუმანიშვილის თეატრში)
ჩვენი შოვა, წითისოფალი	4	გიგი თევზაძე ქართველი და ზღვა
მისარეს-ინტერვიუ	6	ირაკლი კაკაბაძე „რასაც სიყვარული უღივს სარჩულად“
აინსტოლა	7	თემო ჩიტაძე ძვირფასი სტრიქონის საგალოპალი
პროზა	8	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
ლიბრეტოვანი ცხოვრება	13	ანა მარგველანი ნათელი ხუთშაბათი (წარდგინება გრიგოლ რობაქიძის ნიგნაკისა „ჰიტლერი“)
პოეზია	14	ემზარ კვიციანიშვილი ესპანური სიმღერა და სხვა ლექსები
უსწოთის ცხოვრებიდან	17	ერიკ ემანუელ შმიტი „სიყვარული იღუმაღებისკენ მიმავალი სწრაფვა“
კავასინის გზაზე	21	ოქტაი ქაზუმოვი რისტოვის ღირს წერა (ბაქოური შთაბეჭდილებანი)
ლიბრეტოვანი პორტრეტი	24	ზურაბ ხასაია შალვა ნუცუბიძე
მოგონებათა სივრცე	28	ეკა ბუჯიაშვილი და შრიალუბა მუსა ჭალაში (დარეჯან ჩხეიძის ნამბობი)
რეპორტაჟი	36	რიტა ბაინდურაშვილი ერთი ყველაზე მართალი ნიგონი (იკა ქადაგიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური კრებული)
კრიტიკა	38	გელა მამფორია სოხუმი... ორლამონდი (ნინო ვახანიას ლიტერატურული ესეები)
წუთები და წლები	40	როსტომ ჩხეიძე არა არს საიდუმლო... (თამარ და თამაზ ლაცაბიძეების მონოგრაფია „იტრია“)
საქართველოს გზაზე	44	კატო ჯავახიშვილი ცამეტნი
	45	გიზო თავაძე ისინი ცამეტნი იყვნენ
ახალი წიგნები	46	ოლეგ გოლიაძე შემოქმედის ახალმთვარეობა (შორენა ბერელიძის მოთხრობების პირველი კრებული)
ახალგაზრდავო, აწ კი თქვენ	47	ელენე ამირანაშვილი ფართა რიტმი, ფართა ღირიში (დეა სოსელია)
დღიური ფურცლებიდან	48	გია ჯოხაძე ბუნა კვარაცხელიას ვერსიისაში
საორბი	50	ნოდარ ებრაელიძე ბუთაფორიული მერანიც ცხენობს...
პოეზიის მერიდიანები	52	ფრანგული პოეზიიდან
დაბეჭდვითი	54	ჯილბერტ კით ჩესტერტონი უფლის ჩაქუჩი
ნაქვესები	61	მასპინძელითყვარობის ნიშნები
მოზაიკა	63	ვინც სულს დაღებს...

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეტი“
საბეჭდო, თბილისი, საბურთალოს რაიონი 17
ბაქოურიძის +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL PHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: კახა კინწურაშვილი ჰამლეტის როლში

ზურაბ გენაძის ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 10 დეკემბერს

იოსებ ჭუმბურიძე

„აშენებულია შინაგან მღელვარებაზედ“

თბილისში ახალი ჰამლეტი დაიბადა.

საპყრობილე კი, რა თქმა უნდა, დანიაა.

მხოლოდ იქ შეიძლება დაისვას ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა: „სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის, ის, რომ იტანჯოს?“

პრესრელიზი გვამცნობს (სტილი დაცულია):

„ბატონმა ამირანმა შეკრიბა 13 ახალგაზრდა ენთუზიასტი მსახიობი, შვიდი თვე იმუშავა მათთან — ეტიუდებზე თუ სავარჯიშოებზე, იმ მიზნით რათა გადაეცა მათვის საქართველოში თუ საზღვარგარეთ დაგროვილი გამოცდილება, ცოდნა, პროფესიული აზროვნების, ოსტატობის, თუმანიშვილის სკოლის მნიშვნელობა, რათა მსახიობებს გამოემუშავებინათ როლზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.“

მისთვის, რეჟისორისთვის მნიშვნელოვანია მსახიობებმა გააცნობიერონ სკოლა, მეთოდი, რაზეც შემდგომ ააგებენ სამსახიობო მოღვაწეობას — ნიჭი, მონაცემები, პიროვნული რესურსები — ხელობად უნდა აქციონ“.

ბატონი ამირანი — ეს ამირან ამირანაშვილია, ცნობილი მსახიობი, მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლებში არაერთი მნიშვნელოვანი სახის შემქმნელი. მარტო სგანარელის („დონ ჟუანი“) დასახელება იკმარებდა.

საზღვარგარეთ დაგროვილ გამოცდილებაში, პიტერ ბრუკის მიწვევით, საფრანგეთში გატარებული ათი წელი, ბრეტანის (ქ. რენი), სარა ბერნარისა და შაიოს თეატრებში (პარიზი) განსახიერებული როლები იგულისხმება.

მაგრამ საკმარისია შინ თუ გარეთ დაგროვილი არტისტული გამოცდილება საიმისოდ, რომ მსახიობი რეჟისორად მოგვევლინოს და პირველსავე ცდაზე „ჰამლეტი“ დადგას?

მსახიობთა რეჟისორობა ვისლა უკვირს, მაგრამ ტრაგედიის მწვერვალთან შეჭიდება მაინც განსაკუთრებული რისკია, მითუმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც 85 წელია ცოცხლობს ლეგენდა უშანგი ჩხეიძეზე.



თეო ჩუბინიძესთან (გერტრუდა) ერთად

უშანგი ჩხეიძე 26 წლისა იყო, მარჯანიშვილმა „ჰამლეტი“ რომ ათამაშა.

აკაკი ფალავა, სანდრო ახმეტელი (სხვებიცი), თურმე ეუბნებოდნენ, ასე ახალგაზრდა ამ როლისთვის როგორ გაიმეტეო.

ახალ თეატრს ვქმნიდი და ვერ დავზოგავდიო, — ასეთი იყო რეჟისორის პასუხი.

ამ ასაკში ჰამლეტის თამაშს თვითონაც ნაადრევად მიიჩნევდა „ტრაგედიის ცეცხლით გადამწვარი დიდი მსახიობი“ (გალაკტიონი).

ამირან ამირანაშვილი ახალ თეატრს არ ქმნიდა, მაგრამ პირველ სპექტაკლს დგამდა და ვერც ის დაზოგავდა ახალგაზრდა მსახიობს, რომელიც ჰამლეტის როლისთვის იყო დაბადებული.

ჯვარი სწერია და კახა კინწურაშვილიც, თურმე, 26 წლისაა! ვინც რა უნდა თქვას ამირან ამირანაშვილის რეჟისორობაზე, იმას ვერავინ უარყოფს, რომ მან ქართულ თეატრს ახალი ჰამლეტი აღმოუჩინა. ასეთი ჰამლეტისთვის ნამდვილად ღირს თუნდაც ოთხსაათნახევრიანი სპექტაკლის ნახვა, იმის მიუხედავად, რომ ხშირად მოიწყენ, ზოგჯერ აღშფოთდები, ხანდახან დაგავინყდება, რომ თუმანიშვილის თეატრში იმყოფები, მაგრამ ამ ყოველივეს ვერასოდეს დააბრალებ ჰამლეტის როლის შემსრულებელს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ის აცოცხლებს ამ გრძელ სანახაობას, რომელიც ბეჯითად კი მიჰყვება შექსპირის ტექსტს, მაგრამ რეჟისორულ გამომგონებლობას თითქმის სრულიად მოკლებულია.

ბოლომდე სამართლიანი რომ ვიყო, ჰორაციოც უნდა გამოვყო — დევი რეხვიაშვილს პიესაშივე მიუფნია როლის გასაღებისთვის (ალბათ დამდგმელთან ერთად). ჰამლეტი ხომ ასე მიმართავს: „შენ, ვისაც ბევრი გიტანჯნია, მაგრამ არ იმჩნევ“. „შეუმჩნევლად“, ძუნწი ფერებით წარმოგვიდგენს მსახიობი ჰამლეტის ერთგულ მფრთხარს და სწორედ ეს განსაზღვრავს ბევრისთვის ძნელად მისაღწევ ბუნებრიობას და დამაჯერებლობას.

მარჯანიშვილს უშანგისთვის ჰამლეტის როლი რომ მიუცია, მის შესახებ კრიტიკული ლიტერატურის ნაკითხვა აუკრძალავს — გავლენის ქვეშ არ მოექცესო.

უშანგის ამ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევა ყურად არ უღია და დიდხალ მასალას გასცნობია, თვითონ პიესა კი ათჯერ გადაუკითხავს.

არ ვიცი, როგორ მოიქცნენ ამირან ამირანაშვილი და კახა კინწურაშვილი, ის კი მგონია, რომ მათ ჰამლეტს უშანგი ჩხეიძის მოგონებების გავლენა უფრო ეტყობა.

კახა კინწურაშვილის ჰამლეტი უშანგი ჩხეიძისას კი არ ჰგავს, უფრო ისეთია, დიდ მსახიობს შექსპირის ეს გმირი თავდაპირველად რომ წარმოედგინა:

„ჰამლეტს ვუყურებდი უაღრესად სათუთი ბუნების მქონე ადამიანად და გარეგნულად ის ასევე სათუთ და არისტოკრატიულ ადამიანად მყავდა წარმოდგენილი. ჩემი ძლიერი და, შეიძლება, ცოტა უხეში სხეული, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ამასთანავე, საკმაოდ განვრთნილი და მოქნილიც, მე მაინც შეუფერებლად მიმაჩნდა ჰამლეტისათვის“.

საბედნიეროდ, კახა კინწურაშვილს მთავარი და პრინციპული რამ აახლოებს უშანგი ჩხეიძესთან. ლეგენდარული მსახიობის სიტყვით, ეს მთავარი და პრინციპული ასე გადმოიცემა: „არავითარი გარეგნული ეფექტები, ყველაფერი აშენებულია შინაგან მღელვარებაზე“.

ამ გრძელი სანახაობის ხილვისას არასოდეს გტოვებს განცდა, რომ შენს წინ დგას არა მსახიობი, არამედ შექსპირის გმირი და ეს ხდება სწორედ იმიტომ, რომ თვითონ მსახიობი წამითაც არ „გამოდის როლიდან“.

შინაგანი მღელვარებით და გარეგნული სიმშვიდით წარმოთქვამს კახა კინწურაშვილი ურთულეს მონოლოგებს და ეს არის არა კითხვა, არამედ ბუნებრივი და ლალი თამაში, ღრმა და ნამდვილი განცდა.

რა კარგი იქნებოდა, ამის თქმა დანარჩენ მსახიობებზეც რომ შეიძლებოდა (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათგან მხოლოდ ორია თუმანიშვილის დასის წევრი, კახა კინწურაშვილი კი მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია).

უცნაური განცდაა, როცა მთავარი გმირი მოგონს, სპექტაკლი — არა. არადა, გრცხვენია კიდეც, უმადურობა გამოავლინო იმ რეჟისორის (უფრო ზუსტად, დამდგმელის) მიმართ, ვინც ასეთი დიდებული ჰამლეტი გვარუქა. მაგრამ ჩვენ ჰამლეტიც დიდებული გვინდა და „ჰამლეტიც“.

ერთ-ერთმა საუკეთესო მსახიობმა მიაგნო საუკეთესო ჰამლეტს, მაგრამ ვერ შექმნა საუკეთესო „ჰამლეტი“.

აშკარაა, რომ თუმანიშვილმა თავის შეგირდ მსახიობებს ყველაფერი ასწავლა... „ხეზე ასვლის“ გარდა.

დიდმა მანქანამ იცოდა, რომ რეჟისორობა სხვა პროფესიაა, მსახიობობა — სხვა.

ზემოთ აღწერილთაგან ვახსენე. რატომ? — თუნდაც იმიტომ, რომ დარბაზი ერთნაირად უკრავს ტაშს ჰამლეტსაც („სულდიდ ქმნილებას“) და ოსრიკის როლის შემსრულებელსაც, ვინც საშუალო სქესის თუ სულაც უსქესო არსებას განასახიერებს (ქართულ სცენაზე უკვე საკმაოდ დამკვიდრებული შტამპი). აქ სერიოზული პრობლემა იკვეთება: კომედი თუ ქლაშოუებზე გაზრდილი მაცურებელი თუმანიშვილის თეატრშიც კი „რუსთავი-2“-ის „იუმორს“ ეძებს.

მინდა, სინდისთან ბოლომდე მართალი ვიყო და დამდგმელს არაფერი დავუკარგო. მას მართლაც სერიოზულად უმუშავია მსახიობებთან, ღრმად გაუანალიზებია შექსპირის ტექსტი და თითოეული როლი, მაგრამ რეჟისორული გადაწყვეტისთვის ვერ მიუგნია.

სპექტაკლს კი არ ვდგამ, ვთხზავ, — ამბობდა მისი დიდი მანქანა. ამირანაშვილის „ჰამლეტი“ დადგმულია და არა შეთხზული. შეთხზულ სპექტაკლში იგივე მსახიობებიც უფრო ორგანულად და ბუნებრივად ჩაენერებოდნენ.

და კიდევ: თუ სპექტაკლის რაიმე კონცეფციაზე მაინც ვისაუბრებთ, ის, ალბათ, დედასთან ჰამლეტის დამოკიდებულებაში ილანდება. ყველაფრის მიუხედავად, ჰამლეტი დედას მაინც ვერ იმეტებს (მის დანდობას შემთხვევით არ სთხოვს მამის აჩრდილი). დედური ინსტინქტი გერტრუდაშიც ძლიერია. მისი უკანასკნელი სიტყვები ხომ ეს არის: „ოჰ, შვილო ჰამლეტ...“

ფიქრობ, ეს ყოველივე ქვეყანაზეც უნდა გავავრცელოთ. ჰამლეტისთვის დანია საპყრობილეა, მაგრამ მას მაინც ვერ შელევია. ეს თემა ისევე ზოგადსაკაცობრიოა, როგორც ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა.

ეს ის გრძნობაა, როცა შეგიძლია, სამშობლოს ჯერ უთხრა, ფურთხის ღირსი ხარო, ბოლოს კი მაინც ასე მიმართო: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...

ეს ის გრძნობაა, რის გამოც თეიმურაზ ხევისთავი ვერ თმობს მარგოს — თავის პატივსაცემი სამშობლოს.

თუ ეს კონცეფცია სპექტაკლში მართლაც დეეს და არ მომჩვენებია, მაშინ უთუოდ ღირს მის გაღრმავებაზე ფიქრი.

თბილისში ახალი ჰამლეტი დაიბადა. საპყრობილე კი, რა თქმა უნდა, დანიაა...



დევი რეხვიაშვილთან (პორაცია) ერთად

გიგი თევზაძე

ქართული და ზღვა

არა მგონია საკამათო ის, რომ ჩვენი ცხოვრება საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი უმსჯელობებითაა სავსე. მაგრამ უმსჯელობა რისი უმსჯელობაა, ადვილად ამოცნობადი რომ იყოს. უმსჯელობის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მისი თავისთავად სიცხადით შენიღბულობაა. ანუ, უმეტესობა უმსჯელობები უმეტესობა ადამიანებისათვის თავისთავად ცხად და მარტივ ქეშმარიტებას წარმოადგენს.

ამას წინათ ლექსო მაჭავარიანის კარგ სტატიაში „ვინ გადაცურავს ზღვას?“ ერთ უმსჯელობას ნავენყდი, რომელიც საბუნდუნოდ მხოლოდ ტექსტის სამკაულად იყო გამოყენებული და ამიტომ ტექსტი არ გაუფუჭებია. შესაბამისად, ამ უმსჯელობის გამოაშკარავების მცდელობა მაჭავარიანის ტექსტის დასკვნებს არც დააკნინებს და არც შეცვლის. პირიქით, შეიძლება არგუმენტები დაუმატოს.

„...ზღვის პირას მცხოვრებ ხალხს, არგონავტებს დადევნებულ აიეტის მითიურ ხომალდებს თუ არ ჩავთვლით, არასდროს გვეყოლია ფლოტი. შავი ზღვა არ გვიჩენდა მასში შეცურვის სურვილს. ამიტომაც დავარქვით ზღვა - ზღვარი. მის იქით ჩვენი წინაპრებისთვის არაფერი იყო, შეუცნობელის შიშის გარდა. ვიკინგებს სიცივე, შიმშილი და სიახლისკენ სწრაფვა აიძულებდა ფარატინა გემებით ოკეანე გადაელახათ. ჩვენ, კავკასიის მთების ჩრდილში, თბილ ადგილზე მოკალათებულებს, როგორც ჩანს, არ გვშოიდა, არც სიახლე გვიზიდავდა მაინცდამაინც და შესაბამისად არც იმის მიზეზი გვექონია როდესმე, ზღვების გადაცურვაზე გვეფიქრა“ (ლექსო მაჭავარიანი „ვინ გადაცურავს ზღვას?“ ტაბულა“ 19. 19-25 ივლისი, 2010. ან http://rekuzo.blogspot.com/2010/07/blog-post_23.html).

ფიქრობ, რომ ამ აბზაცში გამოთქმული აზრი ბევრისთვის ნაცნობია. ჩემი მხრიდან, ამ წარმოდგენის აღწერა რომ სრულყოფილი გახდეს, დავუმატებდი, რომ „ლაშა გიორგიმ სცადა ფლოტის აგება მაგრამ ქალებს გადაყვა“, და რომ „ქართველი ხალხი ცდილობდა ზღვის პირას არ ეცხოვრა, მთას ირჩევდა საცხოვრებლად“.

მგონია, რომ ქართველების და ზღვის შესახებ წარმოდგენათა ეს კომპლექსი ძირითადად საბჭოთა დროს შეიქმნა და საბჭოთა ხელი-


სუფლებაც, ნებისთ თუ უნებლიეთ [მაინც ვფიქრობ, რომ ნებისთ], ცდილობდა ამ წარმოდგენის კულტივირებას და წარმატებით მოახერხა კიდევ. ამ წარმოდგენის გავრცელების პოლიტიკური მოტივი ცხადია - ქართველებს არ უნდა გასჩენოდათ სურვილი ზღვის გადალახვით და ზღვის გავლით მოხვედრილიყვნენ სასურველ ადგილას - ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს მისთვის სასურველ სამყაროს - ევროპას - დააკავშირებდა, რუსეთზე და სამხედრო გზაზე გავლით უნდა მომხდარიყო. ეს პროექტი ალბათ ქართველებისათვის რუსეთის გარდაუვლობის და აუცილებლობის წარმოდგენის გამომუშავების სტრატეგიის ნაწილი იყო.

ახლა თვითონ ქართველების და ზღვის შესახებ. რასაც ახლა დავწერ, იქიდან ზოგი მოუყოლიათ ჩემთვის, როგორც გადმოცემა/მითი, ზოგიც წამოკითხავს, ზოგიც კი — ისტორიკოსებს უთქვამთ, როგორც საკუთარი კვლევის შედეგი. ასე რომ, ის, რასაც ქვემოთ ნახავთ, არის ჭორების, ამბების და ისტორიული ფაქტების ნარევი. სულ არ მგონია, რომ ამის წაკითხვის შემდეგ ქართველების ანტი-ზღვური იდენტობის უმსჯელობა გაქრება, მაგრამ, ვფიქრობ, რასაც დავწერ, საკმარისია იმისათვის, რომ უპირობოდ აღარ მივიღოთ უმსჯელობა და მსჯელობა მაინც მოგვინდეს ამ თემაზე.

უპირველეს ყოვლისა, ფლოტის და ნაოსნობის შესახებ: ვისაც შავ ზღვასთან საქმიანი, და არა მარტო საკურორტო, დამოკიდებულება აქვს, იცის, თუ როგორი არასანდოა ის სანაოსნოდ. ფაქტობრივად არ არსებობს მეტნაკლებად წყნარი პერიოდი, რომელიც რამდენიმე კვირას გრძელდება. შავი ზღვის გარშემო მდებარე სახელმწიფოებს შორის არ არსებობს არც ერთი, რომელმაც ფლოტი შავ ზღვაზე შექმნა და განავითარა (მხოლოდ საქართველოს ჰქონდა მცდელობა, ამაზე ქვემოთ მოგიყვებით). შავ ზღვაში მოარული ფლოტები ხმელთაშუა ან ეგეოსის ზღვების წყნარ და ნაოსნობისათვის იდეალურ პირობებში იყო შექმნილი და შემდეგ გადმოტანილი „ჩვენსკენ“.

ერთ-ერთი მთავარი ქართველურ-ანტი-ზღვური არგუმენტი, რომელსაც მოიხმობენ ხოლმე, არის ზღვის სამზარეულოს განუვითარებლობა. თითქოსდა რკინის არგუმენტიცა, მაგრამ ამ დროს საქართველოს ის ისტორიული ნაწილი გვაინყვდება, რომელიც დღეს თურქეთშია, ლაზებითაა დასახლებული და რომლების მთელი ცხოვრებაც დღესაც ზღვასთანაა დაკავშირებული. ის, რომ „ჩვენს“, საზღვარს აქეთ დარჩენილ ლაზებს ეს კულტურა დაავინყდათ, არაფერია გასაკვირი: საბჭოთა ხელისუფლება ძალიან ზღუდავდა ქართველების ზღვასთან შეხებას, და „ჩვენი“ ლაზებიც იძულებულნი იყვნენ სხვა საქმე მოეძებნათ თავის სარჩენად.

ახლა რაც შეეხება მეზღვაურობას: შუა საუკუნეებში შავ ზღვაზე



გენუელები დომინირებდნენ. მარკო პოლო სწორედ მათმა გემებმა ჩამოიყვანეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველები, რომლებიც ახლანდელი ბათუმის ტერიტორიიდან სამხრეთით სახლობდნენ, იყვნენ კარგი მეზღვაურები და ასევე — სახიფათო მეკობრეები. როგორც ჩანს — რაღაც თანამედროვე სომალელების მსგავს საქმიანობას ეწეოდნენ. არაფერს ვიტყვი ყაბალახზე, რომლის ფორმის მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, მისი პირველადი დანიშნულება საზღვაო კაპიუშონობა გახლდათ. რაც შეეხება საქართველოს სანაპიროს ზედა ზოლს — ის სანაოსნოდ ცუდი იყო, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ისინი, ვის ხელშიც ფოთის სანაპირო იყო, სავაჭრო გემის მფლობელებს გემის საფასურის ანაზღაურებას პირდებოდნენ, თუკი გემი ჩაიძირებოდა პორტში შემოსვლისას. მთლიანი ხისგან დიდი, ზღვაში სანაოსნო ნავეების გამოთლის შუა საუკუნეების დროინდელი ხელობა მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, გასაბჭოებამდე იყო შენარჩუნებული გურიამი.

იმის მაგალითად, შუა საუკუნეებში ზღვას რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველების ცხოვრებაში, ვფიქრობ, „ვეფხისტყაოსანიც“ საკმარისია. გახსოვთ ალბათ, რომ ზღვა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია თხრობაში. ის, რომ საქართველოს ფლოტი არ ჰყავდა, ერთი მხრივ პოლიტიკით, ხოლო მეორე მხრივ ისევ და ისევ შავი ზღვის განსაკუთრებულად არეული ბუნებით აიხსნება. ნაოსნები ახლაც ერიდებიან შავი ზღვის პირდაპირ, მის ცენტრზე გავლით გადაკვეთას, და წარმოიდგინეთ რა იქნებოდა ის შუა საუკუნეების ზღვაოსნებისათვის. „ვეფხისტყაოსანზე“ გამახსენდა: ის, რომ ფრიდონი ნავს, რომელსაც ნესტან-დარეჯანი მიჰყავს, ნაპირ-ნაპირ მისდევს ცხენით, ძალიან „შავ-ზღვური“ ალუზია: შავი ზღვის არაპროგნოზირებადი ხასიათის გამო ახლაც ყველაზე უხიფათო ნაოსნობა სანაპირო ზოლთან ახლოს მოძრაობაა.

ლაშა გიორგის ფლოტურ ამბიციებს რაც შეეხება: ალბათ ის დრო ყველზე უფრო ხელსაყრელი იყო ქართული ფლოტის დასაარსებლად: არც მანამდე და არც მერე - შავი ზღვა „უპატრონო“ აღარ ყოფილა: ბიზანტია, შავი ზღვის ფორმალური „მფლობელი“ - დასუსტებული იყო და არავინ არ შეუშლიდა ხელს ლაშა გიორგის დროინდელ საქართველოს შავი ზღვის დაპატრონებაში. მაგრამ მეფე გარდაიცვალა, საქართველოში მონღოლები შემოვიდნენ. მალევე შავ ზღვაზე გენუელები გაბატონდნენ.

მაგრამ თავი დავანებოთ შუა საუკუნეებს და თუნდაც მე-19 — მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოზე ვილაპარაკოთ. ის, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართვე-

ლოს აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის და იმერეთის ნაწილები კულტურულად საკმაოდ განვითარებული იყო, სწორედ ზღვის და საზღვაო ვაჭრობის დამსახურებაა. რას არ ნახავდით ხონელი და სენაკელი საშუალო ფენის მიერ ზღვის გავლით გამოწერილ/მიღებული ნივთების სიაში - პარიზული კაბებით დანყებულნი, ავეჯით, ნიგნებით და სათამაშოებით დამთავრებული. ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში მცირე ქალაქების კულტურა განვითარებული იყო, სწორედ ზღვის სიახლოვეთ და მისი აქტიური გამოყენებით აიხსნება.

ამიტომ ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევა სულაც არ იყო განუხორციელებელი პროექტი, როდესაც მან შავი ზღვისათვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება დააპირა, ვიდრე მას ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში. და გამოუვიდა კიდევ მაგრამ გასაბჭოების შემდეგ შავი ზღვა რუსეთის ტბად გადაიქცა და ნიკოლაძის ყველა პროექტი თითქმის საუკუნით შეჩერდა.

საქართველო ახლაც ცნობილია კარგი მეზღვაურებით და კარგი საზღვაო სასწავლებლებით. ბევრი უცხოელი [განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და აფრიკიდან] დღეს საზღვაო განათლებას სწორედ საქართველოში იღებს და აქ მიღებული დიპლომი ყველგან „გადის“. მესმის, რომ

ეს რუსულ გავლენად შეიძლება ჩათვალოს, მაგრამ 20 წელი ვერანაირი ინსტიტუციური გავლენა ვერ შენარჩუნდება, როცა წყარო აღარ არსებობს და თუ განვითარების საფუძველი არ არის.

დღეს შავი ზღვა, და განსაკუთრებით საქართველოს სანაპირო - ერთი ერთი ყველაზე უფრო შეუსწავლელი ადგილია ყველა სხვა ზღვასა და ოკეანეს შორის. ის, რომ აქამდე არ ხდებოდა მისი შესწავლა, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან მომდინარე ინერციით თუ აიხსნება. ვფიქრობ, რომ სტუდენტების დაინტერესება საზღვაო კვლევებით, რომელთა რიცხვი ყოველ წელიწადს, ცოტათი, მაგრამ მაინც იზრდება, მიგვიყვანს იმ დრომდე, როდესაც ერთადერთი „ქართველურ-ანტი-ზღვური“ არგუმენტი მოხუცი და მოწყენილი ჰაიდგერის მსგავსად, სიტყვებში ეროვნული ხასიათის ამოკითხვის საეჭვო სარწმუნოობის მქონე თამაში („ზღვა-ზღვარი“) იქნება. ზღვა კი იმავე ადგილს, თუ უფრო მეტს არა, დაიკავებს ქართველების თვითპრეზენტაციაში, იდენტობაში და თვითწარმოდგენაში, რაც მას 100, 200 ან თუნდაც 800 წლის წინ ჰქონდა.

პირველად გამოქვეყნდა ინტერნეტ-სივრცეში www.azrebi.ge-ზე



გიორგი თევზაძე

ირაკლი კაკაბაძე

„რასაც სიყვარული უღევს სარჩულად“

- თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- რასაც მტერსაც არ უსურვებენ.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ყველგან, სადაც ადამიანის ღირსება და უფლება ფასობს და პატივს სცემენ.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- წამები, როცა წერტილს დასვამ და შვებით ამოისუნთქებ.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ტარიელი და ავთანდილი, ავთანდილი და ტარიელი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- შაგალი, ფიროსმანი, ფარჯიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი, განსაკუთრებულად და გამორჩეულად.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მაკაცში?
- თავმოყვარეობას
- რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- სიყვარულის და თავგანწირვის უნარს, რაც მამაკაცებს ან ძალიან ცოტა ან სულ არა გვაქვს
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?
- რომელი არ არის მომხიბვლელი და რომლის აუცილებლობა არ გვიდგას?
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ბანალური ხომ არ იქნება, რომ ვთქვა წერა და კითხვა?
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- მხოლოდ ბავშვობაში ვფიქრობდი ამაზე და სურვილი მქონდა დირიჟორი ვყოფილიყავი, რომელი, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ვცდილობ საკუთარ პრინციპებზე არასოდეს ვთქვა უარი.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?
- ყალბაბანდობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბებიაჩემი, პაპაჩემი, ჩემი მეუღლე და შვილი ერთად, ერთ სახლში, სადმე ტყის პირას, პატარა ბუხრიან სახლში და ზღვასთანაც ახლოს, აი, მაგალითად ჩემს სოფელში — აფხაზეთში.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- მაშინ რომ გავენიერე ღმერთს, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა მისი არსებობა.



- როგორ გინდობდათ ყოფილიყავით?
- მეტად მოშურნე და ენერგიული.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ფირუზისფერი, რაღაც იმქვეყნიურიც არის მასში და მინიერიც.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?
- რომელი ერთი გითხრათ, ეს ის კითხვაა, რომელზეც გაუთავებლად და შეყვარებულმა შემიძლია მთელი დღე ვილაპარაკო, სოსანი, ზამბახი, საყურე, ნაღველა, ცისია, იელი, ფურისულა, ხვართვალა, კესანე, ცისთვალი, ბუჩქისძირა, პირთეთრა, ქუდუნა...
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- აქაც რომელი შეიძლება გამოვყო, ყველა მიყვარს და პატივს ვცემ, ზამთრის ჩიტებს კიდევ უფრო მეტად, უღალატონი არიან.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- სერვანტესი, ბევრი მიყვარს, მაგრამ შორს არ წავიყვანოს ჩამოთვლამ, პოლ ლაგერკვისტი, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ფამუქი და ბევრი სხვა...
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- ელიოტი, სოპრანო სეფეჰრი, კავაფისი, ფორუყ ფაროხზადი, ბესიკ ხარანაული და ბევრი სხვა...
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- რამდენად არის ლიტერატურული გმირი ან ქალი არ ვიცი, მაგრამ ანა ფრანკი მიყვარს ძალიან და მეძვირფასება.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- იდა თვარაძე, ჩემი მეგობარი და დედობილი.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- მარიაში, იესოს დედა...
- საყვარელი სახელები?
- ალექსანდრე.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- დაუნდობლობას და გაუტანლობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?
- იოსებ ჯულაშვილი.
- საომარი მოქმედება, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ყველა საომარ მოქმედებას უკიდურესად დაბალ შეფასებას ვაძლევ, ომი ყველაზე დიდი ბოროტებაა, რაც კი არსებობს. არ არსებობს ჩემთვის არაფერი, რაც ომს გაამართლებდა!
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— იესო ნაზარეტელის რეფორმები, სამნუხაროდ, რომლის კრახიც ვიხილეთ, მაგალითად, მთელი მეოცე საუკუნე ამ რეფორმის და პროგრესის დასამარება იყო.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— სიმღერის.

— **როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— უფრო ადრე აჩემებული მქონდა, რომ ახალგაზრდა მოკვდებოდი. ახლა უფრო მშვიდ სიკვდილს ვნატრობ, უფრო სწორად, ჯერ არ მინდა, რადგან მსურს დიდხანს ვუცქირო ჩემს სიყვარულსა და ჩემს შვილს.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— მშვიდი და მშფოთვარეც...

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— ყველაფერი, რასაც სიყვარული უდევს სარჩულად და მისგანაა ნაკარნახევი.

— **თქვენი დევიზი?**

— დევიზი არ გამაჩნია.

— **თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— მე დავასწრებდი და ვკითხავდი — რატომ?

ქვირფასი სტრიქონის საგალოპელი

ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ „მოზაიკის“ რუბრიკით გამოქვეყნებულ მასალებს, რაც „ჩვენი მწერლობის“ ერთ-ერთ მშვენიერად მიმაჩნია თავისი მრავალფეროვნებითაც, სიღრმითაც, სტილური ექსპრესიითაც, შიგადაშიგ მოულოდნელი და მახვილგონივრული, ნოველურ ფინალს შეტოლებული დასრულებითაც. კულუარებში მისი ავტორის სახელიც გამოვიძიე — ჩვენი საყვარელი ისტორიკოსი და მწერალი **თამაზ ნატროშვილი** აღმოჩნდა.

ძალიან მომეწონა წლებადნელ 1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ჩანახატიც „**ბარემ შენ დაგენერაო**“, რომელიც ბელეტრისტული ოსტატობითაა მოხაზული და აგებულია **ჯანსუღ ჩარკვიანის** იმ ბრწყინვალე სტრიქონის, მართლაც პოეტური ფორმულისა თუ სენტენციის ირგვლივ, რომელსაც თურმე გამოქვეყნებისთანავე მთელი წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოება სასოებით იმეორებდა:

— **საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი.**

ჩანახატის ავტორი ამ სტრიქონს სამართლიანად უტოლებს ყველაზე ელვარე აფორიზმებს, ოდესმე რომ უთქვამთ ჩვენში: სხვა საქართველო სად არის... ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო... მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები... იას, ბნელ ხევში მოსულსა... ცვირან ბალახზე თუ ფეხშიშველა...

და ალტაცებით დასძენს:

„რომელი პრემია, რომელი ორდენი, რომელი „ვრემია“ თუ „ამერიკის ხმა“ შეედრებოდა იმ სიხარულს, როდესაც ლამის მთელი ქვეყანა უჭიქოდ, უღვინოდ, უსიტყვოდ, მაგრამ მთელი სულითა და გულით ადღეგრძელებდა პოეტს. ხუმრობა საქმეა, წარმოთქვა ისეთი ფრთოსანი აფორიზმი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, ალბათ ათასებს მოლანდებიათ, მაგრამ ასე ლაკონიურად, ასე მოხდენილად და ჟრუანტელის მომგვრელად არავის უთქვამს. სწორედ ასეთ ნათქვამზე იტყვიან ხოლმე — ბიბლიური უბრალოებაო“.

დითირამბული სიტყვებია, მთელი ჩანახატი კი ამ ელვარე აფორიზმის თავისებური საგალოპელია, თანაც გამჭვირვალეა მინიშნება — ვიცოდეთ თვითუფლები ძვირფასი სტრიქონის ფასი და არ მოგვწყინდეს ჩვენი მოწონების აღნიშვნა.

ამკარაა, რომ მაღლიერი ვარ ავტორისაც და რედაქციისაც ამ ორიგინალური მასალისათვის, მაგრამ, გავკადნიერდები და, მცირე საყვედურსაც გამოვთქვამ. ეს რედაქციას ეხება და არა ავტორს, ვინც ბელეტრისტული მანერით შესრულებულ ჩანახატში სულაც არ გახლდათ მოვალე, გაემიფრა ამ ელვარე სტრიქონის შემქმნელის ვინაობა. ის კი არა, ერთგვარი გასაიდუმლოება უფრო ეფექტურიც კი არის — იგულისხმება, რომ პოეტის ვინაობა ისედაც ცნობილია და მკითხველი გუნებაში თვითონაც იოლად დააზუსტებს.

მაგრამ, სამნუხაროდ, ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ ნიგნიერ საზოგადოებაში, სადაც ამგვარი დაზუსტება-გაშიფრვანი ზედმეტი შეიძლება იყოს. მითუმეტეს, მკითხველთა ახალ თაობას ზოგიერთი ისეთი ქუმარიტების შესწენება სჭირდება, რა გასაკვირია, თავისით ვერც ამოიცნოს თუნდა ასე გამჭვირვალედ მინიშნებულ მწერალთა ვინაობაც.

ამიტომაც კარგი იქნებოდა, თუკი ჩანახატს ნანგრევებადქცეული ვარშავის სურათის ნაცვლად დაერთვოდა ჯანსუღ ჩარკვიანის ფოტო, ანდა ჟურნალის გარეკანზე ცალკეული მასალების შინაარსი რომ გაგაქვთ ხოლმე, იქ აღნიშნულიყო ან ამ ანდა რაღაც ამგვარი ფორმულირებით: ჯანსუღ ჩარკვიანის უკვდავი სტრიქონი.

რამდენადაც დიდ კეთილგანწყობილებას იჩენთ ჩემდამი, ამასთან არ ერიდებით კრიტიკული შენიშვნების გამომზეურებას თქვენი რედაქციის, რედაქტორისა და ამა თუ იმ თანამშრომლის მისამართით (რაც უჩვეულოდ გამოიყურება ჩვენს რეალობაში!), ვიმედოვნებ, ეს გამოსმაურებაც (ფორდემ კარინტთან დაკავშირებული შენიშვნისა არ იყოს) იხილავს მზის სინათლეს და ჩემი, ერთი რიგითი მკითხველის, მხრივაც დავუდასტურებ ბატონ ჯანსუღს ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას, რასაკვირველია, არამარტო ამ აფორიზმისათვის.

თამაზ ჩიტაქა
ყელქვეული

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

ისეა, რა, ბალ-ვენახებში ყველაფერი რომ მოილევა, ლობიო გაივლიჯება, სიმინდი აიჭრება, აღარც წვრილი ხილია, მიჯნაზე ჩარიგებულ გოგონებს ჩამჭკნარ-გახევე-ბული ღეროები და რჩებათ — თვითონ ლასტებზე და სათონის თავზე წამოგორებულები, შემოდგომის დამცხ-რალ მზეზე ისრულებენ სიმნიფეს...

მოსაკრეფი მოიკრიფება, ყურძნის უკანასკნელ, შა-ბიამნიან ფოთოლს ამოფარებულ კიმპალსაც ჩიტები მოიმცრევენ, გაკიკინან, პირს დაიტკობენ, ლერნებს საყურეებივით შეატოვებენ ჩენჩოიან კლერტებს, და-შიშვლდება ტოტები და აღმა-დაღმა აწრიალებული, წვრილი წვიმებით დაჩხაპნილი ცივი ქარი აღარაფერს წამოედება, ველარაფერს შეაშრიალებს...

მიხედ-მოიხედები და რომ გგონია მორჩა, გაზაფხუ-ლამდე მოისვენა ვენახმაც და ვენახის პატრონმაც, სწო-რედ მაშინ შემოგეფეთება, ვაზების მწკრივიდან გადმოხ-რილი დაგენახება, მომწვანო, შეუხედავი, ნაცრისფრად აბუსუსებული. დაგენახება, მაგრამ ისეთი უსახურია, გულმიუვალი, დაგემოვნებაც დაგეზარება, გგონია კვანა-რახივით კბილს მოგკვეთს, გულ-მუცელს ჩაგწავს, მაგ-რამ რადგან ირგვლივ არაფერია, მაინც მოწყვეტ, გახლე-ჩავ და, თითქოს თითებში სუნამოს შუშა ჩაგემტვრა, საამო სურნელი შეგიღიტიანებს, მერე პირში ისე სწრაფად ჩაგად-ნება, წვნიანი, ჩამტკბარი ნაყოფი, რომ მადაგაღვიძებუ-ლი, მაშინვე მოინევ ტოტს, მისწვდები მეორეს, მესამეს...

ადრეულ თუ გვიან გაზაფხულზე, ზაფხულსა და შე-მოდგომაზე, როცა ითიბება, იცელება, იძკება, იკრიფება, ზათქითა და ზრიალით მოერეკება ღონივრად მოქნეული ხალა გადახსნილ ჩენჩოდან ამომხტარ კაკალს, როცა თა-ვისუფლებიან მტევნებდამძიმებული ვაზები — მაშინ არ შეგაწუხებს, მორცხვი, გაუხედავი, მორიდებით თვალს ეფარება...

როგორც კი ბალ-ვენახებიდან ყუთებით, გოდრებით, ტომრებით, ყველაფერი ფეხს აიდგამს, ჩალაგდება, ჩაინუ-რება, დაიფქვება, თავთავის ადგილზე დაბინავდება, დროს მაშინ იხელთებს, წინ გადაგიდგება, აღარ გაგატარებს...

ვენახის ატამი ჰქვია, სახლესაც ეძახიან... ალბათ, ექნება სხვა სახელებიც.

ქართლში მაინც თითქმის ყველგან გვარობს და შეიძლე-ბა გემოთი ცოტათი განსხვავდებოდნენ კიდევ, მაგრამ ყვე-ლა ერთია, ერთი ჯილაგის, ერთი მოდგმის... მწიფე ნაყოფს გადასწევ თუ არა, მაშინვე ნაწიბურზე გადაიპობა. ფეხებთან ჩავარდნილი კურკაც, ოღონდ მინა ნაფუაროს და უეჭველად გაღივდება, მომავალ წელსვე ამოიღერება, ნიშანს ისე გამო-იბამს, გასხვლას არ მოგთხოვს და შენამელას...

ზოგს, მაინცდამაინც, თვალში არ მოსდის, ვენახის „ლამაზისული“, ფერხორციანი ატამი ურჩევნია, მაგ-რამ ამანაც რა დააშავა, თავის კურკაზე ალაღალ ამო-დის, შეუწუხებლად, არავის მოუჩრდილავს, მზესა და ნამს არ წაართმევს...

„მცირე პროზაზე“ ვაპირებდი რალაცის თქმას და ვე-ნახის ატამზე კი გამომივიდა —

მომწვანო, წვრილი, შეუხედავი, მაგრამ გახლეჩავ და...

მწვანე ოთახი

მკაცრი ოთხმოცდაათია-ნი!

ოთხმოცდათორმეტი? ცამეტი? იქნებ სულაც თო-თხმეტი ან თხუთმეტი, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი წელი იყო ძალიან იმედიანი და გულში ჩასახუტებელი.

რედაქცია ძველ უბანში. გაპარტახებული, მორყეული ხის კბეები, ანგრეული ეზო, ერთმანეთს დაცილებული კედლები, ნაბზარები, ღრი-ჭოები. ძირს დასამზობად და-ქანებული აივანი. პარკეტი. სადაცაა ნაჩვენებია თაღიან ფანჯრები-ანი სახლი, ეზოს იქით უღიმამო სკვერს დაემზობა, დაიტანს შეჭირ-ხლულ ხეებს, ბუჩქებს, ქვეშ მოიყოლებს გაცრეცილ პალტოებში, დაფხავებულ ქურთუკ-ჯუბებში ჩაფუთულ პენსიონერებს, ცუდად გაჩორკნილ მაგიდასთან მიმსხდარები დომინოს რომ უკაკუნებენ.

კარლია საპირფარეოდან მოშვებული წყლის ჩხრიალი უფ-რო ამძაფრებს მიუსაფრობის შეგრძნებას, ქვეყანას მოდებული შიში აქაც გითვალთვალებს.

კიბესთან ავი თვალების ძუკნა ნევს და ღრენით მაფრთხილებს, მუცელთან მიხუტებულ, შავტუხა ლეკვებს ხელი არ ვახლო...

მეორე სართულზე ამოსული, შენს ფანჯარასთან აღმოვჩნ-დებოდი ხოლმე.

კუთხეში, ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან, მხრებზე შალმოსხმული, გაზეთის საკორექტურო გვერდს ან ხელნაწერს ჩაჰყურებდი.

დაგინახავდი თუ არა, ფეხაკრეფით მოვიპარებოდი, მოხ-რილ, საჩვენებელ თითს, სამჯერ მოგუკაკუნებდი შუშას.

ამოიხედავდი, გაკვირებული, შემცბარი თვალებით და, რომ დამინახავდი, ნელ-ნელა გაიღიმებდი, ხელი ახრჩოლებულ სა-ფერფლეზე ჩამოდებული სიგარეტისკენ გაგექცეოდა და მანიშ-ნებდი, რალას უდგეხარ, შემოდიო.

მუქ მწვანედ შეღებილი, ნახევრად ბნელი ოთახი ის გალია იყო, სადაც გაუსაძლისი წლები გაატარე და, მერე, როცა აღარ იყავი, როცა უფრო გავერანდა, უფრო მეტად დამძიმდა ჩვენი საერთო ყოფა, თითქოს შეგბაც კი ვიგრძენი, რომ გაასწარი, გა-ლიიდან თავდახსნილი ცას შეეფარე.

გარდაცვალების შემდეგ, სიზმარში, პირველად, თოთხმეტ ივნიის გნახე.

რედაქციაში, კიბის თავზე ვიდექით.

მე დავიხარე, კედელზე მიყუდებული სამი ფერწერული ტი-ლოდან, ერთ-ერთი, ვითომ ჩემი შესრულებული ნახატი, ავიღე და გარჩენე.

ნახატზე, ხასხასა წითელი ტალღები, თითქოს ქვემოდან ზე-მით მიისწრაფიან.

„ძალიან კარგი ნახატია, შესანიშნავი!“ — მომიწონე.

„ჰო, ლივლივებს!..“

„კი, კი, რა კარგად თქვი, მართლაც ლივლივებს, ლივლი-ვებს!“ — ხელისგულზე იდაყვით დაყრდნობილი მარჯვენა ხე-ლი, როგორც გჩვეოდა ხოლმე, ნიკაპთან გიჭირავს და მთელი სახე გიცინის, თან გაოცებული უყურებ ჩემს ხელებში თანდა-თან როგორ იზრდება ნახატი და ჩარჩოში აღარ ეტევა.



როცა გამეღვიძა, რატომღაც გავიფიქრე, რომ ამ სიზმრით რაღაც სასიკეთო მანიშნე.

მართლაც, რამდენიმე დღეში, ჩემმა ნანარმოებმა პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა...

უკანასკნელადაც რედაქციის კიბეზე შემეგებე:

„ჩამოხვედი, ივანე! როგორ ხარ, როგორ არიან ბავშვები, ხომ არ გაბრაზებენ?.. ექიმთან თუ იყავი?.. ხომ იცი, ნაოპერაციევს მოფრთხილება უნდა... რა ჩამოგვიტანე, ლექსები თუ მოთხრობები?“

„არც ერთი, არც — მეორე!“ — ხელჩანთა გაეხსენი და დიდი, წითელი ვაშლები ამოვიღე.

შენ უხედი, ბავშვები ვერ დაუტოვეო, იცოდე, გაგობრაზდები... ისე რამხელებია და რა ლამაზებიო...

„შენ არ იყავი ჩემს ბავშვობაში...“

ალბათ, ამიტომაც ის

ასეთი საბრალო...“

ამოგხდა სიცოცხლის მიმწეხრზე და, არა მარტო ბავშვობაში, მერეც არ გაუნებოვრებინარ ბედს დიდი სიხარულით, ამიტომ ბევრი რამ თვითონ მოუგონე, შეუთხზე შენს თავს, კალმის ყანისნალით ნაქარგები ააფარე შენი მარტოობის კედლებს.

შენი ილბალი თუ უიღბლობა, ლამაზი წუთები და ლამაზი სტრიქონები, ყველაფერი სევდის საფანელით ცხვებოდა, ვიდრე... ვიდრე იმედის ნაკუნებიც არ გაქრა, გაუგონარი სისწრაფით არ განქარდა, ყვავილის ლერივით თითებში არ ჩაგვატყდა. მიდიან ადამიანები.

ღმერთო, რამდენი ცარიელი ადგილი გაჩნდა ჩემს გარემოში? მათ ხომ ვერავინ და ვერასდროს ვერ შეავსებს?

შემამფოთებლად გავინაფე გამოსათხოვარი წერილების თხზვაში.

ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს, რამდენჯერმე გაიხსენე, იმ ხანებში დაღუპულ, ერთ შესანიშნავ პიროვნებაზე გამოქვეყნებული ჩემი წერილი, როგორ ღირსეულად დაიტირეო.

მაშინ ვერ წარმოვიდგენდი თუ სულ მალე, სანერ მაგიდასთან, შენს ნეკერჩხლის ფოთოლივით ულონო, ზედმეტად ყვითელ ხელს დაეხედავდი და ჯავრით მონურულ გულში, წინათგრძნობა პირველ, ავისმომასწავლებელ ზარს ჩამორეკავდა.

როდესაც კეთილშობილი ადამიანი მიდის, მნიშვნელობა არა აქვს, უბრალო თუ ბრაღიანი, მხოლოდ მის ახლობლებს კი არა, მთელ კაცობრიობას ეცლება კიდევ ერთი, საიმედო საყრდენი და კიდევ უფრო უინტერესო, მომაბუზრებელი ხდება ჩვენი ისედაც გამოფშუტული, გაგულგრილებული ყოფა...

გავედი ბოლოში და ახლა მახსენდება, რომ ამ ჩემს უხეირო მოსაგონარს „მწვანე ოთახი“ ვუნოდე.

ალბათ, აჯობებდა შენი სახელი დამერქმია — ბორენა!

ყიფიანის ცაცხვები

— გაიგე, შენ, რა ხდება? მოაწყდა ზღვა ხალხი ქუთაისს, სტუმარს ვერ აუღდის აია-ქალაქი. გაჩერდა საქართველოში, მთელს აღმოსავლეთ-დასავლეთში ყველაფერი... გაჩერდება, აპა რა იქნება, აქაა ყველა, ვისაც თავი მოსწონს და მამულიშვილობა ესახელება... მოკლედ აქეთკენა სამყაროს გულისყური მოპყრობილი... მაცალე, ბიძია, ცოტა ხანს, იცი, რამხელა ამბის მომსწრენი და მომსმენი ხდებით ახლა?.. ჰოდა, იმას ვამბობდი, საქართველოს ბულბულის იუბილეა, თე-

ატრში, მაგრამ არ გინდა იმ თეატრამდე მისვლა? — ნიაღვარივით დაქანდნენ, თითქოს ფეხი აიდგეს უბნებმა, ქუჩებმა, შუკვებმა, მოდის დიდ-პატარა ბალახვანიდან, სალორიდან, მწვანეყვავილიდან, აღარაფერს ვამბობ მახლობელ სოფლებზე, რაჭა-ლეჩხუმზე, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებზე... გაიჭედა, გადაივსო რკინიგზის სადგური, დიდი მაყუთი მოხიეს იმ დღეს ხონელმა და ქუთაისელმა მეეტლეებმა... ისე ნავიდა საქმე, რომ მეორე დღეს, სავარდო ქალაქში, ვარდს კი არა, სვინტრის ყვავილს ველარ ნახავდით ნამლად — სასტუმროდან თეატრამდე, სულ იუბილარს დღოფინეს...

თქვენ, სუფრის ბოლოში, მეტი საყვედური აღარ მათქმევინოთ, იცოდეთ, ბიძიებო, მე თუ არა, ამ ორასწლოვან, მრავლისმნახველ ყიფიანისეულ ცაცხვებს მაინც ეცით პატივი!.. კი, კი, ჩემო ძვირფასებო, იყო ასეთი ბედნიერი დრო საქართველოში — დიდი პოეტი ხელისგულით დაჰყავდათ... რა ბრძანეთ? მამ ილიას რატომ ესროლესო?.. შენ მითხარი, ქრისტე რატომ გააკრეს ჯვარზე და მე გეტყვი, ილიას რატომაც ესროლეს!.. ოლონდ, მერე, აქედან როცა ავიშლებით!.. დაიძრა-მეთქი ხალხი, თეთრ ხიდს სული კბილით უჭირავს, რომ გაუძლოს და არ ჩაინგრეს... მოაქციეს ალყაში სასტუმრო და ტაშისცემით, შეძახილებით, ციმციმ გამოაბრძანეს იუბილარი „გრანდ-ოტელიდან...“ ვის სჭირდება ჩაფარი და პოლიცია, ხალხმა თვითონ დაინია უკან, გზა უტიეს, მარტოდმარტო გაუშვეს, წინ გაიძლოლეს, რომ ყველამ დაინახოს, ქვეყნიერებამ გაიგოს, როგორ ეთაყვანებინან, ფეხქვეშ ფიანდაზად ეგებიან თავის პოეტს... ცვივა ყვავილი, მომფერებელი შეძახილები, წინმდგომებს რა უჭირთ, და ფეხისწვერებზე აწეულ უკანებს, გულით უნდათ წამის მესადებით მაინც მიიქციონ დიდი მგოსნის ყურადღება, მიახედონ, თავი დაახსომონ... ბიძია, მაცალე-მეთქი, გითხარი და მეტი რა ვქნა, ამ ამბავს სხვა დროს კი ველარ მოსმენ! — ისევ უსაყვედურა, სუფრის ბოლოში თვალებდაყვლეფილ ბიჭს, სიმთვრალისაგან ტუჩები რომ ებრიცებოდა.

ბიჭმა კიდევ ერთხელ მიიფარა ასლოკინებულ პირზე ხელი, ახლა ნამდვილად ვჩუმდებიო.

ნანწყენმა თამადამ უცებ გადაიყარა დარდი, მოსწყდა ცაცხვებქვეშ გაშლილ სუფრას და დაუბრუნდა ათწლეულების წინანდელს:

— აბა, ვინ დააკლდებოდა, ყველა იქ იყო, ზნიანი თუ უაზნო, მიჰყვება დიდად პატივცემული საზოგადოება უკან აკაკის, მაგრამ ამ საზოგადოებასა და წინ მიმავალ იუბილარს შორის, განცალკევებით, კიდევ ერთი კაცი მიდის, ხმელი, ახოვანი, ხის კორძივით ამოყრილი ყვირიმალეებით. ჩოხიანს და ცალთვალ-დაშრეტის მძიმე, ნაჯაფი ხელები, მამა-პაპურ, ადლიან ხანჯალზე უდევს და იმ სალი თვალთ ბურღავს იქაურობას, თითქოს ყველას აფრთხილებს, ამას, ჩემს წინ რომ მიაბიჯებს, ცუდად არავინ შეხედოს, თორემ ჩემთან ექნება საქმეო... თანაც, არ დავავინწყდეთ, უკვე ნათქვამია, „ენას გინუნებ ფშაველო“, და ნანყენი ხარის პასუხიც — „ნუ გეშინია, არ გავნებთო“... აგორებულია მითქმა-მოთქმა, ჭორი და მართალი, ორი ბუმბერაზი პოეტის მტრობისა... თუმცა, რა მტრობა, რის მტრობა, აკი გითხარით, ეგრე ჩაუბლუჯია ფშაველ ლომს ხანჯლის ტარი, აკაკის უბატონოდ პეპელა ვერ დააფრინდება მხარზე... ალბათ, წყენაც იყო, გულისტკივილიც, მაგრამ მაინც ჩამოვიდა დიდი დიდთან, რადგან იცოდა, რომ უიმისოდ მხარი ჩამოუვარდებოდა აკაკის, პენს დაკარგავდა მთელი იუბილე და საქართველოს ისედაც დაჩაგრულ გულს კიდევ ერთი ტკივილი გაბზარავდა... — თამადას ცრემლჩამდგარი თვალები გაუშ-

ტერდა, თითქოს ახლა, ცოცხლად ხედავდა თავის მონათბრობს, — ღმერთო! — გადაისახა პირველად, — რა მსვლელობა იყო!.. მიჰყვებოდა ჩოხიანი აკაკის, როგორც ოსტატს შეგირდი!.. მარტო ეს რომ ნახო, მეტი რაღა გინდა უმადური სიცოცხლისაგან... იცით, თქვენ, ახალგაზრდებო, ვინ იყო ეს კაცი?..

— თქვენ, ბატონო ოთარ? — სუფრის ბოლოდან გულწრფელად იკითხეს და მიაცეცეს თამადას უვიცობით თუ ღვინით გაბეცებული თვალები.

თამადამ შუბლზე ხელმოჩრდილულმა გახედა მთქმელს:

— ხუმრობ, ბიძია?.. შე კაი დედამამიშვილო, ყველაფერს თავი დავანებოთ, როდინდელ ამბავს ვიხსენებ, ან ჩოხით და ქამარ-ხანჯლით რომ არ დავდივარ, ეს თუ არ იცი, ორივე თვალი რომ მაქვს, ვერც ამას ამჩნევ?.. შე ფრანგო, არ მიგდებდი ყურს!

— როგორ გეკადრებათ, სიტყვა არ გამომჩინია...

— თუ მიგდებდი და მაინც ვერაფერი გაიგე, მაშინ მთლად უარესი...

წამით მხოლოდ ცაცხვები შეშრილდნენ და ისინიც მიუყრდნენ.

— გესმით? — თითანულმა შრიალს სმენა მიაღვენა, — ამ ყოფიანისეულ, ქვიშხეთურ ცაცხვებს, ლაპარაკი რომ შეელოთ, იცით რამდენი რამე აქვთ სათქმელი? ადამიანს მისცა მხოლოდ გამჩენმა ამბის თხრობის და მოსმენის უნარი... თუ არ მოჰყვები, ვერ მოგისმენენ და, თუ არ მოგისმენენ, რას მოჰყვები... არ დამინყოთ, ახლა, მთლად ეგრე არ იყო აკაკის იუბილეს ამბავი... ნუ მასწავლით, რა როგორ იყო... რა მოხდა, მერე, რაც მთავარია აკაკი და ვაჟა ხომ იყვნენ? რა დაშავდება, თუ ერთზე ვლაპარაკობთ, მეორეც რომ იქვე გვყავდეს, მესამეც და, საჭიროებამ თუ მოითხოვა — მეოთხეც... არ უნდა დავაცილოთ ერთმანეთს, ოღონდ საქმეს წაადგეს და თუნდაც წავამატოთ რაღაც... რამდენი მითი, ლეგენდაა სინამდვილეს რომ სჯობია, შთამომავლობას რომ ზრდის და ქვეყანას ამთლიანებს... რა ვქნათ ახლა, წავიდეთ და ვეძებოთ მართლა მიჯაჭვულია თუ არა ამირანი? რომ ვერ მივაგნოთ, ვლანძლოთ და ვთათხოთ ჩვენი წინაპრები?.. მოგესხენებათ, მრავალ სიკეთესთან ერთად, არა ვართ, მაინცდამაინც ძნელად გასახლეჩი ხალხი... ისტორიულად მოგვგდამს ასე და, როგორ მოვიქცეთ, რა ვიღონოთ... ამიტომ, რომ არ დავიშალოთ, ესენი უნდა გვყავდეს ერთად, ბურჯად, რომ არსაით არ გაგვიშვან, შეგვკარან ერთ მუშტად და მერე ეს მუშტი ვაგემოთ ჩვენს დამანყევარს... ისტორიისათვის რა არის რამდენიმე საუკუნე, თუ აუცილებელია რუსთაველიც ასკუპებს მერანს... ცუდია? არ დაამშვენებდა დიდი შოთა თავისი სტუმრობით, აკაკის იუბილეს?.. ეს ამბავიც, მთლად ასე თუ არ მოხდა, რა ვუყოთ, ნუ მიმცემთ ცეცხლსა და გენას, მე მინდოდა ასე ყოფილიყო, მორჩა და გათავდა!.. როგორ, ამხელა სუფრის წინამძღოლს და თქვენს მონა-მორჩილს, ერთი სურვილის უფლება არა მაქვს? — ამჯერად სუფრის წევრებს კი არა, სიბნელეში ატყორცნილ ცაცხვებს შეუძახა და პასუხის მოლოდინში, ხელაპყრობილი გაირინდა.

სატოპა

გაგზავნეს შუაკაცები. გაატანეს სამძახლოებთან მოსაკითხი. დავმოყვრდეთ, გაგაბედნიეროთ შვილებიო, დაარიგეს შუამავლები, თუმცა დაცოლშვილებულ კაცებს, თანაც

ახლო ბიძაშვილებს, რაღა დარიგება უნდოდათ, თავადაც კარგად იცოდნენ რაც სათქმელი იყო — ბიჭი ბიჭად არ დაინუნებოდა, ოჯახი კიდევ საქონ-საყოლით. თავისი საკმარისი ქვაცა ჰქონდათ და კაკალიც.

წავიდნენ მომხვევებულზე, მოსაღამოვდა და ელოდებიან, ელოდებიან.

ელოდება ობოლაც, რას შემოთვლიან, ხატობაში გაცნობილი თინია და იმის პატრონები, დაანყდა თვალები, ეზოში გადი-გამოდის. გული ვერაფერს დაუდო. ბოლოს ავიდა ჭეროში, სკამლოგინზე პირქვე წაემხო და არ განძრეულა, ვიდრე ძალღი ყორეს გნიასით არ მიანყდა.

დედა გაეგება მოსულებს.

უკვე ბინდებოდა, შუამავლები და ობოლას მამა-ბიძა, ჭრაქით განათებულ მაგიდას რომ მიუსხდნენ.

ჩამოვიდა ობოლაც, ოთახში შესვლა ვერ გაბედა, შეღებულ კართან აფანცქალეული აიტრუჭა.

ჩამოატარეს ერთი ჭიქა, მეორე.

მოსულების დუმილმა შეაწუხა მასპინძლები. თავმომწონე, შეძლებული ოჯახის მამას საფეთქლები აწვია, რატომ არაფერს იტყვი, ხომ არ დაგვიწუნეს სამძახლოებმაო.

შენ დაინყებ თუ მეო, იკითხა გელამ.

დაინყე და გაათავე, უფროსი კაცი ხარო, დაუთმო ჯურხამ. ობოლას ცუდად ენიშნა შუაკაცების ყოყმანი, შეეკუმშა, დაუპატარავდა გული, ვაითუ უარი შემოთვალესო.

„უარი კი არადა... დიდებული ოჯახია, ღონიერი, სოფელ-ქვეყანაში პატივცემული, გოგოც თანახმაა, ხატობაზე უნახავს ობოლა და ეტყობა ძალიანაც მოსწონს, მაგრამ...“ — გელა წაბორძიკდა.

პაუზა გაუგრძელდა. ნეკის წვერით ჭიქაში ჩავარდნილ ქინქლას „დაედენა.“

„ჰოო, ეგრეა, იმათ დარბაზებში ცხენი გაჭენდება,“ — ხმა ამოიღო ჯურხამაც და ისიც გაჩუმდა.

„თუ ყველაფერი რიგზეა, მამ რაღა ოხრობაა, რო ველარ ამოგიტყვამთ!“ — მოთმინება დაკარგულ ობოლას ბიძამ მუშტი დასცხო მაგიდის კიდეს.

ჩვენა ვართ წინააღმდეგი და თქვენ გული როგორც გეტყვით, ეგრე გადანყვითეთო — ჩაილაპარაკეს შუამავლებმა.

თქვენაო? — გაჰკვირდნენ მასპინძლები.

ჰოო, ჩვენა, ეგ გოგო ოჯახში ბედნიერებას ვერ შემოიტანსო, — ამოიხრა გელამ.

ვერაო, — კვერი დაუკრა მეორემაც.

გადახედეს მასპინძლებმა ერთმანეთს, ნასვამებს არა ჰგვანან, არც გიჟებათა ვცნობთ და ნეტავ რას მიედ-მოედებიანო.

„ძალიან ლამაზია და... თამამი... ეგრე დადის, როგორც ირემი... მაგის პატრონმა რაღა უნდა გააკეთოს, ზეზეულად ჩამოადნობს!“ — ისევე ოხრავს გელა.

„მამ ლამაზი ქალი ველარ გათხოვილა, გონჯებს დარჩენიათ ქვეყანა,“ — ისევე ცხარობს ობოლას ბიძა.

„თინიაზე მარტო ლამაზს ვერ იტყვი... ანათებს, ბრწყინავს...“

„თვალი ვერ გაუწუნოვ, ეგეთი არავინ მინახავს, ალივით მაცდურია... არა, წმინდა გიორგის მაღლმა, ისეთი შიში დამეუფლა — მაგ გოგოს ბედნიერება არ დასდევს,“ — პირველად გადინერა ჯურხამ.

არ შეეცდეთო, იქაურ ნაცნობებშიც გავიკითხეთ. თურმე გოგოს მნახველი სხვა შუამავლებიც ჩვენსავით დამფრთხალან, ქალი კაცს ოჯახის გასაძლოად უნდა და არა ბა-

ლიშზე წამოსასკუპებელ თოჯინადო, დააყოლეს ბოლოს და მასპინძლები საგონებელში ჩააგდეს.

ან ის, ან — არავინაო, ამოიჩემა ობოლამ, მაგრამ ვინ უგდო ყური.

გამწარდა, კვირის თავზე მიაგდო ლაფშა გოგოს “ქავ-ციხეს,” მაგრამ ის უარესი კერპი გამოდგა, ჩემი დამწუნებლების ოჯახში, როგორ შევიდეთ, თვითონ არც დაენახვა, სხვისი პირით შემოუთვალა.

ესეც კარგი ქვის ნატეხი იყო, აიკრა გუდა-ნაბადი, გადახვეწილ დედისძმასთან წავიდა ცხვარში, შირაქში დაეყუდა საფრთხობელასავით — საძოვარზე ფარა რომ წავიდოდა, გადაინაცვლებდა, დაღონებული, ჩაფიქრებული ობოლა ადგილზე რჩებოდა, ჯოხს დაყრდნობილი, მინას ჩაჩერებული.

ჩარჩა და ჩარჩა, ჩაიხარშა თავის სადარდელში და, ბოლოს და ბოლოს, ქიზიყში ვინმე ტროყაშვილებს ჩაესიდა, ოთხ ბიჭს გოგოც მიაყოლა, ისინიც დაოჯახდნენ, გამრავლდნენ, და გაჭალარავდა ობოლა, წლებით დაიტვირთა.

კაიხანს მთისკენ აღარ გამოუხედავს — ის, რაც მოხდა, ყრუ ტკივილად დარჩა. ყოველი გახსენება, წამიერად მაინც, ჭრილობაზე მარილის მოყრასავით მოქმედებდა. აუხდენელი, აუსრულებელი სურვილები, მითუმეტეს ახალგაზრდობის დროინდელი, ხომ სხვაგვარად ჩაგვტყვენ და გვაფორიაქებენ ხოლმე.

ბოლოს მაინც დაუძახა გვარმა, ჯილაგმა, სისხლმა და კიდევ... არ იცის, კიდევ, რამ...

ამოვიდა ხატობას, შუათანა ბიჭის ორხიდიანი მანქანით ამოიყვანა ჯალაბი.

ილოცეს, დაანთეს სანთლები, დაკლეს საკლავი, გაატყავეს, აქნეს, დაკუპეს, შემოდგეს ცეცხლზე ორი დიდი ქვაბი, გაშალეს სუფრა, ცერად ჩაალაგეს ქიზიყში, უთენია, თონიდან ამოყრილი, ხმლის პირებივით შოთები, ჩადგეს შუშის ჭურჭლით სადაფისებური კახური, მაგრამ...

ხომ ამდენი წელიწადი გავიდა, ხომ გაგრილდა გული და გრძნობები, უზღვავემა ქარ-წვიმამ, თოვლმა და ხომკაკალამ გადაიარა, ობოლა დროული, დამჯდარი კაცი შეიქნა, მაგრამ თვალი მაინც ვილაცას ეძებდა, ეძებდა და... ბოლოს, როგორც იქნა, იპოვნა!

ხმელ-ხმელი, ზეზეულად ჩამომჭკნარი ქალი, არ ჩამიქრესო, სანთელს ხელმოფარებული, ნიშთან დახრილიყო.

მზერა რომ იგრძნო, ამოიხედა — ჩამოლეულ მკერდში დაკონწიალებული გული სადღაც, უსასრულობაში ჩაეკარგა — შორიახლო, ქვაზე ფეხმემოდგმულ ობოლას საშამფურე მინდის ტოტი ხელში შესცივებოდა.

დაბნეულმა კაცმა ტოტზე გასმულ კაუჭა ვაზის სასხლავ დანას, ლამის თითი გააყოლა.

აქამდე სულ ეგონა, რომ როგორც ხსოვნაში ჩარჩა, ისევე ისეთი უნდა დახვედროდა — თინიას კი მხოლოდ თვალებიღა შერჩენოდა მაშინდელი, რიჟრაჟით შემღვრეული, ცასავით კამკამა... დანარჩენი — ფერიანი პირისახე, ნაბლისფერი, ოდნავ ხვეული თმა, ლამაზი ცხვირ-პირი, ყვე-



მხატვარი სოფო ელიაშვილი

ლაფერი დროის ღვარცოფს წაელეკა, წაესილა, წაეშალა.

ქალს ეგებ აღარც უნდოდა, ობოლას რომ ეცნო, მაგრამ თვალემა გათქვეს, იმ თვალემა, ლამის ჯადოქრობა რომ შესწამეს შუაკაცებმა.

ერთმანეთისთვის არაფერი უკითხავთ, ცოტაზე ჩამოქვეითდნენ, გამოსცდნენ სალოცავს და, ეგრე, დამდურებულებივით ჩამოსხდნენ გადაჭრილ მორზე.

ობოლასი და თინიას ოჯახებს ახლო-ახლო გაეშალათ სუფრა.

გაგიმრავლებია ჯალაბიო, — ჩაილაპარაკა ობოლამ.

ჰოოოო, — გვერდულად გაელიმა ქალს, მაგრამ ისე, რომ ღიმილსაც ვერ დაარქმევდი.

მეც, ხუთი შვილი მყავს და ცხრა შვილიშვილიო.

ვხედავო, — ისევე მოკლედ მოჭრა ქალმა.

შენ რამდენი გყავსო.

არც ერთი, — ჩემი ძმები და ძმისშვილები არიანო.

„რათა, რათ მოხდა ეგრე?“ — შეწუხდა კაცი.

კიდევ მე მეკითხებიო, — უსიტყვო საყვედურით შეანათა თვალები და დამუნჯდა ობოლა, ინანა, ნეტავი სულ არ ამოესულიყავი ანდა აღარ შეეხვედროდიო.

რაც იყო, იყო, ეხლა რაღა ვქნათო.

რა უნდა ვქნათ, ხატობაზე ვნახეთ პირველად ერთმანეთი და, ამქვეყნიდან რომელიც ადრე წავალთ, იმის სახელზე მეორემ ამოიყვანოს ხოლმე სალოცავში საკლავიო.

ეგრე იყოსო.

ბებრული მარჯვენა მარჯვენას შეახვედრეს.

ობოლამ თინიას თვალემაში რომ ჩახედა, ამოიკვნესა და გული ძაფზე დაეკიდა.

სუფრასთან დაბრუნდა.

უფროსი ბიჭი თამადობდა.

თუ რამე დალიეთ უჩემოდ, არ დამიმალთო, — გაუშრა ჯავრისგან ყელი.

არც დაუშალეს, ზედიზედ ბებერი ჯიხვის ყანნი და ორი ჭიქა „ჩააცვეს.“

მაშინდელი შუამავლებიდან, ოთხმოც წელს მიღწეული ჯურხა იყო ცოცხალი.

სასმელით თუ სხვა მიზეზით ეშმაკურად გალიმებული,

თამადის გვერდიდან ადგა, ობოლასთან გადმოჩოჩდა:

„ნახე?“

„ვნახე!“

„ეჰ, რა გოგო იყო...“

„რა ვიცი, თქვენ კი დაინუნეთ და...“

„ეხლა რაღა ეშველება მაგ საქმეს, მაგრამ...“

„რა მაგრამ...“

„შევცდით მე და ცხონებული გელა, მოვტყუევდით!“

„მოვტყუევდით?“ — გამოფხიზლდა ობოლა.

„ჰო... ჩარჩა მამის სახლში თინია, არ გათხოვდა, ნახვე-
დი და მთხოვნელი ახლოს აღარ გაიკარა... თურმე რა გოგო,
რა მეოჯახე, რა გინდა მაგის ხელიდან არ გამოვიდეს... ეგ-
რე ჩამობერდა, შეალია ჯანი და სიცოცხლე ჯერ ძმისშვი-
ლებს, მერე იმათ შვილებს... ცოცხალია კია, თავის ბედს რომ
ვერ ენია... ეჰ, იღბალია ყველაფერი!“

„მამ, მოვტყუევდითო! — გაიმეორა ობოლამ, — მამ იღ-
ბალის ბრალია რაც მოხდა და თქვენ არაფერ შუაში ხართ?“
— ახლა ამოხეთქა მაშინდელმა ბოლმამ, ნალველმა, უძილო
ლამეებში, ბალიშში ჩაკარგულმა ცრემლმა და კვნესამ.
ამოხეთქა და კბილებაკრაჭუნებულმა მიიხედ-მოიხედა, ორ-
კაპზე დაკონწიალებული, ცხენიანი სტუმრის მათრახისა-
კენ თავისთავად გაექცა ხელი.

ბექებზე გადარკალულმა ღვედმა აიყოლა მაშინდელი შუ-
ამავლის გახუნებული ხალათი და ძვლებზე გადაკრული კანი.
აიყოლა და ტკივილისაგან დაკლაკნილ ჯურხას სავესე
ჭიქა კალთაში ჩაექცა.

ყველა გაქვავდა, გაოგნდა, ბერიკაცის ყვირილზე მე-
ზობელი სუფრებიდანაც გაოცებულებმა მოიხედეს.

მოიხედა თინიამაც, ოლონდ, სხვებისაგან განსხვავე-
ბით, რაც მოხდა სულაც არ გაჰკვირვებია.

ობოლამ მათრახის ტარი მუხლებზე გადაამტვრია, ხე-
ლი ჩაიქნია და დაღმართზე დაეშვა.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ, თავდაღუნული ბიჭი მოალა-
ჯებს აღმართზე — რქებშორის თოკჩაბმულ დეკეულსა და
მოზვერს მოუძღვის. ჯიუტობს ორივე, თოკის ბოლოებ-
ჩაბღუჯულ ბიჭს ეძალავებია. ისიც, სახეზე სისხლმონო-
ლილი, არ უთმობს, საქონელს სალოცავისკენ ეწევა.

ხატობაზე მოსულ ხალხში ჩამდგარი, თვალზე ხელ-
მოჩრდილული დეკანოზი, დაღმართს ჩაჰყურებს.

„ვისია ეს ბაღლი?“

„სანყალი ობოლას შვილიშვილია, გასულ მაისში რო
დავერძალეთ!“ — პასუხობს ვილაც.

„ორი საკლავი მოჰყავს?“

„ჰო, ორი...“

„ერთი, ალბათ, ობოლას სულის მოსახსენიებლად და
მეორე...“

მოპასუხე მხრებს იჩეჩავს.

მეორე, დეკეული, ვისაც ეკუთვნის, მხოლოდ ბიჭმა იცის.
ობოლამ შვილიშვილის ხელში დალია სული.

მეცინოვნე

ჩაბნელებულ სცენაზე, როგორც ჩათვლემილი ნაღვერ-
დლიდან ალი აიზლაზნოს, ეგრე მალლა-მალლა ადის, ყურ-

თმაჯებიდან ამონვდილი ხელები.

დარბაზი ტკბება მოცეკვავის გრაციოზულობით.

მე კი, ამ დროს, შორეული, დროის გაცრეცილი, შავ-
თეთრი სურათი მიდგას თვალწინ:

ლუმელთან იყო დაქუქული, მუხლისთავზე იდაყვდაყრდ-
ნობილს საჩხრეკი ისე ეჭირა, ვერ გაიგებდი, აქეზებდა თუ
ემუქრებოდა სველი შემიდან ახრჩოლებულ ალს, უხალისოდ
რომ ინელებოდა, ლოკავდა ლუმელის გაჭვარტლულ ფერდებს.

ქარმა შემოალო კარი და გარეთ გაექცა თვალი.

მზერა თუ ლობეს მიეზჯინა და იმის იქით ველარაფერს ხე-
დავდა, სამაგიეროდ მოხუცებული, ოჯახის დედისფიქრი უფრო
შორს გარბოდა, ახლად ნაფიფქულ ორდობების, შარავზების
და ნახირის დაზეპილი, საყანე მინდვრების მიღმა იყურებოდა,
იმათ დასტრიალებდა თავს, ვინც ამ სახლიდან გავიდა, ვისაც
საკლისობდა, ვისი ნახვის სურვილიც ამოაკენესებდა ხოლმე.

ბოლოს მე გავეშვი ხელიდან. იმ ხელიდან, ახლა საჩხრე-
კი რომ ჩაებღუჯა და, ჩვენზე გულმოსული, ცეცხლსდა
ეჩხუბებოდა, უყვავებდა, ხმელ ჩინჩხვარს უმარჯვებდა და
სულს უბერავდა.

იცოდა, ცეცხლი არ უნდა ჩაექრო, უნდა მოფრთხილე-
ბოდა, გაელვივებინა, რათა ლუმელიდან გამომკრთალს, კი-
რით შეთეთრებულ კედლებზე ელაციცა და მის შუქზე
ეჯამბაზათ აცეკვებულ, კეთილ აჩრდილებს...

ტაშმა დარბაზში დამაბრუნა —

სისხლს ამღვრევს აჩქარებული რიტმი.

მალლა მიინევენ ცეცხლის ენებივით ჩამოქნილი მკლავები.

სამეპა

რაღაცით ძალიან გულნატკენი და მოწყენილი ჯერ
რუსთაველს დავეყვი, მერე ხელმარცხნივ დავეხვიე, გა-
დავლილი მანქანებით მოგუგუნე ხიდქვეშ გავძვერი და „სა-
მაიას“ ბალთან აღმოვჩნდი.

პატარა აუზის შუაგულში, ზამთარ-ზაფხულ, თოვლსა
და წვიმაში, სამი ტანწერნეტა ასული „ცეკვავდა“ ხოლმე.

თუ წყალი მოდიოდა, ხავსიანი აუზი მწვანედ კამკამებდა.
აუზის სიახლოვეს, ნაცრისფრად გადაღებილი ძელსკამები
იდგა. გადაკრეჭილ, დეკორატიულ ბუჩქებს შორის, აგურის
ნაფხვენით მოფენილი ბილიკები, მთავარ გზასთან ერთად,
ბალის განაპირას, ხეებში ჩამყუდროებული პავილიონისკენ
მიდიოდნენ.

პავილიონში, ლაჟღაჟა დახლიდარს, მუშტრის მოლოდინ-
ში, მაგიდის გადასანმენდი ტილოთი აბეზარ ბუხებს რომ
იგერიებდა, სულ მზად ჰქონდა სახელდახელო საუნემეული,
თხლად დაჭრილი ძეხვი, ყველი, მწვანილი, წინაკის მჭავე...
დუღდა ელექტროქურაზე შემოდგმული სასოსისე ქვაბი და
მაცივრის შემინულ ვიტრინაში სიცივისაგან ითრთვილებო-
და ლუდის, ლიმონათის და მინერალური წყლის ბოთლები.

შემთხვევითი კლიენტების გარდა, პავილიონს თავისი
შეჩვეული მუშტარიც ჰყავდა. დილიდანვე მოდიოდნენ წინა
დღის ქეიფით გუნებადამძიმებულები, მოყამულები, შუბ-
ლის გახსნა რომ ეზარებოდათ.

„გულთმისანი“ დახლიდარი ხვდებოდა ყველას გასაჭირს
— ასგრამიანი ნათალი ჭიქით, ერთ ან ორ „სტაქანს“ გადაგა-
ხუხვივებდა და გადაკეტილ სასულეს გაგისწინდა, ძარღვებ-
ში შემდოვრებული სისხლის მოძრაობას ააჩქარებდა.

მახსოვს, პავლიონში, შუადღის შესვენებაზე, გაგანია სიცხეში შემოსული, ერთი ჩემი ძველისძველი ნაცნობი.

მეუფეთემ უკვე იცოდა, რა უნდა შეეთავაზებინა ჩემი ძველისძველი ნაცნობისათვის, თეთრ, გახამებულ პერანგზე მოცმულ კოსტიუმს რომ ებუგვინებოდა და მაღალ, მრგვალ, ფეხზე სადგომ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ოფლით დანამულ შუბლს, მალმალე ცხვირსახოცი იმშრალებდა.

დახლიდარი შეჩვეული იყო ჩემი ძველისძველი ნაცნობის სტუმრობას და იცოდა-მეთქი, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ მისატანებელს რომ მიართმევდნენ, ყასიდად მაინც ჰკითხავდა:

— ასი, ბატონო ჩემო?

— კი, კაცო, კი... ჯერ ორმოცდაათი და, მერე... — ამოიხვნეშებდა სიცხით გატანჯული სახით და, პავლიონის ღია კარიდან, ბალის შუაგულში დაკვანულ „სამაიას“ ქალებს გახედავდა, მალლიდან გადმოჩქეფილ, დუბელა წყალქვეშ რომ გრილდებოდნენ.

დალევდა ჯერ ორმოცდაათს, მიაყოლებდა მდოგვში ამონობილ სოსისს, მერე კიდევ — ორმოცდაათს და კიდევ უფრო დაღრეჯილი, სახემოჭმუხნული დახედავდა საათს, მიატოვებდა თითქმის ხელუხლებელ საუზმეს, გამოვიდოდა პავლიონიდან უარესად ხვითგადამსკდარი.

ერთხელ, როცა გავიკვირვე, შუადღით, თბილისურ ივლისში, არაყს როგორ მიირთმევთ-მეთქი, გაეღიმა, მამ როგორ, კაცო, არაყი სიცხეში უნდა, სიცხეში... შინაგანი ტემპერატურა გარეგანს უახლოვდება და გაძლება ადვილიაო.

ჩაირეს ცხელმა ივლისებმა.

დაიხურა ქუდი მეოცე საუკუნემ.

ალარც პავლიონია, ალარც ჩემი ძველისძველი ნაცნობი, ძველებურად მხოლოდ ქალები „იკვანებიან.“

მეც ისე მონყენილი, გულდაწყვეტილი ვარ, რომ მეექვსეა, ცოცხლებში ვნერივარ თუ არა.

ის მაინც ვიცოდე, აქ რატომ მოვედი ანდა საით წავალ.

პავლიონი რომ ყოფილიყო, ხომ დავკრავდი ორმოცდაათს, კიდევ ორმოცდაათს და, იქნებ ამ ქვეყნისათვის სხვანაირად შემეხედა.

არჩევანით თავი აღარ შემინუხებია, პირდაპირ, გადავჭერი ქუჩა, გავაღწიე მანქანების ნაკადს და ინერციით გალაკტიონის ხიდისკენ დავეშვი.

მოგონებამ კიდევ უფრო დამიძძიმა განწყობილება, ეგრე ვარ, „თავი კიტრად არ მიღირს,“ რომ თითქოს ვილაცამ დამიძახა, სანაპიროსკენ მიმავალ, მოხვეულ ქვითკირის ლობზე ადევნებული, ხელმარჯვნივ მიმახედია — არა, კი არ მიმახედა, უცებ, მყისიერად თავისკენ მიმბარუნა და... სამება!.. მზით გაბრწყინებულ სამების ტაძარს პირისპირ შევჩრი.

იდგა გამოკვეთილი, უღრუბლო ცის ფონზე, როგორც უნაგირზე — მთის თხემზე ამოსული წმინდა მხედარი, მონყალე, მფარველი, შვების მომგვრელი.

მეგონა უფსკრულთან მდგომს ხელი მტაცეს, შემანჯღრიეს, გამომაფხიზლეს.

მადლიერმა და თვალცრემლიანმა, სამი შეტყუებული თითი შუბლთან მივიტანე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოზღვავებულ ოცნებათა წლებში, ამდენი საცდუნებლის პირისპირ ლერწამივით რომ „განილევინა და ირწევინა“, სულზე მისწრებაა გაეხსნას მომავალს სინათლის კარები. ეს დროული და მეტად აუცილებელი მისია ადვილად მისაწვდომი გახადა **საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა**. აქ ტრადიციად მიღებული ყოველკვირეული „შემეცნებითი საუბრებით“ მოსწავლე-ახალგაზრდობას ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ ცნობილ ადამიანებს, ერის კულტურულ საგანძურს რომ ამდიდრებენ, ნამდვილი შრომით, ნამდვილი ნიჭიერებით ჭეშმარიტ ფასეულობებს ქმნიან. ცხადია, დასწრება შეუზღუდავია. ახალგაზრდობთან ერთად უფროსი თაობის წარმომადგენელიც სტუმრობენ ამ დიდებულ და ანდამატისებულ დარბაზს.

ახლახან გაიმართა შეხვედრა ქალბატონ **დალი ფანჯიკიქსთან**. ვისი უებრო თარგმანებით ეზიარა ქართველი მკითხველი გერმანული ლიტერატურის კლასიკოსთა შედეგებს, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ფასდაუდებელია დალი ფანჯიკიქის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ახლაც რომ საინტერესოდ გრძელდება. იმდღევანდელი ღონისძიებაც მის ახალ თარგმანს **გრიგოლ რობაქიძის** უსეის, „**მიტლერს**“ უნდა დათმობოდა. ნაწარმოები ნივნად გამომცემლობა „**არტანუჯში**“ გამოქვეყნდა და ქალბატონ **ნანა გოგოლაშვილის** მიერ თარგმნილ „**მუსოლინისთან**“ ერთად საკმაოდ გახმაურდა. ეტყობა ამან მაინც ვერ დააშოშმინა სწორხაზოვანი შეხედულებებისაკენ მიდრეკილი საზოგადოება და უცხოობაში გადახვენილი ტრაგიკული ბედის მწერალი კვლავ გაბარდნილ მითებში დატოვა შებოჭილად...

საპატო სტუმარი საზოგადოებას ჩვეული გულითადობით, უშურველი სიტყვების სილაღითა და თანაც ზუსტი ეპითეტებით წარუდგინა თაოსანმა, **ერეკლე საღლიანმა**, თუმცა სულ მალე მესაჭის როლი **ზეინაბ მეტრეველს** გადაულოცა...

დალი ფანჯიკიქემ, ვიდრე ახალი თარგმანის შესახებ ინებებდა საუბარს, აუცილებლობად მიიჩნია საზოგადოებისთვის ნაკითხა ლექცია, თარგმანის თეორიის შესახებ. ისაუბრა იმ სირთულეთა და დაბრკოლებათა დაძლევაზე, რაც ახლავს შედეგის ორიგინალიდან გადმოტანას; რომ არ უნდა დაიკარგოს ორიგინალის სტილი, სიტყვათწყობა. სანიშნოდ ნაკითხა ამონარიდები მის მიერ თარგმნილი ცნობილი ტექსტებიდან. რა თქმა უნდა, საუბარი იყო საინტერესო, მაგრამ პროფესიულად ლოკალური, ცოტათი გაუთვალისწინებელიც ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის. რაღა დასამალია და მოდუნდა მსმენელი, ახალგაზრდობაც გაიკრფა... დასანანია, რომ მათ ვერ დაძლიეს გაურჩეული ნებისყოფა და ღონისძიების საინტერესო ნაწილის მიღმა აღმოჩნდნენ.

სადამოზე სიტყვით გამოვიდნენ: **ინესა მერაბიშვილი**, **მედეა გაჩეჩილაძე** (მედიცინის მუშაკი), **როსტომ ჩხეიძე** და **თემურ ქორიძე**.

გამართა კამათი გრიგოლ რობაქიძის ფენომენის შესახებ: გამოკვეთა რადიკალური მოსაზრებებიც და საინტერესო, სიახლისმომცველი შეხედულებებიც; რაც ითვალისწინებდა, საქართველოს არ ჰყავს გასამეტებელი მწერალი, მითუმეტეს კლასიკოსი, და ვიდრე არ მიიკვლევდა და საფუძვლიანად შეისწავლება გრიგოლ რობაქიძის არქივი, ნაჩქარევი, ამო და ფუჭია გამოტანა ნებისმიერი დასკვნისა — მითუმეტეს მკაცრი განაჩენის ტოლფასისა. ძნელია, ითქვას აუცი იხეთ მწერალზე, ვისაც სამშობლოს ნატვრასა და მარტოობაში ამოხდა სული. ვინცა გულისშემძვრელი ანდერძი დაიბარა: „**მოდოდეს ვინმე ქართველი დედა, ყოველ წელს მცხეთას, ნიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს... და ლოცვით ასხენებდეს ჩემს სახელს. მეტს არასა ვთხოვ საქართველოს**“.

ასხენეს ორი უცხოელი კლასიკოსი — ნორვეგიელი **კნუტ ჰამსუნი** და ამერიკელი **უზრა ჰაუნდი**, და მათი მსოფლმხედველობასთან შეპირისპირების ფონზე წარმოსახა გრიგოლ რობაქიძის სულიერი ჭიდილი და ოცნება საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაზე გერმანიის სამხედრო ძალის შემწეობით.

სიმბოლური გახლდათ, რომ ეს ღონისძიება სამების დიდებულ ტაძრის ფრთებქვეშ შედგა. სიმბოლური გახლდათ ისიც, რომ ახალგაზრდობის ოთხკაციანმა ჯგუფმა (სამმა ძმობილმა — **გიორგი აბესაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **ვაჟა ხურციძემ** და მათმა ნაბოლარა დობილმა **ანა ვარამაშვილმა**) მესხური „მრავალჟამიერი“ და იმერული „ალილო“ იმედიანად მოაფინა დარბაზს.

ანა მარგველანი



ერთგულეობა — ამ სიტყვით შეიძლება შეფასდეს ემზარ კვიციანიშვილის პოეტური მოღვაწეობა. ეს ლექსებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რას ნიშნავს იყო ტრადიციის ერთგული და, ამავე დროს, იყო ახალი, განახლებადი ენერჯის დამტვევი შემოქმედი, რომელშიც ორი სანწყისი აერთიანებს და ამთლიანებს პოეტურ მრწამსს — ინტელექტი და შთაგონება. ინტელექტი, როგორც კლასიკური მემკვიდრეობის სიღრმისეული გააზრება, და შთაგონება, როგორც თვითკმარი პოეტური ნიჭი.

იშვიათია ჩვენში პოეტი, რომ ასე კარგად და გააზრებულად იცნობდეს ლექსის თეორიას და მის პოეტიკურ ნიუანსებს. ამ ერთი შეხედვით ლაღად და თავისუფლად ამოთქმულ სტრიქონებში იგრძნობა ერუდირებული და გემოვნებიანი ავტორის მკაცრი ხელი. ყველაფერი იუველირის თვალთ არის ანონილ-გაზომილი. მასალაზე, რომ იტყვიან, თავდავიწყებით მუშაობს. ძალასა და ენერჯიას არ ზოგავს იმისათვის, რათა წარმოსახვით ნაკარნახევი რეალობა შესაბამის გარსში მოაქციოს და შექმნას ფორმისა და შინაარსის ბედნიერი ჰარმონია.

„თუ დამჭირდა, ქვასაც გავთლი, ლითონსაც არ გავუზრბივარ“ — ეს სიტყვები მართლაც ხელობის ერთგული კაცის ნათქვამია და შეგვიძლია მას ყოველმხრივ ვენდოთ, ვინაიდან ერთგულეობა ნდობის სანინდარია.

ემზარ კვიციანიშვილი

გადეველებოდა კუმისს, ჯანდარას,
ნადავლის მოთვალთვალე;
შეგულეებული ჭაობის თავზე
დაეშვებოდა მალე.

ფლორას მონატრება

გაზაფხულო, მინდორს მკერდი
გაულხვე და ამოდუღდი;
ბალახ-ბალახ მოაბნიე —
ხარისძირა, ბალბა, ტუხტი.

მაყვალს, შროშანს მოაყოლე —
ზიზილები, პანანინა,
ყვავილი არ დაივინყო,
გულის გახსნა იცის ვინაც.

მოლივლივე, ხავსჩაფენილ
რუის პირას რაა მეტი? —
იაც ძნელად შეედრება
ფურისულას, სინაზეთი.

გაიცინონ გვირილებმა,
მწუხარება, ჭმუნვა გვეყოს,
სუმბულეები შეუსიე —
ტყეს, ბილიკებს, საცალფეხოს.

დაბზრიალდი, ცამ და მიწამ
ერთმანეთი ველარ იცნონ,
ქალწულებმა შუბლზე თეთრი
გვირგვინები შემოინნან.

ააჩქროლე სისხლი, მდორე,
ცრემლი დაადინე წყაროს;
სასნაული ვერ იელვებს,
ქვეყნად, შენ რომ შეგედაროს.

მარტოული ყანჩა სანაპიროზე

დილა მზიანი. მე ფრენას მისას
ვერ დავარქმევდი ჩანჩალს;
აღმოსავლეთით, თოლიებს შორის,
გზას მიიკვლევდა ყანჩა.

გრძელი კანჭები უგავდა ნიჩბებს,
გრძელი წაეგდო ყელი...
მიიჩქაროდა, ნეტავი ვისთან
რა ჰქონდა გასამხელი?!

გამოუსნელი ტყვი

გაკრთობს ქუთუთოებზე
დადებული ხუნდები;
ძილი, რომლისაგანაც
ვერასდროს დაბრუნდები...
ფარდა მზეზე ხუნდება,
იმის ლებვას უნდები,
სიტყვას წინდაე სიტყვასთან,
დრო სადაა წუნდების?
შხამს რომ ისხამს შენი ხე,
როდისლა დარწმუნდები?!

ხელობის ერთგულეობა

უკვდავებას ვეძალები,
ბევრჯერ მინატრია ვეძა,
მინდა ლექსში ჩავსვა, რაც რო
ჩემმა თვალმა ჩამოხვეწა.

სად არ ვძვრები, რალა აღარ
გამოვმიგნე, გამოვჩურჩე...
ახლაც ვლამობ, ნახნაგები
მოვურგვალო ბროლის ჭურჭელს.

მთავარია, ბაგე დავძრა,
აიყოლოს სასამ ყელი...
რამდენიც არ წამოვშალო,
მეტი მრჩება გასამხელი.

ვერაფერმა დააოკა,
რა შებორკავს ამ სისხლს, მყივარს?
თუ დამჭირდა, ქვასაც გავთლი,
ლითონსაც არ გავუზრბივარ.

თან დამყვება თვალი უფლის —
იქეთობას, აქეთობას...
ვენამები, იოლად ვერ
დამინუნებთ ნაკეთობას.

წინო პრაილაპვილის კარ-მიღამო
(სამოც წელს გაურბენია)

თქვენ სახლს რომ არ ჩავუარო,
ისე დღე არ გადის...
საუფლოა თქვენი ეზო
ერთი ჭრელი კატის.

ერთი ბუჩქი, უცნაური,
თეთრ ბურთულებს ისხამს;
თქვენი სახე გამახსენა
სისპეტაკემ მისმა.

მშვენიერი, ეშვებოდით
ანგელოზთა წრიდან...
ჭილის ქუდი, ზაფხულის მზეს,
ოქროს ძენკვად ცრიდა.

ეზოს ბიჭებს, სხვანაირი,
გვქონდა თქვენი რიდი;
თამაშს ვწყვეტდით, წინ ქალღმერთი
გვედგა, ჭეშმარიტი...

არ აკლებდით მამულს ლოცვას,
ღამე იყო თუ დღე...
საქართველოს, თვითიული,
მოგიხატავთ კუთხე.

ერთი გახსენება
(საგიტარე სტრიქონები)

წინდანივე ვერ მიხვდები,
რას კარგავ, რას შეიძენ;
გამიგია მსახიობი —
ჩიტოლია ჩხეიძე.

ჩუმად ვწუხვარ, სიყრმისაგან
გაცლილი, გაქურდული...
რამდენია ამ სახელში
აღერსი და ჟღურტული.

გვიანია, რას მიშველის
ვაება და გნისი;
სად დამებნა გზა და კვალი
მისის ჩიტოლიასი?!

მოგწყინდება წონილი
უგიტაროდ, უქალოდ...
სამოთხეში მოხვედრილი,
ნეტავი ვის უგალობს?!

თვალშეუდგამ სიმაღლიდან,
ვიცი, ვჩანვართ მწერებად;
ვლოღავ... მაინც ნურვინ იტყვის —
იოლად მენერება.

სოფელს ტანისამოსს უკერავდა
(მამიდაჩემის ხასიათი)

მახსოვს მისი სიტყვები:
„ამოქუზვა“, „კლიოში“...
ვეჭვობ, ქალი, მისთანა,
მოძებნონ მსოფლიოში.

ჩანდა, გვერდით მაკრატლის,
ძაფი, ნემსი, ლილეები...
ხორციელი არ მახსოვს —
მისგან განანბილები.

დღემდე მზარავს ბუნების
კანონი უმკაცრესი..
გაქრა, ვერ დავეკონე —
სახეს, თვალებს გაცრეცილს.

მწამდა, კვლავაც ვინამებ,
თავდახრილი მიწამდე —
მისი მადლი სინათლის
გასწვდება წელიწადებს.

სალონის დედოფალი ციციწო ციციშვილის
და ზურაბ ნიჟარაძის კატა

იგი მოჭიმულს მოგავს არბალეტს,
მიკვირს, აქამდე არვის უქია.
დღეს გავიცანი ფისო ბარბალე —
რა მოქნილია,
რა ფაფუკია!

როგორ უხდება, რარიგად ხატავს
ორიოდ ფერი — თეთრი და შავი;
იშვიათია მისებრი კატა,
ნაზად კრუტუნებს,
საყვარლად კნავის.

ღამეს მომთენთავ სიზმრებში ათევს...
თუმცა ბრჭყალები ტახტზე ალესა,
მოვა და მკერდზე დაგანყობს თათებს,
წამსვე იღვრება სითბოდ, ალერსად.

ოხრავს ციციწო: გახლავთ წუნია,
მაჭანკალს ვეძებთ,
უშველოს ვინძი!..
მზეთუნახავი და ქალწულია,
ალარ გამოჩნდა საქმარო, პრინცი.

ბროლისკბილებას,
ფართოდრუნჩიანს,
ისე უბზინავს გრძელი ბუნებები,
იტყვი: უბადლო მხატვრის ფუნჯია!..
ცმუკავს, კუდს მოგხვევს, როცა ეწვევი.

უცხო ჩიტები. ნატურ-მორტები.
აქ სინატიფე ბევრზე ბევრია.
ფერთა სამოთხეს ვერ მოშორდები,
თვითონ ფისუნაც ხომ შედევრია.

რა მომნუსხველად გიმზერს თვალებში,
საგზლად გამყვება მისი ალერსი.
ვემშვიდობები ბედნიერ ოჯახს,
მეც, მოთაყვანე ვარ ბარბალესი.

სიტყვის მსახურთა მსახურნი
(სხივმოსილები, სახიერები)

*თამარ ანდლულაძისა და
გოგუცა აგიაშვილის ხსოვნას ვუძღვნი*

ჩემო ძვირფასო გოგუცა,
ჩემო დეიდა თამარო!
ორი ობოლი სამარე,
ცის დარჩენილა ამარა.

ვის დავაბრალო, ეს გული
რამ დახრა და ამოფლითა?!
მნარე ყოფილა თქვენებრი
ქალების ნასვლა სოფლიდან.

დამდნარნო, მადლი გეფინათ
რა სიკეთის და რა დობის!..
აბრაც არ დარჩა, უბრალო,
თქვენგან ნაფერებ „მნათობის“.

ბებერი, მობორიალე,
ჩემს თავსვე დავუბრები...
გვალხენდით, სად ჩაიკეცა
თქვენი ქათქათა სუფრები?!

გვათრევს, გვასმინა სანუთრომ
რკინის კარების ჯახუნნი;
ვჯახირობთ, როგორ გვაკლიხართ —
მარტონი, უოჯახონი.

დაჩრდილული აღმართის ავლისას

წვეროგადაყვირებულს,
გნახე, ალვის დროშავ და,
გავიხარე, მთანმინდაზე
ყურძენი ჩამოშავდა.

სიმნიფისგან, ლედვს, გასერილს,
თაფლი სწვეთდა ბაგიდან;
ხურმის გვერდით, მთვარისფერმა,
კომმმა თავი ჩაკიდა.

რთავდა ეზოს, ნაგვიანვე
ყვავილების ხალიჩა...
მზემ გარშემო უარა და
ბროწეული გახლიჩა.

ვანკრიალებ ნაყოფს, ყოველს,
დავამწკრივებ ბნკარებად;
ვუცდი იმ დღეს, როცა კაკალს
წენგო გაებზარება.

დაბერდა მარგალიტის მაქიაჟელი
(ე.ბ.)

წვერმოშვებულ-მოშვებულს,
ზიხარ სავარძელში,
იცდი, როდის გამოჩნდება
საიქიოს ელჩი.

დღე ყოველი, სიცოცხლის ტოტს
უხმოდ ადნობს, ხეხავს;
ვკარგავ მადას, გადმომედო
შენი გულგატეხა.

სამარის ნუ გეშინია,
ლომის მოგდგამს გეში;
ზღვის უფსკრულში დაყვინთული,
გახსოვს გილგამეში.

ხელმოცარულს არ გჩვევია
მობრუნება გზიდან;
ელავს ფსკერი,
სხვა საუნჯეს,
სხვა განძს ამოზიდავ.

ესპანური სიმღერა

ველარ დამმალოს მღვიმემ, ნალომა,
ძალლიც არა ვარ, რამ გამალომა?!
აშკარად გულში გყავდა დაჭრილი,
გიტარა შენზე მოსთქვამს, პალომა!

წკრიალა, ვერცხლის ზარების რეკვა,
სიმებზე როკვა თითთა, კაცურთა...
ვეკრობი, ველარ ვშორდები ეკრანს,
მლაშეა ცრემლი, ყელში ჩაცურდა.

დამბანგველ ჰანგთა ვარ მონადირე,
გადაეფარა თვალებს რა დირე!
სამოთხის ჩიტთან შესადარელო,
წუხელი მთელი ღამე მატირე!..

საზარელი საღამო
(გურამ შარაძის მკვლელობა)

გზას დავეძებდი, დამფრთხალი მარად.
ტყე დამესიზმრა, ნაჩეხ-ნაკაფი.
მზე დასდიოდა ახოებს, ღვარად,
დაფრთხილებდა რა გნოლ-კაკაბი!..

დაგროვილ ცოდვის ვხედავდი ნაწილს.
ნუ დავიჯერებთ — მშვიდობა სუფევს.
ზედ ქუჩის პირას —
ჭალარა კაცი...
მისივე სისხლის, გარს ერტყა გუბე.

ფრანგ დრამატურგთაგან მისი პიესები ყველაზე ხშირად იდგმება მსოფლიო სცენაზე. „სტუმრიდან“ დაწყებული, რომელიც ლმერთისა და ფროიდის შესანიშნავ დებატებს წარმოადგენს, ათასობით ეგზემპლარად გაყიდულ მცირე რომანებამდე („ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“, „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები“...) და „ამოუცნობი ვარაიციები“ ან კიდევ „გარყვნილი“, ასევე „პიტლერისა“ და „პილატე პონტოელის“ ჩათვლით, ერიკ-ემანუელ შმიტი იკვეთება მწერლად, რომელსაც წარმოსახვა მთავარ გზად დაუსახავს. გზად, რომელსაც პარადოქსულად ჭეშმარიტებამდე მივყავართ. ფილოსოფიის ყოფილ მასწავლებელს, დიდი გაქანების ლათინისტსა და ელინისტს, ავტორს სადოქტორო თემისა დიდროზე, გაუჭირდა სწავლებიდან მწერლობაზე გადასვლა. „ოსტენდზე მეოცნებეს“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც არის კრებული ღრმა ფილოსოფიური ნოველები-სა, სვამს კითხვას, თუ რას წარმოადგენს ჩვენთვის (სიყვარული, წარმოსახვა, კითხვა), უბრუნდება საკუთარ განვლილ ცხოვრებას, თვითული ჩვენგანის გაორებულ მდგომარეობას, როცა გონების შერიგებას ვცდილობთ ვნებებთან. პარალელს ავლებს სიყვარულსა და მწერლობას შორის, ეს ორი რამ, რაც იდუმალებას შეუპყრია. 47 წლის ასაკში, მას შემდეგ, რაც დაიდგა მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი („ოდეტ ტულმონდი“), და მაშინ, როცა თვითონვე ემზადება იანვარში, მარინის თეატრში თავისი მომავალი პიესის „გრძნობების ანატომიის“ სცენაზე წარმოსადგენად, ერიკ ემანუელ შმიტი მშვიდად გამოიყურება, ნაკლებად ჩქარობს, ვიდრე ადრე. ყოველშემთხვევაში ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მასთან შეხვედრა...

„რარიტ დამძიმებულია ეს თავის ქალა, გამოუთქმელი სიტყვების მწკრივი, ჩემს საფეთქლებს შორის გამომწყვდეული ტაძარი! ზოგიერთ სიტყვას თავს ვაკლავ“ — ვკითხულობთ ამ კრებულის უკანასკნელ ნოველაში.

ერიკ ემანუელ შმიტი

„სიყვარული იღუმალებისკენ მუდმივი სწრაფვა“

— რა ქარიშხალი ბობოქრობს თქვენს თავის ქალაში?

— ვმალავ ჩემს ტკივილებს. მათგან მხოლოდ შედეგს წარმოვარჩენ, ანუ დღესდღეობით ჩემში არსებული ნდობისა და ოპტიმიზმის, ტკივილებისა და ტანჯვის გადმოცემა არ მიმარჩნია საჭიროდ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მიყვარს მსხვერპლად ყოფნა, პათოსის აპოლოგია. კულტი, უარყოფილი ჩვენი ეპოქის მიერ. და იმიტომაც, რომ ჩემთვის გაცილებით საინტერესოა განცდილზე ვისაუბრო, ვიდრე გამუდმებით დაფურუხნად მისგან გამონვეულ შოკს. სინამდვილეში ვერ ვახერხებ ჩემზე მხოლოდ გამოგონილის მეშვეობით საუბარს. ყველას აქვს თავისი საიდუმლო და შიდაშლილობები. მე განვჭვრები საიდუმლო და შინააშლილობათა ის დონე, რომელიც ნაყოფიერ მწერლად გაქცევს.

— მაშასადამე მწერლობისთვის საიდუმლოა საჭირო?

— დიახ, სათქმელი სიტყვა-სიტყვით არ უნდა ითქვას, ლიტერატურულად, წარმოსახვებით, დრამატულად უნდა ჩამოყალიბდეს. ჩემი ცხოვრება ბანალურად, ხელისგულივით რომ გადამეშალა, ტანჯვა, ალბათ, შემიმსუბუქებოდა, მაგრამ ძაფს ვერ გავაბამდი სხვებთან, ანუ ხალხთან, მკითხველთან. მაგრამ ასევე ვფიქრობ, რომ როცა ხარ წარმოსახვის მწერალი, უფრო მეტს გასცემ, ვიდრე ავტოფიქციის წარმომადგენელი (მიმდინარეობის) მწერლები. განა ეს პარადოქსული არ არის?

ბალზაკს უკეთესად ვიცნობ, ვიდრე მონტენს. ბალზაკი არასოდეს ამბობს „მე“-ს, მაგრამ იგი გამოხატავს სამყაროს მისეულ კონცეფციას და სურვილის წინააღმდეგობებს, მაშინ, როდესაც მონტენი, რომელსაც ასევე ვეთაყვანები, საკუთარი „მე“-ს ანალიზს ეძლევა სამყაროსთან ურთიერთობაში, თუმცა არ გადმოსცემს თავის სამყაროს. შეიძლება კითხვაც დაისვას: აქვს კი სამყარო?.. ბევრად მეტს ლაპარაკობენ საკუთარ თავზე შეთხზულ პერსონაჟთა ნიღაბს ამოფარებულნი. ალბათ, იმიტომ, რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. შესაბამისად, მეტს ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, მაგრამ ამბობენ მეტაფორულად ანუ სურათებით, სიმბოლოებით, ისტორიებით, მითოლოგიურ მოთხრობათა სა-

შუალებით. ასე და ამგვარად უკავშირდებიან სხვებს. ასეთი შემოვლითი გზით. ჩვენი ეპოქა გულწრფელობის ტირანიას განიცდის, რამდენად „ჭეშმარიტი“, გულწრფელი და თავგადადებულია და ა.შ. მაგრამ ეს სასაცილოა! არაფერია იმაზე ყალბი, როგორც ავტოფიქციაა, ასე თვალმადევენებელი და დაცული. მაშინ, როცა ისე არაფერი გვეცლება ხელიდან, როგორც წარმოსახვა. ეს არის თქვენი იმპულსებით, სურვილებითა და ფანტაზიით შექმნილი ტექსტი: მაშასადამე, ყველაზე მეტად სათქმელს წარმოსახვის საშუალებით გამოხატავ.

— ე.ი. ვერასოდეს ნაკვივრად ერიკ-ემანუელ შმიტის ავტობიოგრაფიას? ვერც მის პირად დღიურს?

— როგორ არა, მე ვადგენ პირად დღიურს.

— ეს ცოტა პარადოქსულად ხომ არ გეჩვენება?

— ეს ფილოსოფიური დღიური სიცოცხლეზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ემოციებსა ანუ განცდილზე მუდმივი განსჯით შეიქმნა და თავისი ფორმით მიშელ ონფრეის „შედონისტურ დღიურს“ უფრო უახლოვდება, ვიდრე ავტოფიქციის წარმომადგენლის პირად ჩანაწერებს.

— თუმცა თქვენ ლალატობთ თქვენს სტილს ნოველაში „ჩემი ცხოვრება მოცარტთან“. იხსენებთ მოზარდობის ხანაში დეპრესიისა და თვითმკვლელობის მცდელობას, შემდგომ თქვენს დაგვიანებულ შეხვედრას ქრისტიანულ სარწმუნოებასთან.



— დიას, მართალია. თუმცა ჩემი შეხედულება, რომ მონათხრობში ავტორი კი არა, ამბავია საინტერესო, უცვლელი რჩება. ასე რომ, ვცდილობ რაც შეიძლება შორს, უკანა პლანზე გადავინაცვლო. მართალია, გავეცი რამდენიმე საიდუმლო გასაღები, მაგრამ ეს ხომ საყოველთაოა: დებრესია, თვითმკვლელობა, რწმენა... ეს სარკე მკითხველისთვისაა და, მერწმუნეთ, ამ სარკეში მე არ ვიხედები. „მე“-ს ვამბობ მხოლოდ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ სხვა იყურება ჩემი „მე“-ს სარკეში.

— როგორ ხვდებით თქვენს წარმატებებს?

— რა არის წარმატება? ამით აღმოვაჩინე, რომ ვეკუთვნი ჩემს ეპოქას, მაშინ, როცა მეგონა ჩემი განათლებით (კლასიკური ლიტერატურა, ლათინური, ბერძნული, პარიზის პედაგოგიური ინსტიტუტი, ფილოსოფია) მის გარეთ ვრჩებოდი. ჩემს საუკუნეს მივეკუთვნები, რადგანაც ჩემი საუკუნე ზემს მინყობს. წარმატებამ საკუთარ თავთან შემარია.

— მამ თქვენს თავზე გაბრაზებული იყავით?

— მოდი ასე ვთქვათ — თავს გარიყულად ვგრძნობდი. არ ვიტანჯებოდი, მაგრამ გარიყული ვიყავი. წარმატების მიღწევას ჩვენ არ განვაგებთ და საკუთარ წარმატებაშიც წვლილი არ მიგვიძღვის: მე ავტორი ვარ ჩემი წიგნებისა, მაგრამ ხალხია ჩემი წარმატების ავტორი. სწორედ ესაა ჩემი წარმატება — შემარიაგებელი ეპოქასთან, რომელშიც ცხოვრობენ და რომელზეც ფიქრობენ, ცოტა არ იყოს სულელურად, შეგვიძლია გავეცეთო. როცა წარმატებული ხარ, აღმოაჩენ, რომ კრიტიკა ნაკლებად გტკენს გულს, ვიდრე ადრე, შეიძლება მხრები აიჩეჩო, როცა გრძნობ, რომ უსამართლოდ გაკრიტიკებენ.

— ნეგატიური კრიტიკა, ხშირად დამახასიათებელი ზოგიერთი ჟურნალისტიკისთვის, რომელიც თქვენს წარმოშობებს არ კითხულობს, ან ნაკლებად, გულს გტკენთ?

— არა, ახლა უკვე აღარ. პარადოქსი ის არის, რომ კრიტიკამ აღმომაჩინა და ცამდე ამიყვანა და შემდეგ მანვე მინასთან გამასწორა. როცა წიგნს 400 ეგზემპლარად ვუშვებდი, გენიალური ვიყავი; 40 000 ეგზემპლარისთვის უკვე ნიჭიერი აღარ ვიყავი; 400 000 ეგზემპლარზე კი არააობა ვარ! ზოგიერთების თვალში მაინც...

— 2008 წლის იანვარი თქვენი პიკის დებიუტია. მწერალმა რატომ გადაწყვიტა სცენაზე გადასვლა?

— სცენაზე გადავდი ანა იმიტომ, რომ გაკვეთილები ჩავუტარო დამდგმელ რეჟისორებს (რომლებითაც სავსებით კმაყოფილი ვარ), არამედ სწრაფვით, რომ ბოლომდე მივიღე ინკარნაციის პროცესამდე. ჩემი ნაწარმოებები პერსონაჟთა სიუჟეს განიცდის. მე მინდა ეს პერსონაჟები საზოგადოებას მოვანათლინო. რისი გაკეთებაც თვითონაც მიყვარდა, როცა ვიღებდი ფილმს „ოდეტ ტულმონდი“. კინო არის სახეთა თეატრი, ამბობდა ბერგმანი. მიყვარდა კინოფირზე სულის გამოსახვა.

— თუმცა თქვენს რომანებსა თუ ნოველებში არასოდეს აღწერთ თქვენს პერსონაჟებს.

— არა, მკითხველს ვახვედრებ იმის მეშვეობით, რისი აღწერაც შეუძლებელია. არ უნდა აღწერო, ყოველთვის უნდა მიახვედრო. ასე ამბობდა კოლეტი. ჩაგონება ნიშნავს მკითხველის ჩაბმას. მაგრამ, ფიქრობ, სწორედ ეს მიზეზია, ასე კარგად რომ ახსოვთ ჩემი წიგნები. რადგანაც მათ ვამუშავებ.

— როგორია თქვენი წერის სტილი? განსხვავებულია თუ არა თქვენი ტექნიკა თეატრში, რომანსა თუ ნოველაში?

— ჩემი თეატრი კრიზისის თეატრია და ჩემი რომანები შეგირდობის რომანებია. თეატრში მშვილდს ბოლომდე მოვზიდავ ხოლმე, ისე, რომ უჩემოდ გაჩერდეს. თეატრის დრო მოიცავს ცხოვრების დროს. ეს არარსებული დროა. ჩვენ გვჭირდება ეს კრიზისები. როცა მე არ მჭირდება დროის ხანგრძლივობა, ვიცი, რომ ჩემი ამბავი თეატრისთვის შეიქმნა; მაშინ, როცა, ასე ვთქვათ, განცდილი ვრცლად უნდა გადმოვცე, ამბავი მოითხოვს დიდ დროს, დასრულებას, ხანგრძლივობას, გლოვას ან საკუთარი თავის აღდგენას, ან კიდევ სხვის კვლავ აღმოჩენას, ყველაფერი ეს დროში ვერ ეტევა, მისთვის შესაფერისი იქნება რომანი. დიდხანს ვფიქრობდი „ოსტენდზე მეოცნებე“ რომანი იყო თუ ნოველა. ეს არის მცირე რომანის ზომის ნოველა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ რომანი მაინცდამაინც ჭკუაში არ მიჯდება...

— გულწრფელად ბრძანებთ?

— საერთოდ მიმაჩნია, რომ რომანთა უმრავლესობა რომელიც კი წამიკითხავს, ერთი უღიმღამო რამ არის...

— ხომ ვერ განმარტავდით?

— ძალიან ნაგრძელბული ნოველები, არაფრისმტქმელი დიალოგები, ფუჭი აღწერებით, ამო მითითებებით, უსარგებლო პერიპეტეციებით... როცა „ბატონი იბრაჰიმი“ და „ყურანის ყვავილები“ გამოქვეყნდა აშშ-ში, ჩემმა ამერიკელმა გამომცემელმა შემომთავაზა წიგნი უფრო მეტად, 100-დან 300 გვერდამდე გამეზარდა.

საფრანგეთში უფრო მეტ პატივს ვცემთ ვოლტერის მოთხრობებს, აფორიზმებს, წერილს, მცირე ზომის ნაწარმოებებს. მე-17 საუკუნის ფრანგული ლიტერატურა, კერძოდ, ისეთ ნაწარმოებებს წარმოადგენს, რომლის ფორმატიც არ არის წინასწარ დადგენილი. „ოსტენდზე მეოცნებე“ 120 გვერდიანი ნოველაა, რომლის გადაწერაც მანამდე გაგრძელდა, სანამ ასე მცირე ზომის მოთხრობას მივიღებდი, თან თხრობის სირთულეც რომ შენარჩუნებულიყო. შეძლებისდაგვარად შევამცირე, სანამ არ დარჩა ის, რაც უნდა დარჩენილიყო. მოკლე ტექსტები ჩემთვის გაცილებით შრომატევადია, ვიდრე გრძელი რომანები.

— წერით როგორ წერთ?

— დროსთან ერთად ძლიერ შევიცვალე. ადრე ჩემი წიგნი ერთი ამოსუნთქვით იწერებოდა. სისწრაფეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა: სწრაფად უნდა დამესრულებინა, რაც უნდა დამეწერა, და მაშინათვე გამომექვეყნებინა.

— როგორ ახსნით ამ სულსწრაფობას?

— იმდენი ადამიანი მინახავს, წიგნის დასრულებას რომ ვერ მოესწრო. არც ნიჭი აკლდა და შესაძლოა დიდი კარიერაც ელოდა, იმავე ოცნებით იყო აღსავსე, როგორც მე, და ვერ განახორციელა. ამიტომაც ვჩქარობ. სიცოცხლე მიბრძანებს. უნდა დაიმსახურო ეს ცხოვრება. დროის დაკარგვის უფლება არ გაქვს, რადგან ყველაფერი შეიძლება უცებ გაჩერდეს. აი, ამიტომაც ვწერდი სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით, მთელი მოწოდებითა და გაშმაგებით, ბევრი დრო რომ არ წაელო გადაკითხვას და სწრაფად გადავსულიყავი შემდეგ ნაწარმოებზე. ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ იყო. დღეს უდავოა უფრო დავლვინდი: ვერ ვიტან დიდხანს გადაკითხვას, რადგან ისეთ მწერალს მაგონებს, რომელიც თავის ჭიბს თვალს ვერ ამორებს; სამაგიეროდ, დიდ დროს ვუთმობ დამუშავებას, დახვეწას, დახვეწას და კვლავ დახ-

ვენას. ასე რომ, გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა: შეიძლება ითქვას: ბევრს ვმუშაობ, ვიდრე ვწერ.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ვწერ უსასრულოდ. წარმოვიდგენ ამბებს ყველგან, სადაც ვიმყოფები. ჩემს თავში უამრავი წიგნი ირევს. თავშივე მნიფდება, თუმცა წერას წელიწადში მხოლოდ რამდენიმე კვირას ვუთმობ, ისიც ნაშუადღევს. ჩემთვის უცხოა თეორი ფურცელი, რადგან არ ვწერ! წერას დავინწყებ თუ არა, მაშინვე ვაშავებ გვერდს. რასინი ამბობდა: „ჩემი ტრაგედია დასრულდა, ისლა დამრჩენია, ქალაღზე გადმოვიტანო“... როცა წერას ვინწყებ, ყოველთვის მაქვს პირველი და ბოლო წინადადება, ამ ორ წინადადებას შორის იქმნება ნაწარმოები. ეს ჩემში აკრობატის ასოციაციას იწვევს. ადამიანი, რომელიც თავის თავს კაუჭს გამოსდებს: პირველი წინადადების კაუჭს კლდეს გამოვდებ და მოგზაურობაც იწყება. ვცდილობ შემეშინდეს, გავოცდე, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეეუქმნა, თითქოს თავპირი შეიძლება დავიმტვირო... ჩემი რომანისა და პიესების პირველი და უკანასკნელი წინადადება მატრიცაა. ამ ორ წინადადებას შორის ძაფს ვავლებ.

— „ოსტენდზე მეოცნების“ მთავარი პერსონაჟი ამაჟამადაც მწერალია. მწერლები ასე ხშირად რატომ გამოყვანთ სენაზე?

— მწერალი თავებზე შემდგარი ცნობისმოყვარეობაა, პიროვნება, რომელიც სხვების საიდუმლოს ჩანვდომას ცდილობს. სხვებისადმი ცნობისმოყვარეობისა და ინტერესს შეუპყრია. — ვგულისხმობ მწერალს, როგორადაც წარმომიდგენია და არა ისეთს, როგორც სინამდვილეშია... ზოგჯერ გამომიყენებია ძალიან ეგოცენტრული მწერლები, ეგოიზმით დამახინჯებული, მაგრამ მწერალი ჩემთვის მაინც ადამიანურ თავგადასავლების, გრძნობების მკვლევარია. „ოსტენდზე მეოცნებები“ მწერალი, რომელმაც სძლია სასიყვარულო განშორებას, ხედება შინაბერა ქალს და მათ შორის შეთანხმება იდება: ქალი ეუბნება, რომ მას სწორედ მცირედი ცნობისმოყვარეობა სჭირდება; ისიც პასუხობს, რომ იგი სწორედ მისი კაცია, ვისაც ეძებს, რაც მართალია, მართალია, ცნობისმოყვარე ნამდვილად არის.

— ოსტენდზე მეოცნებეც ერთგვარი ფიქრია საიდუმლოზე...

— მთავარია საიდუმლო, ცხოვრებაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, საიდუმლოება შინაგანი აშლილობაა, რომლის წყალობითაც საინტერესო ადამიანი ხდება. საამკარაოზე გამოიტან თუ არა, მუზაც გტოვებს. საიდუმლოს მოფრთხილება მართებს. ჩემსას არასოდეს გავახმაურებ. გარდა იმ დღისა, როცა საკუთარ თავს ვეტყვი: „მორჩა, შესაქმნელი მეტი არაფერი მაქვს“. მაგრამ ეს დღე არ დადგება ხვალ...

— ასე დაემართა ერთ გრაფომან მწერალს — ჟორჟ სიმენონს... და ფულიენ გრაკს.

— მართალია. ვისურვებდი მეც იგივე განმეცადა, რადგან ეს გამოცდაა: ვიცხოვრო წერის გარეშე. როგორ მოვახერხებ? ნიგნებს ნავიკითხავ.

— რა კავშირია პროსტიტუციასა და კითხვას შორის?

— ეს არის ის, რისიც ღრმად მწამს: ორნაირად შეიძლება დაიკმაყოფილო ინტერესი, რომელსაც სხვა აღგიძრავს: სექსუალურობა და კითხვა იმ დროს, როცა ვერ ვწერდი, ინტიმურ ურთიერთობებში ვიკლავდი სხვებისადმი ჩემს ცნობისმოყვარეობას.

— ეს თქვენ ვერ წერდით?

— დიახ. 20-დან 30 წლამდე.

— როგორ, ვერ წერდით?

— გითხარით, რომ არ მინდოდა საიდუმლოებათა გამხელა. კეთილი, მოდით ასე ვთქვათ: ვწერდი, მაგრამ არ ვიყავი კმაყოფილი, თითქოს ჩემი ტვინის ჰემისფეროები ერთმანეთს დაცილდა: ორად გაიყო. ერთ მხარეს დარჩა ფილოსოფოსი მწერალი (მაშინ ვმასწავლებლობდი), რომელიც აანალიზებდა, ასევე ნათლად ჩანდა, რომ რამდენადაც მშრალი იყო, იმდენად ზუსტად ასახავდა სინამდვილეს, და მეორე მხარეს აღმოჩნდა წარმოსახვებით აღსავსე ლირიკული პიპეტროფიით შეპყრობილი მწერალი. ისინი ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ. მაშინ ვოლონტარისტი ვიყავი, ისეთი მწერალი და დიდი ლირიკოსი მინდოდა გავმხდარიყავი, რომლის მსგავსიც ვერასოდეს ვიქნებოდი. სარტრის ნაკითხვამ, მოკლე მიმოხილვამ ვოლონტარიზმი მასწავლა, პრუსტის ნაკითხვამ კი რომანისადმი ყოველგვარი ლტოლვა ჩამიკლა: პრუსტი ლიტერატურის დიდი არქიტექტორია. მისი ნაკითხვისას ხვდები, რომ ამაზე უკეთესს ვერაფერს შექმნი. ასე რომ, ჩემმა აღფრთოვანებამ გარკვეული აზრით შემაფერხა. ვცდილობდი დამეკავშირებინა სპონტანური მწერალი, რომელიც ყოველთვის ვიყავი, ფილოსოფოსისთვის, რომელიც შემდგომ გავხდი. 30 წლისთვის უნდა გადამებიჯებინა, ისეთი მწერალი რომ დავმდგარიყავი, როგორიც დღეს ვარ.

— იმ დროს, როცა მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროები აღარ უპირისპირდება ერთმანეთს, კიდევ იტყვი, რომ სიკვდილმა და სექსმა გადამწყვეტი როლი ითამაშა?

— არ მინდა ამ შეკითხვას ვუპასუხო.

— ამით თქვენს ცნობილ საიდუმლოს ხომ არ ვეხებით?

— უახლოვდებით. შეიძლება გიპასუხოთ კიდევ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში, იმ შემთხვევაში, თუ არ გამოაქვეყნებთ.

— შევთანხმდით. გადავიდეთ ამ ნოველების კრებულის შემდეგ თემაზე: არსებობს თუ არა ცუდი ნაწარმოებები?

— ნოველაში, რომელსაც ჰქვია „ცუდი ნაწარმები“, შევთხზე მასწავლებელი, რომელიც არასოდეს კითხულობს გამოგონილს, რომანს, რომელმაც საკუთარ თავში მთელი წარმოსახვითი ცხოვრება ჩაკლა. მაგრამ მსგავსი პიროვნებანი არსებობენ. ეს ერთი სერიოზული ბატონია, რომელიც ფიქრობს, რომ რომანი ფანტაზიის გაბატონებაა. გამოგიტყდებით, რომ ჩემი ცხოვრების რაღაც ხანა, როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მეც მიფიქრია ამაზე. სად არის მტკიცებულება. რა აბრკოლებს ადამიანს, თქვას ის, რაც მოესურვება? დიდხანს მტანჯავდა ეს შეკითხვა. რომანი მაშინ ჩემთვის რაღაც ხელოვნურს წარმოადგენდა. ჩემი პერსონაჟი ისეთი მკითხველის ტიპია, რომელიც ფაქტებს ეჭიდება, ძალიან ჭკვიანი, მაგრამ რომანის ან პიესის ნაკითხვა არ შეუძლია, რადგან ამისთვის ჭკუაზე გაცილებით მეტია საჭირო: ეს წარმოსახვის უნარია. ნოველა გვიჩვენებს, რომ წარმოსახვით ცხოვრებას მოვწყდებით თუ არა, თავს სერიოზულ საფრთხეში ვიგდებთ... ბერგსონი საუბრობდა წარმოსახვების დანიშნულებაზე, რაც ყველას გეჭირდება. საკუთარ თავს მოვუყვებ ამბები, იმისთვის, რომ მოვინერგოთ ჩვენი განვლილი ცხოვრება, რაც განვიცადეთ, მოგონებები და წარმოსახვები. ნოველის უანრი ზედგამოჭრილია დრამატურგებისთვის. პირანდელი და ჩებოვი ნოველის მეფეები არიან. ნოველა მწერლებს ძალაუფლებას მატებს.

— ამით რისი თქმა გასურთ?

— დრამატურგი ზღუდავს წარმოსახვის დროს: ერთი საათი, საათ-ნახევარი, ორი საათი... მაყურებელი დრამატურგის ტყვეა, რომელიც მას დროს უდგენს. რომანისტს კი დროზე ძალაუფლება არ გააჩნია. არასოდეს იცის, ერთი ამოსუნთქვით ნაიკითხავს თუ მკითხველი მას მე-20 გვერდიდან მიატოვებს. რომანში, რომელიც 100 გვერდს აღემატება, თავის ტყვედ გაქცევს. მწერალი კვლავ განაგებს მკითხველის დროს. შესაბამისად შესაძლებელი ხდება ემოციების, მოულოდნელობათა, ინტელექტუალური ეჭვის მექანიზმის მართვა. ნოველაში რიტმი გაცილებით ინტენსიური უნდა იყოს.

— თქვენ ამ ნოველის მიღმა წარმოსახვის აპოლოგიას განადიდებთ და ეს იმ ეპოქაში, როცა, პირიქით, ლიტერატურა, აფერხებს „გულწრფელობას“.

— ყველაზე მეტად ეს მაშფოთებს! გულწრფელობა ნაფიც მსაჯულებს სჭირდებათ ან კიდევ პოლიციის მოწმეთა ჩვენებებს... ეს არ არის თვისება, ეს ვალდებულებაა! გულწრფელობა მაშინ ფასობს, როცა ჩაბმული ხარ, იბრძვი მნიშვნელოვანი ღირებულებებისთვის, მაგრამ ლიტერატურაში როგორი სახიფათოა. ერთადერთი, რაც უნდა იკითხო, ეს არის: წიგნი საინტერესოა? ვარაინტი: საინტერესო ამბავია? ამის მერე ამბის მართებულება თუ სიყალბე ნაკლებად მნიშვნელოვანია. გულწრფელობის ჭეშმარიტებისა თუ სიყალბის საკითხი შემთხვევითია. ვფიქრობ, ჩვენი წარმოსახვა ჩვენს ჭეშმარიტ სურვილთა სცენების დანაწევრებაა, რომელიც ჩვენს მენტალურ ნყოფას წარმოადგენს. წარმოსახვა ყველაზე ორიგინალური და ჭეშმარიტია, რაც კი ადამიანს გააჩნია. გულწრფელობა არ ამართლებს ლიტერატურაში. მე ჭეშმარიტებას ვეძებ, რადგან ის წარმოსახვაზე მოადის. ლოგიკურად ტყუილი სინამდვილის საბოლოო გამოხატულებაა: სიცრუით ვამბობთ იმას, რისი თქმაც გვსურს.

— თქვენ ასევე წერთ, რომ ტყუილის თქმას ერთი კარგი მხარეც აქვს: „სჯობს მოატყუო, ვიდრე დაამწყვდოს“. რა არის ის კარგი მხარე, ასე ხშირად რომ ვხვდებით თქვენს ნაწარმოებებში?

— ეს აზრი მართლაც ბევრ პიესაში ტრიალებს. მე ტყუილის დიდი ქომაგი ვარ, რადგან ტყუილი არათუ ფაქტების ჭეშმარიტებაა, არამედ სურვილების, სულის ჭეშმარიტებაც. სხვა ადამიანსაც უნდა გაეწიოს ანგარიში: პატივისცემამ, რასაც ვგრძნობთ იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ვატყუებთ, უნდა გადაწყვიტოს, ჭეშმარიტების კურსორი მოვმართოთ თუ სიცრუის. ამგვარად დიდრო, არ ცრუობს, როცა ცოლს ინტიმური კავშირის დროს ეუბნება, შენთან ყოფნისას თავს კარგად ვგრძნობო. ის არ ფიქრობს სხვა ქალებზე, რომლებიც ცყოლია... თუმცა მისი ცოლი არ არის იმ ქალების მეტაფორა, რომლებზეც ის საიდუმლოდ ოცნებობს... კახუისტი უნდა იყო.

— რაც ერთგვარი კირკიტია, არა?

— რასაკვირველია. მაგრამ მორალის ნაკითხვაც ხომ კირკიტია. ეს იყო „გარყვნილის“ საბოლოო სიტყვა. სიყვარულში ვერ მიმართავ თეორიას, ვერ იტყვი: „ეს უნდა გავაკეთოთ“, „ის უნდა გავაკეთოთ“, „ეს კარგია“, „ის ცუდია“. კირკიტი მხოლოდ ვითარებიდან გამომდინარეა შესაძლებელი. და იმდენად, რამდენადაც იცნობ სხვებს, უნდა განსაზღვრო, უნდა თქვა თუ არა. არსებობენ ადამიანები, რომელთაც უნდა უთხრა, ძალიან ავად ხართო. და სხვანი, რომელთაც უნდა დაუმა-

ლო: მაგრამ საუბარი თეორიად არ უნდა აქციო. ასევეა სიყვარულშიც. ტყუილის თქმა შეიძლება სასარგებლოც იყოს. ზნეობა კი კირკიტია და არა ზრახვების სინრფელე.

— მოდით ახლა სიყვარულს მივუბრუნდეთ. თქვენ წერთ: „ზოგიერთი ქალი მახეა, რომელშიც ებმებიან. ზოგჯერ ამ მახიდან აღარც უნდათ გამოსვლა“. ასე რატომ ხდება?

— სიყვარული საიდუმლოსკენ მუდმივი სწრაფვაა. ამით არ კმაყოფილდები (რამეთუ საიდუმლო არასოდეს განიჭვრიტება), მაგრამ გიზიდავს. გიყვარდეს ნიშნავს დათანხმდე მეორე ადამიანთან ურთიერთობას. შემდეგ გაითვალისწინო, რომ ამ კავშირით ვერც შეიცნობ და ვერც დაეუფლები მას. ამ სხვას, თავისუფლების, გარდასახვით, ნასვლისა და დაბრუნების, უარის თქმის უნარით... სიყვარულს ადამიანი კიეტისტურად მიეცემა ხოლმე როგორც ადამიანურ, ისე ღვთიურ სიყვარულში მე მაინტერესებს კავშირი, რომელსაც ვერ დაარღვევ მაშინაც კი, როცა სასიყვარულო ცხოვრება აუტანელი ხდება.

— მაშასადამე, სიყვარული და მწერლობა იმ იდუმალეებისკენ სწრაფვაა, რომელსაც ნინასწარვე იცი, რომ ვერასოდეს ჩასწვდები?

— დიახ, მსგავსება დიდია. თავიდან წერაში არის ერთგვარი იმპერიალიზმი, ასე ვთქვათ, მიახლოებისა და საიდუმლოს გახსნა-გამჟღავნების სურვილი. შემდეგ დგება თავმდაბლობის ხანა, ე.ი. როცა ხვდები, რომ სწორედაც საიდუმლო გვხდის ნაყოფიერს, რომ ვერასოდეს ჩავწვდებით მას და რომ არც უნდა ვიფიქროთ. სიყვარულიც ასევეა: დაეთანხმო იმას, რომ ვერასოდეს გაიგებ სხვის საიდუმლოს და გააცნობიერო, რომ როცა ისწრაფი მას ჩანვდე, სიყვარული მტკიცდება. ლიტერატურა იდუმალეებიდან იბადება, მის ჭვრეტას კი არ ნიშნავს. იგივეს ვფიქრობ სიყვარულზეც. ფილოსოფია საიდუმლოს ამოხსნას ცდილობს, მაშინ, როცა ხელოვნება, პირიქით, საიდუმლოს განადიდებს.

— ყველა ფილოსოფია არა. რაში გამოგადგათ ის, რაც ასწავლეთ და რაც ასე მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის, ანუ ანტიკური სიბრძნე, ჰედონიზმი?

— ეს ფილოსოფიები მართლაც სიბრძნის შემარცხვენილია, რაკილა არათუ ჭეშმარიტებას, არამედ კეთილდღეობას ეძიებენ.

— ერიკ-ემანუელ შმიტი ჰედონისტი ხომ არ არის?

— დიახ, მაგრამ ჩემთან გაცილებით რთულად არის საქმე. დიდ სიახლოვეს ვგრძნობ ჰედონისტურ მოთხოვნასთან, როგორც წერს, მაგალითად, მიშელ ონფრეი. სამაგიეროდ, რადიკალურად ვემიჯნები საიდუმლოსთან მიმართებაში. ვფიქრობ, იგი რალაცას მპირდება, მაგრამ ეს რალაც ხელიდან მისხლტება. მხოლოდ ესაა, რომ მჯერა ამ რალაცის დაპირების. ფილოსოფოსი გავხდი, იდეოლოგიის ყოველგვარი ფორმისგან რომ გავთავისუფლებულიყავი, მათ შორის ათეისტური იდეოლოგიისგან, რასაც არ ვიზიარებ: პატივს ვცემ ურწმუნოებასა და ათეიზმს, მაგრამ ვარ მორწმუნე აგნოსტიკოსი. კითხვას: „ღმერთი არსებობს თუ არა?“ — უარს ვამბობ კატეგორიულად ვუპასუხო „არა“. ვამბობ: „არ ვიცი“, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის „დიახ“.

— დაუბრუნდეთ ადამიანურ სიყვარულს. თქვენი „ოსტენდზე მეოცნებე“ ეუბნება მწერალს: ძლიერი სიყვარული ღრმა კვალს ტოვებს. თუ განიკურნებიან, ყოველ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ არ ღირდა წვა-

ლებად. ასე რომ, სასიყვარულო განშორების შემდეგ განკურნება არ ხდება?

— არა. სხვა ცხოვრებით ცხოვრობ, სხვა რამეს განიცდი, მაგრამ ვერ იკურნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ ღირდა. მე ღრმად მწამს ამისი, ვერ შორდები.

— სხვა ვინმე რომ გამოჩნდეს მათ ცხოვრებაში?

— დიახ, იმ სხვამ იცის ეს და ამ განცდით ცხოვრობს.

— ადვილად თანაცხოვრობენ?

— დიახ, რადგან დგება დრო, როცა ის, რაც გამოიარეს და რაც ერთადერთი იყო, ცალკე ოთახში იყრის თავს; ოთახში, რომელშიც შესვლის უფლება სულ უფრო ნაკლებად აქვთ. როგორც მავზოლეუმში. და იმისათვის, რომ კვლავ შეძლონ ცხოვრება, საკუთარ თავს ამ ოთახში შესვლას უკრძალავენ.

— ასეთ შემთხვევაში სხვა უნდა მოვატყუოთ?

— მდუმარება, მდუმარება. დუმის ვიცავ. ჩვენს ცხოვრებაში შემოსულ ახალ პიროვნებებს არ უნდა ავკიდოთ საკუთარი წარსულის ტვირთი, სინანული, ფუნდამენტური ნოსტალგია. ესეც სიყვარულია: არ დაამძიმო ახალი სიყვარული, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის ამაზე პასუხისმგებელი. მომავალს იმედის თვალთ უნდა შეხედო.

— ოპტიმისტი ბრძანდებით?

— ცხადია.

ფრანგულიდან თარგმანა შორანა გვილაზია

ოქტაი ქაზუმოვი

რისტვის ღირს წერა

□

ბაქოური შთაბეჭდილებანი

“ტოლიკმა მკითხა, მთა პაპიროსს თუ ეწევაო?” ვუთხარი არა, პაპიროსს ადამიანი ეწევა-მეთქი“. „არ ხარ მართალი – მითხრა — მაიმუნიც ეწევა, ჩემი თვალთ ვნახე ტელევიზორში“. ავუსხენი, რომ მაიმუნი მისდღემში ვერ მოწევს პაპიროსს, მასაც ადამიანებმა ასწავლეს. მკითხება: “განა მთასაც ადამიანებმა ასწავლეს პაპიროსის მოწევა?” მეც, ამდენი შეკითხვებით თავგაბეზრებულმა, ცოტა არ იყოს უკმეხად მივახალე: “რა მთობანა აგიტყდა ბოლოსდაბოლოს, მთა პაპიროსს ვითომ რატომ უნდა ეწეოდეს?” პასუხად ხელი გაიშვირა და მითხრა: “აგერ ე მანდ, ვერ ხედავ? მთა პაპიროსს ეწევა!”

მართლაც და, უცნაურ პაპიროსს ეწეოდნენ კავკასიონის ჩამწკრივებული ქედები: ღრუბლებს ნაფაზად ისრუტავდნენ და რგოლებად უშვებდნენ თავზემოდან”.

მწერალ ელჩინ ეფენდიევის სამყაროში პირველად სწორედ “ხუთკაპიკიანი მოტოციკლეტი” შემიძღვა და ის წლები გამახსენა (უკვე საკმაოდ შორეული), როცა მე თვითონვე ვაბეზრებდი უფროსებს თავს შეკითხვებით. თუმცა ეს მოთხრობა მთავარი გმირის ჩაჩუმებულ დრტინვების თუნდაც დროებით სააშკარაოზე გამოტანით და მათზე ფიქრით, ცხოვრების ერთფეროვანების აუტანლობით, მაგრამ მისგან ვერსად გაქცევით, უფრო მეტიც, გაქცევის სურვილის სრული არარსებობითაა ჩემთვის საინტერესო. მითუმეტეს, რომ ამ გმირის მონოტონურ ცხოვრებაში სწორედ ბავშვს შემოაქვს ახალი სუნთქვა, სწორედ

ბავშვის დაუსრულებელი შეკითხვები აიძულებს მას გამოვიდეს საკუთარი ნაჭუჭიდან, სადაც იგი, ვიქნები მის მიმართ ლმობიერი, იმ დროისთვის დამახასიათებელ (გვულისხმობ კომუნისტურ რეჟიმს) უძრაობას მიუყუყუებია – უძრაობას აზროვნებაში, უძრაობას განსჯაში. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ მცირეხანი “გამოფხიზლები-სას” იგი ამ უძრაობისადმი ოპოზიციურადაა განწყობილი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ დროებით.

ეს ნოველა პირველად სადღაც ექვსი წლის წინ წავიკითხე და მას მერე სულ ვკითხულობ, ვუკითხავ სხვებსაც, რათა ვნახო, როგორი იქნება ამ ნაწარმოებთან პირველგაცნობის რეაქცია, ელჩინს ხომ სრულიად თვითმყოფადი, საკუთარი ხელწერის ავტორია აზერბაიჯანულ ლიტერატურაში. ვთარგმნიდი ხუთი თვის მანძილზე დინჯად, სვენებ-სვენებით, რადგან არ მინდოდა ასწრაფებით რამე დაკლებოდა ნაწარმოებს და ამიტომაც კაი ექვსი წელიწადი არსად გამომიჩენია. ალბათ ელჩინის შემოქმედებიდან პირველი თარგმანი იყო და იმიტომ (მოგვიანებით მისი “ტალავერიც” ვთარგმნი).

მოკლედ, ის დღე და ის დღე ელჩინი ჩემი უსაყვარლესი მწერალი გახდა და რა თქმა უნდა, როცა საყვარელი მწერალი, მადლობა ღმერთს, ცოცხალია, მასთან შეხვედრაზე ოცნებებს რა გამოლევს. თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს შემთხვევითობაზე დამოკიდებული რამ იქნებოდა, დაახლოებით ისეთზე, ჯადოსნურ ზღაპართა რიგს რომ განეკუთვნება, მაგრამ ვინ თქვა, რომ ზღაპარი, თუნდაც ჯადოსნური, სინამდვილეს არ ასახავს? (ელჩინს ერთი მოთხრობა აქვს “წითელი დათვის ბელი”, რომელიც ასე მოთხრობდა: “მაგრამ ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ სასწაული მარტო ზღაპრებში არ ხდება”).

2007 წლის გაზაფხულზე “კავკასიურ სახლში” ანთოლოგიის “თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე” წარდგინებაზე, ამ წიგნის აზერბაიჯანელი კონსულტანტი, პოეტი სალიმ ბაბულაოლი ჩამოვიდა. უნდა ითქვას, რომ ჩემი და სალიმის შემოქმედებითი თუ პიროვნული ურთიერთობა შოთა იათამვილის დამსახურებაა, რომელმაც ჩემი თავი ინტერნეტით გააცნო სალიმს და ინტენსიური მიწერ-მოწერა ამის მერე გაჩაღდა. მე სალიმს ქართული ლექსების აზერბაიჯანულ თარგმანებს ვუგზავნიდი, ხოლო იგი დაუზარლად

კითხულობდა მათ, უშურველად მაძლევდა რჩევებს და უანგაროდ მიბეჭდავდა კიდევაც ბაქოში. სალიმის პიროვნების მომხიბლობა თუნდაც ის გახლავთ, რომ იგი შედეგების საშუალებას მაძლევდა, რამაც მეტად სასარგებლო ფონი შექმნა ურთიერთგაცნობისა და პატივისცემისა. და აი, უკვე თბილისში მე და სალიმი პირისპირ ვსხედვართ და სხვა ყველაფერთან ერთად ელჩინზეც ვბაასობთ. მე ჩემს შთაბეჭდილებებს ვუზიარებ, სალიმი კი ყურადღებით მისმენს და შიგადაშიგ ჩემს დაკვირვებებს იწონებს კიდევ, რაც ძალზე მახარებს. როცა ყველაფერი ამოვთქვი, “მე შემიძლია ელჩინს შეგახვედროო” – სრულიად მშვიდად მითხრა. მე კი ლაპარაკის უნარი ნამერთვა და თვალები უაზროდ ავაფახულე. სალიმიმა მაცალა. ათიოდ წამის მერე სუნთქვა და ლაპარაკის უნარი ერთდროულად დამიბრუნდა – “ნუთუ ეს შესაძლებელია?” – ვეკითხები იდუმალი ხმით. “სავსებით” – დინჯად მითხრა და ამ ამბის მერე სამმა წელმა გამოირბინა.

კომპიუტერთან რამდენიმე საათიანი, ერთობ მომღელელი მუშაობის დროს, როცა ბათუმში გამგზავრების იმედი სასიამოვნოდ ეფონებოდა გულს და თავი “ნასასვლელად გახაზირებული მეგონა”, მარნეულის აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრიდან ლეილა ხანუმმა დამირეკა

– ბაქოს მივემგზავრებითო. არის ნუთები, როცა გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიიღო – ბაქო თუ ბათუმი, ბათუმი თუ ბაქო? დასვენება მოიცდის, საქმეა მთავარი – ვასკვნი ბრძნულად. ქალბატონი ლეილა და მე ვთანხმდებით, რომ კვორას - 25 ივლისს, 4 საათზე ვაგზლის მოედანზე ვიქნები (ეს მისი მოთხოვნაა), აგრეთვე, დადგენილ ვადაზე ადრე მე შემეძლება თბილისში ჩამოვიდე (ესეც ჩემი პირობაა) და ...

“ამგვარ ყოფით რომ მომთენთა, სატრფო თვით არ ითენთება? ცა გადაწვა ჩემმა მოთქმამ, ბედის კვარი არ ინთება?” (მ. ფიზული)

უკვე მერამდენედ ვრწმუნდები, რომ პოეზიას აქვს ძალა, მყისიერად გარდაქმნას ყოველგვარი გარემო და შექმნას ზოგიერთისთვის ოდენ სასიამოვნო, ზოგისთვის კი უფრო ღრმა – გონებისა და სულისმარგებლური აურა. ნებიერად მივჩაქჩაქებთ მე და ჩემი თანამგზავრები.

— ნოვხანიში რა გინდა? — გაცხებული მეკითხება სალიმი — აკი ბაქოში უნდა ჩამოსულიყავი?

ვუხსნი, რომ მეც არ ველოდი, თუ დასასვენებლად ჩამოვყავი და, ამდენად, გალიზიანებულიც ვარ, მაგრამ მეორე დღეს აუცილებლად შევხვდები. და აი, დგება ნანატრი

მეორე დღეც. ვიღებ ნებართვას და ჯგუფს ვეცალკევები. სალიმი ტაქსს მიგზავნის და სახლში მიხმობს. ეს ჩემდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატულებაა. სალიმს ქართულად დაბეჭდილ მის წიგნებს ვაძლევ და ჩვენი საუბარიც ლიტერატურის ირგვლივ ინაცვლებს.

სალიმი აზერბაიჯანული ტელევიზიებით არცთუ იშვიათად გამოდის. გადაცემა ხან მის შემოქმედებას ეძღვნება, ხანაც სხვა სტუმრებთან ერთად ლიტერატურაზე, მის თანამედროვე პრობლემებსა და სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს. ჩემი შეკითხვა-მოსაზრებებიც სწორედ ამ გადაცემებისთვის თვალისდევნებით აღძრული შეკითხვა-მოსაზრებებია. საქმე ისაა, რომ ერთ გადაცემაში ბჭობდნენ, შესაძლებელია თუ არა აზერბაიჯანში მწერალმა, პოეტმა და ა.შ. ჰონორარით ირჩინოს თავი? (ეს საკითხი ჩვენთან — საქართველოშიც აქტუალურია) დასკვნა კი გახლდათ ასეთი — არა და ვერ. ამის ვითომდა საილუსტრაციოდ იქ მსხდომთაგან ერთმა დაიქაღნა — ის თანხა რომ მომცენ, რაც მსურს, იგი უსაუკეთესოეს ნაწარმოებს შევქმნიდიო. ამ მეტად ფსევდოლიტერატურულმა კვებნამ ერთობ ჩამაფიქრა (რადგან როგორც არისტოტელემ ბრძანა: შემოქმედებითი ღწვა

“კეთილშობილური საქმიანობაა მოცალეობის ყამს”). მაგრამ ისევ სალიმიმა გამომარკვია ფიქრებიდან, როცა თქვა, რომ იგი ჰონორარებით კი არა, ჟურნალ “მსოფლიო ლიტერატურის” რედაქტორობით შოულობს პურს არსობისას ე.ი. მისთვის საკუთარი შემოქმედება დაზგა კი არა, მართლაც **“კეთილშობილური საქმიანობაა მოცალეობის ყამს”**, რაც მისი მხრიდან ლიტერატურის მეტად ჯანსაღი აღქმასა და სალიმი ამითაცაა საინტერესო.

ელჩინ ეფენდიევთან ერთად



დაბარულ შავ მინაზე ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები მისცემენ განცხადებას გაზეთში, რომ ეძებენ მხატვარს. და რომ არა ჩვენი უდიერი მზერა, რომლითაც მივეჯაჭვებთ მენინავე გვერდის სათაურს გადაურჩებოდნენ ფოთლები ღვობას.

(თარგმანი შოთა იათაშვილის)

სალიმი და მე აზერბაიჯანის მწერალთა კავშირისკენ მივბიჯებთ. ბაქოში ძალიან ცხელა და თან სანაპიროდან ზღვის სუნიც გვწვდება, და გულში ვწყევტ, რომ ბულვარში აუცილებლად უნდა გავიარო. მითუმეტეს სტრასბურგ-

ში გაცნობილ რამდენიმე აზერბაიჯანელ მეგობართან შეხვედრაც გვაქვს საღამოსთვის დათქმული. ამასობაში მწერალთა კავშირშიც მივედით. სალიმი სართულს მაცნობს ანუ სად რა არის განთავსებული, ან ვისი კაბინეტია. ვათვლიერებ კლასიკოს აზერბაიჯანელ პოეტთა და მწერალთა, ომში დაღუპულ შემოქმედთა სტენდებს.

სალიმის სამუშაო ოთახში შესულს პირველ რიგში წიგნთა სიუხვე მეცემა თვალში. ჩვენ წიგნებს ვათვლიერებთ და იგი რამდენიმეს მჩუქნის კიდევაც. საუბარში სალიმს ვეუბნები, რომ ელჩინის **“ხუთკაპიკიანი მოტოციკლეტი”** ჟურნალ **“ჩვენს მწერლობაში”** დაიბეჭდება და საერთოდ გადაწყვეტილი მაქვს მისი ათი მოთხრობა ვთარგმნო ქართულად და გამოვცე. ძალიან კარგი იქნება — მიწონებს და უცებ მეუბნება — გინდა ელჩინს შეგახვედროო. ვიგრძენი, თუ როგორ ამიჩქარდა მაჯისცემა — ნუთუ ეს შესაძლებელია? — ვკითხე სამი წლის წინანდელი გაცემით. — რა თქმა უნდა — სამი წლის წინანდელი დარწმუნებულობით მეუბნება სალიმი და ტელეფონს იმარჯვებს.

— ელჩინს ურეკავ? — ვეკითხები თრთოლვაშეპარული ხმით.

— არა, მის ასულს დაველაპარაკები — მამშვიდებს იგი.

მოკლედ, რამდენიმე გადარეკვ-გადმორეკვის შემდეგ, მეორე დღეს ექვსი საათისთვის შეუთანხმდა. ამასობაში მეც ხვალინდელ დღეზე დავიწყე ფიქრი, გონებაში წინასწარ მოვხაზე გეგმა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, და უკვე სალიმის ოჯახში ვახშობობის მერე სასიამოვნო ძილს მივეც თავი.

მთელი დღე დავებეტები ბაქოს ქუჩებში. განსაკუთრებით ძველი ბაქო მიყვარს თავისი ვიწრო შუკებით და ჩიხებით, ქალწულის კოშკთან რომ იწყება — თითქოს ისტორიის ლაბირინთებში დავმოგზაურებდე იმის შეგრძნებით, რომ აი, შევუხვევ თუ არა გვერდით, ფაზლულა ნაიმისა და იმად ედ-დინ ნაიმის ერთად მომავალთ შევეჩვენები. მერე ფაზლულას მონივნებისა და პატივისცემის ნიშნად ხელზე ვეამბორები (ნასიმი არ დამანებებს, თავის ოსტატთან არ გაბუდაყდება) და მათ ყაზალებს ვიტყვი განსაკუთრებულად ომახიანად. ბოლო დროს ვხვდები, რომ ნებისმიერი სიძველე, გარდა თავისთავადი ღირებულებისა, უფრო იმ ადამიანთა მოგონებებით ფასობს, რომელთაც კვალი დაუჩნევიათ მასზე.

სალიმმა შეხვედრა 5 საათზე შიდა ქალაქის მეტროსთან დამინიშნა.

სტამბულში იანიჩარებს ვეძებდი, სტრასბურგში მუშაობს.

ცხადია, მესმის, ასეთ შეხვედრაზე დაგვიანება არ ეგების, ამიტომაც 40 წუთით ადრე მივდივარ დათქმულ ადგილას, ვდგები ჩრდილში, მერე ბოლთას ვცემ — ვუყურებ ხან რას, ხან ვის. დრო მიიზღავენება. როცა ზადეგს ჰკითხავენ, რა არის ის, როცა ელოდები, ძალიან გვიან მოდის, და როცა არა — მალეო? დროო — პასუხობს ზადეგი.

ტელეფონზე საათი 5:25 წუთს აჩვენებს. მწყურია, სალიმი წუთი-წუთზე უნდა მოვიდეს, ამიტომ აქაურობას ვერ მოვშორდები. ნელ-ნელა ეჭვი მიჩნდება, სწორად მოვედი თუ არა, მინდა რომელიმე გამვლელს ვკითხო, და ამ დროს ჩემი სახელი მესმის. მყისვე წინ ყველა მიმართულებით ვიხედები, საიდანაც სალიმი შეიძლება გამორჩედეს, მაგრამ ის თურმე ტაქსში ზის და თან მომძახის, რომ ცოტა მოშორებით უნდა ჩავხტე მანქანაში, რადგან აქ გაჩერება არ შეიძლება. მე ჯეიმს ბონდური სისწრაფით ვწვევი მანქანას და სწრაფადვე ვიკავე ჩემს ადგილს. მანქანა სიჩქარეს უმატებს.

— წყალი ხომ არ გნება? — გვეკითხება მდივანი გოგო მისალეზში. — არა, გამდლობთ — ვუბნებით თავაზიანი, მაგრამ

აშკარად წყალმონყურებული ხმით. მდივანი მყისვე იჭერს ჩვენს ინტონაციას და მეორედ გთავაზობს. უკვე თავაბატიყის დრო აღარ არის, ჩვენ მადლიერი თვალებით ვენაფებით წყალს და ვიცდით.

ზუსტად 6 საათზე მდივნის ტელეფონი ირეკება და ჩვენ ელჩინის კაბინეტში შევდივართ.

“ტოლიკმა თავი გაიქნია და “ყველაფერს დედას ვეტყვიო” — დამემუქრა.

— **მაშინ დედა გაიგებს, რომ შენ ტბაზე იყავი — ვუთხარი ნიშნისმოგებით.**

— **მე არაფრის არ მეშინია — კატეგორიულად განაცხადა ტოლიკმა.**

— **არც მე მეშინია — მეც არ დავუთმე.**

— **არა, შენ გეშინია — მითხრა ტოლიკმა და მეც გამიკვირდა, ნეტა რისი მეშინია-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი ჩაფიქრება, რომ შენიშნა მითხრა: “აბა ნახე, როგორ გიკავივარ, გეშინია წყალში არ ჩავვარდე და არ დავიხრჩოო”.**

მშობლებს ძალიან გაეხარებდათ ეს ამბავი — კლასიკოს მწერალს ვხვდები. ელჩინმა თავაზიანად მიგვილო და პირველად სალიმმა ისიტყვა. მოკლედ დამახასიათა თუ ვინ ვიყავი, რას ვაკეთებდი და რატომ მინდოდა მასთან შეხვედრა. მისი ათი ნოველის თარგმნას და ერთ წიგნად გამოცე-



სალიმ ბაბულაოღლისთან ერთად

მას რომ ვაპირებ, ისიც არ გამოუტოვებია. თან წამოღებულ-
ლი ჟურნალი “მრავასახოვანი ქვეყანაც” გადასცა, სადაც
ელჩინის მოთხრობა “ტალავერი” იყო დაბეჭდილი.

— ეს ის მოთხრობაა, თუთის ხე რომ იპობა? — მე რომ
ავემეტყველებინე, კითხვა მოისაბაბა ელჩინმა

— დიახ. ამ მოთხრობას 1977 ჟურნალ “სმენას” მიერ
საუკეთესო მოთხრობებისთვის დაწესებული პრიზიც მიუ-
ღია. თანაც “თალვარი” ქართულად “ტალავერია”.

— მართლა?

— დიახ.

— ქართული სკოლა გაქვს დამთავრებული?

— დიახ. უნივერსიტეტიც.

— აზერბაიჯანულად კარვად ლაპარაკობ.

— გმადლობთ, ვცდილობ.

ილიმის.

— მირზა ფათალის და ჯალილ მამედყულიზადეს პიე-
სებიც უნდა თარგმნო. მათი მოღვაწეობა ხომ თბილისთან-
აა დაკავშირებული.

— ნამდვილად. მითუმეტეს, მირზა ფათალის “ხანის ვე-
ზირი” თვით აკაკი წერეთელს უთარგმნია თავის დროზე
და თვით მისი პიროვნებაც საკმაოდ ცნობილია განათლე-
ბული ქართველი საზოგადოებისთვის, რადგან დრამა-
ტურ გიორგი ერისთავთან მეგობრობდა.

— ძალიან კარგი. კლასიკოსები სჯობს, თორემ წინათ
თუ ყველა კოლმეურნობაზე წერდა და ამის გამო მწერლად
თუ პოეტად მიიჩნეოდა, ახლა ყველა პატრიოტობაზე დებს
თავს და ჰგონია უნიჭობას ლოზუნგებში მიჩქმალავს.

ამ ნათქვამიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ლიტერა-
ტურის “მოსათვინიერებლად” ყოველ ეპოქას თავისებური
მეთოდები აქვს, ოღონდ ზოგჯერ უფრო მკაცრი, ზოგჯერ
კი რბილი ან შედარებით რბილი და სხვადასხვა სახელებით
შეფუთული და რომ მართლაც მხოლოდ ჭეშმარიტი მწერ-
ლობაა ზედროული (რევაზ სირაძე).

გამომშვიდობებისას ელჩინმა თავის რჩეულ თხზულე-
ბათა ატტომეულით დამასაჩუქრა.

წიგნების შეკვრით ხელში ხალისიანად გამოვედით გა-
რეთ და 10 მეტრიც არ გვექონდა გავლილი, რომ მოხდა ის,
რაც ალბათ მხოლოდ პოეტებს გადახდებათ-ხოლმე თავს.
ერთი ძაღოვანი სტრუქტურის პოლკოვნიკი გვაჩერებს
მორიდებით და სალიმს ესალმება, ეუბნება, რომ ტელევი-
ზორში მის გამოსვლებს დიდი გულსისყურით ადევნებს
თვალს და სთხოვს, იქნებ თქვენი რომელიმე წიგნი მაჩუ-
ქოთო. გაოცებული სალიმი მას თავის ლექსთა პატარა
კრებულს “პოლკოვნიკს არავინ სწერს” ჩუქნის წარწე-
რით. პოლკოვნიკი მადლობის ნიშნად გვართმევს ხელს და
ჩვენც ვემშვიდობებით. ცოტათი გამანძილების შემდეგ
აღფრთოვანებული ვამბობ: “დიახ, ღირს ამისთვის წერა,
ბატონო სალიმ”.

შინ ჩამოსულმა ტელეფონში აქაური ნომერი რომ ჩავ-
დე, ზარმა შეტყობინების შემოსვლა მამცნო — “chvens
mwerlobashi” shemogvexmianet”-ო ინერებოდნენ რედაქ-
ციიდან.

ზურაბ ხასაია

შალვა ნუცუბიძე

შემიმჩნევია: ყოველი დიდი კაცი რომელიღაც სტიქიას
ჰგავს. შალვა ნუცუბიძე ნატეხია მზის. გამოხედვა მისი —
მზიანი. ეს ფოტოზეც ჩანს — მოედინება მზის ღვარი მისი
არსების შუაგულიდან; უხვად იფრქვევა თვალებიდან, ბა-
გეებიდან. წყვილი ქვეყნიური არ იცის მან. საცა მზეა,
იქ წყვილი არაა.

არსება მისი — ცეცხლის თამაში. თითქოს გუგუნებს
მძლავრი ნება, ვულკანური ტემპერამენტი. მზის ცეცხლი
სამანებში ვერ ეტევა, წყვილია შემეცნებას ლამობს.
ესაა მზის ერთადერთი ტანჯვა: ვერ ეღირსება ხილვას
წყვილია, ამ ერთადერთი მზეთუნახავისა.

ამ მზიურ ფეთქვითა და ძრობით აიხსნება შალვა ნუ-
ცუბიძის შემოქმედების ერთი საიდუმლო: ეს კაცი საზღვ-
რებში ვერ ეტევა. ვერც სიბრძნისმეტყველებამ, ვერც
სიტყვისმეცნიერებამ, ვერც ლექსმა, ვერც პოლიტიკამ ვერ
დაარწყულა მისი სულის დემონური, მზიური შიშშილი.

შემოქმედების ერთი სფეროდან მეორეში მიწყვიტე ხე-
ტიალი ორნაირი თქმულა. ერთნი აქეთ-იქეთ დაბტუნავენ
სიმჩაბისა გამო. მეორენი ყველა სფეროს ეკუთვნიან სი-
ლიადის გამო. სფეროთა დაცალკეება ისევე, როგორც
განწვალება ყოველი, ადამიანის გამოგონილია, მისი
შეზღუდულობის ბრალია. თავისთავად კი ყოველივე ერ-
თია. ხოლო ნამდვილი, დიადი სული იმთავითვე იმ ერთში
ბინადრობს. შალვა ნუცუბიძეს ამიტომ ეცოტავება ფი-
ლოსოფიაც, ფილოლოგიაც, პოეზიაც, პოლიტიკაც ცალ-
ცალკე. მათი ერთიანი ძირია სავანე მისი.

ასეთი მოაზროვნენი, ბუნებით თვისით, რენესანსს
ეკუთვნიან. შალვა ნუცუბიძის სტიქია აღორძინების ხა-
ნაა. ის ამ ხანაში უნდა დაბადებულიყო ან ეს ხანა მას უნ-
და შეექმნა. ამისთვის იყო ის მზად და ამად მოავლინა გან-
ებამ. მაგრამ წითელმა და სუსხიანმა საუკუნემ ჩაჭრა მი-
სი სულის თავისუფალი განვითარება და ოდნავ შეცვალა.
შალვა ნუცუბიძემ თავისი სიტყვა მაინც თქვა, მაგრამ
ქართული რენესანსი მისებრ ვერ ააბორგა.

ფილოსოფოსმა ნაპო კვარაცხელიამ ერთ-ერთ საუ-
ბარში თავისი ძველი, სიყმანვილისდროინდელი შთაბეჭ-
დილება გაგვიზიარა. შალვა ნუცუბიძე მაგონებდაო გო-
ნების მძლავრ მანქანას, რის წინაშე გაუგებარი და მიუკვ-
ლეველი არაფერი უნდა დარჩესო. შეადარე: მბორგავი
მზე, წყვილია სახილველად ატეხილი!

ანდრია რაზმაძე გამხდარა ავად — მათემატიკის ოქ-
როპირი. მისი საგანგებო კურსი მათემატიკოსებმა თურმე
ვერ იტივრეს. შალვა ნუცუბიძეს გამოუღვია თავი. ამ
კურსს მე ვიკისრებ, ოღონდ მოსამზადებლად ორი კვირა
მომეცითო.

შალვა ნუცუბიძე რომ იყო, იმიტომ გაბედა. ხოლო მა-
თემატიკის სიდიადე რომ ესმოდა, იმიტომ მოითხოვა
დრო.

იქნებ ეს ნათხზავიცაა, ოღონდ ცარიელ ნიდაგზე
არავინ არაფერს თხზავს. მე კი ღრმად მწამს: რა იყო მის-

თვის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა? — ლანდებისა და აჩონჩხილი რიცხვების იდუმალი პოეზია, რასაც, ალბათ, რუსთველის მოშველიებით აუხსნიდა და ასწავლიდა გაკვირვებულ მათემატიკოსს.

საქმეში ჩახედულ კაცს მუდამ გაუკვირდება ფილოსოფოსის პოპულარობა. მზესავით ნათელია, რომ ფილოსოფოსი ვერ იქნება პოპულარული კაცი, ხოლო პოპულარული კაცი — ფილოსოფოსი. ასეა, რადგან ფილოსოფია ხალხის უსახო და მძლავრი წიალიდან გამოყოფილი პიროვნების სიტყვაა. ფილოსოფია იქ იწყება, სადაც ხალხის უკვდავი მცენარე პიროვნებას გამოიბამს. ფილოსოფოსი ხალხის უშრეტ ძალას ისუნთქავს, ოღონდ სრულიად არახალხურად აზროვნებს. აი რატომ ვერ იქნება ის პოპულარული.

შალვა ნუცუბიძე კი აქაც იშვიათ გამონაკლისს ეკუთვნოდა. იგი სწორედ პოპულარული ფილოსოფოსი იყო. მისი სახელი და გვარი ყველამ იცოდა. მას უკიდურესად მივარდნილ სოფლებშიც მიაგებდნენ პატივს. სოფელ ბავშვს გამიგია მისი ცეცხლოვანი სიტყვის ამბავი. ეს მისი მზიანი აზროვნებით უნდა აიხსნას. ის მზეებზე ჭერებდა და ეფინებოდა. ინტუიცია, გრძობისეული შემეცნება იყო მისი საიმედო მეგზური.

აი, რა აახლოვებდა მას ხალხთან. ხალხს არ უყვარს განყენებული აზროვნება და ეგრეთწოდებული გონების ფილოსოფოსები. მას უყვარს მოჭრით, სხარტად, ცოცხლად მთქმელი.

ამიტომაც უყვარდათ შალვა ნუცუბიძე. ერთხელ, ქუთაისში მისი მოხსენება როგორღაც დამთხვევით საქართველოს საფეხბურთო გუნდის ყველაზე მნიშვნელოვან მოსკოვურ თამაშს, რასაც რადიოთი გადმოსცემდა ჩვენი ეროსი. ეს იყო მესამოცე წლის დაუფინყარი ბრძოლა დიდი იმპერიის თასისათვის. ქუთაისში ფეხბურთი უსაზღვროდ უყვართ, მაგრამ იმ მოხსენებას მსმენელი მაინც არ დაჰკლებია.

დიახ, ხალხს უყვარდა შალვა ნუცუბიძე. ისე, ზოგიერთის გულდასაწყვეტად, უნდა ითქვას: გენიოსი და ხალხი მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. მეცმუშაკსა და ხალხს უჭირთ ერთმანეთის გაგება; აგრეთვე გენიოსსა და სახელმწიფო მოხელეს. ბატონ შალვას მოხელეები აპატიმრებდნენ, ხოლო პატიმრები დიდად პატივსაც სცემდნენ.

საკანში მოსწონებიათ პატიმრებს. ა კაციო, უთქვამთ. ირგვლივ ეხვეოდნენ და უსმენდნენ. თვით ციხის დარაჯსაც კი ამოძრავებია ტვინი; ერთი, სარკმელი გამოაღეთ, მეც მოვიმინო.

მახსოვს, სამოცდაშვიდის შემოდგომის თბილი, მზიანი დღე ქართულ უნივერსიტეტში. სტუდენტები მივიპარებოდით ლექციებიდან ერთი ნამდვილი ლექციის მოსას-

მენად — სხდომათა დარბაზში შალვა ნუცუბიძის საჯარო ლექცია იყო დანიშნული.

უკვე სიბერეში გადამდგარი დიდი მოაზროვნე ფალავანივით მიემართებოდა ტრიბუნისაკენ. როცა ხელი შეაშველეს სცენაზე ასასვლელად, მან ცივად და მკვეთრად მოიშორა ზედმეტი მზრუნველები. ძლევამოსილებასა და თავის ფეხებზე დგომას იყო ჩვეული.

ხოლო სიტყვა დაემგვანა მზის ამოფრქვევას და სინათლის ემანაციას. მზიანი კაცი სრულად ბატონობდა თავის აზროვნებაზე. მუდამ იგრძნობოდა, რომ უსაზღვროდ მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა. თუ სხვანი ცდილობენ მეტი თქვან და ნაკლები გამოსდით, იგი ცდილობდა ნაკლები ეთქვა, მეტი კი გამოსდიოდა. ხანდახან გვეჩვენებოდა, რომ არც არაფერს ცდილობდა. უბრალოდ, შემოდგომის ალერსიანი მზე იფრქვეოდა და ყვავილობდა.

სამკაულის მარადქალური საიდუმლოებაც ღრმად ესმოდა — ბარაქიანად ამკობდა სიტყვას უცხოენოვან ამონარიდებით. სიტყვა ბერძენთა და ლათინთა, სპანიელთა და მოფრანგეთა შიგადაშიგ ციმციმ ეპარებოდა ქართულს და ზედ ემატებოდა, ვითარცა სამკაული — ქალის სილამაზეს. ხიბლი და მუხტი შეჰქონდათ მათ დიდ ქართულ სიტყვაში.

იმავე წლის შემოდგომაზე საკვირველი სურათი ვიხილე: ქართული უნივერსიტეტის მთავარი ბჭიდან გამოდიოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ილია ვეკუა, შალვა ნუცუბიძე. ასეთი დიდებული სამება, ვეჭვობ, მეორე მოქმენილიყო მაშინდელ დედამინაზე — დიდი მწერალი, დიდი მათემატიკოსი, დიდი შალვა ნუცუბიძე.

გავბედავ კონსტანტინესა და შალვას შედარებას მაშინდელი ნუთიერი შთაბეჭდილებიდან. კონსტანტინე — დუმისკაცი, სიტყვაძუნწი, შილენტიო-ს ერთგული.

შალვა — უხვად მეტყველი, მოძრავი, მოუსვენარი. კონსტანტინე — ღამისკაცი, მნათობი წყვდიადიანი, მჭმუნავი.

შალვა — დღისკაცი, მზიანი, ხალისიანი. კონსტანტინე — პირქუში, ჩაქურხებულ მზერით. შალვა — მიწყვი ეშმაკურად მოლიმარი, მბრწყინავი. კონსტანტინე — მეგრელი, ჭაობისეულ შავნაღვლიანობით დაჟამული, საჩხუბრად შემართული.

შალვა — იმერელი, შუბლგახსნილი და ენაკვიმატი, მოსალხენად განწყობილი.

მაგრამ კონსტანტინესეული ღამეც დიადი ჩანდა და შალვასეული დღეც, რადგან ერთიც და მეორეც ქვეყნიერების სიღრმიდან მოდიოდა. წყალწყალა და ზედაპირული არც სევდა ვარგა, არც სიხარული. პირველი აუტანელ



შალვა ნუცუბიძე

ნუნუნად იქცევა, მეორე — ქარაფშუტობად. სიღრმეში კი ორივე დიდებულია. იქ პირველი მისტიურ გრძობას შეერევა, მეორე — ნაყოფიერ გონებაჭვრეტას. ასეც იყო: დიდ ილია ვეკუას მხარს უმშვენიებდნენ მისტიური ღამე და მანათობელი მზე.

დიდი მოაზროვნეები კი უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდებიან. განსხვავება პატარათა თვისებაა. ნუნუნა და კურდღელი სხვადასხვაა ფრიად, რადგან სხვადასხვა სოროდან იჭყიტებიან შეშინებული თვალისცეცებით. სამაგიეროდ, ლომი და არწივი უფრო ჰგვანან ერთმანეთს, რადგან მათი სამყოფელი ერთი, უსაზღვროდ თავისუფალი სივრცეა. სორო, ბუნავი, ჯურღმული განაცალკევებს. თავისუფალი სივრცე აახლოვებს, აერთებს.

კონსტანტინესა და შალვას შორისაც მსგავსება მეტი იყო, ვიდრე განსხვავება. ისინი ერთნაირად აფეთქებული ერისკაცები იყვნენ. მათი მეთაური აზრი ქართველი ერის თავისუფლება იყო.

კონსტანტინემ მეფე გიორგის სახე დახატა. თურმე საქართველოს უბედურება ბერძენისადმი მონური მოკრძალება იყო და არ თვით ბერძენის უძლეველობა. ამიტომ მთავარი იყო ჯადოს მოხსნა ანუ შიშის დაძლევა. სწორედ გიორგი პირველმა გატეხა ეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ნავსი და შუბი აძგერა მის აღმატებულება ბერძენს. ამით ქართველმა იწყო თავისი ძალის შეგრძნება, რამაც საქართველო დავითის ზეობამდე მიიყვანა.

ამ რომანით კონსტანტინე მოუწოდებდა იმავე სამუშაოს ჩატარებისაკენ ჩვენს დროშიც. ქართველს ისევ უნდა დაეძლია უცხოეთის ჯადო, რათა თავის ძალებში დარწმუნებულიყო და ფეხზე დამდგარიყო.

უცნაურია, მაგრამ მონისა და ბატონის საძაგელ ურთიერთობაში წამყვანი მხარე სწორედ მონაა. იმდენად ბატონი არ ხდის მონას მონად, რამდენადაც მონა ხდის ბატონს ბატონად. ამიტომ საქმე სწორედ მონაშია და არა ბატონში. ქართველს საკუთარი თავი უნდა შეეცვალოს; გიორგიულ მესიის მახვილს ისევ უნდა გაეკვესა ბერძნულ ღამეში. მხოლოდ ეს უნამლებდა ქართლის ჭირს.

ზუსტად ასე გაიგო ქართლის ჭირი შალვა ნუცუბიძემაც. ამან ათქმევინა დიდი სიტყვა, რაიც მისი ცხოვრების ბიბლიურ ვარსკვლავად იქცა: უნდა მოელოს ბოლო დასავლეთისადმი ჩვენს ინტელექტუალურ მონობას!

დიდი ქართველის ეს მეთაური აზრი დღევანდელ საქართველოში სრულიად დავინწყებულია. ხოლო თუ შალვა ნუცუბიძის მთავარი აზრი არაფრად გვიღირს, მაშინ ღონისძიებად ქცეული ცარიელი იუბილეები არავის სჭირდება. იუბილის აზრი იუბილარისადმი პატივისცემაა. შალვა ნუცუბიძისადმი პატივისცემა კი მისი მთავარი აზრის პატივისცემაა.

შალვა ნუცუბიძეს ქართული მონობის სათავედ მიაჩნდა ქართული წარმოდგენა, რომ ჭეშმარიტება დასავლეთმა იცის. დიდებულიად ბრძანა სტოელმა ეპიქტეტემ: საგნები კი არ გვაშფოთებენ, არამედ საგანთა გამო ჩვენი წარმოდგენებიო.

წარმოდგენებია მთავარი და არა საგნები. ესე იგი, საქმე ის კი არაა, მართლა იცის თუ არა დასავლეთმა ჭეშმარიტება; საქმე ისაა, რომ ჩვენ ვფიქრობთ ასე. ქართლის ჭირიც იქიდან იწყება, რომ ასე ვფიქრობთ.

მართლაც, ვინც ფიქრობს, რომ ჭეშმარიტება სხვამ იცის, იგი ფიქრობს, რომ ჭეშმარიტება თვითონ არ იცის. ეს ჯერ კიდევ არაა უბედურება. ჭეშმარიტება არ ვიცი, მაგრამ იქნებ დასავლეთისგან გავიგო? უბედურება ისაა, რომ ჭეშმარიტებას დასავლეთისგან ვერ გავიგებ და მუდამ სიცრუეში დავრჩები.

ჭეშმარიტება გეოგრაფიულ მხარეებს არ ეტანება. ის არც დასავლეთშია და არც აღმოსავლეთში, არც სამხრეთში და არც ჩრდილოეთში. ჭეშმარიტება მეხუთე მხარეშია — სიღრმეში, შიგ გულში. ამიტომ გარეთ მაძებარი მხოლოდ შორდება მას. ხოლო ვინც ჭეშმარიტებას შორდება, ის სიცრუეში მკვიდრდება.

ცხოვრების წესად სიცრუე იქცევა; სიცრუე და ორპირობა, რაიც „ავენებს ხორცსა, მერმე სულსა“. ცრუ ცხოვრება კი ნელი კვდომაა. ის თვითმკვლელობის წყურვილია. მისი ერთი მხარე საკუთარის ნგრევაა, მეორე კი — ახალ-ახალი ბატონების ძიება. ბოლო წლებში ჩვენ ერთი მხარეც ჩინებულად გამოვამჟღავნეთ და მეორეც.

ჩვენი დღევანდელი ცრუ საფიხვნოები ცრუ ოქროპირობით აივსო. აიეტური ირანიზმისა და ფარტაზული ბიზანტინიზმის ძველი ფაზისისპირული დავა მერუსეებისა და მედასავლეთეების ლაყბობასა და ღრიანცელში გადაიზარდა. ხობისწყლის ტრაგედია კი გრძელდება.

შალვა ნუცუბიძის ზემორე მონობებში ჩვენი მედასავლეთეები მხოლოდ ცივილიზაციის უარყოფას ხედავენ. საკუთარ ეროვნულ სანყისებში ჩაღრმავება კი მათ თვითიზოლაციად და კარჩაკეტილობად ეჩვენებათ. მათ, როგორც იტყვიან, მტკიცედა აქვთ გადაწყვეტილი თვითმკვლელობა; სიკვდილის დემონით, თანატოსით არიან ვნებულნი.

შალვა ნუცუბიძე კი სიცოცხლისკაცი გახლდათ. იგი მხოლოდ ეროსით იყო სნეული. დოსტოვესკივით თუ ვიტყვით, მას ერთი სიცოცხლე ეცოტავებოდა და ბევრი სიცოცხლე სწყუროდა. სიცოცხლის უმრეტლა სიყვარულმა გააგებინა მას თავისუფლების დიადი მცნება: ქართველს საკუთარ თავში უნდა ჩაეხედა და თავისი ძალა ერწმუნა. დასავლეთს კი არ უნდა დავემონოთ, არამედ მასთან უნდა ვითანამშრომლოთ. მონას კი ჯერ არასდროს არავისთან უთანამშრომლია. მას მხოლოდ მონობა ძალუძს.

შალვა ნუცუბიძის გამჭრიახი გონება ისე ნათლად ხედავდა ქართლის ჭირის მიზეზს, რომ მასთან ბრძოლა ერთადერთ საგნად გაიხადა. და აღმართა მან თავისი ოქროცურვილი კალამი და ნაპერწკლიანი სიტყვა ქართული არასრულფასოვნების კომპლექსის მოსაკვდინებლად, ვითარცა მეფეთმეფე გიორგიმ — მესიის მახვილი. ამ საქმეში ის, დიდოსტატ კონსტანტინესთან ერთად, მთანმინდელთა, აგრეთვე „ქებაი და დიდებაის“ ავტორის დიადი საქმის გამგრძელებელია.

ამ დიდი მოსაზრებიდან უნდა შევხედოთ მის თეორიას პეტრე იბერისა და ფსევდოდოდონისე არეოპაგელის იგივეობის შესახებ. ამიტომ ამ თეორიასთან ზოგიერთი ქართველი მეცნიერის თეორიული დავა იმთავითვე მცდარი მგონია.

აკი ეს არ ყოფილა მხოლოდ თეორია. ეს იყო უცნობი ჰიმნოგრაფის იმ ქებათა ქების გაგრძელება. ეს იყო ქებათა ქებით ქართული სულის ხელდასხმით მეტაფიზიკური

აქტი. ამიტომ მასთან თეორიული დავა, უკეთეს შემთხვევაში, ერთგვარი დაბნეულობაა, რაიც მეცნიერებას სჩვევია ხოლმე.

რაოდენ სამწხაროა, რომ ეს დიდი წიგნი ჩვენ თითქმის დავივიწყეთ. „დასავლეთთან საქმიანი კონტაქტების“ გაგანია დროში ასეთი „განყენებული“ აზრებისათვის აბა ვილას სცალია. არადა შალვა ნუცუბიძეს ეს წიგნი ჩვენთვის უნდოდა, თორემ თავისთვის დაწერამდეც ჰქონდა. ჩვენ ეს წიგნი თვითონაც უნდა გვერწმუნა და სხვებისთვისაც ამაყად გვეჩვენებინა.

ხომ არ ნიშნავს ეს ჩვენი გულგრილობა იმას, რომ განკურნება არა გვწადია? რომ თანატოსის ვნებითა ვართ ატეხილნი?

განა იმავე დიადი მოსაზრებით არ თარგმნა ვეფხისტყაოსანი რუსულ ენაზე? მაგრამ საგანგებოდ უნდა შევჩერდე მის მთავარ ფილოსოფიურ თხზულებაზე, რაიც ფილოსოფიისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაწერა.

ამ თხზულებაში მან დასავლური კულტურის დაძაბუნება აჩვენა და გამოსავლად წინარედასავლური, იბერიული სულობის აღორძინება დასახა. ესაა ეგრეთწოდებული ალეთოლოგიური რეალიზმის დიადი გეგმა, რომელსაც განხორციელება არ ეწერა — „ინყებოდა სულიერი დიდმარხვის საბჭოური ხანა“ (ნაპო კვარაცხელია).

შეიძლება ითქვას: დასავლურმა ფილოსოფიამ არსებითად ახალგაზრდა ნუცუბიძის მიერ დასახული მიმართულებით იარა. მაგრამ გამარჯვებისა და პირველობისათვის დაბადებული ფალავანი, მწამს, სულ სხვა ვარსკვლავს აანთებდა; უფრო კაშკაშას, ვიდრე დასავლეთელმა ბატონებმა შეძლეს.

თხზულების აზრი დაახლოებით ასეთია: დასავლეთში ჭეშმარიტება დაიკარგა, რადგან ის სუბიექტური გახდა ანუ გაიგივდა ჭეშმარიტების შესახებ ადამიანის წარმოდგენასთან. ჭეშმარიტება კი თავისთავად არსებობს — ქვეყნიერება სიბრძნესა და უზუნაეს გონებას უპყრია. ის „მარჯვედ ნატყორცნი ნაგვის გროვა“ კი არაა, არამედ ბრძნული წესრიგი.

ამის დავიწყება დაიწყო იმით, რომ ღვთაებრივი თანდათან ადამიანურთან გააიგივეს. ამით ღვთაებრივი, ბრძნული თანდათან მოკვდა და სამყარო იქცა ადამიანის სამოქმედო მასალად ან შიშველ ნივთიერ ძალად.

ეს ადამიანის სულიერი გაკოტრებაა. მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ ღვთაებრიობის, ჭეშმარიტების აღდგენით, რაიც ადამიანსა და მის სამყაროზე უსასრულოდ მაღლა დგას.

ეს სიმართლე უპირველესად იმით გამოიხატება, რომ მასში დაპირისპირებულნი, არეოპაგიტულ-იბერიული წესით, ემთხვევა ერთმანეთს. ადამიანურ სამყაროში დაპირისპირებულნი მხოლოდ უპირისპირდება, ღმერთში კი ემთხვევა ერთმანეთს. დაპირისპირებულთა ასეთ ძირეულ დამთხვევად ესმოდა პეტრე იბერს ქვეყნის საფუძვლად მდებარე „ერთი“.

აი ამის ვრცლად დასაბუთება და მონუმენტურად წარმოჩენა იყო შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური მიზანი. ამ დიად გეგმას შეიცავდა ალეთოლოგიური რეალიზმი.

ბევრმა როდი იცის, თუ რად დაუკავშირა შალვა ნუცუბიძემ ეს ტიპურად არეოპაგიტულ-იბერიული აზრი მათ-

თემატიკოსსა და ფილოსოფოსს ბოლცანოს. ესეც ეროვნული მოსაზრებით მოხდა: პატარა ჩეხეთი არაა დიდ გერმანიასა ან ინგლისზე ნაკლები! ჭეშმარიტება არაა დიდი ერების საკუთრება. მასზე ერთნაირად მიუწვდებათ ხელი გარეგნულად დიდსა და გარეგნულად პატარას. მთავარია იყოს შინაგანი სიდიდე, სიღრმე.

აკი იგივეა ნათქვამი გოლიათისა და დავითის ბიბლიურ ამბავში. გოლიათს მასზე დიდი გარდანქეშანი კი არ ამარცხებს, არამედ კაფანდარა ყმანვილი დავითი; თანაც სათამაშო შურდულით, რაც, კაცმა რომ თქვას, არცაა იარაღი. ამით ნათქვამია: სინამდვილე და ძალა შიგნითაა, მთავარ განზომილებაში და არა გარეთ — სივრცესა და ნივთში.

არც პატარა საქართველოს აკლია რამე თავისი გარეგნული სიპატარავით. ის არაფრითაა ნაკლები გარეგნულად გოლიათ ქვეყნებზე, თუ ბიბლიური დავითით ირწმუნებს თავის ძალას. მისი შურდული უმძიმეს საჭურველსაც გადასწონის, ოღონდ იყოს შინაგანი ძალა, საკუთარი თავის რწმენა; ოღონდაც მოიშოროს ქართველმა მსახურული დამოკიდებულება ყოველივე უცხოსადმი, უცხოის საუცხოობის ცრურწმენა, ძველთაძველი ბიზანტინიზმი, ბერძენის, ბრძენისა და მბრძანებლის გაიგივების საბედისწერო ჩვევა, დასავლეთისადმი ინტელექტუალური მონობა.

სიკვდილის წინ უთქვამს, მიმიშვით, ღმერთს უნდა ვებრძოლო! ისიც, დიდოსტატ კონსტანტინეს დარად, ღმერთთან მებრძოლი იაკობის მოდგმისა იყო.

მელქისედეკ კათალიკოსისნაირთ ეს უღმერთობა, ღვთისგმობა ჰგონიათ. ის კი არ იციან, რომ ბიბლიურ ღმერთს სწორედ მასთან მოჭიდავე იაკობ-ისრაელი უყვარდა და არა მისი ძმა — წარამარა მოპირჯვარე ღორმუცელა ესავი.

აბრაამისდროინდელ ჰურიასტანის პატრიარქები თავიანთ ვაჟებს შორის მემკვიდრედ იმას ირჩევდნენ, ვის ძალასაც ჭიდაობით შეიმეცნებდნენ. თუ ვაჟი ჭიდაობა-გამოცდას კარგად ჩააბარებდა ანუ ღირსეულად დაეჭიდებოდა მამას, უკანასკნელი გულდამშვიდებული მიდიოდა ამქვეყნიდან.

ზემოვთ ბიბლიური ამბავი სწორედ ამ პატრიარქული მორალის უკუფენაა. ღმერთს ის ვაჟი უყვარს, რომელიც მას ეჭიდავება ანუ გაეჯიბრება შემოქმედებით — სვეტიცხოვლის შექმნით.

ეს მითი იყო კონსტანტინეს ცხოვრების დიდი სიზმარი. იგივე სიზმარი ცხადლივ იხილა შალვა ნუცუბიძემ სიკვდილის წინ. ისინი ერთი მოდგმისანი იყვნენ — ღმერთთან მორკინალნი.

ამის გამო იაკობმა ფერდი იღრძო და დაკოჭლდა.

ამის გამო არსაკიძეს მარჯვენა მოჰკვეთეს.

ამის გამო კონსტანტინე გამსახურდიას და შალვა ნუცუბიძეს კუბოს კარამდე ქვევსა და ტალახს ესროდნენ.

ასე დაკოჭლდნენ ისინიც. ცხოვრება კი სწორედ მაშინაა ნამდვილი, სისხლსავსე და ხალისიანი, როცა ღმერთთან ჭიდილში კოჭლდები იაკობივით.

ხოლო მოკვდავთაგან ნასროლ ქვევსა და ტალახს უკვდავნი სვეტიცხოვლის ასაშენებლად იყენებენ. მართლაც, ორივემ თავთავისი სვეტიცხოველი დაგვიტოვა, რათა შიგ შევიდეთ, განვიწმინდოთ და განვიკურნოთ.

ეკა ბუჯიაშვილი

და შრიალებდა მუხა ჭალაში

□

ღარაჯან ჩხიძის ნაამბობი

— ასე ნამიკითხავს: როცა დარდი შემოგანეება, ბავშვობა უნდა გაიხსენო, — უთქვამს ერთხელ ძმისთვის დარეჯან ჩხეიძეს და, იმას რომ ჩასცინებია — შენც ისეთი ბავშვობა გქონდაო — ამას ცრემლი მოსდგომია თვალებზე, აი, ისეთი ცრემლი, უცნაურად რომ დაიძრება ხოლმე სხეულის სიღრმიდან, თითქოს მთელი წარსული მოჰქონდეს თან, ცრემლი — ცხოვრების დამტევი, ერთდროულად ახლობელიცა და გაუცხოებულიც, ამამაღლებელიცა და დამთრგუნველიც, ჩვენი არსებობის მაღიარებელიც და უარმყოფელიც, თითქოს ზომაზე მეტად თბილიც რომ არის და ზომაზე მეტად მლაშეც.

ასეთი ხვედრი ერგუნებინა ამ ოჯახისთვის წერა-მწერალს.

თითქოს როსტომ რაჭის ერისთავის ბედისწერა გადმოჰყოლოდათ საუკუნეთა წარსულიდან — ტრაგიზმი მეფის მიერ ლალატი მიტყუებული და თვალებდათხრილი ერისთავისა ჩხეიძეთა საგვარეულოდან, სისხლიანი განაჩენი რომ ერგუნებინა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს, სასტიკი რბევა მოეწყო ამ ოჯახისათვის, მაგრამ მაინც ვერ ამოეძირკვა ეს შტო — არ ენერა გაქრობა ჩხეიძეთა ამ ბუდის სახსენებელს, იტრიაში რომ მოქებნიან საცხოვრისს, იქ მოიკიდებენ ფეხს...

და მოდიან, მოდიან... თავიანთ ტვირთს მოეზიდებიან, იმ ლოდებივით მიძმეს, ოთარ ჩხეიძეს ყელქცეულში, თავის მშობლიურ ეზო-კარში მამა-ბიძების ხსოვნის მემორიალუბად რომ დაუნყვია, წარსულის ხსოვნის, მარადიულობის, რალაც ძალიან ძვირფასისა და საკრალურის სიმბოლოდ.

ეს გვარი იმ მუხასავით გამერქნებულყო, მამა-პაპეულ ფუძეზე რომ შრიალებდა, თვითონაც ამ მუხას დამგვანებოდა, ფესვმაგარსა და განტოტვილს.

- კიდევ აწვიმდა...
- კიდევ ათოვდა...
- მეხთატეხაც არ აკლდა...
- მაინც მოდიოდა გაზაფხული...
- მაინც გამოიღებდა კვირტებს...

შეიფოთლებოდა და შრიალებდა... შრიალებდა... თავის ჩრდილქვეშ იფარებდა და მოათქმევიებდა სულს ჩხეიძეთა შთამომავალთ.

ბედისწერა კი სწორედ ამ მშობლიური სოფლის გზებზე ჩასაფრებულყო...

- გამოუძახებიათ...
- მამაჩემი — რევაზი კი არა, უფრო სწორად, მამის ბიძა — ერმალოზი, — მამაბობს ქალბატონი დარეჯანი,

— ასაკით მამაზე ცოტათი უფროსი რომ იყო, ცოლი სულ ახალი შერთული ჰყავდა.

— რუისში გიბარებენო, — უთხრეს.

მეუღლე სწორედ ამ სოფლიდან იყო და იფიქრა — მოყვრებს თუ დასჭირდათ რამეო — და მამაჩემიც გაიყოლა თან.

გასდგომიან გზას ბიძა-ძმისწული. ერმალოზ და რევაზ ჩხეიძეები.

გაივლის დრო და თავის მამა-ბიძების ხსოვნას ოთარ ჩხეიძე შემოქმედებაშიც რომ გადაიტანს, ამ პიროვნებებს პროტოტიპებად აირჩევს, თავის ნაწარმოებთა პერსონაჟებად აქცევს და სულაც მათ შემოაქსოვს არაერთი რომანის ქარგას. რევაზ ჩხეიძე როსტომ იტრიალად გადავა „ბორიაყში“. სამკვიდროდ არჩეული მინის — იტრიის სახელი გვარად გაცხადდება რომანში ამ ოჯახის წარსულის, მისი ტრადიციების სიმბოლოდ.

ოლონდ ეს მერე იქნება...
ჯერ კი...
1924 წელია...

— რუისში გიბარებენო, და ბიძა-ძმისწულიც დასდგომიან გზას, იმ გზას, რომელზეც ბედისწერას დაესწრო ჩანაფრება და ელოდებოდა, ელოდებოდა... მერე ფეხდაფეხაც გაედევნებოდა და... აიჭრებოდა ცაში კვამლი ზურგიდან მუხანათურად დაცლილი თოფებისა.

— რუისისაკენ მიმავალ გზაზე... — ასე ყვება ამ ამბავს ქალბატონი დარეჯანი, როსტომ ჩხეიძე კი თავისი მონოგრაფიის („შურისგება“) ერთ-ერთ თავში — „მოლოდინი გარდუვალისა“ — ასეთ ვერსიას გვამცნობს:

„რევაზი და ერმალოზი დაეპატიმრებინათ და სოფელ რუისის გომურებში ჰყავდათ გამოწყვდეულები სხვებთან ერთად. იქიდან გორში წაყვანას უპირებდნენ და, ჩანაფიქრით, გზაშივე უნდა დაეხოცათ „გაქცევის ცდისას“, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა. „გორის გზას გაუყენესო“ — იდიომურ გამოთქმად ქცეულიყო, რაც ნიშნავდა: „გზაში მოკლესო...“

რუისისკენ მიმავალ ბილიკებზე იქნებოდა თუ გორის გზაზე, ამაზე დაე მერე ემსჯელათ, მერე ეძიათ, მერე ემტკიცებინათ, ჯერ კი...

1924 წლის სექტემბრის დამდეგია.

ეროვნულ გამოსვლებს, წინააღმდეგობის მოძრაობის მცდელობებს უმაგალითო სისხლისღვრა უნდა მოჰყვეს და ცხადია, ვერც ერმალოზი გადაურჩება:

„თავის დროზე ჯერ ნითელრაზმელობა კატორღად რომ დაუჯდება — ათ წელიწადს გასტანს მისი ციმბირული ყოფა, დამოუკიდებლობის ჟამს ბოლშევიკები ოსებსაც რომ წამოშლიდნენ და მათი დამოშმინება გახდებოდა აუცილებელი ახალდაბადებული სახელმწიფოსათვის, ვალიკო ჯულელის რაზმშიც გაერეოდა დიმიტრისთან — უმცროს ძმისწულთან ერთად და შინ არ მობრუნდებოდნენ, ვიდრე ამბოხი მოიშუშებოდა“, — წერს როსტომ ჩხეიძე მამისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის „ავვისტოს შვილები“ იმ თავში, „ტერასაზე ელსინორისა“ რომ დაურქმევია.

არც რევაზ ჩხეიძეს დაუვინყებენ თავისას:

„ამ სამხედრო ექსპედიციაში არ მონაწილეობდა, მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლება, გამწყრალი და შურის-

საძიებლად შემართული ყველას მიმართ, ვისაც კი მათ მიერ შექმნილი აჯანყების კერები ჩაექრო 1918-21 წლებში, მაინცდამაინც რევაზს ჩასციებოდა და ბიძისა და ძმის ნაცვლადაც მას გაუმზადებდნენ პატიმრის ხალათს“.

— არა, მამაჩემს არ ერჩოდნენ, უთუოდ ეგონათ, ერმალოზს უფროსი ძმისწული ნაუყვანია თანო, და მამაჩემი კი შერჩათ ხელთო, — იტყვის ქალბატონი დარეჯანი.

როსტომ ჩხეიძე კი:

— ეგ არის ეგ, მთავარი მიზეზი — მის გამორჩეული გავლენა აფრთხობდათ, ორგანიზატორული უნარი უკარგავდათ მოსვენებას და იმდენად ძველ „ცოდვებს“ არ უხსენებდნენ, რამდენადაც მომავალი ბრძოლისაგან ესწრაფოდნენ მის ჩამოშორებას. მართლაც რომ გამდგარიყო განზე, აგვისტოს აჯანყებას მაინც საბაბად მოიხსენებდნენ მის დასახვრეტად, აბა როდემდე ეფრთხილებინათ...

1924-ის აგვისტო-სექტემბრის მიჯნაა.

დაუცლია ჯალათს თოფი...

ცაში აჭრილა კვამლი...

და გზაზე... რუისიდან გორისაკენ მიმავალ გზაზე მოკლული ბიძა და დაჭრილი ძმისწული ასვენია.

იჟღინთება მინა სისხლით...

ავისმომასწავებლად ტრიალებს ჰაერში თოფისნამლის სუნი...

ნამოინვეს...

ნამოიჩოქებს რევაზი...

იქვე შეჯგუფებულ ბავშვებს მოუხმობს. იქნებ სოფელში გაიქცეთ, ვინმეს გააგებინოთ, რომ ასეთ დღეში ვართო.

გაიქცვიან ბავშვები... ჯალათებს კი ნამოენვეიან თურმე.

— აქა და აქ გზაზე დაჭრილი კაციო, — შესჩივლებენ.

— მიბრუნებულან... არა, უფრო სწორად, ერთი, ერთადერთი მიბრუნებულა — ჩვენი მეზობელი რომ იყო, ისა, — ამბობს ქალბატონი დარეჯანი, — მიბრუნებულა და აღუსრულებია განაჩენი.

ამას რომ იხსენებდა ხოლმე დედა, ტიროდა, ტიროდა... რატომ არ ვიცოდით, როგორ არ ვიცოდით... ისეთი ყოჩალი ქალი იყო (პეტრიაშვილის ქალი), მარტო ნავეიოდა, მარტო მოიკიდებდა ზურგზე, მარტო მოიყვანდა სახლამდის...

სად ნაიყვანეს და სად დაასაფლავეს, არ ვიცი.

არც დედამ იცოდა ამის შესახებ რამე.

ოღონდ როცა ამას მიაბობოდა, იცრემლეოდა:

— ქმარი თუკი მომიკვდებოდა და ვიტყვებდი, ეგ კიდევ რა არის იმ უბედურებასთან შედარებით, რაც მე დამემართა. ქმარი არ მიტყრია, შვილო. ისეთი ქარბორბალა დატ-

რილდა ჩემს თავს, ცრემლი გამიშრა თვალში. 18 სული ვიყავით ოჯახში და მარტო მე დავრჩი. მამა-პაპის სახლი არ მივატოვე, წინაპრების კერა არ დაუკარგე შვილებსო.

მაგათაც დაგიხოცავთო, — უთვლიდნენ თურმე და შეშინებულ დიდდას ჩემი ძმები — ოთარი და ავთანდილი ფხვენისში გაუხიზნავს და ღამით ხან ერთ მეზობელთან აძინებდა თურმე და ხან მეორესთან.

დედამ კი:

— ფუძე არ მივატოვე, შვილო. ვიჯექი და მთელი ღამე ვაშლსა ვჩირავდი. ანკი რა დამაძინებდა, მთვარიან ღამეში რომ წამოიხედებოდა კაცი, თოფის ჩრდილი წინ მოდიოდა და, როგორ გინდოდა, ლული მიგეკარებინა თვალე-ბისთვისაო...

აი, იმ ცრემლგამშრალი თვალეებისთვისაო, — ამას უკვე ქალბატონი დარეჯანი დასძენს.

დილით დედ-მამის სოფელში გარბოდა ქალი — ბავშვები თუ არიან ცოცხლებიო, ღამით კი...

იჯდა და ვაშლსა ჩირავდა.

რა ჯავრი ჰქონდა ვაშლისა ან ჩირს რაში დაეძებდა, მაგრამ არ უნდა დასძინებოდა.

უნდა ეფხიზლა.

ავბედითი აჩრდილები დადიოდნენ ღამეულ გზებზე და სინათლეს უფრთხოდნენ.

ფუძის ანგელოზის სხივს უფრთხოდნენ.

მზესაც კიდევ... მაგ-

რამ გათენებამდე ჯერ კიდევ შორი იყო.

— დიდხანს გაჰყვა ეს შიში დედას. როგორც ყველაზე უმცროსი, ღამით მის გვერდით ვინეჭი და ხშირად გამიგონია, როგორ ყვიროდა სიზმარში შეშინებული დედა: ბავშვები არ დამიხოცოთ, ბავშვებს თავი დაანებეთო...

— რა იყო, დედა, რა დაგემართა-მეთქი, — ნამოვხტებოდი, ჩავებუტებოდი.

ის კი:

— არაფერი, არაფერიო... — დამამშვიდებდა.

როგორ გინდოდა დამშვიდებულყავი.

შიშსა და ძრწოლას მოეცვა ქვეყნიერება...

* * *

— მამა რომ მომიკლეს, დედა ფეხმძიმედ იყო ჩემზე, ხუთი თვის მერე დავიბადე.

ზამთარი იყო თურმე, დიდთოვლობა.

ჩამონგრეულა სიმძიმისგან ჩამონოლილი სახურავი სახლისა და შეშინებულ დედას ჰგონებია — ისევ თუ დაგვესხნენ, ისევ რაღაც უბედურება თუა ჩვენს თავსო.

დიდდა გადაფარებია მშობიარე ქალს. აი, ასე დავბადებულვარ.



დარეჯან ჩხეიძე

მამას პირველი მეუღლისგან უფროსი ვაჟი ჰყოლია — ბეჟანი.

„ისპანკით“ გარდაცვლილა ის ქალი — კვალიაშვილი ყოფილა გვარად.

ექვსი თვისა დარჩენია ბავშვი.

ყველანი ერთად ზრდიდნენ, მაგრამ მამაჩემის ერთ-ერთ ძალოს — უშვილო ქალი იყო — თავის თავზე აუღია მასზე მეურვეობა.

მერე... დედა რომ მოიყვანა, მამას უთქვამს:

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ ახლა ცოლი მყავს და დედობასაც ის გაუნწევსო.

ქვა აავდო და თავი შეუშვირა თურმე ძალუამისმა.

— არავითარ შემთხვევაში... მე ვზრდი და შვილადაც მე მივიღებო.

ენა რომ ამოიღდა ბავშვმა, დედაჩემს დასდევდა კუდში, დედა, დედაო, — ეძახოდა. ამაზე სულ გადაირია ის ქალი. მტრად გადაეკიდა დედაჩემს. იძულებული გახდა, ცალკე გასულიყო მამა.

ნითელა დაემართა საბრალო ბეჟანს, როგორც იმას, ისე ოთარსაც და ავთანდილსაც დაემართა.

მძიმედ გადაუტანიათ თურმე.

ფილტვების ანთებით გართულებია ბეჟანს და გარდაცვლილა.

ისე უნერვიულია დედას, ისე... ლოგინად ჩავარდნილა იმხანად.

ეს იყო პირველი დიდი მწუხარება.

მერე კი...

მერე მწუხარების მეტი რა ჰქონდა ჩვენს ოჯახსო.

ოჯახს, რომლის გარემოსაც რეალობიდან შემოქმედებაში გადაიტანს მწერალი.

პროტოტიპებად აირჩევს მამა-ბიძეებს, ვის ბედისწერაშიც საუკუნის ტრაგიზმი, მთელი ის პირქუში ეპოქა გაცხადდება.

— ყოფითობაში ასე გახლდათო, — წერს როსტომ ჩხეიძე — ბიძეები — გიორგი, ბაგრატი, ერმალოზი.

ძმისწულები — რევაზი, ჰაპოლა, დიმიტრი.

მხატვრული სინამდვილე კი ასე შეუწაცვლებდათ სახელებს:

ბიძეები — დავითი, კახაბერი, დიმიტრი.

ძმისწულები — როსტომი, გიორგი, ბაქარი.

რომანში გადაადგილდებოდნენ — აქ შუათანა გიორგია და არა ბაქარი.

„ბორიაცში“ არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, ამ ორთაგან უფროსი რომელი იქნებოდა, მაგრამ რადგანაც იმთავითვე განეზრახა მათი გადასვლა სხვა რომანებშიც, იქ უკვე მთავარ გმირებად, ზოგადი ქრონოლოგიისა თუ სხვა გარემოებათა მიხედვით ეს გადანაცვლება ემჯობინებინა მწერალს.

განზრახულთაგან მხოლოდ ერთი რომანი გვაქვს ხელთ: „ცხრანყარო“...

ზედვე ვერ მიაყოლა... ამასობაში სხვა რომანები წამოენია და...

ისტორიული ქრონოლოგიით „ბორიაცს“ უშუალოდ გააგრძელებდა ეს რომანი, ის თუ 24-ის ტრაგედიას წარმოსახავდა, ეს 37-ის სისხლსა და ვარამსო...

ქართველებად გადაივლიდა ეპოქა იმ ეზო-კარზე,

ნლების მერე ოთარ ჩხეიძე თავისი წინაპრების მემორიალად რომ აქცევს.

შრილებდა მუხა, ძლიერ ფესვზე აღმოცენებული.

იმ ქართველებს გაურჩებული, არაფერს რომ არ ეპუებოდა, მაინც იკვირებოდა, მაინც იფოთლებოდა და იტოტებოდა...

იქ, ჭალაში კი მარადიული მდუმარებით ესვენენ დიდი ლოდები, თვითონაც მარადიულობად ქცეულნი, რალაც საკრალურს, რალაც წმიდათაწმიდა საიდუმლოს რომ ინახავდნენ.

მერე 1930-იც მოვიდა, — აგრძელებს თხრობას ქალბატონი დარეჯანი.

— უნდა გადაგასახლონო, — ეთქვათ დედისთვის.

მდიდრებს ემტერებოდნენ, მაგრამ, აბა, რა მდიდრები ჩვენ ვიყავით, ისე წაელოთ ყველაფერი ჩვენი ოჯახიდან, კოვზი და ქვაბიც არ შეერჩინათ ჩვენთვის.

ის დიდი სახლიც ჩამოერთმიათ და თითო პატარა ოთახი გამოეყოთ საცხოვრებლად.

— დიდთოვლობა იყოო, — ასე მიაშობოდა დედა, — მაშინ ჯერ კიდევ ყელქცეულში ვიყავითო...

ოთხი კლასის მერე ფხვენისში გადავედით მე და ავთანდილი, იქ იყო სკოლა, დედის ბიძებთან — ილიასთან და იასონთან — ვცხოვრობდით. ძალიან გვპატრონობდნენ ობლებს.

მერე ის ძმებიც გამოეცალა დედას. ერთი ომში დაიკარგა. მეორე, ილო, კი 37-ში გადასახლეს. რაიკომის მდივანი დაეჭირათ ერთი და დაუბეზლებიათ ილო: აქ რომ ჩამოდიოდა ის რაიკომის მდივანი, მაგას ელაპარაკებოდა ხოლმეო. გულაგში გაუგზავნიათ. ხის ჭრაზე მუშაობდა. მოჭრილი ხე დასცემია და ასე დალუპულა.

მერე ამაზე ტიროდა დედა...

მაგრამ ამ ცრემლამდე კიდევ ერთი დიდი ელდა და შიში უნდა გადაეტანა.

უნდა გადაგასახლოთო, — აკი ასე ეთქვათ მისთვის.

და მიაშობოდა დედა:

— მთელი ღამე ლოგინზე ვიჯექი და ვერ ვიძინებდი. ყოველ წუთს ველოდი იმ ავბედით კაკუნს კარზე. როგორც მე ვიჯექი, ისე — თქვენ. ვერაფრით ვერ დაგანვინეთ, ასე ამბობდით:

— შენ დაიძინე და ჩვენც დავწვებითო.

დავწვებოდი. დავხუჭავდი თვალებს. ვბორგავდი, ებორგავდი... წამოვდგებოდი ისე და თქვენც წამოიშლებოდი... რალაცას თუ გრძნობდით...

გინდა თუ არა, შენც დაწექიო, — დაგეჩემებინათ და ასე დაგვათენდა თავსო.

დედის ნათესავს გაეგო ეს ამბავი. ამოუკითხავს ეტლით გორიდან და უთქვამს: დაჯექი, ბავშვებიანად გორში წაგიყვან. ნიჭიერი ქალი ხარ. იქ რამე პროფესიას დაუფლები, შეილებსაც უკეთ დაზრდი და შენც უფრო მშვიდად იქნებიო.

— არაო, — უთქვამს დედას, — ჩემს შვილებს მამა-პაპეულ ფუძეს ვერ მოვუშლი, კერას ვერ გავუცივებო...

ასე გრძელდებოდა ჩვენი ცხოვრება ყელქცეულში.

მუდმივ შიშსა და ძრწოლაში...

გაჭირვებაში... გაჭირვებაში...

აბა, ბავშვობა მოიგონეო, — ეთქვა ვილაცას გულის გამოსაკეთებლად, ეგონა, სანუგეშოს ვეუბნებო.

მოიგონებდია და... იღვრებოდა ცრემლად.

მერე იყო სწავლის წლები...

მკაცრად გვზრდიდა დედა. ამდენ გაჭირვებას, განსაცდელსა და მარტოობას თითქოს მამაკაცური ძალა შეეძინა მისთვის.

— თქვენი მამა-პაპანი ისეთები იყვნენ, ან კარგები უნდა იყოთ — ისეთები, ყველას რომ სჯობდეთ, ან არადა თუნდაც დაიხოცებითო... — გვეუბნებოდა, და ჩვენც ისე გვეშინოდა ამ დახოცვისა, ვსწავლობდით და ვსწავლობდით... ვიკლავდით თავსა... უბრალო საქმე ხომ არ იყო, მარტო კარგი რომ ყოფილიყავი, ეს კიდევ შო, მაგრამ ჩვენ ყველასთვის უნდა გვეჯობა და არ ვიზოგავდით თავს „დახოცვის“ შიშით.

დედაჩემისვე ნათქვამია:

— ჩხეიძენათ ქალები კარგები არიანო, და ჩემს პაპიდებს გაიხსენებდა-ხოლმე — მარალოსა და ანიკოს. ანიკოს მეუღლე გორის მაზრის ეპისკოპოსი იყო (მაშინ გორის მაზრა ახალციხიდან მცხეთამდე გრძელდებოდა). მისი პორტრეტიც გვექონდა — გიორგი ჟურულის დახატული. ჰოდა, ამ ანიკოს ისეთი თვითგანათლება მიეღო, ისეთი ნიჭიერი იყო და ხელსაქმეც იმგვარი იცოდა, სალონი დაუარსებია და ლიტერატურულ-შემოქმედებით საღამოებს მართავდა. ისე გაეთქვა სახელი ამ სალონს, რომ იქ მოხვედრილი ქალიშვილები მარტო ამ სახელის გამო თხოვდებოდნენ თურმე.

თქვენ ისეთი მამა-პაპანი გყავდათო...

აკი ასეც იყო.

აკი მათი ეს სიკარგე და სიმამაცე აშინებდათ და ამიტომაც მოენწყოთ სასაკლავო მათთვის.

ამის გამო ამოეღოთ მიზანში ბავშვების ბიძაც — დიმიტრი ჩხეიძეც.

* * *

ოთარ ჩხეიძე „ბორიაცში“ მამის სილუეტს დასანყისშივე რომ გამოკვეთს — ნატბისის მიწაზე მუსიკოსის გამოჩენისთანავე პირველად ის რომ გამოეცნაურება მგზავრს, სუფრის აღწერისას მწერალი რევაზ ჩხეიძეს გამოთვლებს და მის ძმას დახატავს ორიოდვე ექსპრესიული სტრიქონით, რეალობაში დიმიტრი რომ ერქვა და რევაზისა და ერმალოზის დახვრეტის გამო მოეკლათ: აუცილებლად შურს იძიებს, ტყეში გავარდება და სადღა ვეძებოთ, მძიმე დღეში ჩავგყრის, მითუმეტეს, რომ მფარველი და ხელისგამმართავიც არ მოაკლდება.

„მოხდენილი ვაჟკაცი, უებრო მოცეკვავე, უებრო და სწორუპოვარი, გამოსაჩენი და გამოჩენილი ყველა ნადიმზე, ყველა მეფლისზე, გაქცეული თუ განდევნილი მთავრობა რომ მართავდა განსაკუთრებული ზემოებისა თუ უცხოელებთან პოლიტიკური ან საგაჭრო-ეკონომიკური გარიგებების აღსანიშნავად; საქმიან დროს მარჯვე ხელი გვარდიელთა უფროსისა, თუმცა გარეგნულად არ ეჭირა მაღალი თანამდებობა, მაინც ყველა იცნობდა, ყველამ იცოდა მაშინაც, მერეცა, რა ვუყოთ თუ დაეგდო ფორმა გვარდიელი ოფიცრისა, ხნულში ჩამდგარიყო, ხნულსა რწყავდა, თესვა უნდა დაწყებულიყო“, — ასე გამოკვეთს დიმიტრის პორტრეტს ოთარ ჩხეიძე.

— ჩემი მამა-ბიძა გზაზე რომ მოკლეს ჯალათებმა, არ ეგონათ რევაზი თუ მისდევდა ერმალოზსა, შვილო, — ასე ყვება ამ ამბავს ქალბატონი დარეჯანი, — უთუოდ იმას ფიქრობდნენ, ძმა — დიმიტრი ახლავსო და მამაჩემი კი შერჩათ ხელთ. მიხვდნენ: დიმიტრი ამას რომ გაიგებს, არ გვაპატიებსო და მეორე დღესვე ნათლიმამა მიუგზავნეს. მამა-პაპეული ეზოდან გამოიყვანეს, ვითომდა რაღაც საქმეზე ეძახდნენ. არ მცალიაო, — უთქვამს, — წალდი ეჭირა ხელში, — რაღაც სამუშაო მაქვს, თან მარტო ქალები არიან შინო.

— ცოტა ხნით, სულ ერთი წუთით გამოდიო.

გაუყვანიათ. ზურგიდან მიპარვიან და მოუკლავთ.

ეს არ უქმარიათ, მთელი სოფელი გაუფრთხილებიათ: არავინ მიეკაროთო.

ასვენია ძირს სიცოცხლეს ღალატით გამოსალმებული დიმიტრი ჩხეიძე და ადამიანიშვილი არ ეკარება, რომ შინ მაინც შეასვენონ მიცვალებული.

კაცი აღარ შერჩენია ოჯახს და სოფელშიც არავინ გამოჩნდება კაციშვილი, მათ რომ გამოესარჩლოს.

ქალები ასწვევენ.

ქალები შეიყვანენ.

ქალები დაასაფლავებენ ისე, რომ გასუდრულია შეშინებული სოფელი.

— ის ავისმომასწავებელი განცდით დამუხტული გარემო, მძაფრი მოლოდინით განმსჭვალული ის მშვიდი განგაში, რაც გაბრიელ გარსია მარკესის მოთხრობაში — „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ — სუფევს, ჩემთვის ბავშვობიდანვე მეტად მახლობელი იყო და ამ მოთხრობის წაკითხვამ განსაკუთრებულად ამიტომაც იმოქმედო, — დაწერს როსტომ ჩხეიძე თავის მონოგრაფიაში „შურისგება“, რომელშიც პაპის ძმის მკვლელობის ტრაგიკულ ეპიზოდს მარკესის გმირის სანტიაგო ნასარის მკვლელობას გადააჯაჭვავს და იტყვის:

— მორალისტიკისათვის ეს ამბავი თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რომ თუ არა საზოგადოების გულგრილობა, თუ არა წამხდარი ზნეობა და სულში იდუმალად მოფუსფუსე ულმობელობა, მისი თავიდან აცილება სრულიად უბრალოდ იყო შესაძლებელიო.

მთელმა ქალაქმა იცის, ტყუილ ძმები პედრო და პაბლო ვიკარიოები ნასარს მოკვლას რომ უპირებენ, ერთადერთმა ნასარმა არ იცის არაფერი და არც არავინ გააფრთხილებს: შურისძიებას გაერიდო.

ელიან: როდის აღსრულდება გარდუვალობა.

ელიან მძაფრი მოლოდინით, ელიან მშვიდი განგაშით.

და თუ სროლის ხმა გაისმის, ყველამ დაბეჯითებით იცის, ბედისწერა აღსრულებულიაო, რადგანაც თურმე ამ გასროლას იყვნენ მიყურადებულნი.

„გასროლა“ მეტაფორულად ითქვა, მაგრამ მაშინ, როცა პაპაჩემის ძმა გამოასალმეს სიცოცხლეს, სწორედ სროლა მოისმა და ყველამ დაეჭვებულად ეს თქვა ან გაიფიქრა: მიტო მოკლეს!

ისინიც ელოდნენ ამ გასროლას, ელოდნენ ჟინით, ელოდნენ გულისფანცქალით: მთელმა სოფელმა იცოდა, დიმიტრი ჩხეიძის მოკვლა რომ მზადდებოდა.

არ იცოდა მხოლოდ თვითონ.

და არავინ გააფრთხილა, კაცი არ აღმოჩნდა, ვინც ურჩევდა აქაურობას გაერიდო“, — წერს როსტომ ჩხეიძე.

არადა, მამა-პაპათაგან ანდერძად გადმოსცემოდა ამ ოჯახს: სიკეთის ქმნის ნიმუშნი ყოფილიყვნენ ყველგან და ყოველთვის, პატრონად მოვლენოდნენ ყველა გაჭირვებულს, მფარველად — ბედისგან დაჩაგრულს.

აკი ასეც ცხოვრობდნენ.

დიდი შიმშილობები რომ დამდგარა, რამდენჯერ ბელღების კარები დაუხსნიათ თურმე და მთელი სოფლისთვის უბოძებიათ ხორბალი.

იმ დღეს კი...

იმ ავბედით დღეს, ლალატით რომ მოეკლათ დიმიტრი ჩხეიძე, შემზარავი სიჩუმით გაყუჩებულიყო ეს სოფელი.

ქალები გააპატიოსნებენ.

ქალები დაკრძალავენ, ის ქალები, კაცი რომ აღარ შერჩენიათ ოჯახში და სოფელშიც კაციშვილი არ გამოინდება მათი ქომაგი.

ამ გარემოს, თუ როგორ არის ის გაჟღენთილი გარდაუვალი ტრაგედიის მოახლოებით, ოთარ ჩხეიძე აღწერს თავის ნოველაში — „მარიამობა“, რომელიც სწორედ ამ ნამდვილი ამბით არის შთაგონებული, ოღონდ თავისებურადაა სახეცვლილი.

როსტომ ჩხეიძე კი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს:

„რევაზი და ერმალოზი წინა ხანებში დაეპატიმრებნათ და სოფელ რუისის გომურებში ჰყავდათ გამომწყვეთელი სხვებთან ერთად. მეორე დღეს უნდა გაუყვნონ „გორის გზას“...“

1924 წელია. აგვისტო. ფერიცვლობა ახლოვდება...

ეროვნულ გამოსვლებს, წინააღმდეგობის მოძრაობის მცდელობებს უმაგალითო სისხლისღვრა უნდა მოჰყვეს და მათი ხსნაც ყოვლად წარმოუდგენელია. ეგ არის, ჯალათებს მიტო აფიქრებთ: თავისიანების დახოცვას რომ შეიტყობს, არც გვაპატიებს და ვერც ვერაფერი დაუდგება წინ — უეჭველად შურს იძიებსო. მისი წინასწარ ჩამოცილებაც ამიტომ განუზრახავთ და ერმალოზისა და რევაზის მკვლელობამდე ჯერ მას გამოასალმებენ სიცოცხლეს“.

მიტო მოკლეს! მიტო მოკლეს! მიტო მოკლეს! — გაიფიქრებენ თუ იტყვიან თანასოფლელები გასროლის გაგონებისთანავე.

ორიოდ დღეში კი პატიმრებსაც ჩახოცავენ გორის გზაზე.

თუ არა საზოგადოების გულგრილობა, თუ არა წამხდარი ზნეობა და სულში იდუმალად მოფუსფუსე უღმობელობა, მისი თავიდან აცილება სრულიად უბრალოდ იყო შესაძლებელიო...

მაგრამ ეს ყველაფერი, ბედისწერასთან ერთად, სოფელსაც სასტიკი განაჩენივით გამოუტანია დიმიტრი ჩხეიძისათვის.

და კიდევ გადაქცეულიყო ეს საბედისწერო მოლოდინი გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკად.

* * *

— მამაჩემის სხვა ბიძები — პაპაჩემის უფროსი ძმები — გიორგი და ბაგრატი — ციხეში ისხდნენ და ცოტა რომ მიწყნარდა ყველაფერი, გამოუშვეს, — განაგრძობს თხრობას ქალბატონი დარეჯანი, — როგორც თავადები, ისე დაიჭირეს, მერე დანაშაულად რა დაუმტკიცეს და რა არა, ეგ უკვე აღარ ვიცი, შვილო, მაგრამ გამოუშვეს კია.

ჩიტაძის ქალი იყო ერთ-ერთი პაპის ცოლი. თავისი კაცი დაეხვედრებინა მათთვის და გაეფრთხილებინა, სოფელში ნუ დაბრუნდებითო... და ისინიც თბილისში წასულან. არც სახლი ჰქონდათ, არც კარი, დის ოჯახს შეკედლებიან.

მერე შეუძენიათ პატარა სახლი ქალაქის ძველ უბანში.

როცა დაბინავდნენ, ოთარიც თან წაიყვანეს, ავთანდილი და მე კი დედასთან დავრჩით, ყელქცეულში, მერე აკი ფხვენისში შევეფარეთ.

თუ რამ გააჩნდა დედას, ჯერ ოთარსო, — ამბობდა და მას უგზავნიდა ყველაფერს. ქალაქს უფრო უჭირდა, შვილო, სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო, არც სამუშაო მოიძიებოდა და არც არაფერი.

თბილისში რამდენიმე სკოლა გამოიკვალა ოთარმა.

მიხეილ კეკელიძესთან (შემდგომ კალათბურთის ალიარებულ მწვრთნელთან, მისი სახელობის სკოლაც არსებობს დღესდღეობით დედაქალაქში) მეგობრობდა, ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს. ცელქები იყვნენ. მეორე ცვლაში სწავლობდნენ და ერთხელ ნათურებში ქალაღებში ჩაუჭედიათ. არ აინთო თურმე სინათლე და ჩაშლილა სწავლის პროცესი. გამორიცხეს სკოლიდან (ბოტეს სკოლას ეძახდნენ) ორივე. არადა, სხვაგანაც არ იღებენ. ჯერ ერთხელ რად დასჯდომოდათ, ჩხეიძე რომ მიელოთ სკოლაში და ახლა კიდევ სხვა სასწავლებელი გახდომოდათ მოსაძიებელი. აკი არც მიიღეს იმ სხვა სკოლაში. ძია ერეკლე ჩაერია მერე და როგორც იქნა მოგვარდა ეს საქმე. მერე იმ მესამე სკოლის დირექტორი მადლობას უთვლიდა ბოტეს სკოლას: ეს რა კარგი ბავშვები გამოგიზავნეთ, ასეთები კიდევ არ გყავთ, ჩვენთან რომ გამოყაროთ?

ნიჭიერი იყო ოთარი ძალიან. მახსოვს პატარაობისას, სცენარებს წერდა. შემოიკრებდა ხოლმე სოფლის ბავშვებს. ჩამოაფარებდნენ ფარდაებს და დგამდნენ სპექტაკლებს.

ერთი წინსაფარი ჰქონდა დიდედას და იმ წინსაფრის ჯიბეში ყოველთვის ეწყობო ტკბილეული. ჩვენთან რომ გადმოვიდოდა ხოლმე, ოთარს ვერაფერ დაასწრებდა მასთან მირბენას. გამოვეკიდებოდი ჩვენცა, ვიყავით ერთ ამბავშია... დიდედა ეტყოდა-ხოლმე დედას: ძალიან ცელქია, შვილო, ოთარი, ხის კენწეროებს მოექცევა-ხოლმე და გააფრთხილო.

როგორ გინდოდა გაგეფრთხილებინა

ეჰ, რა ვიცოდით მაშინ, რამდენი გაჭირვება გველოდა წინ კიდევო... — ამბობს ქალბატონი დარეჯანი.

ძია ერეკლე რომ არ ჩარეულიყო...

ერეკლე ტატიშვილს გულისხმობს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებად რომ ერგებოდნენ ერთმანეთს ის და რევაზ ჩხეიძე. ხუთი წლით უმცროსი რომ გახლდათ რევაზი და მაგალითად დაესახა თავისი მამიდაშვილი, ვისაც ყველა განსაკუთრებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

„ფილოსოფოსის, სტოიკოსის სული იმთავითვე რაბუდებულიყო მასში და გარეგნულს იოლად არაფერს ასდევდა, თუმცა გატაცება დიდი სჩვეოდა და ასე ჩანთქმულიყო ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, მოგვიანებით კი პოლიტიკაშიც, ლამის სულაც ჩაკარგულიყო იმ ლაბირინთებში“, — ასე ახასიათებს მას როსტომ ჩხეიძე („აგვისტოს შვილები“).

— პაპასაც ძალიან უნდოდა რევაზი ერეკლესთან ერთად გაეშვა სასწავლებლად უცხოეთში, მაგრამ... — თვალში ჩამდგარ ცრემლს შეიმშრალეს ქალბატონი დარეჯანი და განაგრძობს, — მერე, წლები რომ გავიდა, ასეთი ამბავიც მოხდა:

იმ სკოლის დირექტორს, ოთარი და მიხეილ კეკელიძე რომ გამოირიცხა, რომელიღაც საგანი ჰქონია ჩასაბარებელი უნივერსიტეტში დიპლომის ასაღებად (ეს ის დრო იყო, დიპლომები რომ მოკითხეს ყველას). ძია ერეკლე მხოლოდ უცხო ენების ფაკულტეტზე კი არა, იურიდიულზეც კითხულობდა ერთ-ერთ საგანს, მგონი დიპლომატიის ისტორიას, და აი, ის საგანი ჰქონია ჩასაბარებელი იმ დირექტორს. ეტყობა, დიდი ტვინის პატრონი არ ყოფილა, გაუკითხავს-გამოუკითხავს, ვისთვის შეიძლება მიემართა დასახმარებლად — ძია ერეკლესთან რომ მიჰყოლოდა — და როცა გაურკვევია, ხელები გაუსავსავებია: ოთარ ჩხეიძე ორი სკოლიდან მყავს გარიცხული და მასთან როგორ მივიდე სათხოვნელადო. მაგრამ სხვა გზა რომ ვეღარ უპოვნია, მაინც მისულა

სამაგიეროს ხომ არ გადაუხდოდა ოთარი, შვილო, მიაკითხა ძია ერეკლესა — დიდი გამბედაობა უნდოდა იმასთან მისვლას, რადგან ცოდნის გარეშე არავის და არაფერს არ სცნობდა — და უთქვამს:

— აი, ორი სკოლიდან რომ გამომაგდო და კარდაკარ მინია სიარული, იმ კაცის თხოვნის გამო ვარ მოსულიო...

უცინია ძია ერეკლესა... უცინია...

— რაკი შენ მეუბნებიო... — უთქვამს.

აბა, მაშ სამაგიეროს ხომ არ გადაუხდოდა, შვილო, ოთარი მაგის კაცი არ იყო...

სიტყვა გამეცქა და ისევ დაუბრუნდები თხრობას. რას გაიმბობდით და... სწავლის წლებზე გიყვებოდით:

მერე ის იყო, რომ ავთანდილმაც ჩააბარა უნივერსიტეტში, ისტორიულზე. ეს ომი რომ დაიწყო, დედამ ვეღარ შეძლო გაძლოლა და ავთანდილმა თავი დაანება სწავლას, მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი სკოლის დირექტორად. მერე... ომის შემდეგ ფილოსოფიური დაამთავრა და განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა მთელი 40 წელიწადი.

ეს ის ავთანდილ ჩხეიძეა, იაკობ გოგებაშვილის სახელისა და ღვანლის დიდი პატივისმცემელი და მოამაგე რომ იყო. სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნის როსტომ ჩხეიძე იაკობ გოგებაშვილზე დანერულ ბიოგრაფიულ რომანს „ბურჯი ეროვნებისა“.

აკი ოთარ ჩხეიძეც სიცოცხლის ბოლო დღეებში შეიღებეს რომ მოუხმობს, ანდერძად გოგებაშვილის სახელის გაფრთხილებას დაუბარებს.

არც იმას სთხოვს — ჩემს ნაწერებს მიმიხედეთო...

არც იმას — ჩემს სახლ-მუზეუმზე იზრუნეთო...

არც საერთოდ თავისი შემოქმედების პატრონობას დაავალებს შეიღებს, მხოლოდ ამას:

— გოგებაშვილს მიმიხედეთ, გოგებაშვილსაო...

... და ამით იქნებ ავთანდილის ხსოვნასაც მიაგებს პატივს.

მაგრამ ეს მერე იქნება, წლების მერე...

ჯერ კი...

ჯერ სამამულო ომი ახალი დამთავრებულია, თავის წილ ბილიკებს ეძებს ყველა ომგადახდილ ქვეყანაში და

ქალბატონი დარეჯანიც იმ წლების ლაბირინთებში მიგვიძღვება თხრობით:

— ოთარი ატენში დანიშნეს უცხო ენების მასწავლებლად. ჩავიდა, ოთახიც დაიჭირა, მაგრამ საბოლოოდ არ წასულა, ასპირანტურაში განაგრძო სწავლა.

— ოთარს, ჯერ ოთარსო, — გაიძახოდა დედა და მუხლჩაუხრელად შრომობდა.

ომიანობისას მძიმედ იავადმყოფა ოთარმა და დარდი ჰქონდა დედას. ჯერ ტიფი გადაიტანა. მაშინ მეზობლების ამარად დაგვეტოვა დედამ — დიდედას გადმოსვლამდე — და თბილისში გაეშურა მის მოსაველად. მერე ტუბერკულოზმა დარია ხელი. კვება აკლდა, შვილო, ჭირდა მაშინ ქალაქში ძალიან. დასუსტებული ჩამოვიდა სოფელში ოთარი. ისე მოუწარა დედამ, ისე, ცოტა ხნის შემდეგ გარეუბნული ეუბნებოდა ექიმი: ავადმყოფობისა კვალიც აღარ დარჩენილაო.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ბათუმში დაიწყო მუშაობა, ერთი-ორი წლის შემდეგ კი გორში გადმოვიდა. უნივერსიტეტში დარჩენას სთავაზობდნენ, მაგრამ... არაო, — უთქვამს, — ჩემს და-ძმებს უნდა მივხედოო.

ასაკობრივად დიდი სხვაობა არ ყოფილა ჩვენს შორის (ოთარი ოთხი წლით უფროსი იყო ჩემზე, ავთანდილი კი — ორით), მაგრამ მამასავით გვაპატრონობდა ორივეს. თავის თავზე აეღო ოჯახის ტვირთი, დედისათვის შეხიდევა გადაეწყვიტა და, ფულს რომ აიღებდა, თვითონ ბევრი არაფერი რომ არ ჰქონოდა, ჩვენთვის ყიდულობდა ყველაფერს.

მგრძობიარე გლანდები მქონდა და ერთხელ, თბილისში (აგრონომიულზე ვსწავლობდი მაშინ) ძალიან ავად რომ გავხდი, სულ გვერდით მეჯდა, ხელით მაჭმევდა, ტილოებს მაფარებდა...

ნაქირავებ ბინაში ვიყავით. თანაც ისეთი ბედი გვექონდა, ოთახს რომ ვიპოვნიდით, პატრონს მალევე და აუცილებლად დაჭირდებოდა ხოლმე და ახლა სხვაგან ვეძებდით თავშესაფარს.

ერთხელ ასე მოკიდებული ბარგით მივდივართ. იქვე ქუჩაში ახალგაზრდები ქალ-ვაჟი დგას და ერთმანეთს კოცნის.

— ნეტავი თქვენ, რომ მაგის დარდი გაქვთ, მე ამაღამ სად დავიძინო არ ვიციო, — თავისთვის ჩაილაპარაკა ოთარმა.

თბილისში რომ ვიყავი, მახსოვს, ერთად ერთი პერანგი ჰქონდა ოთარს. ომიანობის დრო იყო. დღე ხან ნავთის რიგში ვიდექი, ხან პურისა... ერთი წყვილი სანდლები მქონდა და ზამთარ-ზაფხულ ის მეცვა. არ მახსოვს, ფეხი მშრალი მქონდა. მე შენ გეტყვი, შინ მისულს დამხვედებოდა სითბო. ერთი ნავთქურა გვექონდა. ღამით მასზე ვათობდი წყალს. ოთარს იმ ერთადერთ პერანგს გავურეცხავდი და იმ ნავთქურაზევე გაცხელებული უთოთი ვუშრობდი, რომ დილით ისევ ჩაეცვა და სამუშაოზე წასულიყო.

აი, ასე გამოვიარეთ ის მძიმე წლები, მერე კი...

* * *

ყელქცეული და ფხვენისი განსაკუთრებულად უყვარდა ოთარს.

ფხვენისში ძალიან ხშირად ჩადიოდა ხოლმე, დედის ბიძებთან, ბიძები რომ ერქვათ, მაგრამ დედაჩემის ტოლები კი იყვნენ თითქმისა.

უფრო ხშირად დედას ბიძაშვილებთან ვიყავით ხოლმე, დიმიტრი რაჭამაშვილის ოჯახში, მაგრამ დედაჩემის მეუღლესთან ილიკო ბედიანაშვილთანაც ძალიან უყვარდა ოთარს სტუმრობა. არაჩვეულებრივი, ბრძენი გლეხები იყვნენ, ხელმონერაც კი არ იცოდნენ, მაგრამ საოცარი შინაგანი კულტურა და თვითგანათლება ჰქონდათ. დავბერდი, შვილო, აგერ უკვე ოთხმოცდაათი წლისა გავხდი და ასეთ დახვეწილ, ბრძენ ადამიანებს არ შეეხვედრივარ. ყველაფერში მხარში ედგნენ დედას. მერე დედა სუფრას რომ გაუმოღდა-ხოლმე, მათი საუბარი, ქცევა, სადღეგრძელოები ერთი ინსტიტუტი იყო, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში.

ამ ყველაფერმა თავისი კვალი დააჩნია ოთარს და გასაკვირიც რაღა იყო, რომ თავის მეგობრებში ერთ-ერთ საუკეთესო თამადად ითვლებოდა. საოცარი სტუმარ-მასპინძლობა იცოდა ოთარმა. კარგი ამბები გამახსენდა ახლა და უნდა მოგიყვებო:

ერთხელ ოთარს დასავლეთ საქართველოდან ჰყავდა სტუმრები. „ოთხშაბათობები“ იცოდნენ ხოლმე, შვილო, ყოველ ოთხშაბათს გორში ჩამოდიოდა ოთარი ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად. მაშინ იყო, იმერეთიდან რომ ჩამოაკითხეს და დაიწყეს საუბარი სტუმარ-მასპინძლობაზე: გინდა თუ არა, იმერეთში უფრო კარგი დახვედრა ვიცითო, — დაეჩემებინათ იმათ. — არაო, — ეკამათება ოთარი, — ჩვენ უფრო კარგი მასპინძლები ვართო. უცებ დაუნახავს, რომ მიტო რაჭამაშვილი იყურება ფანჯრიდან. ჰოდა, მოუბრუნდა თურმე სტუმრებს ოთარი და ეუბნება:

— აი, იმ კაცს, ფანჯრიდან რომ იყურება, ხომ არ ვიცნობთ, მაგრამ თუ გინდათ, მასთან მივიდეთ და ვნახოთ, როგორ მიგვიღებსო.

მიადგნენ მიტოსა. დაუკაკუნეს კარზე.

— შეიძლება თქვენთან შემოვიდეთო? — ეკითხება ოთარი.

— რა თქმა უნდაო, — შეუძლვა მასპინძელი, — მობრძანდითო, — შეიპატიჟა სტუმრები. არაჩვეულებრივი პურ-მარილი გაუმალა იმისმა ცოლმა. ვითომ არც იცნობს ოთარი, ისე გრძელდება ქეიფი.

— არაო, — უკან ნაუღიათ სიტყვა სტუმრებს, — ყველანი ქართველები ვართ, ყველას ერთნაირი ხასიათი გვაქვს და ტრადიციის პატივისცემაც ერთნაირი ვიცითო...

ერთი მეგობარი ჰყავდათ, კახელი იყო, გორის ინსტიტუტში პედაგოგად მუშაობდა. ამათ თავყრილობებს სულ ესწრებოდა, თვითონ კი ერთხელ არ უთქვამს: ახლა ჩემებთან ნავიდეთ და იქ ვიქეიფოთო. ჰოდა, მოილაპარაკეს თურმე ამხანაგებმა და ასე გაეხუმრნენ:

ერთ-ერთს ეთქვა: მოდი, თვალები ავიხვიოთ და ისე ნავიდეთ საქეიფოდ, აბა, ინტუიციით თუ მივხვდებით, სად მივდივართო.

აუხვიეს თვალები იმას და კიდევ ერთს, ოღონდ იმ მერე მოიხსნა. შეთანხმებულები არიან. თვალახვეულსა ჰგონია, რომ გორში მიდიან, სინამდვილეში კი კახეთისაკენ მიემგზავრებიან, მის სახლში.

— აგერ ახლა ამას გავცდითო, ახლა იმასო... — ინტუიციას ავარჯიშებს ესა.

— სწორიაო, — ამხნევებენ მეგობრები, — როგორ მიხვდიო, — უკეთებენ გულს. ასე მხიარულებაში ჩააღწიეს კახეთამდე. გაჩერდა მანქანა და ამ ხუმრობა-სიცილში მამის ხმა ესმის:

— ბიჯო, აღარ გადმოდიხარ მანქანიდანაო?!

მოუხსნია სახვევი და... დარჩენილა გაოგნებული.

ძალიან სწყენია, შვილო, განსაკუთრებით ოთარისაგან:

— ამათ გამაბითურეს, გამაბითურეს, შენ როგორღა გამიმეტეო, — უთქვამს თურმე, მამისა შერცხვენია ძალიან.

ნოველის სიუჟეტი პირდაპირ, მაგრამ არ დაწერა ოთარმა, შვილო, ისედაც ძლივს შემოირიგეს და აღარ უტყენია მისთვის გული...

ისიც უნდა გიამბოთ, ერთხელ რაღაც ყრილობა თუ შეკრება რომ ყოფილა მწერლებისა ოსებთან, რომ მომთავრებულა ყველაფერი, უპურმარილოდ გამოუშვიათ ცხინვალიდან. ჰოდა, ოთარმაც მთელი ეს მწერლები ჩვენთან წამოიყვანა. ის ოსებიც აქეთ წამოჰყვენენ.

დატრიალდა დედა, თან სტუმრებს ეხუმრება, თანაც სუფრას შლის. იქეიფეს, მოიღვინეს... და დაუნყიათ ოსებს სიმღერა „ვარადა“.

— არიქაო, — უთქვამს დედას, — გააჩუმეთ, თორემ ეგენი აქედან რომ წავლენ, იტყვიან: ყელქცეულში „ვარადა“ გვიმღერია და ისიც ჩვენიო.

იცინეს მაშინ, იცინეს... მაგრამ გავიდა წლები და მწარე რეალობად კი აგვიცხადა ეს ყველაფერი.

* * *

— რა გვიყო, კაცოო... ამ მაზმიშვილმა, ეს რა გვიყოო... — იცინოდა თურმე ოთარ ჩხეიძე და ბანს აძლევდნენ მეგობრები.

ერთ „ოთხშაბათობას“ მომხდარა ეს ამბავი.

სად ნავიდეთ, სად დავსხდეთო, — ბჭობდნენ თურმე მეგობრები და გადაუნყვეტიათ ტინისხილში ექეიფათ, სასადილოში. იმ რაიონში სასადილოს დირექტორად ერთი კაცი — გვარად მაზმიშვილი — მუშაობდა თურმე. ოთარ ჩხეიძე რომ დაუნახავს მეგობრებთან ერთად, სიხარულით შეგებებია.

— აბა, რაც გაქვთ, ის მოგვიტანეთო, — უთქვამთ ამათ.

— რასა ჰქვია „რაც გაქვთ“, ყველაფერს გავაჩენთო, — თავი გამოუდია იმ მაზმიშვილს და მართლაც მოაქვთ და მოაქვთ თურმე ნაირნაირები.

— აქ ასეთი ნაირ-ნაირი კერძები არასოდეს გვინახავსო, — ფიქრობენ ესენი, არადა, შემოდის და შემოდის საჭმელები. ბოლოს შილაფლავიც რომ მოართვეს, მერეღა მიხვდნენ, რომ იქვე, გვერდით ქელეხი ყოფილა ვილაცის და იმათ პურმარილზე უქეიფებია სტუმრები მასპინძელს.

— რა გვიყო, კაცოო... ამ მაზმიშვილმა ეს რა გვიყოო... — იცინოდა და იცინოდა ოთარ ჩხეიძე და ბანს აძლევდნენ მეგობრებიც, ასეთი „ოთხშაბათობაც“ რომ გამოერეოდა მათ ტრადიციას.

მერე რამდენმა რამემ მის ნაწარმოებებშიც გადაინაცვლა.

— საერთოდ, სულ ყელქცეულისა და ფხვენისის ამბებია ოთარის წიგნებშია, შვილო, — მეუბნება ქალბატონი

დარეჯანი, — აი, ღიბირაზე რომ წერს, რეალური პერსონაჟია. მასსოვს ერთხელ ვაშლი მოვკრიფეთ. მაშინ ისეთი დრო იყო, ახლად რომ გამოიკვირებოდა ხეხილი, მაშინვე დაგვანერდნენ ხოლმე — ამდენი და ამდენი უნდა ჩააბაროთო.

არ მოვიდა იმდენი ვაშლი. ვკრიფეთ, ვკრიფეთ, მაგრამ... არ მოვიდა. წაიღო ოთარმა ჩასაბარებლად. ვაკრავამოკრა იმ კაცმა საანგარიშოსა (რა ვიცი, რა დიდი მონაგარიშე ისა მყავდა, შვილო), მერე... აწონეს ეს ჩვენი მიტანილი ვაშლი და ცარიელი ყუთები უფრო მძიმე გამოვიდა, ვიდრე ვაშლიანი...

იცინოდა ოთარი, იცინოდა... მოგვიანებით ეს ეპიზოდი პირდაპირ გადავიდა მის ნოველაში „ღიბირა“.

„შავი ჯოხი“ რომ აქვს ნოველა, პაპა ილიკოზეა, აი, იმ ბრძენ გლეხკაცზე, ოთხმოცდაოთხი წლისა რომ გავხდი და ჯერ რომ არ შევხვედრივარ იმისთანას.

პაპა ილიკო მართლაც იყო გვარდიელი.

ერთხელ მისულა მასთან ერთი კაცი (გვარს არ დავასახელებ) და ეუბნება:

— პენსია უნდა გავიზარდო რევოლუციური დამსახურებისთვისა და შენ უნდა დამეხმარო ამ საქმეშიო.

— როგორაო? — უკითხავს პაპა ილიკოს.

— უნდა წამოხვიდე და დამიმონმო, რომ მე ბოლშევიკურ გამოსვლებში ვიღებდი მონაწილეობას... ისიც უნდა თქვა ჩემზე, ერთხელ მე თვითონ დავიჭირე, მაგრად ვცემე და ძლივს გამაგდებინეს ხელიდანაო.

გამოვიდა პაპა ილიკო, მხრებს იჩიქს და გაკვირვებული ატრიალებს ხელებს:

— ესა ან თითონ არის გიჟი და ან მე მთვლის გიჟადა — კი, მაგრამ, მე რომ მაგას ეს ყველაფერი დავუმონმო, ხომ ციხეში მიკრავენ თავსა და მაგისი პენსია მე რას მიშველისო. აი, ასეთი ამბებიც მასსოვს, შვილო... ზოგი ჩემით ვიცი, ზოგსაც ოთარი იხსენებდა ხშირადა...

ნათქვამია: ტკივილიცა და სიხარულიც ძმები არიან და ორივე ერთნაირად შეგხვდება წუთისოფლის გზაზეო, მაგრამ ჩვენ იმდენი ტკივილი და ცრემლი დავახვედრა ცხოვრებამ, „ერთნაირად“ აღარ გამოდიოდა. ახლა რომ გავხედავ ხოლმე ამ გზასა, გული მენწურება. ისეთი გაჭირვება გამოვიარეთ, ისეთი...

ეგ იყო, დედა გვედგა თავს. ქვრივობას კიდევ უფრო რომ გაეძლიერებინა, განსაცდელს გამოენართო და გაემკაცრებინა, „ოთარაანთ ქვრივი“ რომ შეერქმიათ მისთვის ოთარის მეგობრებს: ვახტანგ ჭელიძეს, სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ლეონიძეს...

დიდ პატივს სცემდნენ სოფელში, თავისი სიტყვაც ეთქმოდა, ხათრიც დიდი ჰქონდათ მისი, იქაური ბიჭები რალაცაზე რომ ჩხუბობდნენ ხოლმე, დედა თუ ჩაივლიდა და, რაშია საქმეო, — იკითხავდა, მაშინვე ჩანყნარდებოდნენ: არაფერი, ნათლია ნატაშა, არაფერი... ისე... ვხუმრობდითო.

58 წლისა გარდაიცვალა.

ხომ სულ რალაც გვაკლდა, დიდი გაჭირვება გამოვიარეთ, მაგრამ მერე, ცოტა რომ მოვითქვით სული, შვილები რომ დავგაბინავა, რიგინი კაბა და ფეხსაცმელი რომ ჩაიცვა, მაშინ გამოგვეცალა ხელიდან.

სიმსივნე აღმოაჩნდა...

დედა განსაკუთრებულად გვიყვარდა. აბა, მამის სიყვარული ჩვენ არ ვიცოდით, ის იყო ჩვენთვის მამაცა და დედაც.

ცოტა რომ ამოვისუნთქეთ, ცოტა მოდუნების საშუალება რომ მისცა თავს დედა და იფიქრა: აი, სამშვიდობოს თუ გავაღწიეთო, სწორედ მაშინ აღმოაჩნდა ის სამინელი ავადმყოფობა.

ანკი გასაკვირიც რა იყო...

ცრემლი არ გამშრალა მის თვალში და ბოლოს სენადაც შეეყარა სხეულს ამდენი მწუხარება.

მასსოვს, სკოლაში რომ ვსწავლობდით, სულ დავგდებოდნენ — კონტრევოლუციონერთა შვილები ხართო, თავადების შვილები ხართ... სულ დაჩაგრულები ვიყავით ამის გამო. დედა კი, შემინებული მის თავს დატრიალებული ამდენი უბედურებით, სულ გვაჩუმებდა: თქვენ ხმა არ ამოიღოთ, თქვენ ხმა არ გასცეთო...

მერე, რომ დავიზარდენით, ასე ჩიოდა:

— ჩემს შვილებს იმდენი ვეძახე სუუ...თ, სუუ...თ-მეთქი, რომ ძალიან მორიდებულები გაიზარდნენ.

მამა როცა ჰყავთ ბავშვებს, თითქოს ხეს წყალს უსხამენ და იზრდება, უმამო მისდღეში სულ დაჩაგრულია, ჩვენი ოჯახი კი დაჩაგრული კი არა, დაჩაგრულზე მეტიც იყო...

იმ ახალი კაბისა და ახალი ფეხსაცმლის გაცვეთაც ვერ მოასწრო დედამ.

რომელი ერთი გიამბო, შვილო.

იმდენი გაჭირვება გამოვიარეთ...

აბა ბავშვობა მოიგონეო...

— შენც ისეთი ბავშვობა გქონდაო, — ჩაიციხა ამაზე ერთხელ ოთარმა.

მოვიგონებდი და ისეთი დარდი შემომანვეებოდა-ხოლმე, ისეთი... ჩემს დღეში აღარ მოვიგონებ-მეთქი, — ვამბობდით, დასძენს ქალბატონი დარეჯანი და, ვგრძობ, როგორ დაძრულა სადღაც სულის სიღრმეებიდან ცრემლი... აი, ის უჩვეულო ცრემლი — წარსულიდან ამოზიდული, მთელი ცხოვრების დამტვევი, ერთდროულად მწარეც და ტკბილიც, ამამალელებელიცა და დამთრგუნველიც, ჩვენი არსებობის მაღიარებელიცა და უარმყოფელიც, ზომაზე მეტად თბილიც რომ არის და ზომაზე მეტად მლაშეც.

ახლა ამ ცრემლში ირეკლება წარსული, ისე ეზო-კარი ირეკლება ყელქცეულისა, ეპოქათა ტრაგიკულ ისტორიას რომ ინახავს.

ჭალაში ასვენია დიდი, მძიმე ლოდები, მამა-ბიძათა, საერთოდ, წინაპართა ხსოვნის მემორიალებად დაწყობილი, წარსულს რომ იტყვენ, მარადიულობას ინახავენ თვითონაც მარადიულობად ქცეულნი და რალაც ძალიან ძვირფასი, საკრალური გასიმბოლოვებულა მათში.

შრილებს მუხა — ათასგზის დამეხილი, ათასგზის შემოძარცვული...

მაინც რომ იტოტება...

მაინც რომ იფოთლება...

ზამთარსაც გაურჩებია და ქარტყილებსაც...

დრო და ჟამსაც რომ არ დაგიდევს და... კიდევ უფრო ღრმად და მტკიცედ ეჭიდება წინაპართა მიწას თავისი ძლიერი ფეხვებით.

რიტა ბაინდურაშვილი

ერთი ყველაზე მართალი ნიგნი

ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?! — სულ რომ არაფერი იცოდე მისი ავტორის **იკა ქადაგიძის** შესახებ, მხოლოდ ეს რიტორიკული, კატეგორიული სათაურიც მიგიზიდავს და ხელში აგაღებინებს ნიგნს, რომელშიც ბევრ ისეთ სატყვიარსა და სადარდებელს აღმოაჩენ, თავადაც რომ არაერთხელ დაუფიქრებინარ. ხოლო ვინც მის შემოქმედებას იცნობს, მან ხომ იცის და იცის, როგორი შეუვალი, უკომპრომისო და მართლის მსახურია ეს მრავალმხრივი მწერალი. რამდენიმე რომანის, მრავალი ლექსისა და მოთხრობის ავტორი კრიტიკისა და პუბლიცისტიკის სფეროშიც აქტიურად მოღვაწეობს. ყველა მის ნაშრომს ღრმა ეროვნულობა და გულწრფელობა გამოარჩევს. უშუალოდ მკითხველს მიმართავს მუდამ და ცდილობს სწორედ მის წინაშე იყოს პირნათელი. და რადგან დღევანდელ ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესებს ყველაზე უკეთ მაინც მკითხველი აღიქვამს, მტყუანმართლისა და ჭეშმარიტი თუ ფსევდოხელოვნების ობიექტურ შემფასებლადაც მასვე მიიჩნევს.

ნიგნი 2009 წელს გამოიცა და ძირითადად პუბლიცისტური წერილების კრებულს წარმოადგენს. **ჩვენი მწერლობის** დარბაზში შემდგარ მის პრეზენტაციას ის მწერლები ესწრებოდნენ, ეროვნულ ფესვებს რომ არასოდეს სწყდებიან და არც უცხოურ გრანტებზე იყიდებიან. სხვებს კი ავტორი ტელევიზიის შვილობილებს, მუდმივად რეკლამირებულ მწერლებს უწოდებს, რომელთათვისაც უცხო ქართული ტრადიციული მიდგომა მწერლობისადმი და აგრესიულ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებენ.

შესავალ სიტყვაში **როსტომ ჩხეიძემ** თქვა:

იკა ქადაგიძე თხუთმეტი წელია ჩვენი საზოგადოების წევრია და მას მუდამ ცოცხალი, ექსპრესიული გამოსვლებით ვიცნობთ. ვიცნობთ, როგორც შესანიშნავ მწერალს, ბელეტრისტს, პოეტსა და კრიტიკოსს, რომელიც არა მხოლოდ ფხიზლად ადევნებს თვალს დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებს, არამედ მისი აქტიური მონაწილეა. ამ პროცესების ამსახველი, სხვადასხვა დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებია თავმოყრილი აქ წარმოდგენილ კრებულშიც, რომელიც, ვფიქრობ, ერთი ყველაზე მართალი ნიგნია. ავტორი მწვავედ აყენებს ეროვნული ფასეულობების დაცვის საკითხს და ყველაფერზე პირუთვნელად ამბობს სიმართლეს, რადგან გულწრფელად ანუხებს ეს ყოველივე. გულწრფელობასთან ერთად ნიგნში მისი მზარდი შემოქმედებითი შესაძლებლობებიც ჩანს.

ნანა კუცია: თითქოს რომანს წერდეს და არა მშრალ კრიტიკულ წერილებს, ისე წაექსოვება წერილი წერილს, ამბავი ამბავს... თითოეული წერილი ცალკე ამბავია, კონკრეტული ვარამი, საქართველოს მარადიული წყევლაკ-

რულვიანი საკითხავის ანარეკლი და ამადაც ჭირს რომელიმე გამორჩევა. არსად კომპრომისი, ნირვანული თვითდამშვიდება ლამის ორსაგვერდიანი ნიგნი კარდო-ოგრამასა ჰგავს, გულის მაღალი ტკივილის (თუ მაღალი გულისტკივილის) რეფლექსიაა. მაჯისასა შემტყვევებარად წარმოჩინდება ესეისტი, რომელიც უძლური ჭირისუფალი კი არ არის თავისი ერისა, არამედ ხსნის გზას, საშველ-გამოსავლის ძიებას ესწრაფვის, რადგან ასეთია მისი ბუნება ქართული ფესვების, ანმყოფი და მერმისის არსის გამაცნობიერებელი... შვების მომგვრელი ნიგნია მისი ესეების კრებული (სათქმელის ტრაგიკული ინტონაციის მიუხედავად), ნიგნი, რომელიც მარადი, მაღალი ფიქრები-სათვის განაწყობს მკითხველს.


მარსანი: ქართულ მწერლობაში დღეს ლიტერატურული პროცესების გადაფასება ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს, იკა მაინც აქტიურად მონაწილეობს მასში. სამაგალითოდ თუნდაც ეს ნიგნი კმარა. განგაშის ზარის შემოკვრასავით არის იგი, სათაურიც ფრიალ დამაფიქრებელია, გამაფრთხილებელი იმისა, რომ ეროვნულ ფასეულობებს დაცვა და მოვლა სჭირდება. ეს კი მათ უნდა გააკეთონ, ვისაც ეროვნული ცნობიერება კიდევ შემორჩა. სწორედ ამ ღირსეულ საქმეს ალასრულებს იკაც თავისი უკომპრომისო შემოქმედებით და სანიშნოდ იმ ადამიანებს წარმოაჩენს, ვინც ეროვნული ღირსების დაცვის საქმეს პირნათლად ემსახურა. მათ შორის გახლდათ ცნობილი მოღვაწე კოტე ხიმშიაშვილი, რომლის ღვანლსაც ცალკე წერილი მიუძღვნა იკამ. დღეს აქ ბრძანდება ბატონი კოტეს და, ქალბატონი დოდო, რომელსაც სიამოვნებით მოვუსმენთ.

დოდო ხიმშიაშვილი: იკა ქადაგიძე ჩემთვის ახალი აღმოჩენა არ არის, არც მისი ნიჭი, არც მისი სიმართლე... ჩვენი საზოგადოების ბევრი მტკივნეული პრობლემა წამოჭრა მან თავის წერილებში, მათ შორის სხვისი ნიჭის, შესაძლებლობათა დაუნახაობა, აღიარებისთვის არ გამეტება... 10 წლის ვიყავი, როცა ჩემმა ძმამ და ლადო ავალიანმა პირველად წამიყვანეს მწერალთა კავშირში. მიხილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი ვნახე იქ და ვერ წარმოიდგენთ ჩემი აღტაცებას, რადგან მათი სახელები მუდამ მესმოდა ოჯახში, მეგობართა წრეში. მოგვიანებით, როცა მეც მოვედი მწერლობაში, ისეთი გულცივობა შევნიშნე ბევრს, ისეთი იგნორირება სხვისი ნიჭის, უნარის... ვითომ ვერ ხედავენ, თვალს არიდებენ, თუ ვინმე გამოჩნდა ნიჭიერი, ერუდირებული... მიხილ ჯავახიშვილს არ ეშინოდა სხვისი ნიჭის აღიარების, რადგან ის ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იყო. როდესაც პირველად წაიკითხა ჩემი ძმის ნოველა, მოიკითხა ავტორი და 16 წლის ბიჭი რომ შერჩა ხელში, აღფრთოვანდა, შეაქო, მერეც მუდამ ყურადღებას აქცევდა. დღეს კი ყოველი ნიჭიერი ადამიანის გამოჩენა ისეთ შიშს ჰგვრის თვით დიდ მწერლებსა და შემოქმედებს, რომ გაცდებით, თითქოს მათ სახელს ჩრდილი მიადგება სხვისი ნიჭიერებით... სწორედ ამ შიშზე წერს იკა თავის ნიგნში, მას თვითონ არასოდეს უჭირს ილაპარაკოს ნიჭიერ ადამიანებზე, წარმოაჩინოს ისინი და არ ეშინია სიმართლის თქმის. მას არც სხვა საჭირობოროტო საკითხების წამოჭრის ეშინია და ეს კარგად ჩანს მის ნაწერებში, გამოსვლებში. ამიტომაც არის იგი თავისი ერის ჭირისუფალი მწერალი.

სერგი ლომიძე: ვიდრე იკა ქადაგიძეზე ჩემს სათქმელს ვიტყვოდე, უპირველესად ის მინდა აღვნიშნო, რასაც ახლა ამ დარბაზში ვგრძნობ. ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ქართული მწერლობა! აქ ბევრი ცნობილი სახეა, უკვე გამოჩენილი, მკითხველისათვის საყვარელი და ბევრიც ახალგაზრდა, დამწყები, ჯერაც უცნობი, რომელთაც დრო უკეთ წარმოაჩენს. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ყველა ერთად ვართ, საერთო სატკივარზე, საზრუნავზე დაფიქრებული. აი, რა არის მთავარი! იკა ქადაგიძე კი ის ახალგაზრდა მწერალი გახლავთ, რომელმაც უკვე დაწერა მრავალი ლექსი, პოემა, მოთხრობები, რომანები, პუბლიცისტური და ფილოსოფიური წერილები, ამიტომ დავსვით კითხვა: ხომ არ დგას ჩვენს წინაშე დიდი მწერალი? იქნებ ჩვენ თვითონვე შევაფასოთ ჭეშმარიტი ფასეულობანი და ჭეშმარიტ შემოქმედებასაც ჩვენვე დავარქვათ სახელი, განა მაინც დაამაინც სხვისგან უნდა მივიღოთ აღიარება? და კიდევ: ერთ-ერთ წერილში იკა ბატონ როსტომ ჩხეიძესაც აკრიტიკებს, დღეს კი ბატონი როსტომი თვითონ ახდენს ამ წიგნის პრეზენტაციას და წარმოუდგენს მკითხველს, რაც, ჩემი აზრით, ძალზე ღირსეული და ჩვენში ასე გაიშვიათებული საქციელია. ამიტომ, ვფიქრობ, ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი — დიდი მწერლის იკა ქადაგიძის და ქართული ლიტერატურის სინდისის როსტომ ჩხეიძის შეხვედრა! მივესალმები მათ და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ კვლავაც.

გიგი ხორნაული: ყველაფერი, რაც აქ ითქვა იკაზე, ძალიან უპრიანი და სწორია, რადგან მას, როგორც მწერალს, არც სიღრმე აკლია და არც სიფართოვე, მასშტაბები. რაც შეეხება როსტომ ჩხეიძეს, მე ბევრი მინახავს კრიტიკის გამო ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ნაკიდებული მწერლები, ამიტომ ასეთი ურთიერთობა ნამდვილად მისასალმებელია, საქებარი. იკამ რომ კრიტიკა დაწერა, ეს მისი ვაჟკაცობაა და როსტომმა რომ საწყენად არ მიიღო — ეს კი მისი. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: მე მგონი, ეს ერთადერთი რედაქციაა, სადაც კარი არასოდეს არის ჩაკეტილი, მომსვლელისათვის მუდამ ღიაა. სხვა რედაქტორებთან კი ვერ შეხვალ, არავინ შეგიშვებს... ამიტომ მეც გულწრფელად მინდა, წარმატებები ვუსურვო ჩვენს მასპინძლებსაც და ყველას, ვინც ქართულ სიტყვას ემსახურება.

მიმოზა ცანავა: მთის წყაროსავით სუფთა და წმინდაა იკა, დიდსულოვანი პიროვნება, რომელსაც მხოლოდ მწარე სიმართლის თქმა კი არ ემარჯვება, არამედ მოფერებაც, შექებაც, დაფასებაც არაჩვეულებრივად შეუძლია ადამიანს.



მარსიანი

ნისა. ამ მშვენიერი ქალბატონის არა მხოლოდ შემოქმედება იზიდავს მკითხველს, არამედ მისი რადიოგადაცემებიც, რომლის ერთგული მსმენელი გახლავართ მეც. და მინდა ამ სიყვარულის ნიშნად მას ჩემი ლექსი წავუკითხო.

დარბაზმა მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა პოეტი. საკუთარი ლექსით დაამშვენა თავისი გამოსვლა ქალბატონმა **მზია ჩხეტიანმა**ც.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა **მარინე ტურავა**, რომელმაც პროფესიულად, ლიტერატურის მცოდნის შეფასებებით მიმოიხილა კრებულში შემავალი პუბლიცისტური წერილები, მათი ძირითადი ასპექტები, საჭირობოროტო საკითხები, რომლებზეც თითოეულ მათგანში მსჯელობს მწერალი და წიგნის ეროვნულსაზოგადოებრივ მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

ასეთივე პროფესიული მიდგომით და კრებულის ღრმა ანალიზით გამოირჩეოდა **ნინო ვახანიას** გამოსვლაც.

აკაკი ბრეგვაძე ქართულ მწერლობაში ბოლო დროს ქალთა გააქტიურებას და სამოღვაწეო ასპარეზზე მათ ღირსეულად წარმოჩინებას მიესალმა და სანიმუშოდ აღიარა მათი პრინციპულობა, ეროვნული ფასეულობებისათვის დაუზოგავი ბრძოლა.

მიშა თუმანიშვილმა კი თავის გამოსვლაში განსაკუთრებით ორი წერილი გამოყო კრებულიდან, რომელშიც ნათლად ხასიათდება ავტორი, როგორც მებრძოლი მწერალი და თანამედროვე აზროვნების შემოქმედი.

ნიჭი ერთ ჟანრში ვერ ეტევაო, თქვა **თემურ ჯაფარიძემ** და იკა ქადაგიძის შესაძლებლობების მრავალმხრივი გამოხატულება ლექსად, პროზად, პუბლიცისტიკად სწორედ ამგვარად ახსნა.

ძლიერი სახელმწიფოს შექმნა ეროვნულ მენტალიტეტზე და მართალ სიტყვაზე დაყრდნობით შეიძლება მხოლოდო — აღნიშნა **კახა ბაციკაძემ** — დღევანდელი საღამო კი დადასტურებაა იმისა, რომ მალე ქართული ლიტერატურაც დაიბრუნებს ძველ სიმაღლეებს და ძლიერ სახელმწიფოსაც ავაშენებთო.

მხატვარმა **ირაკლი ავალიშვილმა** მის მიერ შესრულებული პორტრეტი უსახსოვრა ახალგაზრდა მწერალ ქალბატონს.

საღამოს დასასრულს **იკა ქადაგიძემ** მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და კვლავაც იმ ეროვნულ სატკივარზე ისაუბრა, რომელზეც წერს. თავისი თამამი, ერთობ ამბიციური განცხადებებით საზოგადოებას უკომპრომისობისაკენ, პირუთვნელობისაკენ მოუწოდებდა და ეროვნული ღირსების დაცვისათვის თვითონაც შეუვალ ბრძოლას ჰპირდებოდა მკითხველს.

გელა მამფორია

სოსუმში... ორლამონდი

სოსუმელ ქალბატონთან, ნინო ვახანიასთან (პროფესორი, მკვლევარი, კრიტიკოსი), ჩემი მოხშირებული ლიტერატურული შეხვედრების (შეხვედრების ადგილი ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“) თბილისური, ანუ დევნილობის ჯერაც დაუსრულებელი პერიოდი ფრიად სასიამოვნო საჩუქარმა გაასხივოსნა. „ერთი ყლოუპი ჰაერი“, ასე ჰქვია ნინო ვახანიას ნიგნს, რომელშიც გაერთიანდა ავტორის მიერ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული ესეები, რეცენზიები, პორტრეტები, გამოსმაურებანი. ნიგნი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით დაიბეჭდა, ხოლო ამ საზოგადოების დამფუძნებელი და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი გახლავთ ჩვენი მწერლობის ქომაგი და ილიას ჯიშის შემოქმედი. მე მახარებს ნინოს მხატვრულ-იდეური თანხმობა ჟურნალთან, რადგან ჩხეიძეთა მწერლურ კლანთან ყოველთვის ასოცირდება ეროვნული მწერლობისადმი დაუღალავი ლიტმსახურება და, საერთოდ, მაღალი რეესტრის ლიტმცოდნეობა.

იშვიათი შემთხვევაა, როცა მიმდინარე ლიტერატურული პროცესები კრიტიკაში შუქდება ერთი ჟურნალის მაგალითზე. ნინოს ლიტერატურულ შთაბეჭდილათა ძირითადი წყარო სწორედ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებია. ეს თითქოს მიზანმიმართული და დაფინანსებული ახირებაა საკუთარი თავმდაბლობისა თუ ლიტერატურული ამბიციის დასაოკებლად. ნინო მოზომილი და თავმდაბალია საკუთარ ინტელექტუალურ და ლიტერატურულ შესაძლებლობათა შეფასებაში, მაგრამ ამავედროულად ის ელიტარული ჟურნალის (თავისი მნიშვნელობით) უდაოდ ამბიციური (დამსახურებულად) შემფასებელია. ნინოს ნიგნი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული შვილობილია. საქებარია თანამშრომლობის ასეთი ფორმა მისგან მომდინარე შედეგით.

ნინოს წერილები ესეისტიკისათვის დამახასიათებელი მხატვრული ელემენტების სიჭარბით გამოირჩევა. მის ნაწერებში, ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, მეცნიერულ გამოკვლევებს, ხოლო მეორე მხრივ, კრიტიკულ-ესეისტურ წერილებს, სტილური წყალგამყოფი თვალმისაცემია და ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს. კვლევის სპეციფიკა მეცნიერული პარამეტრების დაცვას, გონის პრიმატს, ფაქტობრივი მასალის განსჯა-ანალიზს მოითხოვს. ესეისტიკა უფრო ფილოლოგიურ ალლოს, გულის კარნახსა და კიდევ მრავალ სხვა კომპონენტს მოიცავს, რომელიც ძალიან ახლოს დგას მწერლობასთან და შეიძლება მის შენაკადად მოვიანოთ.

ტექსტიდან მიღებული შთაბეჭდილება ხშირ შემთხვევაში იმდენად ძლიერია, რომ ესეისტი (მკითხველი) მწერლის მიერ შემოთავაზებული სამყაროს ნაწილი ხდება, ითავისებს და ახალი ელემენტებით ავსებს პერსონაჟთა დამოკიდებულებას გარესამყაროსთან, აფასებს და აანალიზებს ამა თუ იმ ვითარებაში ადამიანის მორალურ-ზნეობრივ მდგრადობას. ნინომ ამ საკითხებთან მიმართებაში სწორი ლიტერატურული პოზიცია ჩამოაყალიბა. იგი წერს: „თუკი კითხვა ნაწილობრივ თანაშემოქმედებაა (და მე მჯერა, რომ ეს ასეა) მაშ მკითხველს ყოველთვის უწევს სხვის ტყავში შეძრომა — მწერლის და მისი გმირების თანაგრძნობა, მათი ცხოვრებით ცხოვრება. ამიტომაც გვყავს მეტად ან ნაკლებად საყვარელი პერსონაჟები, ვუვებთ ან ვერ ვუვებთ, ჩვენიანად მიგვაჩნია, სულიერ მეგობრად აღვიქვამთ ან ვერ ვივებთ, ვერ ვითავისებთ მათ. მწერლობასთან, ლიტერატურასთან, ნარატიულ მხატვრულ სისტემასთან“. ასეთი „თანაშემოქმედების“ პრინციპი ნინოს გალაკტიონმა ასწავლა: „არის მკითხველი მშვენიერ ნიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“. ნინო მშვენიერი ნიგნების ბეჯითი, ნიჭიერი მკითხველი და შემფასებელია.

ხშირად მეჩვენება, რომ ნინოს წერილები მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე ცალკეულ მწერალთა სტილური ინდივიდუალობის გაგრძელება და მათი სააზროვნო სისტემის შეთვისების საინტერესო მცდელობაა. და სწორედ აქ, ამ კონტექსტში მეჩვენება, რომ ნინო წერს ისე, როგორც ისინი (მწერლები, ნარატივთა ავტორები) წერენ. კარგი გაგებით ვამბობ ამას, რადგან ამ პოზიციას ესეისტიკა, კრიტიკოსმა მიაღწია მოზომილი ტაქტიით, თავმდაბლობით, მკითხველისათვის აუცილებელი „თანაშემოქმედებით“. ამ სიტყვას სხვაგანაც გავიმეორებ, ხოლო ამ ჯერზე შევხედოთ, როგორ ითავისებს ნინოს მეორე მე, ვთქვათ, ფრანგი ნობელიანტი მწერლის ჟან მარი გუსტავ ლეკლეზიოს ნოველაში „ორლამონდი“ პატარა გოგონას ოცნებებს, მის ტკივილებს.

ნოველის განხილვამდე ნინო ფრანგ მწერალთან ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულ ინტერვიუს იგონებს. თურმე მწერლის მამას 30 წლისას იძულებით დაუტოვებია მშობლიური ქალაქი და სიცოცხლის წლები უსამშობლობაში, უსახლკარობაში გაუტარებია. სრულიად გასაკვირი მიზეზის გამო სწორედ აქედან დაწყებულია სოსუმელი ქალბატონის სულიერი ნათესაობა ფრანგული ნოსტალგიის ავტორთან. „განსაკუთრებულ თანაზიარობას განვიცდი იმ ადამიანებთან, რომლებმაც საკუთარი ქვეყანა, საცხოვრებელი, სამშობლო დაკარგეს“. ეს სიტყვები ორმაგად დრამატიზებულია, როცა გაიაზრებ, რომ მისი ავტორი საკუთარ სამშობლოში განიცდის უსამშობლობას. ეს ნოსტალგიის კიდევ უფრო აღმატებული ხარისხია. ნოველის მეოცნებე გმირს, პატარა ფრანგ გოგონას წაართვეს ორლამონდი, სულიერი თავშესაფარი, ბავშვური ოცნებების თავანკარა ნაკადული. ამ თავშესაფარის ფანჯრის ღობიდან უყურებდა პატარა კამარიანი კამკამა ზღვისა და ლავარდოვანი ზეცის ზღაპრულ სანახაობას. „მეც მქონდა და ოდესღაც ასეთი თავშესაფარი, სადაც ადამიანები და დედამიწა არც არსებობდაო“, წერს ნინო და მე გულწრფელად ვუდასტურებ: მას სოსუმში, ზღვისპირას ნამდვილად ჰქონდა ორლამონდი, სახლი-საყვანე, რომლის სარკმლიდან ფრანგი კამარიანივით გამუდმებით იზიდავდა

ზღვისა და ზეცის ლურჯი საოცრება. კარგია, რომ ამ წერილში („ღმერთს მხოლოდ ბავშვის თვალები ხედავენ“) ნინო არ ივინყებს სხვა სოხუმელ „ორლამონდელს“. ჩემი თუ სხვათა გოგონების და ბიჭების მეოცნებე თვალებს: „ალბათ, ყველას აქვს თავისი ორლამონდი, — რეალური თუ წარმოსახული ცხოვრების შენობაში ფანჯრის ღიობი, საიდანაც მარტო ზღვა და ცა მოჩანს. საკუთარი სამყარო, საკუთარი ციხე-სიმაგრე, სადაც ვერავინ შემოაღწევს... ჩემსავით კიდევ რამდენ პატარა გოგონას ჰქონდა თავისი, საკუთარი ზღვა და ცა. ომით, იარაღით, ძალით წაგვართვეს, წაგვგლიჯეს თავშესაფარი, სახლი, ოცნება, სიმშვიდე, ზღვაც და ცაც“.



როცა ეს სტრიქონები წავიკითხე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ერთი ოცნების ცარგვალა ჰქონია ყველა ბავშვს, იქნება ის ფრანგი თუ ქართველი, ერთნაირი ტკივილით აღიქვამს ამ საოცრების გაპარტახებას პატარა კამარიანი თუ მისი თანატოლი ნინო ვახანია. ასე თანაარსებობენ „თანაშემოქმედების“ წყალობით ფრანგი მწერალი ლე კლეზიო და მისი ქართველი მკითხველი (ესეისტი), ფრანგი კამარიანი და მისი ქართველი ტყუპისცალი. ამიტომ მეჩვენება (ისევ მეჩვენება), რომ ნინო (ისევ კარგი გაგებით) ლე კლეზიოსავით წერს, როცა წერს: „ორლამონდის დანგრევა კი შეიძლება, მაგრამ განადგურება — არა. აქ (გულზე ხელს ვიდებ) ვერ ამოშლი. თუ ერთხელ მაინც გიგრძენია უზენაესთან სიახლოვე, იოლად ვერ შეეღვევი. აღარასოდეს იქცევა ქალად (ან კაცად) და მუდამ ბავშვად დარჩები. მოგვეცი ძალა, ბავშვები ვიყოთ, ხანდახან მაინც“.

მოგვეცი ძალაო, — უზენაესს მიმართავს ესეისტი ქალბატონი და მივცეთ თავს უფლება, ეს გულწრფელი ამოძახილი მაცხოვრის სიტყვებით გავისხივოსნოთ: „თუ ისე არ მოიქცევით, როგორც ბავშვები იქცევიან, ვერასოდეს ეღირსებით ცათა სასუფეველს“.

ნინო, როგორც ესეისტი, პარალელთა მუდმივ ძიებაშია. იგი არ კეტავს აზროვნებას მხოლოდ კონკრეტული თემის არტახებში და ცდილობს გააფართოვოს ლიტერატურული თვალსაწიერი მხატვრული ანალოგიებით. ნოველა, რომელიც წიგნის სათაურში გადმოიტანა ავტორმა, იტალიელი მწერლის სტეფანო ბენის ამავე სახელწოდების მატარებელია და გლობალიზაციის, ტექნიკური რევოლუციის პირობებში ადამიანის მარტოსულობას ეხება. ევროპელი მწერლის შემოფოთება ღირებულებათა გადაფასების გამო, რაც გლობალიზაციის პირდაპირი შედეგია, მის მკითხველსა და შემფასებელს ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში არანაკლებ აზფოთებს. გაუძლებს კი პატარა ქვეყანა ე. წ. კულტურულ ექსპანსიას? გაუძლებს კი ადამიანი ამ მძლავრ შემოტევას? რამდენად ძლიერია მისი სასიცოცხლო რესურსები? არადა ადამიანს (მათ შორის ნინოს) ერთი ყლუპი ჰყავს ბედნიერებისთვის. ამავე პრობლემის კონტექსტში განიხილავს ნინო გუჩა კვარაცხელიას იდენტურ ლექსს და გრიგოლ სენეკურის ესეის „პოსტმოდერნის შესახებ“. ნინო ამას შეგ-

ნებულად აკეთებს, ამით სათქმელს ამაღლებს, თემას ჰკრავს ქართულ — ევროპული საერთო სატკივარის ხაზგასმით. პრობლემების სიმწვავე, გაუცხოებული ადამიანის სულში გაჩენილ ბზართა სავალალო შედეგები, დაუნდობელი ბრძოლა სულიერი იდილიის წინააღმდეგ ნინოს ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს და ბარათაშვილის სიტყვებს აგონებს: „რომ მქონდეს მცირეოდენი შესაძლებლობა დამოუკიდებლად არსებობისა, მე მაშინვე დავტოვებდი საზოგადოებას თავისი უძღვრელი სურვილებით და ცხოვრებას თავისი უძღვრელი მარტივი ბუნების წიაღში“. გლობალიზაციამ დაანგრია რომანტიზმის ჯგბირები, მაგრამ განგების ნებით სწორედ ის ერთი

ყლუპი მაცოცხლებელი ჰაერი ღრმად ჩაუსუნთქავს თანამედროვე ადამიანს (ნინოს), ისე ღრმად, რომ გენიალური წინაპრის უნაზესი სუნთქვაც სამუდამოდ ჩაჰყოლია ფილტვებში: „ჩვენც მეტი კი არაფერი გვჭირდება—ერთი ყლუპი ჰაერი, ერთი წვეთი ზღვა, მზის ნამცეცი, მთვარის ნამცვრევი და... ერთი ადლი მინა სამშობლოში. ისე, მეც რომ მქონდეს მცირეოდენი შესაძლებლობა...“ აქ წყდება თხრობა და, ბუნებრივია, აზრის ლოგიკური გაგრძელება ბარათაშვილის ზემოთ მოხმობილ სიტყვებშია გამჟღავნებული. აქაც მეჩვენება, რომ იტალიელი მწერლის „თანაშემოქმედი“ ქართველი ესეისტი სტეფანო ბენივით წერს და ქართველი რომანტიკოსივით აზროვნებს.

დღეს საკმაოდ იწერება პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაზე. უფრო ზუსტად, მის თეორიულ წინამძღვრებსა და მხატვრულ რაგვარობაზე. გვაუნწყებენ, რომ დაიწყო ახალი ეპოქა მხატვრულ აზროვნებაში, თუმცა ნაკლებად ცდილობენ გაარკვიონ ქართულ სინამდვილესთან პოსტმოდერნიზმის ადაპტირების შუქ — ჩრდილები. არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, რა ლიტერატურაა ეს? ბრძოლა ადამიანისთვის თუ მის წინააღმდეგ ამხედრება. ეს უთუოდ პირველია, მაგრამ ზოგიერთი ავტორის ქართული „ტექსტები“ საპირისპიროზე მეტყველებს (პორნოპოეზია, უხამსი ლექსიკა, ადამიანურ გრძნობათა დაყვანა ცხოველურ ინსტინქტამდე)... ნინოს ასეთი ტექსტები არ აინტერესებს... მან გულწრფელად გვითხრა: ბავშვობა წართმეული, სამშობლოდაკარგული, საკუთარი ფუძიდან ძალით აყრილ ადამიანთა განცდები მაფორიაქებს, მათი ტკივილების თანამოზიარედ დღემდე ვრჩებიო. ასეთი ადამიანი (პერსონაჟი) სულიერად მისი ახლობელი და ნათესავია, მისი ტკივილების გამგები და მესალბუნე. ფრანგი, იტალიელი, ქართველი, თურქი ... არა აქვს ეროვნებას მნიშვნელობა ... ყველას ერთად და თითოეულს ცალცალკე უსამშობლობის განცდა აფორიაქებს, მშობლიური სანახები ენატრება, შინდაბრუნების ოცნება ასულდგმულებს, ადგილის დედა და წინაპართა საძვალე ეძახის. ერთი ოცნება, ერთი ტკივილი, ერთი იმედი ჰკრავს ამ ადამიანთა თვალსაწიერს: „ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი. ქარი. ქარი“.

რა გასაკვირია, როცა ნინო ნიკოლოზ ჩქოტუას უკანასკნელ ანდერძზე წერს: „გული მაინც დაემარხათ ქარ-

თულ მიწაში“. როცა უცხოეთის ცის ქვეშ უსამშობლოებით გატანჯული სამურზაყანოელი თავადის განცდებზე გვესაუბრება, მას ძალაუნებურად აგონდება არჩილ მეფე — ბედის უკუღმართობით უცხოეთში ბედის მაძიებელი ხელისუფალი და უსამშობლოებით გულგამოხრული პოეტი. აგონდება მეფეპოეტის ნოსტალგია რეკვიემი: „რა კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოთ თემსა და მიწებსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნალველად აღმოიწებსა“.

ნინოს ნიკო ლორთქიფანიძის „გულის“ უსახელო პერსონაჟიც აგონდება, ფერფლად ქცეული ქართული გულის სულ რაღაც ნახევარ გვერდზე დატეული საოცრება.

ნინოს შიო არაგვისპირელის ბერა აგონდება ობლაიძე, ერთ მუჭა ქართულ მიწას თავმეწირული ალაღმართალი გლეხი.

...სხვა ნოსტალგიური პერსონაჟებიც იმზირებიან ნალვლიანი თვლებით მშობლიური სანახებისკენ. ენით აუნერვლია მათი განცდები: „გაელინებული“ ლაზი კონსტანტინე სავარსამიძე ქართულ მეგრული მითებით იოკებს მწარე ფიქრებს ნისლიანი ალბონის ქვეყანაში ... იგივე ნიკო ლორთქიფანიძის ელი გორდელიანი უარს ამბობს ზღაპრულ სიმღიდრეზე და შინდაბრუნების სანაცვლოდ გველებთან როკვას ეწირება... ვაჟას ხარივით ბუბუნებენ და რქებით მიწას ჩხვერენ გრიგოლ რობაქიძის რომანის გმირები... ნოდარ დუმბაძის იანგულისთვის „Hellados“-ი სოხუმის სანაპიროა... სულმოუთქმელად მოიჩქარის სამშობლოსაკენ ოთარ ჭილაძის ცალხელა პოლკოვნიკი... მშობლიურ ფესვებს უბრუნდება გურამ გოჩანაშვილის ბესამო კარო... ბევრნი არიან ისინი, გულდათუთქულნი, ფერფლად ქცეულნი, ქართული ვაზის, ზღვისა და ზეცის ანდამატს დანატრულნი. მოდიან (ან ილუპებიან), რათა წინაპართა წმინდა სულების წინაშე აღასრულონ სულიერი ვალი. მიწა თავისას მოითხოვს. ქართული ზღაპრის გმირივით თავის წიაღში უხმობს ბედის უკუღმართობით შორეთში გადახვეწილებს.

რითი განსხვავდება ამ ქართული ტკივილისაგან იმ თურქი შაოსანი ქალბატონის სევდანალველი (იორლოს იოანესის ნოველიდან „ქემალის სახლი“), რომელიც დიდი ხნის წინათ გასხვისებული საკუთარი სახლის ჭიშკარს მოსდგომია და ბერძენ მასპინძელს მამა-პაპის ჭიდან ამოღებულ წყალს თხოვს წყურვილის (სულ სხვა წყურვილის) მოსაკლავად. ეს ქალბატონი სწორედ იმ თურქი ბეგის ქალიშვილია, რომელიც განშორების წინ სახლის „ზღურბლსა ჰკოცნიდა“. „მაგვარი ტკივილი აღარსად მინახავს“, წერს ამ ნოველის ავტორი იორლოს იოანესი. „... და არც წამიკითხავსო, ჩაურთავს მისი ქართველი „თანაშემოქმედი“ ნინო ვახანია.

ჩემთვის ეს მრავლისმეტყველი არსობრივი ჩართვა უფრო მეტია, ვიდრე ამ დიდებულ შემოქმედზე დაწერილი უამრავი რეცენზია.

ჩვენც აქ შევჩერდეთ, აქ შევწყვიტოთ თხრობა და ერთად ვიფიქროთ „მაგვარი ტკივილის“ მატარებელ ნოსტალგიურ ქალბატონზე, რომელიც ერთი წამითაც არ მოშორებია ძალით გასხვისებული, დიდი ხნის წინათ მიტოვებული, მაგრამ მარადის მშობლიური სახლის სარკმელს... და რომელიც ამ სარკმლიდან დღესაც ნალვლიანი თვლებით იმზირება სოხუმისა თუ... ორლამონდის, ამ ზღაპრული საოცრების ხილვის მოლოდინში.

როსტომ ჩხეიძე

არა არს საიდუმლო...

ყოველთვის ძალიან მიყვარდა ლუარსაბ I და გული მწყებოდა, რომ მხატვრული ქმნილების პერსონაჟად არსად მოჩანდა. მთავარ გმირად, თორემ გაელვებით კი გაივლებოდა ლევან გოთუას ისტორიულ ნოველაში „სიბრძნე სიკვდილისა“.

ამხელა ღვანლის დამდეგი ქვეყნისათვის, ბერი ეგნატაშვილი მოწამედაც რომ მიიჩნეოდა და ვახტანგ გორგასალსაც ადარებდა.

და დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ:

— უკეთუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და, რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან.

ალმატეული შეფასება და ასეთი!..

არ უკვირდა მემატანეს მისი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის ეს განსაკუთრებულობა, რადგანაც სახელი მოეხვეჭა როგორც ბრძენსა და გონიერს, ღვთისმოშიშსა და სჯულიერ მორწმუნეს, ღვანლმრავალსა და ბრძოლებში მხნესა და ახოვანს, ლომებრ ძლიერსა და სარდალს კეთილს.

სიბრძნეც, ღვთისმოშიშობაც, სიმხნევეც და ლომისებრი უნარიც ბრძოლისა ეგებ არც სხვებს ჰკლებოდათ, მაგრამ ქვეყნის გადასარჩენად ეს მაინც უკმარი გამოდგარიყო.

აქ კი:

— რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან.

ამკარაა, იმ პიროვნულ თვისებათა გარდა უთუოდ ჰქონდა ის დაფარული ღირსებანიც, გარდამტეხ ჟამს სრულიად რომ შემოაბრუნა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა და ბედისწერისაგან გამეტებული საქართველო კვლავაც დატოვა სამზეოზე.

ისედაც ადვილი მისახვედრია, თუ რა დრამატული ბიოგრაფია ექნებოდა უკიდურეს მღელვარებათა შუაგულში მოქცეულ კაცს, და თუ იმ ეპიზოდსაც არ დავივიწყებთ, მისმა დატყვევებულმა დედამ — ამოდ რომ ეცადა ლუარსაბი მის დახსნას ტყვეობიდან — სანამლავი დალია და მომხდურს კი სახელი არ გაათელინა, მეტი სიმწვავეთ წარმოგვიდგება მეფის თავგანწირული კვეთება საზარელ სინამდვილესთან.

უშუალოდ ეს ისტორიული ეპიზოდი გაიმღებოდა ლევან გოთუას იმ ნოველის სიუჟეტურ ქარგად, მარიამ დედოფლის ტრაგიკული და ამალღებული გარდაცვალების ირგვლივ მოქსოვილი, მის მონუმენტურ სახებას რომ დაამკვიდრებდა მკითხველის შეგნებაში.

მაგრამ ლუარსაბ მეფის მონუმენტური სახება?!

კოლორიტულად, კანთიელად კი მოჩანს ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“, ჯერჯერობით ცოტა მაინც რომ გვიშოშინებს ჩვენი ეროვნული გმირის

პერსონაჟად ქცევის წყურვილს, მაგრამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება ვერ შეცვლის ბელეტრისტიკას, მითუმეტეს, საკუთრივ ერთი პიროვნებისადმი მიძღვნილ ქმნილებას.

გულიც მწყდებოდა და ასხნითაც ვერ ამეხსნა, ასეთი მაღლიანი მასალა როგორ არ იქცა მხატვრული თხზულების სიუჟეტურ ქარგად, ერთბაშად რომ დაამკვიდრებდა ლუარსაბ I-ს მკითხველის ცნობიერებაში და ეგებ ერთი ყველაზე საყვარელი პერსონაჟიც შექმნილიყო.

ვასილ ბარნოვი სვიმონ I-ს აირჩევდა ისტორიული მოთხრობის გმირად, ლუარსაბ I-ის ვაჟს და მისი გზის უშუალო გამგრძელებელს, არანაკლები ღვაწლმრავლობით რომ გაიბრწყინებდა და მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე იოსებ ტფილელის ამ ლაკონიურ შეფასებაში ჩაინჭრებოდა: ქართლს ხმალი იმან შეარტყა, მტერნი გახადა კიდითა; და იქნებ მამის თავგადასავლის მხატვრული აღწერაც განეზრახა საქართველოს ისტორიის სრული სურათის ამოვსებისას, იმ აჩრდილებში ისიც აუცილებლად გამოერეოდა, ვასილ ბარნოვს ვინც შესთხოვდა წყვდიადიდან გამოყვანასა და მხატვრულ ქმნილებაში დაბინავებას, მაგრამ არც იმხანად და არც შემდგომ ეს არ მოხდებოდა და ქართველ პერსონაჟთა დიდებულ გალერეას ჯერჯერობით ამოკლება კაცო, ვისი ხმლის ქნევამაც მოგვიყვანა აქამდე და არ გაგვაზიარებინა გამქრალ-გადაშენებული ერების ბედი.

ეგებ ამიერიდან მაინც მოაფიქრდეს ვინმეს ამ მეფის პორტრეტისა თუ ბიოგრაფიის გაშლა ისტორიულ მოთხრობად, ტრაგედიად ან სულაც რომანად, ოღონდ ეს მოვალეობა იმან უნდა იდოს თავს, ვინც ლუარსაბ I-ს პერსონაჟთა დიდებული გალერეის ბინადრად აქცევს, თორემ დასანანი იქნება ეს მაღლიანი მასალა ნაკლებუნარიანი კალმოსნის ხელში.

მის ამბავს ჯერ კიდევ მაშინ მიკითხავდა მამა „ქართლის ცხოვრებაში“, ვიდრე წერა-კითხვას ვისწავლიდი, ბიძაჩემს კი ძალიან უყვარდა მისი ხსენებაც და სვიმონ I-საც და ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში უკვე ხელშესახებად და კოლორიტული იერით დამკვიდრდებოდა ეს ორი სახელი, სვიმონ მეფის პორტრეტის შთამბეჭდაობას შემდგომ უკვე ვასილ ბარნოვის „სვიმონ ხელი“ რომ გაამკვეთრებდა.

გული მწყდებოდა, პერსონაჟად რომ არსად მოჩანდაო... და თუმც ეს გულდანყვებულა ჯერაც არ შეცვლილა, უეცრად ისე შემომანათებდა ლუარსაბ მეფის სახელი, ერთი ისტორიული დოკუმენტიდან, უკეთესს ვერც ვინატრებდი. მერე რა, რომ იგი პირდაპირ არ იხსენიება — ყველაფერი ისეთი გამჭვირვალეა, მაინცდამაინც სახელდებით ხსენება რა აუცილებელია.

ეს დოკუმენტია მინის წყალობის სიგელი, რომელსაც ქართლის მეფის ბაგრატ VII-ის (1616-19) ძეუღლე, დედოფალი ანა და მისი ვაჟი, მეფე სვიმონ II აძლევენ გორგასალ ჩხეიძესა და მის შვილებს:



— ...ჩვენ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანამან და ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან სვიმონ, თქუენ ჩვენსა ერთდგულსა და თავდადებით ნამსახურსა მამიდაშვილსა ჩხეიძეს პატრონსა გორგასალს და შვილთა თქვენთა ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს და მომავალთ სახლისასა თქვენისასა, ამას ჟამსა ოდეს მამულის წყალობასა გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება, შევინყალეთ და გიბოძეთ კარაღითი ვახტანგ ციციშვილის კერძი, რაც ციცი-საგან ამას კერძოდ რგებოდეს ანუ აზნაურიშვილი და ანუ გლეხი ამისის სამართლიანის საგანაყოფით... ყოვლითურთ სახმართა და უხმართა ყოვლი თქვენთვის გვიბოძებია...

სიგელის ეს პასაჟი ჩართულია თამარ ლაცაბიძის საისტორიო ნარკვევში

ქართლის ჩხეიძეების საგვარეულოს ბიოგრაფიას რომ ირკვევს — „იტრიელი ჩხეიძეები“, გამოქვეყნებული „ხაშურის მუზეუმის მოამბის“ პირველ კრებულში (ხაშური, 2010) და განმეორებული თამარ ლაცაბიძის თანაავტორობით მომზადებულ ნიგნში „იტრია“ („ლიხი“, ხაშური, 2010), რომელიც ეძღვნება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს სოფელს, სურამის წყლის ხეობაში გაშლილსა და ლიხის ქედს მიბჯენილს, და გვზიბლავს არაერთი უცნობი წყაროს გამოვლენითა და მახვილგონივრული დაკვირვებით, ამ მონოგრაფიულ თხზულებას მრავალმხრივ ფასეულ სამეცნიერო ნაშრომად რომ აქცევს.

სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რაკილა თამარ ლაცაბიძე იმთავითვე იგულისხმება იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელნიც უჩინრად, თავმოდრეკით ადასრულებენ დიდად მნიშვნელოვან საქმეთ და შეუცვლელნი არიან თავთავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზე, როგორც უაღრესად განსწავლულნი და სანდონი.

ჯერ ზოგადად რომ აღნიშნავს: სიგელში კარგად ჩანს ქართლის სამეფო კარისა და გორგასალ ჩხეიძის ახლო ნათესაური კავშირი, — მერე თვითონვე მიფრავს ბოლომდე ნათესაობის ამ წრეს:

გორგასალ ჩხეიძის პაპა დედის მხრიდან არის ქართლის მეფე ლუარსაბ I, ბიძები — სვიმონ I და დავით XI (დაუდ-ხანი), ბიძაშვილები — გიორგი X, ბაგრატ VII და როსტომი.

ასე უბრალოდ უნდა დადასტურებულიყო ძველი სიბრძნე: არა არს დაფარული, რომელი არ გაცხადდესო.

მკვლევარი ამასაც დასძენს:

— ამავე სიგელიდან ჩანს, რომ ჩხეიძეები XVII საუკუნის 10-იანი წლებისათვის უკვე ქართლში არიან და სამეფო კარი განეული სამსახურისათვის — და არამარტო ნათესაობისათვის — წყალობად მამულს აძლევს.

ნარკვევის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ქართლის სამეფო კართან ჩხეიძეთა ურთიერთობა უფრო ადრეც დასტურდება. სვიმონ I-ს 1588-90 წლებში დასავლეთ საქართველოს შემოერთება რომ უცდია, ამ მიზნით სამჯერ ულაშქრია იმერეთში, იქ გადასულ ქართლის მეფეს კი, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „შემოეყარა ზემოური იმერელები“, რომელნიც მის მხარდამხარ ჩაებმოდ-

ნენ ბრძოლაში. მაინც ვინ არიან ეს „ზემოური იმერელები“. ერთი მემატიანის ზოგად მინიშნებას მეორე მემატიანი — ფარსადან გორგიჯანიძე — დააზუსტებდა, რომ სვიმონ I-ს აბაშიძეები, ჩხეიძეები და წერეთლები მიმხრობიან.

და მიიჩნევს, რომ ამ თანადგომას ხელს უწყობდა ქართლის სამეფო კართან ჩხეიძეთა ნათესაობა — ქართლის ჩხეიძეთა წინაპარი, გორგასალ ჩხეიძის მამა, ხომ სვიმონ მეფის სიძეა, მისი დის მეუღლე.

სამეცნიერო ლიტერატურა ირწმუნებოდა: მიუხედავად სვიმონ I-ის მარცხისა იმერეთის შემოერთებისათვის ბრძოლაში, ჩხეიძეებს იმერეთის სამეფო კარისაგან არავითარი შევიწროება არ განუცდიათ. თუმცა თამაზ ლაცაბიძე ასე იოლად ვერ ენდობოდა ამ თვალსაზრისს: იქნებ სვიმონის მარცხმაც განაპირობა ჩხეიძეთა სახლის იმ ნაწილის გადმოსვლა ქართლში, მისი მომხრეები რომ იყვნენ და, ამავედროულად, ენათესაებოდნენ ქართლის სამეფო კარს.

ნარკვევში გამოიკვეთებოდა ჩხეიძეთა ნათესაობა ბაგრატიონ-მუხრანბატონების შტოსთანაც კიდევ ერთ ისტორიულ დოკუმენტზე დაყრდნობით. ეს შტო ქართლის სამეფო ტახტს დაეუფლებოდა ჯერ კიდევ როსტომ მეფის სიცოცხლეშივე — 1657 წლიდან. მათი ნათესაობა კი აღინიშნებოდა გიორგი X-ის მიერ 1688 წელს გაცემულ სიგელში, რომლითაც იგი ბეჟან ჩხეიძის შვილს — ქაიხოსროს — აძლევს სოფელ ფონას, სახასო მამულს: „ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა“ და „ნათესავსა და ყმას“.

სიგელში აღარ ზუსტდებოდა, თუ უშუალოდ რას გულისხმობდა ეს ნათესაობა, რაც მოგვიანებით გაცემული დოკუმენტით ცნაურდება.

1729 წელს ვახტანგ VI სეხნია ჩხეიძეს სიგელს რომ მისცემდა, იქ ჩაინერებოდა:

— ...ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს (ვახტანგ V) თავისი დეიდაშვილის, პაპაშენის ბეჟანისათვის (გორგასალ ჩხეიძის ვაჟი), ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა...

ასე აღმოჩნდნენ ვახტანგ V (შაჰნავაზი) და ბეჟან ჩხეიძე დეიდაშვილები.

და რაკილა ვახტანგ V-ის დედა გიორგი სააკაძის ასული გახლდათ, ცხადია, ბეჟან ჩხეიძის დედაც დიდი მოურავის ასული უნდა ყოფილიყო, და ასე დასტურდებოდა ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის კიდევ ერთ დიდ ფეოდალურ გვართან — სააკაძეებთან.

ამიტომაცაა, გორგასალ ჩხეიძესა და მის ვაჟს გიორგი სააკაძის გვერდით რომ ვხვდავთ ლხინის ჟამსაც და ჭირის ჟამსაც... და ალექსოში დიდ მოურავსა და მისი ამალის წევრებს ჯალათები თავებს რომ გააყრევინებდნენ, ეს ტრაგიკული ხვედრი უნდა რგებოდა ბეჟან ჩხეიძესაც, მამამისს, გორგასალს, მცველები რომ არ მოესყიდა და დილეგიდან შვილის გამოშვების საცვლოდ თვითონ არ გაეზიარებინა გიორგი სააკაძის მწარე ბედისწერა (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი).

ასე გადაურჩებოდა ბეჟან ჩხეიძე დალუპვას ალექსოში და სამშობლოში დაბრუნებასაც ელირსებოდა — ერთადერთი კაცი დიდი მოურავის ამალიდან, იმასაც რომ შვებას მოჰგვრიდა შვილიშვილის გამოხსნა გარდუვალი აღსასრულისაგან.

დაუნერელი დარჩებოდა ამ თემაზე ოთარ ჩხეიძის ისტორიული დრამა.

სამაგიეროდ, ლევან გოთუა შეასხამდა ხორცს ნოველაში „უფო ქარავანი“.

ლევანს თუ პირადმა ეპიზოდმაც უბიძგა ამ ნოველის შესაქმნელად (მამამისი, პართენ გოთუა, მზად გახლდათ თავი დაედო შვილის სანაცვლოდ — იგი დაეხვრიტათ და არა ლევანი 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის რეპრესიების ჟამს), ოთარ ჩხეიძეს საგვარეულო გადმოცემა განაწყობდა საამისოდ — ბეჟან ჩხეიძე იყო უშუალო წინაპარი ქართლის ჩხეიძეთა ყელქცეულის შტოსი, რომელსაც არ დაკლებია დევნა-განადგურება და მაინც შეინარჩუნა თავი, რათა, დაშრეტაზე მიმდგარი, გაქრობით არ გამქრალიყო.

ასეა თუ ისე, ბეჟან ჩხეიძის პეპერა თუ ლუარსაბ I-ია, პაპა გიორგი სააკაძეა.

და ამ გარემოებას — დიდი მოურავის შვილიშვილობას — წლების წინათ ჩემს სანინალმდეგო არგუმენტად მიმარჯვებდა რიმა ფირცხალიაშვილი: როგორ თუ გიორგი სააკაძე არ ჩაგქრის გულში მაინცდამაინც, იგი ხომ შენი წინაპარიაო. თითქოს ვალდებული ვიყო ან მე ან სხვა, ნათესაობის გადასახედიდან განვსაჯოთ ადამიანის მოქმედება და ამ საზომით ვიხელმძღვანელოთ მისი ღვაწლისა თუ ცოდვა-ბრალის შეფასებისას.

ალექსანდრე ორბელიანისა არ იყოს, არც მე შევივრდომებ თუ დავინდობ ვინმეს ნათესაობის გულისათვის და ვერც გიორგი სააკაძეს ვინამებ ეროვნულ გმირად იმ შეუნიღობელი ცოდვებისათვის, საქართველოს წინაშე რომ მიუძღვის. ვითომ რატომ არ უნდა დავუჯერო ისტორიულ მატინეებს და დავუჯერო სააკაძის ბიოგრაფიისა და პორტრეტის საბჭოურ-სტალინურ ვერსიას, რომელიც სრულიად აცდენილია ისტორიულ რეალობას და წარმოგვიდგება ახალი დროის მითოსის სრულუფლებიან ნაწილად.

ის გარემოება, რომ გიორგი სააკაძე წინაპრად მომხვდება, ჩვენი ფესვის მასულდგმულელები ორი ჩხეიძე კი — მისი ოჯახის წევრები — ასე დამერა მის სამსახურში და ერთი სულაც მის გვერდით, მის თანაზიარადაც აღესრულა, ოდნავადაც ვერ შემალამაზებინებს ისტორიულ რეალობას.

ლუარსაბ I და გიორგი სააკაძე ორი საპირისპირო პოლუსია და შეუძლებელია ორივე ერთნაირად გიყვარდეს, თუ გაორებული არა ხარ ანდა ჯერაც ზეგავლენას არ ახდენს შენს ფსიქიკაზე საბჭოური მითოსის ინერცია.

ეს ინერცია დატყობია თამაზ ლაცაბიძის მსჯელობასაც დიდი მოურავის პიროვნებაზე, გმირად რომ გვისახავს და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლად, და ესაა ერთადერთი ჩავარდნილი ადგილი არამარტო ამ თავში, არამედ მთელს წიგნში, რომელშიც იტრიის ეტიმოლოგიაც დიდი სიფრთხილითა და დამაჯერებლობითაა გამორკვეული და ტოპონიმიკაც გულდაგულ აღნუსხული, დოროთეოზ კათალიკოსის სიგელიც შესწავლილია და იტრიის მონასტრის სიძველეებიც წარმოჩენილი, იტრიის არქიტექტურული კომპლექსიც ყოველმხრივად გააზრებულ-გაანალიზებული და იტრიის კოშკიც — ჩხეიძეთა რეზიდენცია — გულდასმით აზომილი, ჩხეიძეთა სამეურნეო საქმიანობაც დახასიათებულია და იტრიაში მოღვაწე მღვდლის, შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ქრისტეფორე ციციქიშვილის მნიშვნელოვანი წვლილიც მიკვლეულია იქაური სკოლის დაარსებაში...

და მიგნებულია უაღრესად საგულისხმო ცნობაც ქართული კულტურისა და კერძოდ კინემატოგრაფის ისტორიისათვის:

იტრიაში 1909 წელს ფირზე გადაიღეს ხალხური სანახაობა „ყვენობა“.

ესეც პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი.

აქამდე პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმად მიჩნეული იყო ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, არადა, იტრიაში გადაღებული ფილმი რამდენიმე წლით უსწრებს მას. მართალია ჯერჯერობით თვითონ „ყეენობა“ მიუკვლეველია, მაგრამ ცნობის პოვნაც მრავლისმეტყველია — ბოლოსდაბოლოს, ვიცით, რომ პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი მოსაძებნი გვაქვს.

თამაზ ლაცაბიძისათვის ეს ცნობა ორი გარემოების გათვალისწინებითაც დამაფიქრებელია:

— ერთი ის, რომ იტრიისათვის უცხო არ ყოფილა ქართული ხალხური სანახაობის გამართვა, მას როგორც ჩანს ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა. და მეორეც, ეს სანახაობა გარკვეულ ინტერესსაც იწვევდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში, რომ მაინცდამაინც იტრიაში აღებეჭდათ იგი ფირზე.

ეს მხარე, ეს სოფელი აღმოჩნდებოდა შთამბავებელი არჩილ ჯორჯაძისთვისაც შესაქმნელად თავისი განთქმული ციკლისა „წერილები იტრიის წისქვილიდან“, რომლის სათაურსაც დავესხებოდით ამ დიდებულ მოღვაწეზე ბიოგრაფიული რომანის შედგენისას, და კომპოზიციური ჩარჩოსთვისაც ამ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სერიას გამოვიყენებდი ქართული პროვინციის თანდათანობითი რღვევის დრამატული პროცესის წარმოსახვისას.

იტრიაში საგულდაგულოდ დავეძებდი არჩილ ჯორჯაძის იქ ყოფნის კვალს, გამქრალი წისქვილის ადგილსამყოფელს, ვიძიებდი და ვაზუსტებდი ამ სოფლის სახელწოდების წარმომავლობას. და ძიებისას ვეყრდნობოდი და ვითვალისწინებდი თამაზ ლაცაბიძის მიერ მონოღებულ ცნობებს, მის ცალკეულ რჩევებს.

მის წიგნში შეტანილი ნარკვევი „სვიმონაანთ მდგმური“ კვლავ უბრუნდება ამ მხარეში არჩილ ჯორჯაძის სტუმრობის იმ დაუფინყარ თვეებს 1911 წლის მაისიდან აგვისტოს მიწურულამდე, რომელმაც დიდებულ მოღვაწეს სიცოცხლის მიმწუხრი შეუმსუბუქა და გაულამაზა, ქართულ მწერლობას კი უმნიშვნელოვანესი თხზულება შემატა, დაუსრულელებელი, მაგრამ წერილების ეს რკალიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის მის მიზანდასახულებასა და კონცეფციასზე.

თამაზ ლაცაბიძე სხვა ცნობებთან ერთად საარქივო მასალებითაც — არჩილ ჯორჯაძესთან გაგზავნილი ბარათებით — ავსებს იმ დღეების ქრონიკას და ქმნის წიგნის ერთ-ერთ დამამშვენებელ თავს. ამასთან, მკითხველს აღმოუჩენს უცნობ ფოტოსურათს — სურამის საზოგადოების ერთ ჯგუფს XX საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს. ერთ-ერთი პიროვნების გამოსახულებაზე ფრთხილად აღნიშნავს: არჩილ ჯორჯაძე უნდა იყოსო. თუმც ეს სიფრთხილე მკვლევარის თავდაჭერაზე უფრო მეტყველებს, თორემ ეს ნამდვილად მისი სახება და ისიც ყველას კარგად მოგვეხსენება, ასეთ მიგნებას რა ბაქიბუქითა და ზარზეიმით წარმოგვიდგენდნენ სხვანი. თამაზ ლაცაბიძე კი, ვითომც ასეთი მიგნებანი ჩვეულებრივი მოვლენა იყოს, ისეთი მორიდებით ჩართავს ამ ფოტოსურათსაც წიგნში, უცნობი მასალითა და მარჯვე დაკვირვებებით რომ უხვად გაჯერებულა.

ამ მასალების და დაკვირვებათა მიხედვით კანთიელად წარმოისახება სეხნია ჩხეიძის სილუეტიც, საისტორიო თხზულების — „ცხოვრება მეფეთა“ — ავტორისა, დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის, ქართლის სამეფო კარ-

ზე მოღარეთუხუცესის სახელო რომ ეჭირა, და ჩხეიძეთა სახლის მეთაურობაც პაპის — ბეჟანისა — და მამის — ქაიხოსროს — შემდეგ მასზე გადმოვიდოდა.

იგი თავის თხზულებაში ბევრგან ლაპარაკობს საკუთარ თავზე და თამაზ ლაცაბიძე ადვილად წარმოსახავს მისი ცხოვრების გზას, რომელსაც ავსებს სიძველეთსაცავებში დაცული დოკუმენტებით და უსამართლოდ მივინყებულნი ჟამთააღმწერელი ბურუსიდან გამოჰყავს, თუმც მისი პიროვნებაც და ღვანლიც გაცილებით ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს, უფრო სრულყოფილ წარმოჩენას, ვიდრე იტრიელ ჩხეიძეთა სახლისადმი მიძღვნილ ნარკვევში მისადმი დათმობილი — თავისთავად დიდად საგულისხმო — გვერდებია.

მიკვლულთან ერთად ბევრი რამაა ღიად დარჩენილიც, ეს მკვიდრი საძირკველი თვითონვე რომ მოითხოვს თამაზ ლაცაბიძისაგან, ვისი მაძიებელი გონებაც ასე ადვილად არ შეჩერდება... და მოსალოდნელია, რომ სეხნია ჩხეიძე დამოუკიდებელი და ვრცელი ნარკვევის მთავარი გმირიც გახდეს.

დამუშავდეს იტრიის ეკლესიის გალავანში შემონახულ საფლავთა ნარჩენები ჩხეიძეთა საგვარეულოზე წარმოდგენის შესავსებად.

დამატოს XIX საუკუნის ისტორიაც ამ სახლისა — მკვლევარი, დარწმუნებული ვარ, კიდეც არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მოწმეს გაგვხდის და ბოლომდე მოიყვანს იტრიელ ჩხეიძეთა დრამატულ თავგადასავალს, ვიდრე ამ სოფლიდან აიყრებოდნენ და თბილისს შეაფარებდნენ თავს.

ამ სახლის ყელქცეულურ განშტოებაზე ცნობებისათვის კი — სურათის კიდეც უფრო შესავსებად — ჩემი ბიოგრაფიული რომანის — „ავგისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“ — გამოადგება, მწერლის ოჯახურ გარემოს, მის უშუალო წინაპართა გენეალოგიას რომ აღადგენს.

აგრეთვე ივანე ამირხანაშვილის რეპორტაჟი ყელქცეულის ეკლესიის გალავანში თავისებური არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიგნებულ საფლავებზე, უპირველესად კი როსტომის — ჩემი პაპის პაპის — სამარეზე, ამ სოფელში ვინც პირველი გამოჩნდებოდა ჩხეიძეთაგან და ამ განშტოების მეთაურიც ის შეიქნებოდა, საკმაოდ მძლავრი კერისა, ვიდრე 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ჰეროიკული გაბრძოლება დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად, ამ დიდ ოჯახსაც დაარბევდა და იმსხვერპლებდა, სრულ ამოჟლეტას როგორღაც რომ გადავურჩებოდით.

* * *

იმ ტრაგიკული დღეებით ვიზრდებოდით და ქართლის ცხოვრების ჰეროიკული და მწუხარე სურათებით, ჩვენთვის აღმაფრთოვანებულ გმირთა გალერეაში კი იმთავითვე მძაფრად შთაბეჭდებოდა ლუარსაბ I-ის სახეობაც, იდეალს შეტოლებული გმირის, ოღონდ ვერასოდეს ვიფიქრებდით, მისი სისხლიც თუ გვიჩქეფდა ძარღვებში...

— ახ, ერთი პიესა ლუარსაბ პირველზეო, — ნატვრით და წუხილით იტყოდა ხოლმე ოთარ ჩხეიძე.

ნატვრა იმისა გახლდათ, ნეტა დაუხსნავი არ დამრჩესო, წუხილი კი იმისა — ყველაფერს როგორ გავწვდე, როგორ ვაქციო მხატვრულ სიუჟეტებად და სახეებადო...

და იმედით მიმოიხედავდა გარშემო, ისე როგორ იქნება, რომ დროზე არავინ შემოგვეშველოს ქართლის ცხოვრების მხატვრული სურათის სრულყოფის გზაზეო.

ლებს "ოპოიდა ნენე", ქუთაისელი პოეტის — "რაბი", ხაშურული პოეტის "მათუსალა" და თბილისელი პოეტის "საით მეტი ხარ საქართველოვ"... ბავშვობაში რაჭის მთიანეთში სტუმრად ჩასულს ჩემი დიდი ბებია მეუბნებოდა ხოლმე, ტყეში ღამით ნუ შეხვალ, სულელები ბინადრობენ, კი არაფერს დაგიშავებენ, მაგრამ მიუჩვეველი ხარ და არ შეგაშინონო. ახალა მივხვდი, რატომ ჩურჩულებდა მუხრანის ტყე ასე იმ ღამით... იმ ცამეტი შემოილილი პოეტის სუნთქვა თუ აკრთობდა მის მდუმარებასა და ტყეც შემოდგომისფერი ფოთლების შრიალით გვეხმიანებოდა.

ისე, ნეტა საით მეტნი ვართ ქართველები. იქნება მხოლოდ ერთმანეთისთვის თუ აღვემატებით მილიონობით სივრცეში გაბნეულ ნაწილს ამხელა დედამიწაზე, იქნება მხო-

ლოდ ერთმანეთია ჩვენი მოღლილი სულებისთვის თავშესაფარიცა და ძალაც. და აქვე გავიხსენებ ტიცინან ტაბიძის სიტყვებს: „ჩემო კარგო, ვერსად ვერ ნახავ შენ სხვა მხარეს, ისე რომ ენათესავებოდეს მოღლილ სულს, როგორც ჩვენ სამშობლოს“.

ვფიქრობ, სწორედაც რომ ეს არის ის სანთელი, ხის საჯვარეში ჩვენთვის რომ დატოვეს ცისფერყანწელებმა.

აქვე, მთელი პოეტური ჯგუფის სახელით მადლობა მინდა გადაუხადო ბატონ გიზო თავაძეს და მთელ ქუთაისს, იმ ორი არაჩვეულებრივი დღისათვის, იქ რომ გავატარეთ.

გიზო თავაძე

ისინი ცამეტნი იყვნენ

ცამეტნი არაორდინარულად მოაზროვნე, უნიჭიერესი ახალგაზრდა. თავიანთ სხეულში ვერდატეული, სისხლმოჭარბებული, ვერც პატარა ქალაქში, ყოფილ საგუბერნიო ცენტრში, ვერც დედამიწაზე ვერდატეული ბიჭები, რომლებიც ღამეებს ათენებდნენ რიონის პირას, ეტლებითა და ფატონებით დაიარებოდნენ აღმადამა, ხან არქიელის გორას მიადგებოდნენ, ხან არესის ქალების მიმოგარეშე დაქროდნენ და თავიანთ ლექსებს უკითხავდნენ გაცოცხლებულ და განცვიფრებულ ქალაქელებს.

ისინი მუხლმოდრეკილი იდგნენ რუსთაველის აჩრდილის წინაშე, გურამიშვილის აჩრდილის წინაშე, მათ უცდომლად იცოდნენ ილიას, აკაკის, ვაჟას, მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსების, რუსთა მიერ დამონებული სამშობლოს ტრუბადურების, გულის კენესანი თუ გულის მოსაოხებელი სიტყვანი, იცოდნენ, მაგრამ მაინც ფიქრობდნენ, რომ ქართულ ლექსს ახალი სისხლის გადასხმა სჭირდებოდა. მათ თვალწინ დააბიჯებდა თეთრ თმა-წვერში სანთელივით ჩაღვნილი ოლიმპიელი აკაკი, უდიდესი მონინებით ხვდებოდნენ ბალისკიდებუ მის გამოჩენას, ქედდარეკით ესალმებოდნენ, გაბედეს და ლექსებიც წაუკითხეს, მაგრამ მაინც ჯიუტად ამოუჭრიათ გულში ქართული ლექსის განახლება. შარლ ბოდლერს, პოლ ვერლენს, სტეფან მალარმეს, არტურ რემბოსსა და სხვა ფრანგებს ეთაყვანებოდნენ, რომლებმაც დასაბამი მისცეს დეკადენტურ პოეზიას, სიმბოლოების ერთი ზღოვანება, აფორიაქეს ჯერ პარიზი, თავიანთი მექა, და შემდეგ მთელი ევროპა აიყოლოეს, ააროკეს და ჭკუიდან გადაიყვანეს... გამომდინარე რუსეთშიაც ძალუმად ჰპოვეს, ბლოკი და ბრიუსოვი, ფეტი და ბალმონტი, გუმბოლივი და ბელი, იგივე ბორის ბუგაევი, ჩვენში აღზრდილ-ჩამოყალიბებული მაიაკოვსკი ფუტურისმიცენ გადაიხარა, უფრო რადიკალურმა გადაძალა, ისიც მეამბოხე იყო...

ფრანგი სიმბოლისტები რუსეთის გავლით შემოდისდნენ პატარა, პროვინციულ ქალაქში და თვალს ჭრიდა ქალაქელებს ამათი დენდური ჩაცმულობაც, მიხრა-მოხრაც და სიტყვის ათიანში გარტყმაც...

საქართველო უკვე გათავისუფლებული იყო, დედაქალაქში ნოე უორდანიანი წამომჯდარიყო, რუსი მეფისნაცვლის მაგიერ, ქართულ ფულსაც ჭრიდნენ და ქართულ ჰიმნსაც მღეროდნენ უკვე, რომელსაც „დიდება“ დაანათლეს და კოტე ფოცხვერაშვილის ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ...

აკაკი, ვაჟა და იაკობი ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს პირი შეკრესო, ზეციურ საქართველოში გადასახლებულიყვნენ... და შეკრებილიყვნენ სრულიად ახალგაზრდები, პოეტური აღმავრენით შეპყრობილი...

ისინი ცამეტნი იყვნენ!

იდგა 1918 წლის სექტემბერი. შემოდგომა. იმერული შემოდგომა. ქუთაისი მშობიარეს მიავადა... იყო რალაცნაირი შემფოთებაც, ეჭვიც, შიშიც და დიდი მოლოდინიც...

1918 წელს ახალგაზრდების ჯგუფმა ხელი მოაწერა მანიფესტს და იშვა სიმბოლისტთა ორდენი, საძმო — „ცისფერი ყანწები“... იქვე ჟურნალიც გაჩნდა და ქუთაისის საზოგადოებამ „მეოცნებე ნიამორები“ გადაფურცლა, სადაც ტიცინანის და პაოლოს, ვალერიან გაფრინდაშვილისა და კოლაუ ნადირაძის, შალვა აფხაიძისა და შალვა კარმელის, სანდრო ცირეკიძისა და გოგლა ლონიძის ბრწყინვალე ლექსები და მინიატურები დახვდა... დახვდა და შეიყვარა, იგრძნო, რომ ახალი სიო უბერავდა, ახალი ტალღა მოაწყდა ქართული პოეზიის სანაპიროს, იგრძნო და გაითავისა...

არამარტო მათი ხილვა ხილავდა და აღაფრთოვანებდა ქალაქელებს, არამედ მათი ძმობის სიმტკიცეც, სიცოცხლის სიყვარულიც, ერთგულებაც, და ერთმანეთის სახელის ფარზე აზიდვაც. ერთმანეთს ბოლომდე უერთგულეს, თუმც ზოგიერთი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან. ერთმანეთის მეჯვარეები და ხელისმომკიდენიც იყვნენ, თამაობდნენ და თამაობდნენ საოცრად, და როცა მსახვრალმა ეპოქამ მათი კალოც გალენა, როცა საშინელმა სისტემამ, პოლიციურმა რეჟიმმა ხუნდები დაადო მათ თავისუფლებას და აღმავრენას, მაშინაც კი რაინდებად და დენდებად დარჩნენ... როგორ არ უნდა გეამაყებოდეს, როცა პაოლო იაშვილმა პროტესტის ნიშნად მწერალთა სახლში მაჩაბლის 13-ში, საკუთარი სანადირო თოფით მოიკლა თავი, მის კუბოს, პირადად ბერიასა და ჩეკისტების აკრძალვის მიუხედავად, უშიშრად მიჰყვებოდა კოლაუ ნადირაძე.

უხაროდა ბერიას, პაოლოს მეგობრები არ ჰყოლია, ერთი კინკლა კაცის გარდაო, მაგრამ მისი სიხარული დღენაკლული იყო, პაოლო მთელ საქართველოს უყვარდა და უყვარს.

და როცა 2007 წელს ჩვენს კულტურის სამსახურში იშვა იდეა ცისფერყანწელთა გახსენებისა — 90 წლის იუბილისა, მთელმა სამსახურმა აიტაცა ეს, მერე სხვებმაც არ დაგვაკლეს ყურადღება, რადგან არცერთ სხვა ქალაქს საქართველოში, არც თბილისს, არც ბათუმს, არც გორს, არც თელავს, ფოთს, ზუგდიდს, არ შეუძლია თქვას: ცისფერყანწელთა ქალაქი ვარო. ეს მხოლოდ ქუთაისის შეუძლია ამაყად თქვას და აღასრულოს ის, რაც ევალება.

2007 წელს გამოვიდა წიგნი „ცისფერყანწელები ცისფერყანწელებზე“, 2008 წელს „ცისფერყანწელთა ახალი მითოლოგია“, ხოლო 2009 წელს ქართველი ლიტერატორების წერილები, ცისფერყანწელებზე, სადაც გაცეცნობით იმდროინდელ ქუთაისს, ნახავთ პაოლოსა და ელენე ბაქრაძის უნაზეს, უსპეტაკეს ბარათებს. აქვე წაიკითხავთ კოლაუ ნადირაძის ვაჟკაცობის აპოლოგიას... ამ წიგნს „ცამეტნი“ დავარქვით.

ხოლო 2010 წელს გთავაზობთ ცამეტთაგან ერთ-ერთი ბრწყინვალე ცისფერყანწელის, უდროოდ დაღუპული სანდრო ცირეკიძის თხზულებათა სრულ კრებულს.

ოლეგ გოლიაძე

შემოქმედის ახალმთვარეობა

სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ბავშვური მიაშიტობით მაინტერესებს: კითხულობს ამაჟამად საქართველოში ვინმე ლიტერატურულ რეცენზიებს, კრიტიკულ წერილებს?..

და მაინც ვბედავ, ვწერ თითქმის მოულოდნელად აღმოჩენილი მოთხრობა-ნოველების შესახებ... ავტორი — შორენა ბერელიძე — მთლად უცხო არაა ქართველი მკითხველისათვის; მისი ნაწერები, ცხადია, სხვებსაც გაახსენებს თავს... ახლა კი გამომცემლობა „საარმა“ მისი პატარა, უჩვეულოდ ლამაზად გამოცემული-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ მიხვდები, რომ სიტყვა „უჩვეულოდ“ როგორღაც უადგილოა, ვინაიდან ნინო ზაალიშვილისა და კარლო ფაჩულიას მიერ დასურათბატებული სხვაგვარი როგორ იქნებოდა!..

შორენა ბერელიძის კრებულს — „ვხედავ“ — რომ გავეცანი, ერთი ისტორია გამახსენდა: გრიგოროვიჩმა და ნეკრასოვმა ავადმყოფ ბელინსკის ახალბედა, მანამდე უცნობი მწერლის, დოსტოევსკის ხელნაწერი მოთხრობა მიუტანეს აღტაცებულბედა... სახლში შესვლისთანავე ახარეს: „ბელინსკი, ახალი გოგოლი დაიბადა!“ „ეჰ, კარგი რა, თქვენ სოკოუბივით გეზრდებათ გოგოლები!“ — მკაცრად უპასუხია მეტრს, თუმცაღა ხელნაწერი დაუტოვებია და იმ საღამოსვე უთხოვია, დოსტოევსკი გამაცანითო... ეს შემთხვევა შორენა ბერელიძის შემოქმედების გაცნობის სიხარულმა გაგვახსენა, თორემ ჩაკირკიტებულ მკითხველისეულ, ლიტერატურულ კორიფეებთან წარმოსახვითი ანალოგიისაგან კრებულის ავტორიც და წინამდებარე რეცენზიის დამწერიც ერთობ შორსა დგანან მათეული მორიდებითა და, რაც მთავარია, საკუთარი პიროვნების გონივრული თვითშეფასებით...

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე დავძენთ: შორენა ბერელიძე შესაშურად გამოირჩევა სხვათაგან — საკუთარი მანერით, თხრობის სისადავით (და არა სიმარტივით!), თავდადრეკით, უშუალოდ, არასიტყვამრავლობით (რითაც, სამწუხაროდ, ხშირად სცოდავენ ახალგაზრდა თაობის შემოქმედი-მანდილოსნები); როდესაც კითხულობ ზოგიერთი მწერალი ქალის ნაწერებს, უფრო სწორად, ფსევდოსალონურ, ბომონდურ მათეულ მეტყველებას, აწყდები, გულწრფელად გიჩნდება სურვილი, ერთი რამის თქმისა: ეგებ სულაც დადუმებულიყავი, თორემ ახლა ყველა თუ არა, ზოგიერთი მაინც ხომ შეიცნობს, რაცა და ვინცა ხარ!..

მწერალს მუდამ სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ „ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში სამი ელემენტის (შინაარსი, ავტორისეული სიყვარული თავისი საგნისა მიმართ, ტექნიკა) ურთიერთგარჩევით მიიღწევა

ნამდვილი ოსტატობა. მხოლოდა შინაარსისეული ჰარმონიისა და სიყვარულის მეოხებით მივეახლებით თხზულების სრულქმნილობას და მაშინ, ჩვეულებრივ, მესამე ელემენტი — ტექნიკა — თვითბუნებრივად სრულყოფილობას აღწევს...“ ამ განასერში ავტორი წინამდებარე კრებულისა კლასიკურად და, იმავდროულად, ვფიქრობთ, ქვეცნობიერად, შინაგანი „სული წმიდას“ (ნუ შეგვაკრობს და ნურც გაგვაკვირვებს ამ ჰიპოსტაზის თითქოსდა აგერევიად, ხელწამოსაკრავად ხსენება-მოშველიება!) შემწეობით თითქმის ყოველთვის სანიშნოა ერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, ნოველის — „შალიკოს გარეშე“ — ბოლო აბზაცი — ზედმეტად მოჩანს...).

რაც შეეხება ტექნიკას, ანუ როგორც ახლა უწოდებენ — „სიტყვის ხელოვნებას“, ამ თვალთახედვით პირადად მე, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, კვლავდაკვლავ ერთობ სასიამოვნო და... რა ვქნა, უნდა ვთქვა — „ცოტაოდენ“ მოულოდნელ, შემოქმედებით სივრცეში აღმოვჩნდი: მთლად იმასაც ვერ ვიტყვი, რომ სიტყვიერი ხელოვნების ამგვარ მისაღებ და სასიამოვნო ფენომენს ჯერ არ ნაგვწყლომივარ-მეთქი, მაგრამ სანაქებო რომაა, ეგ უდავოა... ცხადია, ერთი-ორი „იალიში“ (თბილისური გამოთქმა რომ მოვიშველიოთ) მასთანაც შეინიშნება (ვთქვათ, ასეთი — „ცარიელი ქალი“ აშკარად არ ვარგა, „ფუქსავატიო“, ალბათ, უნდოდა, ეთქვა ავტორს...) დახვეწილი, თავისთავადი, არავისმიმგავსებული მანერისა და ხელწერის მქონე წინამდებარე წიგნის ავტორი ზოგჯერ, ძალზე იშვიათად, ზედმეტად „ირჯება“: თქვენგვარი რაფინირებული, სადა და სხარტი მეტყველების ხელოვანმა როგორ მოახერხეთ, დაგენერათ: „...არაამქვეყნიური ოთხზის აჩქარებული პულსი, ახლა ოთხზის შენელება და დაჩუმდა (საინტერესოა, რა აზრისა იქნებიან პულსირების ამგვარ ცვლილებაზე კარდიოლოგები — ო.გ.). წინადადებები ნაწყვეტ-ნაწყვეტად იჭრებოდა ნისლში (?), გაფუჭებული ლენტიდან გადმომხტარი სიტყვებით...“

არ იფიქროს ვინმემ, მწერლის „შემოქმედებით ლაბორატორიაში“ ხელების ფათურს ვაპირებდე, უბრალოდ, კეთილმოსურნეობამ გადამანწყვეტინა ამის თქმა... ბარემ იმასაც გაგივალისწინებთ, რასაც გასული საუკუნის ერთი საშინლად ენამწარე, ოლონდ მეტად გონიერი, „ამა ქვეყნის ძლიერთაგან“ არაერთგზის შერისხული მწერალი შენიშნავდა: „ლიტერატურა შარვლის შეკერვას არ გულისხმობს, თანაც ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ ნებისმიერ თერძს ვერ ხელწინებება შარვლის შეკერვა“... და კიდევ ერთი შეგონებაც, არაჩემეული: „მწერლობას რომ შეეჭიდები, ხაგსის მოჭიდების იმედი უნდა გადაინურო...“

ვფიქრობ, დროა დავასრულო შენიშვნები, გაფრთხილებები, შეგონებანი, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი გააზრებულ-გათვალისწინებული გაქვთ, რის საფუძველს თქვენი ნაწერები ეჭვმიუტანლად იძლევა. უფრო მეტიც: მართლაც საკვირველია, სად, როდის, როგორ შეიძლეთ სრულიად ახალგაზრდად ეგვეთარი გემოვნების დახვეწა, დაკვირვება-ანალიზის უნარი (რამდენადც მახსოვს, არც თბილისში და არც შენს მშობლიურ საკა-



ომი უნარ-ჩვევები არ ისწავლებოდა...), თუმცა, როგორ არა! საქართველოში იშვიათად ნახავთ სოფელს, ერთი მყვირალა, არცთუ ხავერდოვნად მოსაუბრე, ოღონდ კეთილგონიერი, უბოროტო, პირში მთქმელი კაცი არ დაიძებნებოდეს!.. ზოგ ბიბლიური სახელი — ნოე — ჰქვია, ზოგ — იორამი, ზოგ — მამალხინე... მათგან შექნილი სიბრძნე-გამოცდილება ძალუმად შეგითვისებიათ. ჩანს, თქვენს ნაწერებში შეიმჩნევა, იაკობ გოგებაშვილით გისწავლიათ „დედა ენა“, „ვაუჩერებსაც“ მოსწრებიხართ, რეფორმების დროსაც შესწრებიხართ, ბ-ნი ვახუშტი კოტეტიშვილის ლექცია-სემინარებს მიახლებიხართ, ცოტა, სულ ცოტა, როგორც დიდი აკაკი ბრძანებს, „ბუნებასაც უშველია“ (ისე, გამოგიტყდებით და დღესაც არ ვიცი დაზუსტებით, რას გულისხმობს დიდი გულთმისანი მგოსანი ცნებაში — „ბუნება“... თქვენ, ადამიანთა გულთამხილავო, იცით?! თქვენს „უცნაურობების“ უთუოდ ეცოდინებოდა, რამე ხომ არ გამცნოთ?

სხვები, ჩემო ძვირფასო, რთულ შემოქმედებით გზას გისურვებთ მკითხველისეული, ლიტერატურათმცოდნეო-

ბით მოსურნეობით. დავმთები თეთრი (ალიონისფერი, არცისფერი) მოშურნე თქვენეული გონებაგარჯილობისა, იმისა, რასაც ნაღდი მწერლობა ჰქვია!

P.S. უცნაური, შეუცნობი ხალხი ბრძანდებით მწერლები. ჩემი ცხოვრება-მოსწრება კითხვისა და ქართველი კაცისათვის ჩვეული „საქმიანობის“ გარდა თითქმის არაფერი მიკეთებია, მაგრამ ჩემი გონება ჯერაც ვერ მისწვდომია იმ სიბრძნეს, თუ როგორ იწერება რომანი, მოთხრობა, ნოველა... ეგებ მოცალეობის ჟამს მეც და მკითხველსაც (ცხადია, ვისაც აინტერესებს) მოგვითხროთ, როგორ დაწერეთ „მგზავრი“? უკაცრავად, როგორ კი არა, რამ დაგანერინათ?!. ეს მოთხრობა თუ ნოველა თქვენი განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმადგენა-გამარჯვების ნიმუშია პირადად ჩემთვის... დიდად დამაჯალებთ! ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაა მოვალე მწერალი მკითხველს რაიმე დამატებით, ახსნა-განმარტებით მასალებს აწვდიდეს?... ასეთი რამ ლიტერატურულ ცხოვრებაში არცთუ იშვიათად მომხდარა — მწერალი მკითხველს „უხსნის“ ამა თუ იმ ნიუანსს... ან ურჩევს: ხელახლა გადაიკითხოთ თხზულება...

ახალგაზრდავო, ან კი თქვენი

ელენე ამირანაშვილი

ფართა რიტმი, ფართა ლირიზმი

დეა სოსელია თავისი პიროვნული და შემოქმედებითი ხიბლით გაცნობისთანავე იპყრობს ყურადღებას. ის ჯერ სრულად ახალგაზრდა მხატვარია და პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს. მისი ფერწერული ტილოების მდიდარი და ნათელი კოლორიტი, შინაგანი რიტმი და ფართა გამომსახველობა გადამდებ ლირიკულ განწყობილებას ქმნის. ყოველი კომპოზიცია პატარა ამბავია, რომელსაც დეა ფერებით გვიყვება. ხშირად მისი პერსონაჟები თვითონაც შემოქმედნი არიან მუსიკოსები, რომლებსაც მხატვარი შესრულების პროცესში წარმოგვიდგენს. მუსიკის თემას დეა სოსელიას შემოქმედებაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გემოვნებიანი კლასიკური მუსიკა და საოპერო არიები ის მუდმივი კეთილხმოვანი ფონია, რომელიც მის სახელოვნოში ისმის. ჩვენ შემთხვევით არ ვახსენებ სიტყვა პროცესი და არა მომენტი, რადგან დეას ნამუშევრებში სიცოცხლე გრძელდება იქმნება მუსიკა. ჩვენ კი ამ არაჩვეულებრივად მომხიბვლელ ფერწერასთან ერთად იმ იდუმალ მელოდიასაც ვეზიარებით, რომელიც გამომსახველ, ინტენსიურ ფერთა გამასა და



დეა სოსელია

რიტმში ჟღერს. მუსიკოსები ჩართულნი არიან შემოქმედებით ატმოსფეროში. ისინი უშუალოდ არ ამყარებენ მაყურებელთან კონტაქტს. კომპოზიციების აგება და ფიგურათა განაწილება თავის თავშივე დასრულებულ მიკროსამყაროს ქმნის. ამის გამო კომპოზიციები ბუნებრივად აღიქმება და ყოველგვარ პომპეზურობას არის მოკლებული. ამ ხერხით მხატვარი ერთი მხრივ შემოქმედებით ატმოსფეროში გვრთავს, მეორე მხრივ კი ინარჩუნებს შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოსა და განუუმორებლობას, რომელიც შეიძლება მხოლოდ განიცადო. გარეშე ადამიანისთვის მისი რაციონალური და ამომწურავი შეცნობა შეუძლებელია.

გარდა მუსიკისა, დეას ახალგაზრდა შემოქმედებაში კიდევ რამდენიმე თემა და ციკლი გამოიკვეთა. პირადად მე თავისი უშუალობითა და ბუნებრიობით განსაკუთრებით მხიბლავს ჩემი ბავშვობა. ალბათ იმიტომ, რომ მისმა ბავშვობამ ჩემს თვალწინ გაიარა და მისი პერსონაჟების გულწრფელ და ნაივურ გამომეტყველებაში წარსულის მშვენიერი მოგონებები ცოცხლდება.

დეა ნამდვილი ფერმწერია. საღებავი მასთან საოცარ სინათლეს, სითბოს და შინაგან გამომსახველობას იძენს. სწორედ ფერის საშუალებით ქმნის მხატვარი იმ განწყობილებას, რომელიც განუმეორებელ სიცოცხლეს ანიჭებს მის კომპოზიციებსა და პერსონაჟებს.

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. ეს უტყუარი სიტყვები ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტეგზიუპერს ეკუთვნის. ჩვენი დღევანდელი წერილის მშვენიერი და მომხიბვლელი გმირიც თავისი ბავშვობიდან მოდის. ის ქართველ მხატვართა ერთ-ერთი ცნობილი დინასტიის, სოსელი-

ების შთამომავალია. ამ ოჯახში ქართულ ხელოვნებას XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე გამორჩეულ და თვითმყოფად მხატვართა სამი თაობა შესძინა. გამოცდილება, რომელიც დეამ ბავშვობიდან შეისისხლბორცა, მისთვის პირველი სკოლა იყო. მხატვრობა, მუსიკა, ფოტო და კინო ხელოვნება, ექსპედიციები მთაში, ცოცხალი ბუნება, ოჯახის წევრებისა და მათი მეგობრების საუბრები ხელოვნებაზე აი გარემო რომელშიც იგი აღიზარდა.

დეამ ხატვა ადრეულ ასაკში დაიწყო. როგორც ხშირად ხდება, მის ახლობლებს აღარ სურდათ ოჯახში კიდევ ახალი მხატვარი და ფანქრებს და ფურცლებს უმაღავდნენ, მაგრამ ნიჭმა თავი არ დამალა და ბავშვებმა კედლებზე დაიწყეს ხატვა. შემდეგ კი ხელოვნება თავისი ცხოვრების გზად აირჩიეს.

სოსელიების დიდი ოჯახის წევრებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხელნერა ახასიათებთ. ხოლო ის, რაც აერთიანებს, არის მინაგანი კეთილშობილება, დახვეწილი გემოვნება და პროფესიონალიზმი, ხელოვნების დიდი სიყვარული და მუდმივი განვითარებისა და დაოსტატების სურვილი. სწორედ ამ ჯანსაღ ნიადაგზე აღმოცენდა დეას შემოქმედება. მან შეითვისა ყოველივე საუკეთესო თავისი წინაპრებისაგან ისე, რომ არ განეცადა მათი გავლენა.

დეა სოსელიამ უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე მიიღო. მონაწილეობდა თბილისისა და საფრანგეთში გამართულ რამდენიმე გამოფენაში. მის დაოსტატებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იტალიაში, რომის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 2007-2008 წლებში გატარებულმა სემესტრებმა. იტალიის ქალაქებში მოგზაურობა მის ერთ-ერთ სერიაში აისახა. ამ თემაზე მან მრავალი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი და ჩანახატი შექმნა. ეს კომპოზიციები მხატვრის კიდევ ერთ ღირსებას ავლენს. ეს არის მკაფიო არქიტექტონიკა ფიგურის, შენობის თუ საერთოდ კომპოზიციის სწორი აგების უნარი. დეას კონტურული ხაზი მეტყველი და გამომსახველია. ხატავს ტილოზე, მუყაოზე, იყენებს აკრილის, ზეთის საღებავებს, ტუშს, აინტერესებს შუქ-ჩრდილის ეფექტის გადმოცემა, რაც კარგად ჩანს მის როგორც ფერწერულ, ისე გრაფიკულ ნამუშევრებში.

მხატვრის თვალი დეას ფოტოხელოვნების დაუფლებაშიც დაეხმარა. მას არ აინტერესებს დადგმული სცენები, არამედ ბუნებრივად არსებული რეალობის აღბეჭდვა. მისი ფოტოები ისეთივე მრავლისმეტყველი და გამომსახველია, როგორც ტილოები და ჩანახატები, რადგან მას ყოველდღიურ რეალურ ცხოვრებასა და ბუნებაში განუყოფრებელი მომენტების დანახვა და აღბეჭდვა შეუძლია.

ბუნების სიყვარული დეამ ოჯახში ბავშვობიდანვე შეითვისა. ეს სიყვარული და ბუნებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად ასაზრდოებს მის შემოქმედებას. განსაკუთრებით იტაცებს მთაში მოგზაურობა და იქაური ფოლკლორი. ალბათ სწორედ ამიტომ უყვარს გამორჩეულად გოდერძი ჩოხელი და ვაჟა-ფშაველა. როგორც ამბობს, მათ ნაწარმოებთა შემდეგ ბუნებას სულ სხვა თვალთა ალიქვამს, ან პირიქით, ხშირად თავის აღქმებს ამ მწერლებთან პოულობს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება დეა სოსელიას, როგორც ლამაზი და საინტერესო ადამიანის და კარგი მხატვრის შესახებ, მაგრამ ეს სიტყვები ვერასოდეს შეედრება პირად განცდებს. ამიტომ ვურჩევ მკითხველს, ნუ დაკარგავს

გია ჯოხაძე

გურია კვარაცხელიას პერნისაჟი

შემედლო ისეც დამენყო, როგორც ვაჟა-ფშაველა იწყებდა საუბარს სწორედ მის კბილა პატარებთან: „ეს ამბავი დიდს, დაბურულს ტყეში მოხდა...“ განა ბუნებრივი არ იქნებოდა, 11-12 წლის მეოცნებე ყმანვილს სამყაროს სიდიადე და იდუმალება ტყისთვის შეედარებინა?!

ზუსტად ასე იყო. 11 თუ 12 წლის ბიჭუნა ამ ტყეში შევიდა და დაიკარგა, ვიდრე შეხვდებოდა ქალს, რომელსაც უკვე ხუთი მისნაირი ჯერ გაეჩინა, შემდეგ გაეზარდა, თან აღეზარდა, ლოგინად ჩავარდნილი ქმრისთვისაც მოევლო, კიდევ — ლექსები, პოემები და პიესები ეწერა და შიგადაშიგ ეხატა, დისერტაციებიც დაეცვა და ლამის ათას ადგილას ეშუშაკა...

მაგრამ ბიჭუნასთვის უფრო მთავარი და სასიერო ის იყო, რასაც ეს ქალი თავის თავს უშვრებოდა: ეს იყო დიდი გამოწვევების პერფორმანსი, ნამდვილი ომი საკუთარ თავთან... ასე იქცევიან ხოლმე მხეცები, როცა შიმის, დალილობისა თუ გულგრილობის გამო წამახულ კბილებს საკუთარ სხეულზე იჭაშნიკებენ... ასე იქცევა ხოლმე პოეტის ენა, რომელსაც ყოველისშთანმთქმელი სიმსუნაგე დაეუფლება. მას ერთ მშვენიერ დღეს აღარ ჰყოფნის ღმერთი, ადამიანი, სინამდვილე, დანაშაული, სიკვდილი, უსასრულობა და გადარჩენა და, ამ დროს საკუთარ თავს დაეძგერება ხოლმე! (იოსებ ბროდსკი).

ასე იქცეოდა ქალი: ის გამუდმებით იჩხვლეტდა და ამით იფხიზლებდა სულიერ ფიზიონომიას, რათა იმაზე მეტი გაეკეთებინა, ვიდრე ამას ერთი ადამიანის სიცოცხლე გასწვდებოდა: ხდებოდა ლალი და მფრეი, ბრძენი და მჭევრი, ხუმარა და თვითირონიული, აქსელერატა მტუქსავიცა და ნამქეზებელიც, სამყაროს მუსიკის შემფასებელიცა და ტკბილი პათეტიზმის განმაქიქებელიც...

მოკლედ, ხდებოდა ქალი... ყოველი ატომით. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ემართება გულს, როცა აცნობიერებს, რომ მარადის გულად მუშაობა აქვს მისჯილი? ის მუჭზე მეტად პატარავდება, ანუ იმაზე მეტად იმცრობა, ვიდრე სინამდვილეშია... ბიჭუნას გულსაც ასე დაემართა — ქალს დედადაც წარმოისახავდა და სატროფოდაც. ყოველ შემთხვევაში, თავის სრულ იდუმალებაში მიაჩნდა, რომ მას სწორედ ასეთი ქალები მოსწონდა. მეტიც: მას ასეთი სატროფო შეეფერებოდა!

ის ქალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, გურია კვარაცხელია, დღეს თქვენს წინაშეა, მთელი თავისი ფერადოვნებით.

ის ბიჭუნა კი — დღეს უკვე აღარც იმდენად ბიჭუნა — მე გახლავართ.

მე ვიკისრე, პირველს მეთქვა რაღაც იმაზე, რასაც თვითონ ქალბატონი გუჩა ხუმრობის საგნად მიიჩნევს — მის ნახატებზე. პირველად მათ გუჩას პოეტურ კრებულებში გადავანყდი და ერთ რამეშიც დავიმედდი: ისედაც ხომ ყველაფერს თვითონ — საკუთარი გულითა და გონით — აკეთებდა. ან ხელიც ნაუშველებია და არა მხოლოდ შინაგანი, გარეგნული ესთეტიზმიც დასტყობია მის ნიგნებს-მეთქი.

გამახსენდა, რომ ვიზუალური სახეებისა და ფერის გუჩასეული არაორდინარული თუ რაღაცნაირად მსუყე აღქმა მის ლექსებშიც აღმომიჩენია და დამამახსოვრებია:

ეს იყო „კონვენციური ლექსივით ჩაკენჭილი ქვების ლაპლაპი“; „სინგურისფერი თევზები“ და „ლოქოს-ფერი ღრუბელი“;

ეს იყო „პეიზაჟიდან ამოჭრილი, ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული საკუთარი თავი“;

ეს იყო უცნობის, თუ — პირიქით, კარგად ნაცნობის „პროფილის ფორმის უფორმო სევდა“, თავისით რომ ხატავს ხელი

თუ ფანქრით,
თუ კალმით,
თუ ცარციით,
თუ წინდის ჩხირით და ფრჩხილით — თიხაზე“;

ეს იყო „მავრიტანული ფერები და შავ-თეთრი კადრები“;

ეს იყო „ღვის სილურჯე, ვიდრე რეცხვაში დაბილდება ფერი, ისეთი კვასკვასა“.

ეს იყო „ოტიოდ მოყავისფრო მატლი“ და „კვერცხის ნაჭუჭივით უბეწვო თოვლი“, „კონახურის მონითალო-ნაბლისფერი ნორჩი ტოტები“, „ნიფე ნითელი მადლარი მწვანის გვერდით და ლეგანაფიფქი ცისფრის ზნეკეთილობა“...



აქ ყველაფერი ფერია და ყველა ფერი სიტყვაა...

აქ და ამით გრძელდება გუჩას ლექსები, ამიტომ ზუსტად ვერ იტყვი, ვერნისაჟზე ხარ თუ პოეზიის საღამოზე... მხოლოდ ერთი რამაა მკაფიო:

ის სხვებს არ ჰგავს:
„არც მოცულობით,
არც სიღრმით,
არც ლოდინით.“

დაბოლოს: ჩემი ლექსიც, რომელიც ამ ექსპონატებივით სადღაც, ჩემში ეკიდა და გუჩასავით დღეს ჩამოვხსენი, ადგილი შევუნაცვლე...

გუჩა კვარაცხელიასადმი

მზის ხელისგულზე მატლივით ვწევარ, ჩემს კანში იძვრის სამყარო მფრთხალი...

და ყველაფერი, მგონია, მე ვარ: გულში — ტკივილი, სახეზე — ხალი,

პირზე — ღიმილი და უბედობა, თაროზე — ყდები და თაბახები,

დუმილის ტვირთი, ფლირტი, ყბედობა, მწარე სიტყვები, ტკბილი ზრახვები...

რომ დაიბადე, მე ვარ ის სახლი, ის სივრცეც მე ვარ, კვლავ რომ იშვები,

რასაც ავსებენ ჟანგბადით ახლით შენი შვილები და ბადიშები.

მე ვარ „ყოველი“, „ყველგან“, „ყველასი“, ერთი, მრავალი, მთელი, ნაწილი,

კუდის მოქნევა ცისარტყელასი, ტყე დანათოვლი, მდელო ნანვიში...

ჩიტის სიფრთხილით კენწეროს ზვერაგ, რომ ცას ზოლივით გაეველო მკრთალად...

მე თვალში ჩაგრჩი დაბინდულ მზეურად, გულში — ტკივილად, სახეზე — ხალად.

ქრონიკა

27 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში აღინიშნა ქართული საბავშვო წიგნის დღე. თაოსანი გახლდათ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“, რომლის დამფუძნებლებიც არიან ირმა მალაციძე და მარიამ ნიკლაური.

შეხვედრას ესწრებოდნენ მწერლები, ილუსტრატორები, გამომცემლები. აჩვენეს ფონდ „ლიბოს“ მიერ გადაღებული ფილმი „ქართული საბავშვო მწერლობა დღეს“, გამოფენილი იყო ახალი საბავშვო წიგნები, ორგანიზატორებმა წარმოადგინეს ფონდის ახალი ვებგვერდი (www.libofund.com), სადაც განთავსებულია საბავშვო მწერლების პროზა, პოეზია, თარგმანი.

დამსწრე საზოგადოებამ მწერალსა და მეცნიერს ზაზა აბზიანიძეს მიულოცა 70 წლის იუბილე და ახალი წიგნების გამოცემა.

ირმა მალაციძის თქმით, წელს ფონდისთვის განსაკუთრებული წელია, გარდა იმისა, რომ მისი დაარსებიდან 5 წელი

შესრულდა, ფონდი გახდა ასტრიდ ლინდგრენის პრემიის ნომინანტი.

მარიამ ნიკლაურმა აღნიშნა, რომ ქართული საბავშვო წიგნის დღე იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს ემთხვევა, მას ილიამ საბავშვო მწერლობის დამფუძნებელი უწოდა, მარიამმა იმედი გამოთქვა, რომ ასტრიდ ლინდგრენის პრემიას საქართველოს წარმომადგენელიც მოიპოვებს.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გოგოლაშვილმა ისაუბრა „დედა ენის“ შემოქმედის განსაკუთრებული ღვაწლზე განათლების სფეროში.

შეხვედრაზე მოსულმა გამომცემლობის რედაქტორებმა („პეგასი“, „ლიოგენე“, „შემეცნება“, „ანბანი“) მიულოცეს „ლიბოს“ ქართული საბავშვო წიგნის დღე და წარმოადგინეს წელს გამოცემული ახალი წიგნები. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქართული საბავშვო მოთხრობა ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა.

ნოდარ ებრალიძე

ბუტაფორიული მერანიც ცხენობს...

როგორც ავტორი, და მით უმეტეს ცხენების, ცხენოსნობის მოყვარული, ჩვენი მხედრების — ძველებისა თუ ახლების მეგობარ-ამხანაგი, დიდად ვემადლიერებ ჩვენს ჟურნალს, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის ასახვის საშუალება მოგვეცა. ასე შეიძლება მოხდეს და „სპორტის“ რუბრიკაში ცალკე ნაკვეთიც გამოიყოს, პირობითად თუნდაც „ნისლას ბაშტე“ რომ დაერქმევა. „ბაშტე“ საქართველოს მთის კილოებში ზოგადად საქონლის სადგომს ჰქვია. ჩვენ კულტურულ მეცხენეობაში ერთი ცხენის ცალკე გამოყოფილი „ბინის“ აღმნიშვნელად გვიხმარია ადრე. თვითონ ცხენოსნები ჟარგონული ბარბარიზმით „დენნიკ“-ით გამოხატავენ; სათანადო კონტექსტში მოიხდინა კიდევც. „ნისლა“ კი, მოგეხსენებათ, საქართველოს ყოფის დიდი ჭირისუფლის ოთარ ჩხეიძის ცნობილი მოთხრობის გმირია. დიახ, ცხენი-პერსონაჟი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ავბედით მონაკვეთზე მისი ხალხის ტრაგიკული ცხოვრების გამოხატველია.

ამ ციკლის წერილი ერთი თვის წინ დაიბეჭდა „ჩვენს მწერლობაში“ (21, 15. XI). იგი ძირითადად აბაშაში ჩატარებულ ეროვნული ცხენოსნობის ჩემპიონატს ეძღვნებოდა. მაგრამ მას თბილისში დაბრკოლებათა გადალახვაში კლასიკური ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კავკასიის ლიგის მსოფლიო თასის გათამაშების საეტაპო ასპარეზობა მოჰყვა, სადაც აზერბაიჯანის ძლიერ ცხენ-მხედრებთან ასპარეზობისას ქართველი სპორტსმენები შესანიშნავად გამოვიდნენ, ხოლო ოქტომბრის მინურულს კი უკვე ბაქოში დამტკიცეს, რომ ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. თბილისური გამარჯვების ამბავი კი, მიუხედავად საქართველოს ცხენოსნური პრობლემების მიმართ ოფიციალურად განპრინციპულად განსხვავებული ჩვენეული მიდგომისა და ხედვისა, მოხსენიებულ წერილში აუცილებლად უნდა ასახულიყო. ოპერატიულად, ცხადია, ვერც წლებანდელი უკანასკნელი საეტაპო ასპარეზობის შესახებ მოგითხრობთ. მაგრამ ეს არც იქნება ჩვენი ამოცანა. უფრო ზოგად სურათს წარმოგიდგენთ, ცალკეულ მხედრებს გაგაცნობთ. ვფიქრობთ, ეს მკითხველსაც სჭირდება და სპორტსმენებსაც.

მართალია, კახაბერ კიკიანმა ამჯერად I ადგილი ვერ აიღო. როსტოვის ცხენსაშენში ნაყიდმა რასხმა ანგლოთრაკენულმა ულაყმა „ომუტმა“ ბაქოში ისე ბრწყინვალედ ველარ იარა, როგორც სექტემბრის დამდეგს თბილისში (ცხენი, მით უმეტეს სპორტული, მაღალი ცხოველი). მაგრამ კიკიანმა თბილისის იპოდრომის სპორტული კლუბის მიერ გერმანიაში ნაყიდი ჰოლანდიური „კონრადით“ ორ-ჰიტის დიდი პრიზის კონკურში მხოლოდ ერთი დაბრკოლება დააზიანა და III ადგილი დაიკავა. თბილისის წარმა-

ტებას დიდად არც ჭაბუკი გაგა თოხაძე ჩამორჩა („ეროსი“, V ადგილი). სამაგიეროდ 22 წლის შალვა გაჩეჩილაძემ ბაქოში გააქარწყლა კავკასიური ასპარეზობის პირველ კონკურებში ბოლო წლების მანძილზე აზერბაიჯანელ მხედართა (რომელთა შორის ძვირფას ბედაურებზე მსხდარი უცხოელი მაღალი კლასის სპორტსმენებიც ურევია) შთამბეჭდავი უპირატესობის მოლოდინი. მან გაიმარჯვა დიდი პრიზის წინამორბედ ორივე ასპარეზობაზე (1, ორფაზიანი, და 2 — აღმავალი სიძნელის ალტერნატიულდაბრკოლებიანი კონკურები). პირველ კონკურში II გამოცდილი მოსკოველი ოსტატი გენადი გაშიბაიაზოვი იყო, III — კიკიანი. მეორეში (მაქსიმალური სიმაღლე — 150 სმ) — შალვას მიჰყვნენ სეიდ მუსაევი და გამობაიაზოვი.

„შალვამ თავისი „სატურნით“ დახატა პირველი და მეორე დღის კონკურები!“ — ამაყად გვითხრა მისმა თანაგუნდელმა და თანატოლმა ვანო ნორაკიძემ, რომელიც წელს შარშანდელი წარმატებული სეზონის შემდეგ პირველად გამოვიდა ოფიციალურ შეჯიბრებაზე — თავისი ანგლოთრაკენული ულაყი „დარით“ (ესეც როსტოვში ხ. სიმონიას მწვრთნელობით გამოზრდილი საიმედო ბედაურია).

შალვა გაჩეჩილაძე ბაქოში ახალგაზრდა ცხენითაც მშვენივრად გამოვიდა. 6 წლის თრაკენული ფაშატი „გალატეაც“ სიმონიასეული ბედაურია, რომელსაც ადრე (1 წელიწადი) მარდონ ლაბაშია ავარჯიშებდა. ამ ცხენით შალვამ თბილისშიც მოიგო დასკვნითი ასპარეზობა. წინა ორ კონკურში კი ცნობილი თბილისელი ცხენეჩხის — თეიმურაზ ბერიშვილის არაბობუდიონური „ალით“ გაიმარჯვა. ბაქოში 6 წლის ცხენისათვის დიდი პრიზის მარშრუტი საკმაოდ რთული იყო. მოსკოვიდან მოწვეულმა გამობაიაზოვმა, რომელიც ძირითადი ცხენების კონკურში გამოდიოდა 7 წლის ბედაურით და 1 და 2 კონკურებში ვერ გაიმარჯვა, არჩია, ახლა ახალგაზრდებში ეცადა ბედი (ცხენის ასაკი ამის უფლებას აძლევდა), მაგრამ აქაც მხოლოდ III ადგილს შესწავა შალვასა და ზაზა ჩიტრეკაშვილის („ალი“) შემდეგ. თანაც, როგორც იმავე ვ. ნორაკიძემ გამანდო, გამობაიაზოვის მეუღლეს, რომელიც ტურნირზე ახლდა, აკრძალული ხერხიც გამოუყენებია. ასპარეზობის წინ, მალულად, მოსათელავად რომ ახტუნავებდნენ, საოლავეზე ბარიერის ზედა ლატანზე დადებულ რკინის ძელაკს აჰკრავდა დასაშინებლად და წინა კიდურების მაღლა ასაკრეფდა. ამ სანვრთნელ ხერხს პირობითი რეფლექსის გამოსაშუშავებლად წარმატებით მიმართავენ ვარჯიშებზე (ჟარგონული ბარბარიზმით „პადბიკა“ ჰქვია), მაგრამ ასპარეზობის დღეს მისი გამოყენება სასტიკად აკრძალულია! რას იზამ, ყველა ვერ იქნება ლ. ტოლსტოის „ანა კარენინას“ გმირი ვრონსკი! (ვგულისხმობ რომანის იმ ეპიზოდს, როდესაც პეტერბურგთან, კრასნოე სელოში, ოფიცერთა სტიპლჩივის დოღის წინა დღეს თავისი ფაშატის, წმინდა სისხლის ინგლისური „ფრუ-ფრუს“ დასახედად თავლაში მისულ ვრონსკის გვერდზე ბაშტეში მისი მთავარი მეტოქის მახოტინის ცხენისკენ — ფეხკავმა თავლა „გლადიატორისაკენ“ გაექცევა თვალი, მაგრამ ღირსების იმ გრძნობამ, სხვის გახსნილ წერილში რომ არ ჩაახედებს კაცს, უმაღლესი მიატრიალა საკუთარი ბედაურისკენ). **Sapienti sat!**

აი, ბაქოს ტურნირის ასეთ ძლიერ და რთულ შემადგენლობაში სამგზის გამარჯვებული შალვა გაჩეჩილაძეა „ჩვენი მწერლობის“ სტუმარი.

— რამდენადაც ვიცი, სოფელში არ გიცხოვრიათ; მაინც რა იყო ბავშვობასა და ყრმობაში ცხენებისადმი თქვენი ლტოლვის საბაბი? ლიტერატურა, კინო, ტელევიზია?..

— ლიტერატურა კი არა, მგონი, ლაპარაკიც არ ვიცოდი. მამაჩემმა ვაკის პარკში ფოტოგრაფის ბუტაფორიულ ცხენზე შემსვა. 2—3 წლისა თუ ვყოფილვარ. მას მერე გამიჯდა ამ ცხოველის, მისი თავ-კისრის, ფაფრის, აღვირუნაგირის შეხების სურვილი. ვერაფერმა მომაშლეინა.

(რა იცოდა გამოჩენილმა საოპერო რეჟისორმა, თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ან გარდაცვლილმა გივი გაჩეჩილაძემ, რომ ბალის ფოტოგრაფის ეს ნაცადი თეატრალურ-ბუტაფორიული ხერხი ასეთი ძალის გამოდგებოდა).

— ოჯახური ტრადიციები?

— რა მოგახსენოთ, ისე ვიცი, რომ პაპაჩემს, ვისაც შორაპნის მაზრის სოფელ საღვინეში უცხოვრია (ახლა ეს სოფელი აღარც არსებობს), ცხენი ნამდვილად ჰყოლია. ოჯახში შემორჩენილი ყოფილა უნაგირი (ალბათ, ქართული) და... დეზები. როგორც ვიცი, პაპაჩემი სამხედრო კაცი არ ყოფილა, მაგრამ დეზები კი ჰქონია. ესე იგი ნამდვილი მხედარი ყოფილა, მით უმეტეს, რომ ქართულ უნაგირზე ცხენის მართვის მთავარი ნაკვეთები წელი, მენჯი და ქუსლებია. მუხლებით, წვივის შიდა სიბრტყით — კლასიკურ ცხენოსნობაში ესოდენ ცნობილი „შენკელით“, ამ საკაზმზე, ინგლისურისაგან განსხვავებით, ცხენს ვერ შეხები.

— ვაკის ბალის შემდეგ როგორ განაგრძეთ?

— დელისის იპოდრომის გაქირავების პუნქტში. მეზობელმა კაცმა თავისი შვილი წაიყვანა და მეც წამიყოლია. ის კი შესვა, მაგრამ მე დავავიწყდი. არადა, გული ჩამენურა. მერე თვითონ გავბედე წასვლა. გასამხნეველად მეზობლის დაუდევარი და ნიჭიერი ბიჭი მიხო შევიამხანაგე. მენანება, რომ გული აღარ დაუდო ცხენოსნობას. ბევრი რამით იყო გატაცებული. მე კი ველარ მომწყვტივს...

— იმ წლებში რა ცხენები იდგნენ გაქირავებაზე?

— იყვნენ ყულარის ცხენსაშენის ინგლისური ბედაურები. ახალბედებისათვის კი მუხრანიდან ჩამოყვანილი აშკარა ბალტიისპირული შავრა „ტაისონა“ და იმავე სოფლის ბაზრობაზე ნაყიდი, ალბათ, დონურის სისხლის მქონე თაფლა სალარი „ვასკა“ ჰყავდათ. დიდი ამაგი აქვთ გაწეული ბავშვებისათვის. გულქვა მხედრებისაგან გაბეზრებულები კი იყვნენ და პატარა ეშმაკობებსაც მიმართავდნენ ხოლმე მათგან თავდასახსნელად, მაგრამ, რაც თავი მახსოვს, ვერაგულად და ბოროტად არავის მოჰპყრობიან.

— სპორტსმენად როდის დააჯერეთ თავი?

— უკვე მუხრანულ ცხენებზე ასეთად წარმომედგინა თავი, რადგანაც მთელი არსებით ამისკენ მივისწრაფოდი. მაგრამ როდესაც გელა მასწავლებელმა ინგლისურ რახს ულაყზე „სულგანაბულზე“ დამსვა და 2003 წელს 2 კონკური, სულაც „გრან-პრი“ მოვიგე საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე, შემდეგ კი ბაქოში ჰ. ალიევის პრიზი, უკვე ვირწმუნე, რომ ყრმობის სანადელს მივალნიე. მერე „ასპარეზზე“ დამსვეს. ეს თაფლა ულაყი ყულარის ცნობილი აჯილდის „პეტრაპოლისის“ შვილია (ამჟამად ფოთის საცხენოსნო სკოლაშია), მისი დაა ნაზი და ჰაეროვანი „სადაფი“. მასზე გამოცდილი და სერიოზული მხედარი ზურაბ ჭინჭარაძე გამოდიოდა (ახლა ბერეიტორად მუშაობს ბელგიაში, უაღრესად პრეტენზიულ თავლაში). კარგად გამოსულა ამ „სადაფით“ კავკასიის თასის ასპარეზობებზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ლამაზი გამარჯვება ახალგაზრდა ცხენებით პირადი „გრან-პრის“ გათამაშებაზე, როდესაც ანგლო-თექურ ფაშატზე ამხედრებულ სომეხ სპორტსმენს მოუგო სისწრაფით.

— ახლა დიდი შესაძლებლობებია მსოფლიო კლასიკური საცხენოსნო სპორტის გაცნობისა. იყენებთ თუ არა ამ საინფორმაციო წყაროებს, გყავთ გამორჩეული მხედრები, რომელთა მიბაძვას შეეცდებოდით?

— რა თქმა უნდა, თვალს არ ვაცილებ ტელეეკრანს, საიტებს. ზოგჯერ ყველა ნორმას ვარღვევ. სპორტსმენი ვარჯიშზე

გამოუძინებელი არ უნდა მივიდეს. ეს ცხენის, და რაც მთავარია, მწვრთნელის დაღალატებაა. ყმანცილობაში ძალზე მომწონდა ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი ირაკლი ნარმანიას ჭაბუკური მხედრული სტილი — თამამი, ენერგიული. ახლა კი ჩემთვის იდეალური კონკურისტი არის მარკუს ენინგი; 40-მდე წლის მხედარი, ათენის ოლიმპიადაზე გამარჯვებული გერმანიის გუნდის წევრი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. მზიბლავს მისი მკაცრად პედანტური, მაგრამ ამავე დროს რბილი, ძალდაუტანებელი მართვა, ინტელექტუალიზმი. ასეთი სპორტსმენის მიბაძვა ძნელია. უბრალოდ უნდა ეცადო, თვითონვე გამოიმუშავო, შენი ძალების შესატყვისად, ის მანერა, მიდგომა, რომელიც გამორჩეულად და ოპტიმალურად მიგაჩნია. აქ აჩქარება არ გამოგადგება. მით უმეტეს, როცა ვგრძნობ, რომ „სატურნს“ ყველა მონაცემი მოეპოვება მხარი დაუჭიროს ჩემს მიზნებს, ოღონდ სულსწრაფობა არ უნდა გამოვიჩინოთ. „ფესტინა ლენტე!“ — „იჩქარე ნელა!“, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ.



შალვა გაჩეჩილაძე

ფრანგული ჰომერიკიდან

ფრანსუა ვიონი
(1431-1463 შემდეგ)

უკანასკნელი ბალადა

აჰა, გასრულდა ანდერძი უკვე,
ალარ სჭირდება ვიონს შველა,
როცა ატყდება ზარების რეკვა,
მის დაკრძალვაზე მობრძანდით ყველა.
წითელ სამოსში გამოპრანჭული
მიეახლეთ და თქვენი გინება
რით შეაშფოთებს მკვდარს სიყვარულით,
როს ამ ქვეყნიდან წასვლა ინება.

იყო ნაგვემი და შერცხვენილი,
არვის გეგონოთ ვჩმახავ-ვბოდავდე,
სიყვარულითგან იყო დევნილი
და თვით შორეულ რუსილონამდე,
სხვა განსაცდელიც რომ არ ვთქვათ მეტი,
ერთი ჯაგნარიც კი არ იქნება.
არ დარჩენოდეს შარვლის ნაფლეთი,
როს ამ ქვეყნიდან წასვლა ინება.

ასე იყო და ასე აღსრულდა
ასე ბოლომდე შეუდრეკელი,
და დავამატოთ კიდევ რა უნდა:
უფრო ტანჯავდა ტრფობის ეკალი,
ათასგზის მწვავედ, ათასგზის მწველად,
ვიდრე შუბების ბასრი კირთება
და ახლა უფრო გვაოცებს ყველას,
როს ამ ქვეყნიდან წასვლა ინება.

პრინცი, მას ჯიშად მოსდგამდა ასე
და არ გაუწყობოთ, როგორ იქნება,
რომ ღვინით სავსე დასცალა თასი,
როს ამ ქვეყნიდან წასვლა ინება.

ბერტრან დე ვენტადური
(?-1200 დაახლ.)

გულს ისე მივსახს...

გულს ისე მივსახს შვება და ვნება,
რომ თვით ბუნება გარდაიქმნება,
ყინვას ყვავილის დაჰკრავს იერი,
თეთრია, თანაც ნარინჯისფერი.
როცა წვიმს, ქარი როს ძლიერდება,
იზრდება ჩემი ბედნიერება
აღფრთოვანება მიპყრობს იმხელა

დაინმინდება ჩემი სიმღერა.
გულს ისე მივსახს ტრფობა და ვნება
და უსაშველო ბედნიერება,
რომ ჭირხლი მოჰგავს ყვავილნარს მოვლილს
და მწვანე ნალკოტს მაგონებს თოვლი.

კრეტიენ დე ტრუა
(1130-1197)

* * *

იმ წიგნებიდან, ჩვენთან რაც არი,
ვიციტო წინაპართ ბევრი ნაქმნარი,
რომ რაინდობა იყო ძველადაც
და მით გაბრწყინდა მაშინ ელადა.
რაინდობაც და ჯილდოც პირველი
და განათლებაც განსაკვირველი.
იქიდან – რომში, მერე რომიდან
აქ რაინდობა გარდამოვიდა,
და განათლებაც მოსულა ჩვენთან,
რადგანაც ახლოს მივედით ღმერთთან.
საფრანგეთშია და ძალა ვპოვოთ
რომ შეგვიყვაროს და არ დაგტოვოს
დიდება, ჩვენ რომ გვერგო ბედადა.

მარი დე ფრანსი
(XII საუკ. ბოლო მესამედი)

* * *

ორ მიჯნურს შორის ძველთაგანვე ამგვარად ხდება;
როგორც კაკლის ხეს ჩიტისვაშლა ჩაეკონება
და ჩაეკვრება სიყვარულით გატაცებული,
მასაც ასევე უპასუხებს მისი რჩეული.
და ერთად ყოფნის სიხარული დიდხანს გრძელდება.
მაგრამ თუ მაინც ქარი, შურით გადარეული,
კაკლის ხეს დასცემს და ხე კვდება ტანდამსხვრეული,
მარტოთენილი ჩიტისვარდაც უმალ მიჰყვება.
ჩემო ლამაზო მეგობარო, ასე ვართ ჩვენცა,
ვერც თქვენ – უჩემოდ და უთქვენოდ ვერ გავძლებ მეცა.

ფილიპ დეპორტი
(1546-1606)

ვილანელი (მწყემსური)

სულ მცირე დროით არყოფნა ჩემი
გეყოთ და ჰპოვეთ სხვა სიყვარული,
როზეტ, ვიგრძენი სიმჩატე თქვენი
და შევამზადე გრძნობა და გული.
ამიერიდან თქვენს ხიბლს უფესვოს
ალარ ექნება ჩემს მკერდში ბინა,
თავქარიანო, გიჟმაჟო მწყემსო,
ვნახოთ, პირველი ინანებს ვინა?!

როცა ვწყევლიდი ამ განშორებას,
ცრემლებითა და დარდით ვდნებოდი,
თქვენ არ ილღიდით ხსოვნით გონებას
და ახალ სატრფოს ეფერებოდით.
თვითონ ფლუგელიც სუსტი, პატარა
ასე არ ბრუნავს გრიგალთა წინა.
როზეტა, ჩემო მწყემსო ცანცარა,
ვნახოთ პირველი ინანებს ვინა?!

სად არის თქვენი ცრემლი და ალექსია,
მოსატყუებლად გოდრით რომ ჰპოვებთ?
თუმც ცვალებად გულს, აღარ ღირს ართქმა,
ყველა პირობა იმნამსვე ტოვებს.
თმენის ფიალა უკვე ამეცსო
ფიცი დაიმსხვრა ვით მყიფე მინა,
თაქარიანო, გიჟმაჟო მწყემსო,
ვნახოთ, პირველი ინანებს ვინა?!

იმისი გრძნობა, ჩემს ნაცვლად ვინც გყავთ,
ვერ შეედრება ჩემსას სრულებით,
იგი კი, ვინაც ამჟამად მიყვარს,
გჯობნით სიტურფით და ერთგულებით.
არ დაგეკარგოთ სატრფო ახალი,
ჩემს მიჯნურს მარად ვიგულვებ შინა,
ასეა როზეტ, იყოს, რაც არი,
ვნახოთ, პირველი ინანებს ვინა?!

მორის სცევი
(1501-1563)

დელია

შევიყვარე და დღესაც ამითი ვცოცხლობ,
იმდენჯერ ვნახე, ვარ სიყვარულით მთვრალი.
გრძნობაც და სულიც მისკენ ილტვიან მხოლოდ,
ამ ცხელი გულით ლამის დაბრმავდეს თვალი.
გრძნობის აღმურში როგორ ვიპოვო ბზარი,
რომ გაეარღვიო ეს ჩაკეტილი ზღვარი.
ასეთი არის ორთა ზიარი ალი,
იმისი ცეცხლი ჩამქრალსაც მანთებს ისევ.
თუ მისი ჩაქრა, ჩემსასაც აქრობს წყალი,
იგი რომ მოკვდეს, დავილუბები მყისვე.

აგრიპა და ობინიე
(1552-1630)

მეშავება შროშანები

მეშავება შროშანები, მემჟავება თაფლი,
ვარდი კარგავს სურნელებას, მიხაკები ფერებს,
მირტიც, დაფნაც გახუნდნენ და ველარ ხასხასებენ,
და უთქვენოდ ძილი მთრგუნავს ელდითა და ზაფრით.

მახსოვს თეთრი შროშანი... და... თაფლიც იყო ტკბილი
ვარდები და მიხაკები ფერ-სურნელით სავსე,

თვალს ხიბლავდნენ მირტი-დაფნები მწვანედ მოხასხასე
და მათრობდა ნეტარებით თქვენთან ერთად ძილი.

სხეული თუ იტანჯება, სული იყოს შვებით.
შროშან-ვარდებს, თაფლს თუ მიხაკს არ ინალვებს გული.
მირტს და დაფნას მაისშივე დაეკარგოს ფერი,
რის ძილი და მოსვენება, არ მსურს არაფერი,
დე, უთქვენოდ ყველაფერი დარჩეს ასე მტრული.

პერნეტ დიუ გილე
(1520-1545)

ის კი არ მინდა...

ის კი არ მინდა, შევზღუდო და ხელფებს ვუკრავდე
მას, ვინც იშვა, რომ გამხდარიყო ჩემი მფლობელი,
ღირსება კი არ გაუთელიო, თვით მინდა გავხდე
მისი ნამდვილი სიამაყე განუყოფელი.

ის კი არ მინდა, რომ უნებო თოჯინას ჰგავდეს
და მისი მართვით მე ვიკლავდე ჟინსა და წყურვილს,
მე მინდა მხოლოდ, რომ ორივე ბოლომდე დავტკეპთ
და მისი ნება თანხვდებოდეს ჩემსავე სურვილს.

რემი ბელო
(1528-1577)

ასკილი, კუნელი

ასკილი, კუნელი
და ქონდრის სურნელი
ვჭვრეტ ყაყაჩოებს, შროშნებს და ვარდებს,
რა კარგი დარია.
ყვავილთ უხარიათ,
თამამად ჰფენენ მოხატულ კაბებს.

სადღაც შეყუჟული
კეთილი ბულბული
თავის უტკბილეს კრიმანჭულს გალობს
და ისე რაკრაკებს
რომ გული კანკალებს
და საგულედან ამოსვლას ლამობს.

**ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თევზაძემ**



მორის დენისი
სერიიდან „სულის მოგზაურობა“

ჯილბერტ კით ჩესტერტონი


უფლის ჩაქუჩი

პატარა სოფელი ბოჰუნ ბეკონი ციცაბო გორაკის თხემზე ისე იყო გაშენებული, რომ მისი ეკლესიის მაღალი გუმბათი მთის მწვერვალს წააგავდა. ეკლესიის ძირში ცეცხლისგან ანთილებული, რკინის ნაჭრებით დაბინძურებული სამჭედლო იდგა. მოპირდაპირე მხარეს, უხეშად მოკირწყლული გზაჯვარედინის გადასწვრივ სოფლის ერთადერთი სასტუმრო „ბლუ ბოარი“ მდებარეობდა. პირქუში განთიადისას სწორედ ამ გზაჯვარედინზე შეხვდა ორი ძმა ერთმანეთს და სასაუბროდ შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთის დღე ახლა იწყებოდა, მეორისა კი დასრულდა. მღვდელი, ღირსი უილფრედ ბოჰუნი ღვთისმოსავი კაცი გახლდათ. ახლაც დილის ასკეტური ლოცვისა თუ ჭვრეტა-განსჯისათვის მიიჩქაროდა. პოლკოვნიკი, პატივცემული ნორმან ბოჰუნი, ზემოხსენებულის უფროსი ძმაც, რაღა თქმა უნდა, ღვთისმოშიში გახლდათ. სწორედ ახლა გამოსასვლელ კოსტუმში გამონცობილი „ბლუ ბოარის“ წინ სკამზე ჩამომჯდარიყო და რაღაცას სვამდა. ფილოსოფიურად თუ მიუდგებოდით, ეს ან სამშაბათის ბოლო ჭიქა იყო ან ოთხშაბათის — პირველი, თუმცა ამას დარწმუნებით თვითონაც ვერ გეტყვოდათ.

ბოჰუნები იმ ორიოდ არისტოკრატიულ ოჯახთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა გვარი სათავეს შუა საუკუნეებში იღებს. მათ საგვარეულო ალამს პალესტინა მოენახლებინა. არ იფიქროთ, ასეთი ოჯახები რაინდულ ტრადიციებს აგრძელებენო, იმ რამდენიმე გადარჩენილ ჩვეულებას თუ არ ვიგულისხმებ, დღემდე რომ შემორჩენიათ. არისტოკრატები ტრადიციულად კი არა, მოდურად ცხოვრობენ. ბოჰუნები მოჰოკთა* ბანდის წევრები იყვნენ დედოფალ ანას დროს. დედოფალ ვიქტორიას დროს მეშერობაც** შეითავსეს. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე კი, როგორც უძველეს ოჯახთა უმეტესობა, ალკოჰოლიკი პიჟონებად ჩამოყალიბდნენ. ეს მანამ, სანამ საბოლოოდ გადაგვარდებოდნენ. საქმიანობა, რომელშიც პოლკოვნიკი მგლურ სიამოვნებას ჰპოვებდა, ამკარად არაადამიანური იყო. მას მკაცრად ჰქონდა დაწესებული, შინ გათენებამდე არ დაბრუნებულიყო, რაც აუტანელი უძილობის ნიშანი გახლდათ. ნორმან ბოჰუნი ახოვან, ხან-შიშესულ ცხოველს მოგაგონებდათ და თან გამოგონებლად ყვითელი თმა ამკობდა. თეთრი კაცი იყო და ლომური გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა ლურჯი თვალები ისე ღრმად ჩასცვენოდა, რომ შავი ფერი დასდებოდა,

* მე-18 საუკუნის დასაწყისში ამ დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ ლონდონის მოსახლეობა დაატერორა. ისინი თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ როგორც კაცებს, ისე ქალებს.
** (სლენგი) კაცი, რომელიც აგრესიულია ქალის მიმართ და ძალადობრივი გზით ცდილობს მის დაუფლებას.

რაც სრულიად უცვლილია გარეგნობას. თვალები ჩვეულებრივზე მეტად მიახლებოდა ერთმანეთს. ძალიან გრძელი, ყვითელი უღვაშების ორივე მხარეს, ცხვირის ნესტოებიდან ყბამდე, სახე ისე დანაოჭებოდა, თითქოს გამუდმებით ირონიულად იცინისო. კოსტუმზე უცნაური ყვითელი მოსასხამი მოეგლო, რომელიც ხალათს უფრო ჰგავდა, ვიდრე პალტოს. დიდფარფლებიანი მწვანე ქუდი გამუდმებით თავზე ეხურა, თითქოს აღმოსავლური ახირებულობა შეეთვისებინა. უყვარდა ასე ახირებულად ჩაცმულს ხალხში გამოჩენა და ამაცობდა, რომ მის ფონზე დანარჩენი უფერულად გამოიყურებოდნენ. მის ძმასაც, მღვდელს, ყვითელი თმა ჰქონდა და პოლკოვნიკისებური ელევანტურობა მოსდევდა, თუმცა თავით ფეხამდე შავებში გამოწყობილი იყო. პირს სუფთად იპარსავდა.



ჭკვიანი, თუმცა ოდნავ ალელვებული გამომეტყველება ჰქონდა. მხოლოდ რელიგიით ცხოვრობდა; თუმცა ზოგანი ამბობდნენ (განსაკუთრებით პრესვიტერიული მღვდელი) თითქოს მას ღმერთი კი არა, გოთიკური არქიტექტურა უყვარდა. მისი ასეთი ლტოლვა ეკლესიისადმი იმ მოკვდავი, თუმცა უფრო ნრფელი წყურვილით იყო ნასაზრდოები, მშვენიერება რომ ჰქვია და რის გამოც ასე ძლიერ უყვარდა მის ძმას ღვინო და ქალები. ამ სათუო ბრალდების მიუხედავად, მის ღვთისმოსაობაში ვერავინ ეჭვდებოდა. ეს ბრალდება უფრო უმეცარი გაუგებრობა უნდა ყოფილიყო, მარტოობისადმი სიყვარულითა და ჩუმი ლოცვით გამონვეული. ამას ისიც ემატებოდა, რომ ხშირად მისი ძმა იჩოქებდა არამართო საკურთხეველთან, არამედ აკლდამასა, პატრონიკესა თუ სამრეკლოში. ის-ის იყო მღვდელი სამჭედლოს ეზოს გავლით ტაძრისაკენ წასვლას აპირებდა, რომ უცებ შეჩერდა და მოიღუმა. მისი ძმის ჩაცვნილი თვალებიც იმავე მიმართულებით იყურებოდა. არც კი უფიქრია, პოლკოვნიკი ჩემი ეკლესიით დაინტერესდაო. იმნამსვე მიხვდა, სამჭედლოს მისჩერებიაო. მიუხედავად იმისა, რომ მჭედელი პურიტანი იყო და ჩვენი მღვდლის მრევლს არ ეკუთვნოდა, უილფრედ ბოჰუნს ბევრი რამ სმენოდა მისი ლამაზი ცოლის საეჭვო თავგადასავლებზე. და ისე დაეჭვებული მიაჩერდა ფარდულს, რომ პოლკოვნიკი წამოდგა და სიცილით გამოელაპარაკა.

— დილა მშვიდობისა, უილფრედ. ხომ ხედავ როგორ დაუღალავად ვზრუნავ ჩემს ხალხზე, როგორც კარგ მემამულეს შეჰფერის. დღეს მჭედელს უნდა ვესტუმრო.
უილფრედმა მინას დახედა და თქვა:
— მჭედელი აქ არ არის, გრინფორდშია წასული.
— ვიცი, უპასუხა ძმამ ჩუმი სიცილით, სწორედ ამიტომ უნდა ვესტუმრო.

— ნორმან, თქვა მღვდელმა ისე, რომ გზაზე დაყრილი კენჭებისთვის თვალი არ მოუშორებია, ნუთუ მენის არ გეშინია?

— რას გულისხმობ? იკითხა პოლკოვნიკმა. მეტეოროლოგიით დაინტერესდი?

— იმას ვგულისხმობ, თქვა უილფრედმა, ისე, რომ ზემოთ არ აუხედავს, არასოდეს გიფიქრია, რომ ღმერთმა შეიძლება პირდაპირ ქუჩაში განგვმიროს?

— უკაცრავად? თქვა პოლკოვნიკმა; შენ რა, ფოლკლორმა გაგიტაცა?

— შენ ღვთისგმობით ხარ გატაცებული, შეეპასუხა ღვთისმოსავი კაცი, რომელსაც თავისი ბუნების ერთადერთ ნათელ წერტილში ჩაუნისკარტეს. მაგრამ თუ ღმერთისა არ გეშინია, განაგრძო უილფრედმა ადამიანისა კი ნამდვილად უნდა გეშინოდეს.

უფროსმა ძმამ თავაზიანად აწია წარბი.

— ადამიანისა მეშინოდეს? გაიმეორა მან.

— მჭედელი ბარნსი ყველაზე დიდი და ღონიერი კაცია 40 მილის რადიუსში. მტკიცედ თქვა ღვთის მსახურმა. ვიცი, რომ არც შენ ხარ სუსტი და მშიშარა, მაგრამ მას შეუძლია დაგჯაბნოს.

სიმათლემ მწარე აღმოჩნდა, ნაოჭი პირსა და ცხვირის ნესტოებს შორის გაღრმავდა და გამოუქდა. ასე იდგა რამდენიმე წუთს დამცინავი ღიმილით უეცრად პოლკოვნიკი ბოჭუნი თავისმა სასტიკმა იუმორმა გამოაფხიზლა და გაეცინა, ყვითელ უღვაშებზე ნინა ორი ძაღლისმაგვარი კბილი გამოუჩნდა.

— ასეთ შემთხვევაში ძვირფასო, უილფრედ, თქვა საკმაოდ დაუდევრად, უკანასკნელი ბოჭუნი ბრძენი ყოფილა, ნახევრად აბჯარასხმული რომ გამოვიდა. ეს თქვა და უცნაური მწვანე ქუდი მოიხადა, რათა ეჩვენებინა, რომ შიგნიდან ფოლადის ხაზებით იყო დაფარული. უილფრედმა იცნო მსუბუქი იაპონური თუ ჩინური სკაფანდრი იმ ნადავლიდან ჩამოგლეჯილი, მისაღები ოთახის კედელზე რომ ეკიდა.

— პირველი ეს მომხვდა ხელში, აუხსნა ძმამ უდარდელად; მუდამ ხელმისაწვდომი ქუდი — და ხელმისაწვდომი ქალი.

— მჭედელი გრინფორდშია, თქვა უილფრედმა ჩუმად, არაფერი იცის, როდის დაბრუნდება.

ეს თქვა და ეკლესიაში შევიდა თავდახრილი, პირჯვარი გადაიწერა იმ კაცივით, დამძიმებული სულისაგან გათავისუფლება რომ სწადია. ძალიან უნდოდა დაევიწყებინა ის უმსგავსობა ამ მაღალი, გოთიკური მონასტრის ბინდში; მაგრამ რელიგიურ რიტუალთა ციკლს დილიდან არაერთი დაბრკოლება დაბეძებოდა.

ეკლესიაში რომ შეაბიჯა, რომელიც აქამდე ყოველთვის ცარიელი იყო დღის ამ მონაკვეთში, დაჩოქილი გამოსახულება წამოიშარა და გაემართა კარისაკენ, საიდანაც დღის სინათლე შედიოდა. მღვდელი გაოგნებული მიჩაერდა უცნობს. ეს ადრიანი მლოცველი, არც მეტი, არც ნაკლები, სოფლის გიჟი იყო, მჭედლის ძმისწული. ადამიანი, რომელსაც არც აინტერესებდა და ვერც დააინტერესებდა ეკლესია ან სხვა რამ. „გიჟ ჯოს“ ეძახდნენ და, როგორც ჩანს, სხვა სახელი არც ჰქონია. ბნელი, ძლიერი, ტლანქი ჭაბუკი იყო, თეთრი სახე ჰქონდა. მუქი, სწორი

თმა და მუდმივად ღია პირი. მღვდელს ახლოს ჩაუარა, თუმცა მისი ხბოსებრი გამომეტყველების გამო ვერაფრით გამოიცნობდი, რას აკეთებდა ან რაზე ფიქრობდა. აქამდე არასოდეს ელოცა. ნეტა რა ლოცვები უნდა ეთქვა? საოცარი ლოცვები რა თქმა უნდა.

უილფრედ ბოჭუნი უძრავად იდგა იმ ადგილას, საიდანაც კარგად ჩანდა, თუ როგორ გავიდა სულელი მზის სინათლეზე და როგორი უშუალო მხიარულებით მიესალმა პოლკოვნიკი. და როგორ ესროდა პოლკოვნიკი ჯოს ღია პირში ხურდა ფულს, და როგორ ცდილობდა მოერტყა.

უშნოდ განათებული სურათი, რომელიც დედამინის უგუნურობასა და სისასტიკეს გამოხატავდა, ასკეტურ დასაარულს უმზადებდა მღვდლის ლოცვებს, განწმენდისა და ახალი აზრებისათვის ამზადებდა.

სკამებს ჩაუარა, პატრონივე გაიარა და მოხატულ ფანჯარას მიუახლოვდა, რომელიც უყვარდა, რადგან აქ სულის სიმშვიდეს ჰპოვებდა; ეს იყო ლურჯი ფანჯარა, რომელზეც ანგელოზი იყო გამოსახული შროშნებით ხელში. აქ აღარ აგონდებოდა გაფითრებულსახიანი და თევზისპირიანი ჭკუასუსტი. ნაკლებს ფიქრობდა თავის ბოროტ ძმაზე, გამხდარი, დამშეული ლომივით რომ დაძრწოდა. იგი უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა ვერცხლისფრად აელვარებულ, ცივ, თუმცა სასიამოვნო ფერებსა და ფირუზისფერ ზეცაში.

მოგვიანებით სწორედ ამ ადგილას იპოვა ჩვენი მღვდელი სოფლის მენალე გიბსმა, რომელიც სასწრაფო საქმეზე გამოეგზავნათ. მღვდელი მაშინვე წამოდგა ფეხზე, რადგან იცოდა, რომ გიბსი აქ უმიზეზოდ არ მოვიდოდა. მენალე, როგორც სხვა ბევრ სოფელში, ათეისტი იყო, მისი გამოჩენა ტაძარში კიდევ უფრო წარმოუდგენელი გახლდათ, ვიდრე გიჟი ჯოსი. დილა თეოლოგიური ენიგმებით აღვსებულიყო.

— რა მოხდა? ჰკითხა დაზაფრულმა უილფრედ ბოჭუნმა და აკანკალებული ხელი ქუდისკენ წაიღო. ათეისტი მისთვის უჩვეულო, პატივსაცემი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს ჩახლეჩილი ხმით თანაგრძნობას გამოხატავდა.

— უნდა მაპატიოთ, სერ, თქვა ჩურჩულით, მაგრამ ჩავეთვალეთ, რომ უნდა გცოდნოდეთ. საშინელება მოხდა სერ. სამწუხაროდ, თქვენი ძმა...

უილფრედმა თავისი ფერმკრთალი ხელები დამუშტა.

— ამჯერად რა დააშავა? დაიყვირა უნებლიეთ.

— საუბედუროდ, სერ, თქვა მენალემ, არაფერი დაუშავებია და ველარც დააშავებს. ვშიშობ, რომ მას დაუშავებს. უმჯობესია წამომყვეთ, სერ.

ღვთისმსახური გაჰყვა მენალეს. ჩაიარეს პატარა, ხვეული კიბე. ეკლესიის შესასვლელს მიუახლოვდნენ, რომელიც ქუჩაზე ბევრად ზემოთ იყო. ბოჭუნი ერთი შეხედვითვე მიხვდა, ტრაგედია დატრიალებულიყო. ეს ტრაგედია ახლა მის ფეხებთან გართხმულიყო საგანგებოდ შედგენილ გეგმასავით. სამჭედლოს ეზოში 5-6 კაცი იდგა, ძირითადად შავებში ჩაცმული, ერთს გამომძიებლის უნიფორმა ეცვა. მათ შორის იმყოფებოდა ექიმი, პრესვიტერიანულთა ეკლესიის წინამძღვარი, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი და მისი მრევლი — მჭედლის მეუღლე. მღვდელი ქალს აღელვებული ელაპარაკებოდა, ეს

მშვენიერი ქალი კი სკამზე ჩამომჯდარიყო და ქვითინებდა. ამ ორ ჯგუფს შორის, ჩაქურების გროვასთან ინვა გამოსასვლელ კოსტუმში გამონყობილი კაცი, უემოციო სახითა და განზე გადაყრილი ხელებით. უილფრედს იმ სიმალლიდანაც კი შეეძლო მისი ტანსაცმლისა და ბოჭუნთა საგვარეულო ბეჭდებით განყოფილი მორთულობის ამოცნობა, თუმცა თავის ქალა სამინელ, გაშავებულ, სისხლიან ლაქას დამსგავსებოდა. უილფრედ ბოჭუნმა ერთხელ დახედა ძირს გართხმულს, შემდეგ კიბე ჩაიარა და ეზოში გავიდა. ოჯახის მკურნალი ექიმი მიესალმა, მან კი ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ ბორძიკით თქვა:

— ჩემი ძმა მოკვდა! ეს რას ნიშნავს? რა გაუგებრობაა? მწუხარე სიჩუმემ დაისადგურა; შემდეგ კი ქუჩის მენალემ, დამსწრეთა შორის ყველაზე გულღია კაცმა უპასუხა მღვდლის კითხვებს.

— ნამდვილად საშინელებაა, სერ, მაგრამ გაუგებრობისა რა გითხრათ?!

— რას გულისხმობთ? იკითხა გაფითრებულმა უილფრედმა.

— ყველაფერი ნათელია, უპასუხა გიბსმა, 40 მილის რადიუსში მხოლოდ ერთი კაცია, რომელსაც ასეთი დარტყმის მიყენება შეეძლო და საამისო მიზეზიც ჰქონდა.

— წინასწარ ნუ განვსჯით, საუბარში ჩაერთო შავნვერა, აფორიაქებული ექიმი; თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა რომ მისტერ გიბსის მოსაზრება დარტყმასთან დაკავშირებით ჭეშმარიტებაა, გამაოგნებელი დარტყმაა. მისტერ გიბსის თქმით, ამას მხოლოდ ერთი კაცი თუ ჩაიდენდა. ჩემი აზრით კი ამას ვერავინ შეძლებდა.

მღვდელს ეჭვის ჟრუანტელმა დაუარა.

— ვერაფერი გამიგია, თქვა მან.

— ბატონო ბოჭუნ, თქვა ჩუმად ექიმმა, მეტაფორებში მოვიკოჭლებ. ცუდი შედარებაა, მაგრამ თავის ქალა კვერცხივითაა დამსხვრეული. ძელის ნაწილაკები ორგანიზმსა და მიწაზეა მოფანტული, როგორც ტყვიები ტალახიან კედელზე. ეს გოლიათის ნამუშევარია.

ცოტა ხნით გაჩუმდა, მკაცრად იყურებოდა სათვალღიდან; ბოლოს დასძინა:

— ამას ერთი უპირატესობა აქვს — ეჭვმიტანილთა რიცხვს უკიდურესად ამცირებს. მე, თქვენ ან სხვა ნორმალურ ადამიანს თუ დასდეს ბრალი ამ დანაშაულში, ისევე გაგვამართლებენ, როგორც ბავშვს, რომელსაც ნელსონის სვეტის მოპარვა ედება ბრალად.

— სწორედ ამიტომ ვამბობ, გაიმეორა ქუჩის მენალემ ჯიუტად, ერთადერთი კაცია, ვისაც ამის ჩადენა შეეძლო და ჩაიდენდა კიდევ. სად არის სიმეონ ბარნსი, მჭედელი.

— გრინფორდშია, ენის ბორძიკით თქვა მღვდელმა.

— ალბათ უფრო საფრანგეთში, ჩაიბუტბუტა ქუჩის მენალემ.

— ორივე ცდებით, თქვა ჩუმმა ხმამ, რომელიც პატარა რომაელი მღვდლისაგან მოდიოდა, ახლახან რომ შემოერთებოდა ჯგუფს. — უფრო მეტიც, სწორედ ახლა ჩვენკენ მოაბიჯებს.

პატარა მღვდელი გარეგნობით არ გამოირჩეოდა. უხეში ყავისფერი თმა და მრგვალი სახე ჰქონდა. თუმცა აპოლონივით მშვენიერი რომ ყოფილიყო, ახლა მაინც არავინ შეხედავდა. ყველა მიბრუნდა და გზას მიაჩერდა,

რომელიც მდელს კვეთდა და რომელზეც ნამდვილად მოაბიჯებდა სიმეონი, მჭედელი, ჩაქურით მხარზე. ბრგე, ძვალმსხვილი კაცი იყო, მუქი, ღრმა, ავისმომასწავლებელი თვალბითა და მუქი წვერით ნიკაპზე.

მოდიოდა და ვილაც ორ კაცს ელაპარაკებოდა; და მიუხედავად იმისა, რომ არასდროს იყო კარგ გუნებაზე, დღეს მშვიდად გამოიყურებოდა.

— ღმერთო ჩემო, დაიყვირა ათეისტმა ქუჩის მენალემ, აი ის ჩაქურცი რომლითაც ეს ჩაიდინა.

— არა, თქვა გამომძიებელმა, ჭკვიანური გამომეტყველების ნითურულვაშა კაცმა, დღეს პირველად რომ ამოილო ხმა. ჩაქური, რომლითაც ეს მკვლელობა ჩაიდინეს ეკლესიის კედელთან გდია. გვამიც და ჩაქურიც ისე დევს, როგორც იყო.

ყველამ ირგვლივ მიმოიხედა, დაბალმა მღვდელმა ქუჩა გადაჭრა და იქვე დაგდებულ იარაღს დააკვირდა ჩუმად. ეს იყო ყველაზე პატარა და მსუბუქი ჩაქური ჩაქურჩებს შორის. ისეთი, არავის ყურადღებას რომ არ მიიქცევდა. ჩაქურჩს რკინიან ბოლოზე სისხლი და ყვითელი თმა შემორჩენოდა.

წამიერი სიჩუმე დაბალმა მღვდელმა დაარღვია ისე, რომ ზემოთ არ აუხედავს.

— ბატონი გიბსი შეცდა. ეს ამბავი სწორედაც რომ მისტიკურია. საკვირველია, რატომ გამოიყენა ამხელა კაცმა ასეთი პატარა ჩაქური ასეთი დიდი დარტყმის მისაყენებლად.

— ოჰ, ეგ ნაკლებ საინტერესოა, წამოიყვირა გალიზიანებულმა გიბსმა. რა მოვუხერხოთ სიმეონ ბარნსს?

— თავი დაანებეთ, თქვა მღვდელმა მშვიდად. ხომ ხედავთ, თვითონ მოდის ჩვენთან. იმ ორ ახალგაზრდას ვიცნობ, მას რომ მოყვებიან. კარგი ყმანვილები არიან გრინფორდიდან. პრესვიტერიანულ ეკლესიაში დადიან ხოლმე.

ამ დროს მალაღმა მჭედელმა ეკლესიის კუთხესთან შემოუხვია და ერთი ნაბიჯით თავის ეზოში გაჩნდა. გაშეშდა, ჩაქური ძირს დაუვარდა. გამომძიებელი, რომელიც საოცარ ტაქტიანობას ინარჩუნებდა. დინჯად მიუახლოვდა მჭედელს.

— ბატონო ბარნს, არც კი ვიკითხავ, იცით თუ არა, რა მოხდა აქ. არაფრის თქმა არ გევალებათ. ვიმედოვნებ, არაფერი იცით და დაამტკიცებთ კიდევ. მიუხედავად ამისა, ჩემი ვაღია მეფის სახელით მკვლელობისთვის დაგაპატიმროთ.

— შენ არაფრის მტკიცება არ გჭირდება, უთხრა შემფოთებულმა ქუჩის მენალემ. მათ უნდა დაამტკიცონ ყველაფერი. ჯერ დანამდვილებით ისიც არ იციან, გარდაცვლილი პოლკოვნიკი ბოჭუნია თუ არა, ისე აქვს თავი გაჩეჩქვილი.

— ჭრილობა არც გამოსწორდება, თქვა მღვდლის გვერდით მდგომმა ექიმმა. ამ ამბავს კვლევა არ სჭირდება. მე პოლკოვნიკის ექიმი ვიყავი და მის სხეულს მასზე კარგად ვიცნობდი. ლამაზი ხელები ჰქონდა, თუმცა თავისებური. საჩვენებელი და შუა თითები ერთი სიგრძისა ჰქონდა. მოკლედ, ეს ნამდვილად პოლკოვნიკია.

მჭედელი თავისი რკინის თვალბით დააცქერდა პოლკოვნიკის მიწაზე გართხმულ ტვინს.

— პოლკოვნიკი ბოჭუნი მოკვდა? იკითხა მშვიდად. დანყველილი ყოფილა.

— ნურაფერს იტყვი! ნურაფერს! ნამოიყვირა ათეის-ტმა მენალემ, რომელიც ინგლისური სამართალდამცავი სისტემით ისე იყო აღფრთოვანებული, რომ ცეკვა უნდოდა. სეკულარისტზე მეტი ლეგალისტი ხომ არ არსებობს.

— თქვენთვის ადვილია ეშმაკობა, ურწმუნოებო. ამქვეყნიური კანონები თქვენს მხარეზეა, თქვა მჭედელმა, მაგრამ ღმერთი თავის მიმდევართ იცავს, ამაში დღეს დარწმუნდებით.

შემდეგ გამოძიებელს მიმართა:

— როდის მოკვდა ეს ძალი?

— სიტყვები შეარჩიეთ, თქვა ექიმმა.

— სიტყვები ბიბლიაში შეასწორეთ და მეც გამოვასწორებ ჩემებს. როდის მოკვდა?

— დღეს დილის 6 საათზე ცოცხალი ვნახე, თქვა უილფრედ ბოჭუნმა.

— ღმერთი მოწყალეა! თქვა მჭედელმა. ბატონო გამოძიებელო, შეგიძლიათ დამიჩიროთ. წინააღმდეგი არა ვარ. ისე თქვენ მაინცდამაინც არ უნდა გინდოდეთ ჩემი დაჭერა. მე სასამართლოს პირნათელი დავტოვებ. ეს კი თქვენთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.



მხატვარი ნინო დვალი

ჩვენი სოლიდური

გამომძიებელი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი, გარდა პატარა მღვდლისა, მჭედელს შესცქეროდა. პატარა მღვდელი კი იმ პატარა ჩაქუჩს დასცქეროდა, ამხელა ჭრილობა რომ მიაყენა გარდაცვლილს.

— მაღაზიის გარეთ ორი კაცი დგას, მძიმედ განაგრძო მჭედელმა, ისინი პატივცემული ვაჭრები არიან გრინფორდიდან. ვფიქრობ, ყველა იცნობთ. დამერწმუნებიან, რომ შუალამიდან დილაზე და კიდევ მეტხანს მათთან ერთად ვიყავი ჩვენი ალორძინების მისიის დარბაზში. გრინფორდში 20 კაცი მაინც დაიფიცებს, რომ მთელი ეს ხანი იქ ვიყავი. წარმართი რომ ვიყო, ბატონო გამოძიებელო, მცდარ გზაზე დაგაყენებდით, მაგრამ ვინაიდან ქრისტიანი ვარ, თავს მოვალედ მივიჩნევ სასამართლო პროცესამდე გაცნობოთ ჩემი ალიბი.

— რა თქმა უნდა მირჩევნია აქვე გაირკვეს ყველაფერი, თქვა დაბნეულმა გამოძიებელმა.

მჭედელი ნელ ნაბიჯით გავიდა ეზოდან და თავის გრინფორდელ მეგობრებთან დაბრუნდა, რომელთაც დამსწრენი კარგად იცნობდნენ. თითოეულმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რაც, რასაკვირველია, ყველამ დაი-

ჯერა. მათ სიმეონის უდანაშაულობა დაამტკიცეს და ისიც ისევე ამაყად დადგა, როგორც ტაძარი მის უკან.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანაირ ხმაურზე გაუსაძლისი სიჩუმე. ამ სიჩუმის დასარღვევად ჰკითხა უილფრედმა კათოლიკე მღვდელს:

— როგორც ვხედავ, მაგ ჩაქუჩმა ძალიან დაგაინტერესათ, მამა ბრაუნ.

— მართალი ბრძანდებით, უპასუხა მამა ბრაუნმა, რატომა ჩაქუჩი ასეთი პატარა?

ამ სიტყვებზე ექიმი შემობრუნდა.

— ღმერთო ჩემო, მართალია, წამოიძახა მან; ასეთ პატარა ჩაქუჩს ვინ გამოიყენებდა, როდესაც ამხელა ჩაქუჩები გარშემო.

შემდეგ ხმას დაუნია და მღვდლის თანაშემწეს ჩასჩურჩულა:

— მხოლოდ ის, ვინც დიდ ჩაქუჩს ვერ მოერეოდა. სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის ძალის სხვაობას არ ვგულისხმობ, არამედ იმ აზრზე ძალას, რომელიც მხრებში აქვს ადამიანს. თავზეხელაღებულია ქალმა შეიძლება 10 მკვლელობა ჩაიდინოს პატარა ჩაქუჩით, მაგრამ დიდი ჩაქუჩით ტარაკანაც ვერ მოკლას.

უილფრედ ბოჭუნი თავზარდაცემული გამომეტყველებით მიაშტერდა ექიმს. მამა ბრაუნი კი დიდი ინტე-

რესით უსმენდა. ექიმმა განაგრძო:

— რატომ ჰგონია ყველას, რომ ცოლის საყვარელი მხოლოდ ქმარს სძულს? ათიდან ცხრა შემთხვევაში ადამიანი, რომელსაც ცოლის საყვარელი სძულს, თავად ეს ცოლია. ვინ იცის, როგორ მუხანათურად ექცეოდა პოლკოვნიკი – შეხედეთ.

ექიმმა იქვე ჩამომჯდარ წითურ ქალზე მიანიშნა. მან თავი ასწია, სახეზე ცრემლი შემრობოდა. ცხედარს მისჩერებოდა.

უილფრედ ბოჭუნმა ხელები გაასავსავა ისე, თითქოს არ სურდა ამ ყველაფრის მოსმენა. მამა ბრაუნმა კი მკლავებიდან ჭვარტლი ჩამოიწმინდა და გულგრილად მიმართა ექიმს.

— თქვენი, ისევე როგორც ექიმთა უმრავლესობის ფსიქიკური ანალიზი დამაფიქრებელია. ფიზიკურ ანალიზს რაც შეეხება, სრულიად მიუღებელია. გეთანხმებით, რომ ქალი აუცილებლად პატარა ჩაქუჩს აირჩევდა. მაგრამ აქ მთავარი სირთულე ფიზიკურ შეუძლებლობაშია. ვერცერთი ქალი ვერ შეძლებდა კაცის თავის ქალის ასე გაპობას.

მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო;

— ნუთუ აქამდე ვერ წარმოიდგინეთ მთელი სურათი? კაცს რკინის ჩაფხუტი ეხურა, რომელიც შუშასავითაა დამსხვრეული. შეხედეთ იმ ქალს. შეხედეთ მის ხელებს.

ისევ სურჩემდ მოიცვა იქაურობა, რომელიც გაბრაზებულია ექიმმა დაარღვია.

— შეიძლება ვცდები, მაგრამ კამათი ყველაფერზე შეიძლება. თუმცა მე მთავარ აზრზე ვრჩები. იდიოტის გარდა არცერთი კაცი არ აირჩევდა ამ პატარა ჩაქუჩს, თუ დიდის აწევა შეეძლო.

ამის გაგონებაზე უილფრედ ბოჭუნმა აკანკალებული ხელები თავში შემოიკრა და თავისი ყვითელი თმა ჩაბლუჯა. უცებ ხელები ისევ დაუშვა და წამოიყვინა:

— სწორედ ამ სიტყვის მოსმენა მინდოდა და თქვენ ის წარმოთქვით.

შემდეგ უფრო დახვეწილი მოუსვენრობით განაგრძო:

— თქვენ თქვით, რომ „იდიოტის გარდა არცერთი კაცი არ აირჩევდა ამ პატარა ჩაქუჩს“

— დიახ! თქვა ექიმმა. მერე?

— მერე ის, რომ ეს სწორედ იდიოტის გაკეთებულია. ყველა მას მიაშტერდა, მან კი განაგრძო ისე, თითქოს ციებით შეპყრობილიყო.

— მე მღვდელი ვარ, წამოიძახა უეცრად, მღვდელი კი სისხლისღვრის წინააღმდეგია. მე ვერავის ავიყვან სახრჩობელაზე. მადლობა ღმერთს მივხვდი, ვინაა დამნაშავე — ამ დამნაშავეს სახრჩობელაზე ვერავინ აიყვანს.

— ეს როგორ, ნუთუ არ ამხელთ? იკითხა ექიმმა.

— რომც ვამხილო, მაინც ვერ ჩამოახრჩობენ, გამოაცხადა უილფრედმა და მისმა სახემ გაშმაგებული, თუმცა საეჭვოდ მხიარული გამომეტყველება მიიღო.

— დღეს დილით ტაძარში მოსვლისას ვნახე, თუ როგორ ლოცულობდა შეშლილი კაცი — სანყალი ჯო, რომელიც მთელი ცხოვრება გიჟია. ღმერთმა უწყის, რას ლოცულობდა, თუმცა ასეთი უცნაური კაცისგან არ უნდა გაგიკვირდეს უკუღმართი ლოცვა. მხოლოდ სულელი თუ ილოცებს კაცისკვლის წინ. ბოლოს რომ ვნახე, ჩემს ძმასთან ერთად იმყოფებოდა. ჩემი ძმა დასცინოდა.

— ღმერთმანი! როგორც იქნა გავარკვიეთ, მაგრამ ამას როგორ ახსნით?

მღვდელი უილფრედი სულ კანკალებდა მის მიერ აღმოჩენილი სიმართლისგან.

— ნუთუ ვერ ხედავთ?! როგორ ვერ ამჩნევთ, წამოიყვინა გამწარებით, ეს ერთადერთი თეორიაა, რომელიც ყველა უცნაურობას ახსნის და ყველა გამოცანას პასუხობს. ორი გამოცანაა: პატარა ჩაქუჩი და დიდი ჭრილობა. მჭედელს შეეძლო დიდი ჭრილობის მიყენება, მაგრამ იგი პატარა ჩაქუჩს არ გამოიყენებდა. მისი ცოლი პატარა ჩაქუჩს არჩევდა, თუმცა ასეთ ჭრილობას ვერ მიაყენებდა. შეშლილი კაცი კი ორივეს შეძლებდა. რატომ პატარა ჩაქუჩი? — ის გიჟია და ნებისმიერ იარაღს აიღებდა. რაც შეეხება დიდ ჭრილობას — ექიმო, ნუთუ არ გსმენიათ, რომ აფექტში მყოფ მანიაკს 10 კაცის ძალა აქვს?!

ექიმმა ამოისუნთქა და თქვა:

— ღმერთს ვფიცავ თქვენ ეს შეძელით.

მამა ბრაუნი მთელი ეს ხანი მოლაპარაკეს მისჩერებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი ხარისებრი

თვალების და სახის გამომეტყველება ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

— ბატონო ბოჭუნ, თქვენი თეორია წარმოთქმულთაგან ერთადერთია, რომელიც არცერთ კითხვას არ ტოვებს და არც ნაწყენი რჩება ვინმე. აქედან გამომდინარე, იმსახურებთ გითხრათ, რომ ჩემი ღრმა რწმენით ეს თეორია მცდარია. ეს თქვა მამა ბრაუნმა და იქაურობას გაეცალა, თუმცა კიდევ ერთხელ დახედა ჩაქუჩს.

— ამ ვაჟბატონმა, მგონი, უფრო მეტი იცის, ვიდრე საჭიროა, უჩურჩულა ექიმმა უილფრედს. ეს პაპის მღვდლები საშინლად ცბიერები არიან.

— არა, არა, თქვა ბოჭუნმა გადაღლილი ხმით, ეს გიჟმა ჩაიდინა, გიჟმა!

ორი სასულიერო პირისა და ექიმისგან შემდგარი ჯგუფი ჩამოსცილდა უფრო ოფიციალურ ჯგუფს, რომელიც გამომძიებლისა და დაკავებულისაგან შედგებოდა. ახლა, როცა მათი ჯგუფი დაიშალა, მეორე ჯგუფიდან ხმა მოესმათ. მღვდელმა ზევით აიხედა, შემდეგ ისევ დახარა თავი და მჭედლის ხმამალალი საუბარი გაიგონა:

— ვიმედოვნებ დარწმუნდით, ბატონო გამომძიებელი. ძლიერი კი ვარ, მაგრამ ჩემი ჩაქუჩი გრინფორდიდან ვერ გამოფრინდებოდა კაცის მოსაკლავად. ფრთები არ გააჩნია, რომ მღვდლები და ლოპები გადმოფრინა.

გამომძიებელმა მეგობრულად გაუღიმა.

— არა, თქვენი უდანაშაულობა დღესავით ნათელია, მიუხედავად ბევრი დამთხვევისა. მხოლოდ იმას გთხოვთ, დაგვენხაროთ თქვენნაირი ძლიერი კაცის პოვნაში. თქვენ ძალიან გამოგვადგებით მის დაჭერაში. ვინმეზე ხომ არ ეჭვობთ?

— ეჭვი კი მაქვს, თქვა გაფითრებულმა მჭედელმა, მაგრამ კაცზე არა. თავისი ცოლის შეშინებული თვალები რომ დაინახა, მხარზე ხელი დაადო და განაგრძო; — თუმცა არც ქალზე.

— რას გულისხმობთ? ჰკითხა მხიარულად გამომძიებელმა. არ მითხრათ, რომ ძროხებზე მაქვს ეჭვი.

— ვფიქრობ, ეს ცოცხალ ადამიანს არ უნდა ჩაედინა, განაგრძო მჭედელმა მოგუდული ხმით, ჩემი აზრით, იგი მარტო მოკვდა.

უილფრედმა უეცარი მოძრაობა გააკეთა და მჭედელს გაცეცხლებული თვალები შეანათა.

— იმის თქმა გინდა, ბარნს, რომ ჩაქუჩი ახტა, დახტა და კაცს თავზე დაეცა? გაისმა ქუჩის მენალის მჭახე ხმა.

— ბატონებო, შეგიძლიათ იდგეთ და იცინოთ, წამოიძახა სიმეონმა. მოძღვარო, განა ყოველ კვირას არ გვიყვებით, თუ როგორ მშვიდად განგმირა უფალმა სინაქერიბი? დარწმუნებული ვარ, ესეც მან ჩაიდინა, ვინც უხილავად დადის ჩვენს სახლებში და ამით ჩემი ღირსება დაიცვა. ამ დარტყმაშიც ისეთივე სიძლიერე იყო, როგორიც მინისძვრაში.

უილფრედმა ენით აუნერელი ხმით წარმოთქვა:

— მე ვაფრთხილებდი ნორმანს მოსალოდნელ ქექაქუხილზე.

— ეს ჩემს იურისდიქციას სცდება, თქვა გამომძიებელმა მომღიმარი სახით.

— სამაგიეროდ, თქვენ ხართ მის იურისდიქციაში, მიუგო მჭედელმა. განიერი ზურგი შეაქცია და სახლში შევიდა.

მამა ბრაუნმა აკანკალებული უილფრედი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, იქაურობას გააჩინა.

— მოდი ამ საშინელ ადგილს მოვცილდე, ბატონო ბოჭუნ, უთხრა მან. შეიძლება თქვენი ეკლესია დავათვალიერო? როგორც ვიცი, ერთ-ერთი უძველესთაგანია. ეს თქვა და კომიკური გრიმასით დაუმატა, ჩვენ ინგლისის ძველი ტაძრებით ვართ დაინტერესებული.

უილფრედ ბოჭუნს არ გალიმებია, იუმორის გრძობით არ გამოირჩეოდა. თუმცა თავი მგზნებარედ დაუქნია და გოთიკური მშვენიერების ასახსნელად განეწყო მისთვის, ვინც ინტერესი გამოამჟღავნა, ათეისტი ქუჩის მენაღსა და პრესვიტერიანული მჭედლისაგან განსხვავებით.

— რა თქმა უნდა, წამობრძანდი! თქვა და მღვდელთან ერთად მაღალი შესასვლელისკენ აუყვა საფეხურებს.

მამა ბრაუნმა პირველი ნაბიჯი გადადგა საფეხურებისკენ, როდესაც მხარზე ვილფრედის ხელი იგრძნო, შემობრუნდა და ექიმის შავი, თხელი სილუეტი დაინახა. ეჭვისგან კიდევ უფრო გაშავებოდა სახე.

— ბატონო, მიუგო ექიმმა უხეშად, თქვენ რაღაც საიდუმლო იცით ამ ბნელ საქმესთან დაკავშირებულთ. ნუთუ აპირებთ საიდუმლოდ შეინახოთ ყველაფერი?

— რატომ ექიმო? უპასუხა მღვდელმა და სასიამოვნოდ გაილიმა, არსებობს ერთი ძალიან კარგი მიზეზი, რომელიც ჩემი პროფესიის ადამიანს იმ საიდუმლოს შენახვას აიძულებს, რომელშიც დარწმუნებული არ არის. განა ჩემი მთავარი მოვალეობა იმ საიდუმლოების შენახვა არაა, რომელშიც სავსებით დარწმუნებული ვარ. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემი სიჩუმე უზრდელობაში გადადის, ჩემი პროფესია მხოლოდ ორი მინიშნების უფლებას მაძლევს.

— გისმენთ ბატონო, თქვა წარბშეკრულმა ექიმმა.

— პირველი, თქვა მამა ბრაუნმა ჩუმად, მინიშნება თქვენს სფეროს განეკუთვნება. მჭედელი ცდება არა იმას, რომ ჭრილობა გასაოცარია, არამედ — რომ სასწაულის შედეგია. სასწაული არაფერ შუაშია, ექიმო, იმას თუ არ ვიგულისხმებ, რომ ადამიანი თვითვე არის სასწაული თავისი უცნაური, ბოროტი, თუმცა ნახევრად გმირული გულით. ძალა რომელმაც ის თავისქალა ორად გააპო, მეცნიერებისთვის კარგად არის ცნობილი. ბუნების კანონთაგან ის ყველაზე ხშირად ხდება კამათის საგანი. ექიმმა, რომელიც მღვდელს აღმაცერად უყურებდა მხოლოდ ეს თქვა:

— მეორე მინიშნება?!

— მეორე მინიშნება ესაა. გახსოვთ მჭედელი, რომელსაც სასწაულების სჯერა, როგორი ირონიით ლაპარაკობდა იმ ზღაპარზე, თითქოს მის ჩაქუჩს ფრთები ჰქონოდა და ნახევარი მილი გადმოეფრინა?

— დიახ, მახსოვს.

— ჰოდა, დასძინა მამა ბრაუნმა ღიმილით ეს ზღაპარი ერთადერთი სიმართლეა, რაც დღეს ითქვა.

ეს თქვა, ზურგი შეაქცია ექიმს და კიბეზე ავიდა.

გაფითრებული უილფრედი ანერვიულებული ელოდა მღვდელს, მოთმინების ფიალა ავსებოდა. მაშინვე თავისი საყვარელი კუთხისკენ გაუძღვა. დერეფნის იმ ნაწილისკენ, რომელიც ყველაზე ახლოს იყო სახურავზე ასასვ-

ლელთან, შუქი უმშვენიერესი ანგელოზით ამოტივტივრული ფანჯრიდან რომ ეცემოდა. რომაელმა მღვდელმა დიდი ყურადღებითა და აღტაცებით დაათვალიერა ყველაფერი. თან მხიარულად, თუმცა ჩუმად ლაპარაკობდა. ამ გამოძიების მსვლელობისას მღვდელმა გვერდითი გასასვლელი და ხვეული კიბე აღმოაჩინა, რომელზეც უილფრედმა ჩაირბინა მას მერე, რაც ძმის მკვლელობის ამბავი შეიტყო. მამა ბრაუნი ქვევით ჩასვლის ნაცვლად მაიმუნის სიცქეპით გაემართა მაღლა, მისი კრიალა ხმა კიბის გარეთა ბაქნიდან გაისმა.

— აქ მოდით, ბატონო ბოჭუნ. ჰაერი მოგიხდება.

ბოჭუნი გაჰყვა და ქვის დერეფნის გავლით შენობის სახურავზე გავიდა, აქედან ჩანდა თვალუწვდენელი დაბლობი, რომელზეც მათი გორაკი იდგა. დაბლობი მენამულ ჰორიზონტამდე ტყით დაფარულიყო და სოფლებითა და ფერმებით დანიშნულიყო. მათ ქვევით მჭედლის ოთხკუთხა სუფთა ეზო ჩანდა, სადაც ჯერ კიდევ იდგა ინსპექტორი და რალაცას ინიშნავდა. გვამი კი ისევ ისე გაჭყლექილი ბუზივით გართხმულიყო მიწაზე.

— მსოფლიოს რუკას არა ჰგავს? თქვა მამა ბრაუნმა.

— კი, უპასუხა დამნუხრებულმა ბოჭუნმა და თავი დაუქნია.

სწორედ ამ დროს მათ გარშემო და ქვევით არსებული გოთიკური შენობის კონტურები უსწრაფესად ჩაიძირა თვალისათვის უხილავ, საძაგელ, თვითმკვლელობის მონათესავე სიცარიელეში. არის რაღაც ტიტანური ენერჯის ელემენტი შუა საუკუნეთა არქიტექტურაში, რომლის მეშვეობითაც რა კუთხიდანაც უნდა შეხედო შენობას, გგონია, თითქოს უკან მიიწევს, როგორც გაგიჟებული ცხენის ზურგი. ეს ეკლესია უძველესი, მდუმარე ქვისგან იყო გამოკვეთილი. სოკოსებრი მცენარეები წვერივით შემორტყმოდა გარს და ჩიტის ბუდეებით დალაქავებულიყო. და მაინც, თუ ქვევიდან ამოხედავდით, ვარსკვლავებთან აჭრილ შადრევანს ჰგავდა. ზევიდან კი, როგორც ახლა, ჩანჩქერით ეშვებოდა მდუმარე ქვესკნელში. კოშკზე მდგომი ეს ორი კაცი გოთიკის ყველაზე შიშისმომგვრელ ნაწილთან განმარტოებულიყო. საზარელი შორსმჭვრეტელობა და არათანაზომიერება, თავბრუდამხვევი პესპექტივა, ფორმადაკარგულ საგანთა გაელვება, ჰაერში უწესრიგოდ გაბნეულ ქვათა ერთობლიობა. ქვების მეტისმეტი სიახლოვის გამო უშველებელი ჩანდა. ისინი თითქოს მდებარეობისა და ფერმებისგან შექმნილ რელიეფს შერწყმოდნენ. კუთხეში გამოკვეთილი ჩიტი თუ მხეცი ვეებერთელა მოსიარულე თუ მფრინავ დრაკონს ჰგავდა, სოფლებსა და საძოვრებს რომ განადგურებით ემუქრებოდა. თავბრუდამხვევი, საშიში ვითარება სუფევდა. თითქოს ის ორი კაცი ვეება ჯინს ფრთებქვეშ მოექცია და ჰაერში აეტაცა. ეკლესია კი, ისეთივე მაღალი და დიდებული, როგორც საკათედრო ტაძარი, თითქოს ღვართქაფად უნდა დასცემოდა თავს სოფელს.

— ვფიქრობ, ასეთ მაღალ ადგილას დგომა, თუნდაც სალოცავად, საკმაოდ საშიშია, თქვა მამა ბრაუნმა. სიმალღებები იმისთვის შეიქმნა, რომ ქვევიდან ამოვხედოთ და არა მათგან გადავიხედოთ.

— იმას გულისხმობთ, რომ შეიძლება გადავვარდეთ? იკითხა უილფრედმა.

— ვგულისხმობ, რომ ტანით თუ არა, სულით მაინც გადავარდება ვინმე. თქვა მეორე მღვდელმა.

— ვერ მიგიხვდით, დაბნეულად მიუგო ბოჭუნმა.

— აი, მაგალითად, იმ მჭედელს შეხედეთ, განაგრძო მამა ბრაუნმა აუღელვებლად; კარგი კაცია, თუმცა ქრისტიანი არ არის – მტკიცე, მბრძანებლური, დაუნდობელი. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი შოტლანდიური რელიგია მაღალ მთებსა და პიტალო კლდეებზე მლოცველმა კაცმა შექმნა, რომელიც დედამიწას ზევიდან დასცქეროდა და ცას იშვილათად თუ ახედავდა. თავმდაბლობა ბუმბერაზობად გადაიქცევა. ადამიანი უშველებელ საგნებს ხედავს დაბლობიდან; მწვერვალიდან კი ყველაფერი პატარა მოჩანს.

— მაგრამ ეს მას არ ჩაუდენია, თქვა აკანკალებულმა ბოჭუნმა

— არა, დაეთანხმა მამა ბრაუნი უცნაური ხმით, მას რომ არ ჩაუდენია, ეს ვიცით.

წუთით შეყოვნდა და თავისი ღია ნაცრისფერი თვალები მოავლო დაბლობს.

— ერთ კაცს ვიცნობდი, განაგრძო, რომელმაც სხვებთან ერთად ღვთისმსახურება საკურთხეველთან ლოცვით დაიწყო; მერე სალოცავად სამრეკლოს კუთხესავით მაღალი და მიტოვებული ადგილები არჩია. ერთხელაც ამ თავბრუდამხვევ ადგილზე ყოფნისას, თითქოს მთელი დედამიწა რომ მის ფეხქვეშ ბრუნავდა, გონება გადაუბრუნდა და კაცმა თავი ღმერთს გაუტოლა. მიუხედავად იმისა, რომ კარგი კაცი იყო, სამინელი დანაშაული ჩაიდინა.

უილფრედმა სახე მიაბრუნა. ქვის მოაჯირზე ჩაკიდებული ხელები გაულურჯდა.

— ჩათვალა, რომ მსოფლიოს განსჯა და ცოდვილთა დასჯა შეეძლო, განაგრძობდა მეორე მღვდელი. თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, სხვებთან ერთად იატაკზე მუხლმოყრილს რომ ელოცა. ზევიდან კი ყველა კაცი მხოხავ მწერსა ჰგავდა. ერთი განსაკუთრებული მედიდურობით გამოირჩეოდა; უტიფრად დაიარებოდა და — ღია მწვანე ქუდით თუ ვიმსჯელებთ — შხამიანი მწერი უნდა ყოფილიყო.

სამრეკლოს კუთხეები ჭილყავებით ივსებოდა, თუმცა სამარისებული სიჩუმე იდგა, სანამ მამა ბრაუნმა არ განაგრძო.

— კაცი იმანაც შეაცდინა, რომ ხელში ბუნების ერთ-ერთი ყველაზე საშინელი იარაღი ეპყრა; მიზიდულობის ძალას ვგულისხმობ, იმ გიჟურ ამარქარებელ ძალას, რომელიც ამქვეყნიურ ქმნილებებს მიწისკენ მიაქროლებს. ხედავთ, გამომძიებელი როგორ დააბიჯებს ჩვენს ქვევით, სამჭედლოს ეზოში? მე რომ ახლა კენჭი ვესროლო, ტყვიასავით ჩაესობა; ხოლო თუ ჩაქუსს ვესვრი — თუნდაც პატარას...

უილფრედ ბოჭუნმა ცალი ფეხი მოაჯირს გადაალაჯა. მამა ბრაუნი უმალ საყელოში სწვდა.

— ოღონდ ამ კარით არა, თქვა საკმაოდ მშვიდად, ეგ ჯოჯოხეთის კარია.

ბოჭუნი ნაბარბაცდა და უკანა კედელს მიენარცხა. შეშინებული უყურებდა მღვდელს.

— ეს ყველაფერი საიდან იცით? წამოიყვირა მან. ნუ-თუ ეშმაკი ხართ?

— მე ადამიანი ვარ, უპასუხა მამა ბრაუნმა პირქუშად; ამიტომ ყველა ეშმაკი მყავს გულში. მომისმინე, დასძინა მცირე შეყოვნების შემდეგ, მე კარგად ვიცი, რაც ჩავიდინე — ყოველშემთხვევაში ვხვდები მაინც მის ნაწილს. თქვენი ძმის უკანასკნელად ნახვის შემდეგ უსაზღვროდ, თუმცა სამართლიანად გაბრაზებული ამოხვედით ტაძარში; აიღეთ ის პატარა ჩაქუჩი, გადანყვიტეთ, გესროლათ და მოგეკლათ მისი ენაბილწობის გამო. უეცრად თავზარი დაგეცათ, ჩაქუჩი ჩალილულ პერანგში სასწრაფოდ დამალეთ და ტაძარში შემობრუნდით. თქვენ მხურვალედ ლოცულობთ ხოლმე სხვადასხვა ადგილებში, ანგელოზიან ფანჯარასთან, მაღლა მდგომ კათედრასთან და უფრო ზევითაც, საიდანაც პოლკოვნიკის აღმოსავლური ქუდი დაინახეთ, მწვანე ხოჭოსავით რომ დაცოცავდა აქეთ-იქით. სულში რაღაც ჩაგწყდათ და უფლება მიეცით, ღვთის რისხვა თქვენს ძმას თავზე დასცემოდა.

უილფრედმა დასუსტებული ხელი თავთან მიიტანა და ჩუმიდა ჰკითხა:

— საიდან იცოდით, რომ მისი მწვანე ქუდი ხოჭოს ჰგავდა?


— ეს უბრალო ლოგიკაა, თქვა მეორემ და გაიღიმა. ჯერ არ დამიმთავრებია; ეს ყველაფერი მხოლოდ მე ვიცი. შემდეგი ნაბიჯი თქვენზეა; მე ყველაფერი ვიღონე. ახლა ამას აღსარების ბეჭდით დავბეჭდავ. ნუ მკითხავთ რატომ, ბევრი მიზეზი მაქვს, აქედან ერთი თქვენ გეხებათ. ამ საქმეს თქვენ გაბარებთ, რადგან ჯერ კიდევ არ შეგიტოპავთ ისე ღრმად, როგორც ეს მკვლელებს ემართებათ. მჭედელი არ დაადანაშაულებთ, როდესაც ეს ასე ადვილი იყო; ან თუნდაც მისი ცოლი, რაც ასევე მარტივი გახლდათ.

სცადეთ ბრალი იმბეცილისთვის დაგედოთ, რადგან მას პასუხს არავენ მოსთხოვდა. ეს იმ ერთ-ერთ ნათელ წერტილთაგანია, რომლის დანახვასაც ვცდილობ ხოლმე მკვლელებში. ახლა შეგიძლიათ ქარივით თავისუფალმა იაროთ სოფელში, მე ჩემი უკანასკნელი სიტყვა ვთქვი.

ხვეულ კიბეს ჩაუყვანენ მდუმარედ და მზის შუქზე გამოვიდნენ სამჭედლოს ეზოში. უილფრედ ბოჭუნმა ფრთხილად გაალო ეზოს ხის კარი, გამომძიებელს მიუახლოვდა და უთხრა,

— უნდა ჩაგბარდეთ; ჩემი ძმა მე მოვკალი.

ინგლისურიდან თარგმნა
ლალი ჩხეიძე



* * *

პარლამენტის ტრიბუნაზე ელიზბარ ჯაველიძე დგას და განსაკუთრებით მღელვარებს ეროვნულ, სულიერ ფასეულობათა რღვევის გამო, რასაც ზოგი შეგნებულად უწყობს ხელს, ზოგი გაუცნობიერებლად ასდევს ლიბერალურ-გლობალისტურ განწყობილებებს, ზოგიც გულგრილად ადევნებს თვალს მოვლენებს, დარწმუნებული, რომ ისედაც ყველაფერი მოგვარდება და არა ღირს ზედმეტად თავის ვაცხელება.

ორატორისათვის ყველა ერთნაირადაა შემცოდე ქვეყნის წინაშე, ბოლოსდაბოლოს მოჩვენებითი სახელმწიფო გინდა გქონია და გინდა არა, ადათ-წესებშეზღუდული, სახედაკარგული, შინაგანად გამოჭმული. ასეთი ქვეყნის არსებობა ხომ დიდხანს ვერც გასტანს.

ელიზბარი ხმას უმაღლებს:

— ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ უნდა არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც საქართველოს ბედი, ბოდიშს ვიხდი ასეთი გამოთქმისათვის...

ყოვნდება, ხმაური ერთბაშად მინავლდება.

— დიდ ბოდიშს ვიხდი ასეთი გამოთქმისათვის...

* * *

ივანე ჯავახიშვილი პირველი მიაქცევდა ყურადღებას დიონ კასიუსისა და სხვა რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს და ქართულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მიმოქცევაში შემოიტანდა იმ უაღრესად მნიშვნელოვან ეპიზოდს ძველ იბერიელთა ცხოვრებიდან, თუ როგორ აღმართა ადრიანე კეისარმა (117-138) მარსის მოედანზე იბერთა მეფე ფარსმანის ცხენიანი ქანდაკება.

ცხადია, ეს ერთბაშად არ მომხდარა.

მანამდე ადრიანე კეისარს იბერებსა და მათ მეფესთან ისეთი ჩინებული ურთიერთობა ჰქონია, როგორც არავისთან — ყველაზე მეტ საჩუქარს მას უგზავნიდა კეისარი. თავის მხრივ ფარსმანსაც დიდძალი ძღვენი მიუერთმევია თავისი კეთილსამყოფელისათვის, მათ შორის ოქროთი შემკული წამოსასხამებიც.

როდესაც იბერთა მეფე კეისარს რომში ეწვეოდა ცოლ-შვილითა და ამალით, მასპინძელი დიდი პატივით დახვდებოდა, კაპიტოლში საღმრთოს შეწირვის ნებას დართავდა და მისი სამფლობელოს საზღვრებსაც გააფართოვებდა.

კეისარი ისე მოიხილებოდა ფარსმანის, მისი ვაჟისა და სხვა ქართველ დიდებულთა სამხედრო ასპარეზობის ცქერით, რომ აზრად მოუვიდოდა ამ გამორჩეული სტუმრის ქანდაკების დადგმა.

აკი კიდევ აღასრულა ჩანაფიქრი.

ეს ეპიზოდი დიდ სახელმწიფოთა მეთაურთათვისაც სასახელო იქნებოდა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის,

დაძაბულობა კიდევ უფრო მძაფრდება, მგონი, ბუზის გაფრენის ხმაც კი შეიძლება მოისმას... გასაგებია, რასაც იტყვის, ყველა იმ გამოთქმას მოეწონება — ეგებ მის ოდნავ ევფემისტურ ვარიაციასაც, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ პირდაპირაც აჯახოს პარლამენტარებსაც და ცისფერ ეკრანს მიჩერებულ ადამიანებსაც, რამდენიმე წამი ძალიან გრძელდება, და: — არ ანალვლეთ!..

სულ ეს არის?

მაგრამ უეცრად აღმოჩნდებოდა, რომ ეს გამოთქმა კიდევ უფრო მწვავედ გაისმოდა, ვიდრე პირდაპირ მიხვლილი ის სიტყვა, ყველამ თავისთავად რომ გაივლო გულში ბოდიშების გაგონებისთანავე.

ეფექტური ორატორული ხერხის გამოყენება სხვა კი არააფერია.

სხვათა შორის, ბელეტრისტული ხერხისაც, ძალაუვნებურად რომ გაიფიქრებ, პროზას თუ მოჭკიდა ხელი,

ადვილი შესაძლებელია წარმატებული ნიმუში გამოუვიდესო. და გაგებხარდება, როდესაც წლების შემდგომ მისი ავტობიოგრაფიული რომანი „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“ ამ ვარაუდს თვალნათლივ დაგიდასტურებს.



რომელნიც დიდად განებივრებულნი არასოდეს ვყოფილვართ ესოდენი ყურადღებით.

ქართველი მეფის ქანდაკება მარსის მოედანზე.

ვაი, რომ მარტოდენ ისტორიკოსთა მოწმობით უნდა ვინუგეშოთ თავი, რადგანაც ეს ძეგლი აღარ შემორჩენილა და ველარც ფარსმან მეფის სახეობას აღვადგენთ — ყველაფრიდან გამქრალს.

ამ ქანდაკების არსებობა იმ მხრივაცაა დამაფიქრებელი, რომ ესაა პირველი ძეგლი, რომელიც ქართველ მეფეს აუგეს საზღვარგარეთ, პირველიც და... უკანასკნელიც.

საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში კი ქანდაკება მანამდეც აღმართულიყო მეფის სახელზე, იმ ფარნავაზისა, ვინც იყო პირველი მეფე ქართლსა შინა, და ვინც განავრცო ენა ქართული და შექმნა მნიშვნობრობა ქართული.

ლეონტი მროველი შემოგვინახავდა ამ ცნობებსაც და იმასაც:

— და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა...

თან ფარნავაზის ქანდაკებაა, თან ღმერთად ცხადდება. სპილენძისაა ძეგლი, ოქროს ჯაჭვი მოსავს, თავზე მყარი ჩაბალახი ხურავს, თვალეზად ზურმუხტი და ბივრილი უზის, ხელთ ბრწყინვალე ხმალი უპყრია, თითქოს ელვააო. წმინდა ნინოს გამოჩენამდა ქართლის გაქრისტიანებამ უნდა იმსხვერპლოს ეს ქანდაკება.

არ გაუმართლებდა საქართველოს მი-
ნა-წყალზე აღმართულ იმ ძეგლსაც, რო-
მელიც ახალ დროებაში პირველი ქანდაკე-
ბა აღმოჩნდებოდა. თუმც მას ანკი რატომ
უნდა გამართლებოდა — ორბელიანთა
კუნძულზე მიხაილ ვორონცოვის ძეგლი
რომ წამოიმართებოდა, ბედისწერის ირო-
ნია გახლდათ, სხვა რა — რუსი მთავარ-
მართებლის განმადიდებელი ნიმუში, კა-
ცისა, ვინც მოჩვენებითი მზრუნველობის
ქვეშ საქართველოს გადაჯიშება-გადაგვა-
რების პოლიტიკას ახორციელებდა. თუკი
როგორღაც გადავრჩებოდით, მხოლოდ
როგორც ეთნოგრაფიული მასალა, სამუ-
ზეუმო გარემო, თავისებური ეგზოტიკა,
ოღონდ არაფრისდიდებით აღარ უნდა
გვეფიქრა სახელმწიფოებრიობის აღდგე-
ნაზე, სამაგიეროდ, გვეამაყა რუსეთის სამ-
ხრეთ პროვინციულობით.

ქანდაკებათა ისტორია საქართველოში, მათი აღმართვა,
დანგრევა, უახლოეს ჟამს კი მოგზაურობაც ისე ხელშესახე-



ბად აირეკლავს ქვეყნის საზოგადოებრივ-
პოლიტიკური ცხოვრების მდინარებას,
ეგებ სხვა რეალიების მოშველიება აღარც
დაგვეჭირდეს, მითუმეტეს, რომ ერთმა-
ნეთს განმსჭვალავს დრამატიზმი და კო-
მიზმი, ტრაგიზმი და გროტესკი, და ჯერაც
ამ უჩვეულო გარემოში ვტრიალებთ, წი-
ნაც არანაკლებ სასერიო ამბები რომ გვე-
ლოდება. ეს ფეხადგმული ძეგლები მაინც
რა მღელვარე სიუჟეტად გამოიკვეთა!..

თომას მანი ისეთ ტრაგიკომედიას
გაშლიდა ჩვენს ტერიტორიულ საზღვ-
რებში აგებულ ძეგლთა თავგადასავალ-
ზე, კითხვა არ მოგვებზრდებოდა...

დასანგრევი კი ადრე თუ გვიან დაინგ-
როდა, უხეშად აღარ შეგვეჩხირებოდნენ
თვალში სიყალბისა და სიცრუის დემონს-
ტრირებად კომუნისტური რეჟიმის კერპე-

ბი... ეგაა, ფარსმან მეფის ქანდაკება რალამ გააქრო მარსის
მოედანზე, ესეც რა ჩვენი ბედია — რალა ის შეენირა ძეგლთა
დაუსრულებელ წყებაში დრო-ჟამის მსახვრალ დინებას!..

* * *

ამისთანები მომხდარა სამ-
წერლო ცხოვრებაში, განა არა.
სახელთა და გვართა იგივეობა
თუ ფონეტიკური მსგავსება
ძალაუნებურად უბიძგებდა
ახალბედებს რაღაცის შესაცვ-
ლელად. ესეც ფსევდონიმივით
გამოდიოდა. ეგაა, ერთიანად
არა წყდებოდი შენს ვინაობას.

დაიწყებდა ლექსების გა-
მოქვეყნებას რევაზ გელოვანი,
მაგრამ... უკვე ბეჭდავდა რე-
ვაზ მარგიანი, და მკითხველის
თვალში გაუგებრობის ასაცი-
ლებლად გაჩნდებოდა სახელი
მირზა. მირზა გელოვანი უკვე აღარავის უნდა არეოდა რევაზ
მარგიანში.

მოინდომებდა სალიტერატურო გარემოში შემოსვლას
ლადო მრეკლიშვილი, მაგრამ აქ უკვე დახვდებოდა აღია-
რებული სახელები — მიხეილ მრეკლიშვილი, მაცყალა
მრეკლიშვილი. და ამჯობინებდა გვარის გადაკეთებას
მრელაშვილად, რათა მათგან გამოცალკევეთულიყო.

გამოჩნდებოდა სამწერლო სარბიელზე ოთარ ჭილაძე, და
ელოდა ოთარ ჭელიძე, უკვე დამკვიდრებული პოეტი, აი, ახ-
ლა გამოიცვლის სახელს, ან ახლავს. მაგრამ ახალბედა, რო-
გორც ჩანს, ასეთს არაფერს აპირებდა და სულ უფრო და უფ-
რო მეტ სივრცეს იკავებდა.

ბოლოსდაბოლოს მოთმინების ფიალა აევსებოდა ოთარ
ჭელიძის და ერთხელაც დაურიდებლად ჰკითხავდა თავის
სუხნისას: როდის გამოიცვლი სახელსო.

ის გულგრილად აიჩქარავდა მხრებს, მიანიშნებდა, ასეთი
რამ აზრადაც არ მომდისო.



მეგობრული შარყები ზაალ სულაკაურისა

ეს გაგულისდებოდა: არ გა-
მოვა, რომ ორივეს ოთარი
გვერქვას და მე ხომ არ გადავი-
კეთებო. მოიარებით შეახსე-
ნებდა, რომ თვითონ უფრო ად-
რე დაეწყო ბეჭდვა და მკითხ-
ველი მას უფრო შესჩვეოდა.

— რატომაც არა, — ის ჩაი-
ლიმებს, — ძალიან რომ განიც-
დი იმ ლექსში: რად არ დამარქვა
დედამ ქიტესა, რატომ დამარქ-
ვა დედამ ოთარიო, — აგერ სა-
უკეთესო შემთხვევა გეძლევს
გამოასწორო ის შეცდომა და
თვითონვე დაირქვა ქიტესა!..

ვინც ოთარ ჭილაძის მძაფრი დრამატიზმით აღსავსე
ლექსებსა და რომანებს იცნობს, სადაც არსად იელვებს ლი-
მილი, იქნებ არც დაიჯეროს, ასე მარჯვედ მართლაც რომ
მოუჭრიდა სიტყვას თანამოკალმეს, მაგრამ შემსწრეთ ახ-
სოვთ ის წუთებიც და ოთარ ჭელიძის შეცბუნებაც, ემანდ
მართლა ქიტესა არავინ დამიძახოსო.

მხოლოდ მეოთხედი საუკუნის შემდეგ გამოუკეთებოდა
ცოტაოდნავ გუნება, როდესაც გაზეთი „თბილისი“ მიულო-
ცავდა ოთარ ჭილაძეს დაბადების 50 წლისთავს, ფოტოსუ-
რათსაც, ცხადია, მისას დაბეჭდავდა, ოღონდ... ჭილაძის ნაც-
ვლად ჭელიძე გაიპარებოდა რედაქციის თანამშრომელთა
დაუდევრობით, და მომდევნო ნომერში ორივე მწერალს მო-
უბოდიშებდნენ უნებური გულისტკივილის მიყენებისათვის.

— ამას ვამბობდი, სხვას კი არაფერსო, — თავისი წინ-
დახედულება ეამაყებოდა ოთარ ჭელიძეს.

რად არ დამარქვა დედამ ქიტესაო, — კვლავაც თავი-
სას განიცდიდა ლექსის ლირიკული გმირი.

ვინც სულს დადებს...

არსებობდა თუ არა სინამდვილეში ვიღაცელები ტელი? ამბობენ, არ არსებობდაო. ამტკიცებენ, რომ შვეიცარიის ეროვნული გმირი არ არის ისტორიული პიროვნება და მხოლოდ ხალხის ფანტაზიამ შექმნა სახე სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შეუდრეკელი მეტროპოლისა. მაგრამ ძნელია წარმოიდგინო შვეიცარიის ისტორია ვიღაცელები ტელის გარეშე. შვეიცარიამ ჩასულ სტუმრებს დღესაც სიამაყით უჩვენებენ პატარა ქალაქ ალტდორფს, სადაც ვიღაცელები ტელმა, ახალგაზრდა გლეხმა ურის პროვინციიდან, თავი არ დაუკრა მოედანზე აღმართულ ძელზე გამოფენილ ავსტრიელი ჰერცოგის შლიაპას და ლანდფოგტ გესლერის რისხვა გამოიწვია. მისივე ბრძანებით, გამოცდილ მშვილდოსანს ვიღაცელები ტელს თავისი შვილის თავზე დადებული ვაშლი უნდა ჩამოეგდო ისრით. მან იღბლიანად შეასრულა ესოდენ უღმობელი მოთხოვნა, მაგრამ ტირანს გულქვაობა არ აპატია, მთებში დაუდარაჯდა და სიცოცხლეს გამოასალმა.

შვეიცარიელები ქალაქ ალტდორფში გათამაშებულ დრამას უაღრესი სიზუსტით ათარიღებენ: 1307 წლის 18 ნოემბერი. ამავე ქალაქში დგას ძველი ვიღაცელები ტელისა შვილთან ერთად. ცნობილია ის ადგილიც, სადაც მან მოკლა გესლერი და ის ადგილიც, სადაც მანვე, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ფიცად დადო მშობელი ქვეყნის დასახსნელად ჰაბსბურგთა უღლიდან.

და აი, XIX საუკუნეში, შედარებით ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ანალოგიური ლეგენდები სხვა ქვეყნებშიც მოიპოვება, ხოლო ვიღაცელები ტელის ამბავი ნასესხები უნდა იყოს ირლანდიიდან. ამრიგად, სწავლულთა დასკვნით, არავითარი ვიღაცელები ტელი არ არსებობდა, მაგრამ უახლესი გამოკვლევანი მაინც ადასტურებენ ისტორიული სინამდვილის გამოძახილს ხსენებულ თქმულებაში.

ასეა თუ ისე, ამბავი ვიღაცელები ტელისა განუყოფლად არის დაკავშირებული შვეიცარიის ისტორიასთან. ფრიდრიხ შილერის დრამამ კი დიდად შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში.

...არსებობდა თუ არა სინამდვილეში ცოტნე დადიანი? ის ცოტნე დადიანი, ვიღაცელები ტელზე არანაკლებ თვალსაჩინო ფიგურა საქართველოს ისტორიისა, მოყვასთათვის თავდადების უბადლო სიმბოლოდ რომ გვესახება?

ივანე ჯავახიშვილი კობტასთავის შეთქმულებას, რომელმაც სახელი გაუთქვა ცოტნე დადიანს, 1247 წლით ათარიღებდა. მას შემდეგ შვიდ საუკუნეზე მეტი გასულა და შვიდზე შვიდიც რომ გაივლის, თუკი მთქმელი და მსმენელი შემორჩება ჩვენს ბედკრულ სამშობლოს, მაშინაც არ ჩაუქრება უკვდავების შარავანდედი მრავალთაგან გამორჩეული გმირის სახელს.

ალბათ გახსოვთ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ ორი ქართველი ბიჭუნა რამხელა გატაცებით კითხულობს ცოტნე დადიანის თავგადასავალს. ზოგიერთი გამოთქმა ვერ გაუგიათ და დედა უხსნის ამა თუ იმ არქაული სიტყვის მნიშვნელობას. მერე მამა დაადგებათ თავზე, ბიჭუნების ჯიბის ფულით ნაყიდ „ქართლის ცხოვრებას“ დახედავს, შვილებს მოეფერება და სიცილით ეტყვის: ქვეყანა იქცევა (1917 წელი) და თქვენ უამთაღმწერელს კითხულობთ?! თითქოსდა არ იცოდეს, რომ სწორედ ქვეყნის დაქცევის უამს არის უპრიანი ცოტნე დადიანის გახსენება და გადაგვარებული საზოგადოებისათვის ნიმუშად წარმოჩენა.

რა გაენყობა, ჩვენს ცხოვრებაში სინათლეს მხარდამხარ დაჰყვება ჩრდილი, იმედს — სკეპსისი, რწმენას — ურწმუნო-

ება და ამიტომაც ჩნდება ეჭვი, ცოტნე დადიანი XIV საუკუნეში მცხოვრები ქართველი უამთაღმწერლის მიერ შეთხზული ლეგენდის გმირი ხომ არ არისო?

მაინც რამ დაუდო სათავე ამ ყოვლად უსაფუძვლო, გაუმართლებელი და, მართლაც რომ, მკრეხელური ეჭვის გარეხას?

არ არის გამორიცხული, რომ უნდობლობის მარცვალი დათესა XIII საუკუნის რომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ერთმა ცნობამ. აი, რას მოგვითხრობს იგი:

ქართველები თავს უყრიდნენ ჯარს თბილისში. საქართველოს მეფე დავითი იქ იმყოფებოდა. როდესაც ქართველმა დიდებულებმა ლხინში საკმარისად იგემეს ღვინო, გათამამდნენ და ზოგიერთი მათგანი, ნაკლებად კეთილგონიერი, ასე ალაპარაკდა: „ნეტავი რატომ ვემორჩილებით მონღოლებს, როცა ესოდენ დიდი მხედრობა გვყავს? მოდი, მოულოდნელად თავს დავესხათ, დავამარცხოთ, ალგავით პირისაგან მიწისა და ჩვენსავე ქვეყანას კვლავ დავეპატრონოთ“.

ავაგ მხარგრძელი, ძე სახელგანთქმული ივანე ათაბაგისა, აჯანყებას მხარს არ უჭერდა. მაგრამ ვინ დააცალა აჯანყება ქართველებს? მონღოლებმა მათი განზრახვა შეიტყვეს და თავიანთ სამფლობელოებში დაბრუნებული დიდებული სათითაოდ შეიპყრეს.

მონღოლებმა ქართველ დიდებულებს, ჩვეულებისამებრ, მაგრად შეუკრეს ხელ-ფეხი წვრილი თოკით და მთელი სამი დღე შებოჭილი ჰყავდათ. აბუჩად იგდებდნენ, თათხავდნენ ქედმაღლობისა და მემამბოხე სულისკვეთების გამო. მერე ცხენები წაართვეს, გამოსასყიდი გამოსძალეს და ტყვეობიდან განუტყვეს, ვინაიდან ავამაც და სხვებმაც თავიანთი უდანაშაულობა დაამტკიცეს. დატყვევებულ ქართველებს აქტიურად ექომაგებოდა ჩალატა-ნოინი, ძველი მეგობარი ავაგ მხარგრძელისა.

კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ეს ამბავი 1249 წელს მომხდარა.

ეჭვის ჭიამ კი იმიტომ წამოჰყო თავი, რომ სომხური წყარო ქართველების უიღბლო შეთქმულებას აღწერს და ამ ეპიზოდის მთავარ პერსონაჟს — ცოტნე დადიანს არც კი ასახელებს. მაშასადამე, იგი საერთოდ არ არსებობდა ანდა თავი არაფრით გამოუჩენიაო.

ივანე ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ მიუხედავად ერთგვარი მსგავსებისა, წარმოუდგენელია, თითქოს ქართველი უამთაღმწერელი და რომეხი მემამბოხე ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვეცემდნენო.

მაგრამ თუნდაც დაეუშვათ ნუთით, რომ ცოტნე დადიანის დიდად გონიერი თავდადება ხალხის დაჭრილსა და სათნოებას მონატრებულ სულში წარმოქმნილი ლეგენდა იყოს, უდავო იქნებოდა მისი ცხოვრებისეული საჭიროება, მალამოდ რომ დასდებოდა ჭრილობას.

საქართველოს ისტორიაში მრავლად იყვნენ სწორუბოვარი რაინდებიც და თავგანწირული გმირებიც, ნებისმიერი ქვეყნის სახელს რომ დაამშვენებდნენ, მაგრამ ცოტნეს კუთვნილი ადგილი, არსებითად, ცარიელი რჩებოდა, სახელოვან მეფეთა თუ ერთგულ დიდებულთა მიერ ომში გამოვლენილ ვაჟკაცობასა და სამხედრო ნიჭს ვინ დაინუნებდა, მაგრამ ხალხს არანაკლებ, და ეგებ უფრო მეტადაც, ხიბლავდა მაღალზნობრივი სიმბოლო უანგარო სიყვარულისა, ვინაიდან, ქრისტეს მცნების თანახმად, „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის“.

მოზაიკა

ყველაზე უპირფასესი სიკეთე

ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936-1939) დამარცხების შემდეგ ესპანელი რესპუბლიკელი, ვინც ხელთ დაუსხლტა სიკვდილს თუ მის ტოლფას ტყვედ ჩავარდნას, ნაწილობრივ, შეეხიზნენ მოსკოვს, სადაც ახალი ფათერაკები ელოდათ.

კომუნისტებიც და არაკომუნისტებიც, თანდათანობით, გადაასახლეს ციმბირსა და შუა აზიაში, ხოლო ესპანეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს მოსკოვში თავს დაატყდათ პოლიტიკური მშენადა, საკმაო ხანს რომ გრძელდებოდა (სხვათა შორის, 1942 წელს თბილისში, დაიღუპა ესპანელ კომუნისტთა ლიდერი ხოსე დიასი, რომელიც სასტუმრო „თბილისის“ ნომრიდან, მეექვსე სართულზე რომ იყო, მაღალსიციხიანი გადმოვარდა და რუსთაველის პროსპექტის ტროტუარზე განუტევა სული. ბოროტი ენები ამბობდნენ, გადმოაგდესო).

სასჯელს ვერ გადაურჩა ვერც რესპუბლიკური არმიის გენერალი ვალენტინ გონსალესი, უფრო ცნობილი ელ კამპესინოს ფსევდონიმით. იგი დააპატიმრეს და მოსკოვის მეტროს ახალი ხაზების გასაყვან სამუშაოებზე უკრეს თავი.

ბედის ირონიაც ამას ჰქვია! ესპანეთის ლურჯი ცის ქვეშ დაბადებულმა, თავისუფლების ჰაერს რომ ეტრფოდა და მთელი ესპანელი ხალხის თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოდა, ჯილდოდ მიიღო საკუთარი თავისუფლების დაკარგვა და მიწის თხრა მოსკოვის მიწისქვეშეთში.

ბედი უწყალოდ დასცინოდა.

გარკვეული ხნის შემდეგ ჩრდილოეთის რომელიღაც კონცლაგერში გაამწყესეს, იქიდან მერე შუა აზიაში გადაისროლეს. ვინ იცის, ეგებ გული მოუღბათ და სამხრეთელ კაცს კლიმატური შეღავათი მაინც გაუწიეს.

საბჭოთა ტუსადად ქცეული ესპანელი გენერალი, მისივე სიტყვით, დღეში ორჯერ იღებდა ას გრამ შავ პურს და ცოტადონ სუფს, რომელიც „გემრიელი და ბრწყინვალედ დამზადებული“ ყოფილა.

ნუთუ ყბადაღებული ბალანდა ეჩვენებოდა გემრიელ სუფად?

ნუთუ ავისა და კარგის გარჩევის უნარი აღარ გააჩნდა?

რესპუბლიკური არმიის სახელგანთქმული გენერალი საბჭოთა კონცლაგერში იტანჯებოდა, კატორღულ შრომას ეწეოდა და იქაური სუფი ეგემრიელებოდა.

ერნესტ ჰემინგუემ მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი. 1940-1943 წლების განმავლობაში მისი რომანის „ვისთვის რეკს ზარი“ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა მარტოოდენ შეერთებულ შტატებში. რასაკვირველია, სხვადასხვა ენებზე ითარგმნებოდა და საბჭოთა კავშირის გარდა, სად არ კითხულობდნენ, ესპანელ კამპესინოს სიმამაცით ვერავინ შეედრებოდაო. თავად კამპესინო კი, იმის ნაცვლად, რომ მილიონ

ნებთან ერთად იარაღით ხელში ებრძოლა „მიხაკისფერი ქირის“ წინააღმდეგ, საბჭოთა კონცლაგერში იყო გამომწყვდეული, ბრძოლის ველი ენატრებოდა და იქ დაღუპვა, ცხადია, ათასჯერ ერჩივნა კონცლაგერში გაძაღლებულ სიცოცხლეს, რომელიც, ადრე თუ გვიან, უსახელო სიკვდილით დამთავრდებოდა და უიარაღოდ შეენილი გენერალი მოთმინებით უნდა აღჭურვილიყო მომავალი სიკვდილის მოლოდინში.

დღენიდაგ აგონდებოდა დონ კიხოტის უკვდავი სიტყვები თავისუფლებაზე. მწერლობის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეს სიტყვები, ყველა ესპანელმა ზეპირად რომ იცის, სამუდამოდ დამახსოვრდა და კუბოს ფიცრამდე გაჰყვებოდა. დღენიდაგ სასოებით იმეორებდა და იმეორებდა ლოცვასავით:

„იცი თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მოჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე დიდი უბედურებაა კაცისათვის.“

სერვანტესის ტექსტი მხოლოდ ლამაზი სიტყვები როდი იყო კამპესინოსათვის. ეს ჰგავდა მაცხოვრის მცნებას, ეს იყო ცხოვრების მთავარი იდეა, ეს იყო ჩვეულებრივი ადამიანური არსებობის განუყოფელი ატრიბუტი, ოცნებად რომ გადაუქციეს. მიწაში ჩამარხული განძი რომ ჰქონოდა, ჰემინგუეის წყალობით განხმარებულ სახელთან ერთად, უყოყმანოდ გაცვლიდა იმ აბსტრაქტულ და უხილავ საუნჯეზე, რომელსაც ჰქვია თავისუფლება.

ესოდენ ნაძრახი სიცოცხლე და ესოდენ დამთრგუნველი მონობა, განგებამ ნილად რომ არგუნა, ვის ენახა და ვის გაეგონა, დედამიწის რომელ კუთხეში ნააწყდებოდი, რომელ გარდასულ ჟამს მოელანდებოდა?

ლოცვასავით იმეორებდა სერვანტესის უკვდავ სიტყვებს და კონცლაგერიდან გაქცევის ათასნაირი, მეტწილად ფანტასტიკური, გეგმები ებადებოდა თავში. უკიდურესად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი დაჟინებით ეძებდა გამოსავალს და რომ ნაკითხა, თუ რაოდენ მტკიცედ სჯეროდა დიდებულ ამერიკელ მწერალს, რომ სამოქალაქო ომში კამპესინოსათვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობდა, გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი გამოსავალს პოულობდაო, იმედი საოცნებო თავისუფლებისა, ალბათ, გაუათკეცდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ათწლიანი ტანჯვის შემდეგ, ბედმა გაუღიმა და ესპანელმა ვაჟკაცმა ვაჟკაცურად გაამართლა ჰემინგუესიული დიაგნოზი.

ქრონიკა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ტიტე მოსიას მიერ ტრადიციად დამკვიდრებული კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართა — **ნანა კუციას** ორი ახალი წიგნისა.

წიგნი **„წერილები ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე“** წარმოდგენილია ლიტერატურული წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ოთარ ჩხეიძის, მაკა გოგუაძის შემოქმედების, ასევე ჯორჯ ბაირონის ლირიკული პოეზიისა და ასი უძველესი იაპონური ლექსის შესახებ.

წიგნი **„ქართული რომანის პარადიგმები“** ოთხი მწერლის

წარმომრეობა განხილული: ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, გოდერძი ჩოხელისა და ოთარ ჭილაძის.

სიტყვით გამოვიდნენ: **ინგა მილორავა, ლუარა სორდია, ზურაბ პაპასკირი, ჯონი მარლანია, ცილა მესხია, ნინო ვახანია, მარინა ტურავა, მარინა ჯაიანი, მედიკო კვარაცხელია.** გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს წიგნების სამეცნიერო ღირებულებას. აღინიშნა, რომ ნანა კუცია უბრალო კრიტიკოსი კი არ არის, არამედ შემოქმედიც, რომელიც უბრალო ტექსტსაც კი აბსოლუტურად განსხვავებული პრიზმით, ფერით, სხვა სურნელით დაგანახებს.